

თორნიკე შურღულაია

ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურები

თბილისი
2013

ისტორიის დოქტორი, პროფესორი თორნიკე შურდულაია წიგნში „ამერიკის და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურები“ არასაიდუმლო წყაროებსა და ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით მეცნიერულად აანალიზებს ამერიკის და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურების როლს აღნიშნული ქვეყნების განვითარებაში, მიმოიხილავს მათ სისტემას და მათი საქმიანობის თავსებადობას ქვეყნის საკანონმდებლო ბაზასთან და საერთაშორისო სამართალთან. წიგნში ძირითადი აქცენტები კეთდება პოლიტიკური და სამხედრო დაზვერვის ასპექტებზე. ავტორის აზრით დაზვერვა ინფორმაციის მოპოვების ხელოვნებაა, ხოლო ძლიერი სპეცსამსახურები კი ძლიერი სახელმწიფოს ტოლია.

რედაქტორი: თემურ შურდულაია
იურისტი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი

რეცენზენტები: ავთანდილ სონდულაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გელა ცააგა
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი,
პოლიციის კაპიტანი

ტექნიკური რედაქტორი: ნუგზარ სოტკილაგა
ჟურნალისტი

ISBN –

© თორნიკე შურდულაია, თბილისი 2013.

სარჩევი

- ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურები "დაზვერვის თანამეგობრობა"
- სტრატეგიული სამსახურების ოფისი
- ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს CIA-ის შექმნა
- დაზვერვის საქმიანობის ისტორიული ანალიზი
- საგარეო დაზვერვის სტრატეგია
- ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს სპეცაქციები
- ძალის დიპლომატია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის არსენალში
- აგენტურული საქმიანობის სპეციფიკა
- გამოძიების ფედერალური ბიურო და „ინტერპოლი“
- გამოძიების ფედერალური ბიუროს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებათა ანალიზის ეროვნული ცენტრი
- შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტი
- თავდაცვის დეპარტამენტის დაზვერვის სააგენტო
- თავდაცვის დეპარტამენტის კონტრდაზვერვის სამსახური
- ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო (NSA)
- გეოსივრცითი დაზვერვის ეროვნული სააგენტო
- სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ეროვნული ოფისი
- სპეციალური ოპერაციების სარდლობა
- სპეციალური დანიშნულების დივერსიული-სადაზვერვო რაზმები
- სპეცოპერაცია „ნეპტუნის სამკაპი“
- არმიის დაზვერვისა და უშიშროების სარდლობა
- სამხედრო-საჰაერო ძალების დაზვერვა
- სამხედრო-საზღვაო ძალების დაზვერვა
- დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურები "სისტემის ზოგადი მიმოხილვა"

- სახელმწიფო უშიშროების სამსახური (MI-5)
- დაზვერვის საიდუმლო სამსახური - „SIS“ (MI-6)
- სამთავრობო კომუნიკაციების ცენტრი
- ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის სააგენტო
- სპეციალური საჰაერო სამსახური - SAS
- სპეცსამსახურების ანბანი
- გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურები

"დაზვერვის თანამეგობრობა"

ამერიკის შეერთებულ შტატებში 16 სააგენტოსგან შემდგარი ე.წ. დაზვერვის თანამეგობრობა არსებობს, რომელიც ამერიკის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. დაზვერვის თანამეგობრობის მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე განისაზღვრება აშშ-ს საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი. ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაზვერვის სამსახურები აქტიურად ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის პრევენციულ სპეციალურ ღონისძიებებს, როგორც ლოკალურად ისე გლობალური მაშტაბით. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე „დაზვერვა ინფორმაციის მოპოვების ხელოვნებაა“.

დაზვერვა სახელმწიფოს მოღვაწეობის ერთ-ერთი სფეროა, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის სხვა მოქმედი პირების და სახელმწიფოების შესაძლებლობებისა და განზრახვების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას ითვალისწინებს. სადაზვერვო ინფორმაცია შეიძლება მოპოვებულ იქნას ღია, მასმედიისა და დიპლომატიური წყაროების გამოყენებით, ან კონსპირაციული მეთოდებით. დაზვერვის მთავარი მიზანია მონაცემების შეგროვება, გაანალიზება, შეფასება და რეკომენდაციების მომზადება სახელმწიფოს მეთაურისთვის და სხვა ოფიციალური პირებისთვის გადაწყვეტილებების მიღების გასაადვილებლად. დაზვერვის ტექნიკური საშუალებების განვითარებას ჯამშუშობის როლი არ დაუკნინებია, რადგან ბოლო ათწლეულებში პრობლემად რჩება არა იმდენად ინფორმაციის მოპოვება, რამდენადაც მისი სწორი ანალიზი. ადამიანური ფაქტორის როლი ინფორმაციის მნიშვნელობის შეფასებისას ჯერ შეუცვლელია.

აშშ-ში რამდენიმე ტიპის დაზვერვა ფუნქციონირებს: პოლიტიკური დაზვერვა, სამხედრო დაზვერვა და ფედერალურ აღმასრულებელ დეპარტამენტებში მოქმედი სპეციალური ანალიზის ოფისები.

აშშ-ში რეგულარულად გამოიცემა ნორმატიული აქტების კრებული დაზვერვის თანამეგობრობის საქმიანობის შესახებ „Compilation on intelligence laws and related laws and executive orders of interest to the national intelligence community“, რომელშიც ასობით მოქმედი ნორმატიული აქტია გაერთიანებული.

უმნიშვნელოვანესია 1947 წლის კანონი ეროვნული უსაფრთხოების შესახებ. აღნიშნული კანონით დამტკიცდა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველმყოფი მექანიზმი, რომელიც შედგება ეროვნული უშიშროების საბჭოსგან, თავდაცვის დეპარტამენტისა და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსგან. აღნიშნული კანონის 102-ე მუხლით დაარსდა დამოუკიდებელი სამსახური, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო, რომლის ფუნქციებში შევიდა ყველა ტიპის დაზვერვის ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაცია. ცენტრალური დაზვერვის სააგენტოს სათავეში ჩაუდგა დირექტორი, რომლის უწყება დაექვემდებარა ეროვნული უშიშროების საბჭოს.

დაზვერვაზე ზედამხედველობის კანონი უშუალოდ პრეზიდენტის კონტროლს აწესებს საიდუმლო ოპერაციების წარმოებაზე, ხოლო 1988 წლის კანონი აძლიერებს პრეზიდენტის კონგრესისადმი ანგარიშვალდებულებას საიდუმლო ოპერაციების წარმოების საკითხებში.

1982 წლის კანონი დაზვერვის სამსახურების პირადი შემადგენლობის დაცვის შესახებ. აღნიშნული კანონი კრძალავს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს პირადი შემადგენლობის ან მისი აგენტურის შესახებ რაიმე სახის ინფორმაციის გავრცელებას. აღნიშნული ტიპის ქმედება მკაცრად ისჯება კანონით, რომელიც ვრცელდება, როგორც რიგით მოქალაქეებზე ისე სახელმწიფო მოხელეებზეც და რისთვისაც გათვალისწინებულია სასჯელი ხანგრძლივი ვადით პატიმრობა.

1984 წლის კანონით ინფორმაციის გავრცელების შესახებ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო განთავისუფლდა 1966 წლის ინფორმაციული თავისუფლების კანონისგან. დაზვერვის საკითხებთან დაკავშირებული ყველა ტიპის ინფორმაცია უნდა გამოქვეყნებულიყო მხოლოდ ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში განხილვის შემდეგ.

1949 წლის კანონი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს შესახებ ძირითადად ეხება დაზვერვის ფინანსური საქმიანობის რეგულირებას, მის ძირითად საქმიანობას, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ინფორმაციის დაცვით საკანონმდებლო მექანიზმებს და აშშ-ს მოქალაქეობის მინიჭების გაადვილებულ პირობებს იმ პირთათვის ვინც თანამშრომლობდა და ეხმარებოდა ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს.

1964 წლის კანონი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომლთა პენსიებზე. აშშ-ს ყველა სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეები სარგებლობენ საერთო სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდით, ხოლო ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომლებისთვის აღნიშნული კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ საპენსიო უზრუნველყოფას.

აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის განმტკიცების მიზნით დამტკიცდა 1959 წლის კანონი ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს შესახებ. 1978 წელს ამოქმედდა კანონი, რომელიც არეგულირებს უცხოეთის დაზვერვის სამსახურების საქმიანობაზე დაკვირვების წარმოების მეთოდებს.

აშშ-ს დაზვერვის ერთიანი სისტემა შეიქმნა 1981 წლის 4 დეკემბერს პრეზიდენტ რონალდ რეიგანის მიერ აღმასრულებელ კანონზე № 12333 ხელმოწერის შემდეგ.

სახელმწიფო განკარგულების № 12333 მიხედვით აშშ-ს დაზვერვის თანამეგობრობის მიზნებს ძირითადად 6 პრიორიტეტი განსაზღვრავს:

- ქვეყნის პრეზიდენტისთვის, ეროვნული უშიშროების საბჭოსთვის, სახელმწიფო მდივნისთვის, თავდაცვის მდივნისა და სხვა აღმასრულებელი ხელისუფლების ლიდერებისათვის ფასეული ინფორმაციის მოპოვება და დროული მიწოდება ქვეყნის სტრატეგიული კურსის გასატარებლად.
- დაზვერვის განვითარება და ორგანიზება.
- ფასეული ინფორმაციის მოპოვება საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების, მტრული სახელმწიფოების დაზვერვის სამსახურების და ნარკო-სინდიკატების მოქმედების და გეგმების შესახებ შემდგომში მათ წინააღმდეგ წინასწარი პრევენციული სპეციალური ღონისძიებების და საფრთხის აღმოფხვრის მიზნით.
- სპეციალური ღონისძიებები – აშშ-ს საგარეო პოლიტიკური მიზნების და ინტერესების ფარულად მხარდაჭერა უცხოეთის ქვეყნებში, ღონისძიების ტიპი

რომელიც ოფიციალურად არ არის აღიარებული ზესახელმწიფოს მიერ და მისი მიზანი არ წარმოადგენს პირდაპირ ჩარევას სხვა ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში და საზოგადოებრივ აზრსა და მასმედიაზე ზემოქმედებას, არამედ კონკრეტული მიზნით მოქმედებენ კონსპირაციის პირობებში.

- დაზვერვის ხელმძღვანელობა და მხარდაჭერა აშშ-სა და საზღვარგარეთ, რაც აუცილებელია დამტკიცებული ღონისძიებების სრულყოფილად შესასრულებლად.
- განსაკუთრებული ტიპის სადაზვერვო ღონისძიებანი, რომელსაც დროდადრო წარმართავს პრეზიდენტი.

დაზვერვის 16 სააგენტოდან ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო დამოუკიდებელ ორგანოს წარმოადგენს, სხვა დანარჩენი 15 ელემენტი, სამმართველო, სააგენტო თუ ბიურო იმყოფებიან ფედერალური აღმასრულებელი უწყებების შემადგენლობაში. აშშ-ს დაზვერვის სისტემას ხელმძღვანელობს ეროვნული დაზვერვის დირექტორი, პრეზიდენტის მრჩეველი დაზვერვის და უსაფრთხოების საკითხებში, რომელიც უშუალოდ ამერიკის პრეზიდენტის წინაშე პასუხისმგებელი. დაზვერვის ძირითადი სააგენტოების გარდა არსებობენ სხვადასხვა უწყების სამსახურები, რომლებიც ძირითადი დაზვერვის სააგენტოების საქმიანობის დუბლირებას ახდენენ, თუმცა ეს საქმიანობა ეფექტურია და ინფორმაციის გადამოწმების ერთგვარ საშუალებას წარმოადგენს. აშშ-ს დაზვერვის სისტემის ელემენტებია:

- აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო
- აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტი:
 - სამხედრო საჰაერო ძალების დაზვერვის სააგენტო, დაკვირვება და დაზვერვა
 - ამერიკის არმიის დაზვერვა და უსაფრთხოების სარდლობა
 - თავდაცვის დეპარტამენტის დაზვერვის სააგენტო
 - საზღვაო ქვეითი კორპუსის დაზვერვა
 - გეო-სივრცითი დაზვერვის ეროვნული სააგენტო
 - სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ეროვნული ოფისი
 - ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო
 - სამხედრო-საზღვაო დაზვერვის ოფისი
- აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტი
 - დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ოფისი
- აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტი
 - დაზვერვისა და ანალიზის ოფისი
 - სანაპირო დაცვის დაზვერვა

- აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტი
- გამოძიების ფედერალური ბიურო
- ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი სააღმსრულებლო ადმინისტრაცია
- აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი
- დაზვერვისა და კვლევების ბიურო
- აშშ-ს ხაზინის დეპარტამენტი
- ფინანსური დაზვერვის და ტერორიზმის შესწავლის ოფისი

აღნიშნული დაზვერვის სპეცსამსახურები ქმნიან იმ სისტემას, რომელსაც ემყარება აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოება. 2005 წლამდე დაზვერვის თანამეგობრობას ხელმძღვანელობდა ცენტრალური დაზვერვის დირექტორი, ანუ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი, ხოლო უკვე 2005 წლიდან აშშ-ს დაზვერვის თანამეგობრობას სათავეში ჩაუდგა ეროვნული დაზვერვის დირექტორი. დაზვერვის რეფორმის და ტერორიზმის პრევენციის 2004 წლის აქტით დაარსდა ეროვნული დაზვერვის დირექტორის ოფისი, როგორც დამოუკიდებელი სააგენტო, რომელიც ეროვნული დაზვერვის დირექტორის დამხმარე სტრუქტურას წარმოადგენს. ეროვნული კონტრტერორისტული ცენტრი მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა, რომელიც ეროვნული დაზვერვის დირექტორის ოფისის შემადგენლობაში დაარსების დღიდან ფუნქციონირებს და მისი განყოფილები წარმოადგენს.

ეროვნული დაზვერვის დირექტორის ოფისის სტრუქტურა:

- დაზვერვის შტაბის ხელმძღვანელი, პასუხისმგებელია მთლიანად სტრუქტურის საქმიანობის სინქრონიზაციაზე. იგი ხელმძღვანელობს შემდეგ განყოფილებებს:
 - აღმასრულებელი მდივნის კანცელარია
 - სამართლებრივ საკითხთა განყოფილება
 - საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება
 - ადმინისტრაციის განყოფილება
 - პროტოკოლის განყოფილება
- ეროვნული დაზვერვის დირექტორის მოადგილე მონაცემთა შეგროვების საკითხებში აწარმოებს ეროვნული დაზვერვის დირექტორის კონტროლის ქვეშ მყოფი ყველა დაზვერვის სამსახურის მიერ მოპოვებული სტრატეგიული ინფორმაციის კოორდინაციას და კონტროლს, რათა ეროვნული დაზვერვის სტრატეგია და პრიორიტეტები შეესაბამებოდეს სამომავლო გეგმების დასახვისას და გადაწყვეტილების მიღებისას საერთო ეროვნულ ინტერესებს. ეროვნული დაზვერვის დირექტორის მოადგილეს მონაცემთა შეგროვების საკითხებში ჰყავს

ოთხი თანაშემწე:

- თანაშემწე ტექნიკური საშუალებებით ინფორმაციის მოპოვების და კიბერსივრცის მართვის საკითხებში
 - თანაშემწე აგენტურული დაზვერვის საკითხებში
 - თანაშემწე ღია წყაროებიდან მონაცემთა მოპოვების საკითხებში
 - თანაშემწე ტექნიკურ საკითხებში
- ეროვნული დაზვერვის დირექტორის მოადგილე ანალიტიკის საკითხებში, ამავე დროს ეროვნული დაზვერვის საბჭოს თავჯდომარე, მთავარი სპეციალისტი ანალიტიკური ღონისძიებების სფეროში, ჰყავს 6 თანაშემწე:

- თანაშემწე ეროვნული დაზვერვის საბჭოს საკითხებში, ამავე დროს ეროვნული დაზვერვის საბჭოს თავჯდომარის მოადგილე
- თანაშემწე პრეზიდენტისათვის ყოველდღიური ანალიტიკური მიმოხილვის დამუშავებისა და წარდგენის საკითხებში
- თანაშემწე ანალიტიკური მისიების მართვის საკითხებში
- თანაშემწე ინტეგრაციისა და ანალიტიკური მონაცემების სტანდარტიზაციის საკითხებში (ანალიტიკური ომბუდსმენი)
- თანაშემწე ტექნოლოგიებსა და ანალიტიკური მონაცემების გარდაქმნის საკითხებში
- თანაშემწე დაზვერვის თანამეგობრობის ურთიერთქმედების საკითხებში

ეროვნული დაზვერვის დირექტორის ოფისს ემორჩილება დამოუკიდებელი და ძლიერი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოც. ეროვნული დაზვერვის დირექტორს არააქვს უფლება პირდაპირ ჩაერიოს თავდაცვის დეპარტამენტის, ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს თუ სხვა რომელიმე სააგენტოს თუ ბიუროს საკადრო პოლიტიკაში, მისი ძირითადი ფუნქციაა და ძირითადი ამოცანაა მიღებული ინფორმაციის განზოგადება და მათი საქმიანობის ზოგადი კონტროლი და კოორდინაცია. ცალკეული უწყებების მართვა ხორციელდება მათი ხელმძღვანელების მიერ, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან უშუალოდ აშშ-ს პრეზიდენტის წინაშე.

აშშ-ს დაზვერვის თანამეგობრობის საერთო ორგანიზება პირველ რიგში რეგულირდება 1947 წელს მიღებული ეროვნული უსაფრთხოების კანონით და მთავრობის შემდგომი განკარგულებების მიხედვით, რომლის მიხედვითაც რეგლამენტირებულია ორგანიზაციათა ურთიერთობები. შემდგომ პერიოდში აღნიშნული საკანონმდებლო ბაზა ძირეულად გადაიხედა და ეწოდა “კანონი დაზვერვის რეფორმისა და ტერორიზმის აღკვეთის შესახებ” და შესწორებები “1947 წლის ეროვნული უსაფრთხოების კანონში”.

ეროვნული დაზვერვის დირექტორი, დაზვერვის თანამეგობრობის შემდგომი სფეროების ხელმძღვანელობას და კონტროლს ანხორციელებს:

- დაზვერვის უწყებების ბიუჯეტის პროგრამებზე კონტროლი
- აშშ-ს დაზვერვის თანამეგობრობისთვის მიზნების, პრიორიტეტების და სახელმძღვანელო პრინციპების დადგენა.

- მართავს და ხელმძღვანელობს დაზვერვის მიზნებს, ინფორმაციის მოპოვებას, ანალიზს, წარმოებას და აშშ-ს დაზვერვის თანამეგობრობის მიერ ეროვნული დაზვერვის ელემენტების გავრცელებას

ეროვნული დაზვერვის დირექტორს, როგორც მაღლა აღინიშნა დაზვერვის თანამეგობრობის სისტემაში მყოფი უწყებების თანამშრომელთა სამსახურიდან განთავისუფლების ან მიღების უფლება არააქვს. გარდა ამისა უწყების დირექტორები კანონის მიხედვით პასუხისმგებელი არიან მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობრივი პირების და პრეზიდენტის წინაშე. ეროვნული დაზვერვის დირექტორს კანონის მოთხოვნით თავისი საქმიანობის შესახებ ოფიციალურ მოხსენებებს აწოდებს მხოლოდ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი.

9/11-ის მოვლენების შემდეგ აშკარა იყო დაზვერვის სამსახურების საქმიანობის არაეფექტურობა და ჩავარდნა, რის შემდეგაც შეიქმნა მნიშვნელოვანი კომისიები: „აშშ-ზე ტერორისტული თავდასხმების ეროვნული კომისია“, „მასობრივი განადგურების იარაღზე კონტროლის ეროვნული კომისია“ და კონგრესის სხვა მრავალი სპეციალური კომისია, რამაც აჩვენა, რომ დაზვერვის სისტემაში აუცილებელი იყო მაკორდინირებელი სტრუქტურის შექმნა, რომელიც აშშ-ს დაზვერვის სტრუქტურების მენეჯმენტს აწარმოებდა.

აღრეულ პერიოდში უწყებათაშორისი ჯანსაღი თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა სააგენტოებს შორის გართულებული იყო, ეს ჩვენი აზრით გამოწვეული იყო დაზვერვის სააგენტოებს შორის კონკურენციის და ერთიანი მმართველი ორგანოს არ არსებობის გამო. აღნიშნული მიზეზის აღმოფხვრის მიზნით დაიწყო მოდერნიზაციის ეტაპი, რომლის მიზანი გახლდათ უწყებათაშორისი თანამშრომლობის გამარტივება და მუშაობის ახალ სტილზე გადაწყობა, რაც მოიცავს ტექნოლოგიურ, სტრუქტურულ, პროცედურულ და კულტურულ განზომილებებს. სწორედ უწყებათაშორისი ურთიერთობების კოორდინაციის და რეგულირების მიზნით შეიქმნა ეროვნული დაზვერვის დირექტორის პოსტი, მისი ოფისი და ეროვნული ანტიტერორისტული ცენტრი.

კანონმდებლობაში აღნიშნული ინიციატივები გამყარებულია დაზვერვის რეფორმირების და ტერორიზმის აღკვეთის 2004 წლის კანონით და ხელისუფლების № 13354 და № 13388 განკარგულებების შესაბამისად.

აშშ-ს დაზვერვის თანამეგობრობის საქმიანობა ხორციელდება ორი ცალკეული პროგრამის ფარგლებში:

- „ეროვნული დაზვერვის პროგრამა“ ადრე ცნობილი გახლდათ, როგორც „ეროვნული საგარეო დაზვერვის პროგრამა“, 1947 წლის ეროვნული უსაფრთხოების კანონის თანახმად ეხებოდა დაზვერვის ყველა პროექტს და პროგრამას გარდა თავდაცვის დეპარტამენტის სააგენტოების პროგრამების, პროექტების და სპეციფიკური ტაქტიკური საქმიანობისა, კანონის მიხედვით ეროვნული დაზვერვის დირექტორი პასუხისმგებელია საერთო პროგრამების ხელმძღვანელობაზე და კონტროლზე, თუმცა არის მომენტები სადაც მისი უფლებამოსილებანი შეზღუდულია.
- სამხედრო დაზვერვის პროგრამა ეხება და არეგულირებს აშშ-ს შეიარაღებული ძალების სადაზვერვო პროგრამებს, პროექტებს და ტაქტიკური

ღონისძიებების გამართულად წარმოებას. 2005 წელს თავდაცვის დეპარტამენტი წარმოადგინა სამხედრო და სტრატეგიული დაზვერვის ერთობლივი მოღვაწეობის, პროგრამა, თუმცა არის სიტუაციები, როდესაც პრაქტიკაში ერთობლივი პროგრამით მოქმედება ხშირად თავდაცვის დეპარტამენტის მხრიდან გართულებებით მიმდინარეობდა, რადგან თავდაცვის დეპარტამენტი იშვიათად მიდის დათმობებზე, სურს მტკიცე პოზიციების და ამბიციების გამყარება და შენარჩუნება.

აშშ-ის დაზვერვის ბიუჯეტი ათწლეულების მანძილზე:

FISCAL YEAR ფისკალური წელი	NIP BUDGET ერთგზული დაზვერვის პროგრამების ბიუჯეტი	MIP BUDGET სამხედრო დაზვერვის პროგრამების ბიუჯეტი	TOTAL საერთო ჯამი
2012	53.9 მილიარდი \$	21.5 მილიარდი \$	75.4 მილიარდი \$
2011	54.6 მილიარდი \$	24 მილიარდი \$	78.6 მილიარდი \$
2010	53.1 მილიარდი \$	27 მილიარდი \$	80.1 მილიარდი \$
2009	49.8 მილიარდი \$	26.4 მილიარდი \$	76.2 მილიარდი \$
2008	47.5 მილიარდი \$	22.9 მილიარდი \$	70.4 მილიარდი \$
2007	43.5 მილიარდი \$	20 მილიარდი \$	63.5 მილიარდი \$
2006	40.9 მილიარდი \$		
2005	44.0 მილიარდი \$		
2004	39.8 მილიარდი \$		
1998	26.7 მილიარდი \$		
1997	26.6 მილიარდი \$		

სტრატეგიული დაზვერვის ორგანოებისთვის ბიუჯეტის გაზრდის რჩევა ხელისუფლებას 9/11-ის სპეციალურმა კომისიამ მისცა, რაც მათი აზრით უფრო ნაყოფიერ შედეგებს მოუტანდა ქვეყნის ინტერესებს და დაზვერვის საქმიანობაც მეტად ეფექტური იქნებოდა. ის თუ როგორ ნაწილდება თანხები დაზვერვის სამსახურებს შორის გასაიდუმლოებულია, თუმცა ცნობილია ის რომ ბიუჯეტი იხარჯება მრავალ მილიარდიანი სატელიტური პროექტების, საფრენი ტექნიკის და აპარატების, სპეციალური შეიარაღებისთვის, ელექტრონული სენსორებისთვის, სადაზვერვო ანალიზისთვის, სპეციალური აღჭურვილობისთვის, შპიონაჟისთვის, კომპიუტერული ტექნიკისა და მისი პროგრამული უზრუნველყოფისთვის.

დაზვერვის სისტემაზე ზედამხედველობას ანხორციელებს, როგორც აღმასრულებელი ისე საკანონმდებლო შტო. უშუალო კონტროლს აღმასრულებელი ხელისუფლებიდან აწარმოებენ:

- პრეზიდენტის საგარეო დაზვერვის მრჩეველთა საბჭო
- ერთიანი დაზვერვის საბჭო
- გენერალური ინსპექტორის ოფისი
- მართვის და ბიუჯეტის ოფისი

კონგრესის მხრიდან დაზვერვის ერთიან სისტემაზე კონტროლს აწარმოებს ორი კომიტეტი:

- აშშ-ს წარმომადგენელთა პალატის დაზვერვის საკითხთა კომიტეტი
- აშშ-ს სენატის დაზვერვის საკითხთა კომიტეტი

აშშ-ს წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების კომიტეტი და სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტი არეგულირებენ თავდაცვის სფეროს საკანონმდებლო ბაზას და ამტკიცებენ თავდაცვის სისტემის ბიუჯეტს.

როგორც ვხედავთ აშშ-ს დაზვერვის სისტემა და სტრუქტურა მეტად სპეციფიკურია და მის გასააზრებლად სხვადასხვა სპეციალური დისციპლინების ცოდნა არის აუცილებელი.

სტრატეგიული სამსახურების ოფისი

მეორე მსოფლიო ომამდე აშშ-ს დაზვერვის სისტემა რამდენიმე დამოუკიდებელი ორგანიზაციისგან შედგებოდა, რომლებიც კრიპტო-ანალიზის სამსახურებისგან განსხვავებით ნაკლებად კოორდინირებული და აქედან გამომდინარე არაეფექტური გახლდათ. ყველაზე დიდი ჩავარდნები აშშ-ს დაზვერვას, მოპოვებული ინფორმაციის ანალიზისა და მისი მომხმარებლამდე დროულად მიწოდების საკითხებში ჰქონდა. აშშ-ს პრეზიდენტი საწყის ეტაპზე არ იყო ცენტრალური დაზვერვის სტრუქტურის შექმნის მომხრე, მაგრამ მოგვიანებით სიტუაციიდან გამომდინარე გააცნობიერა ეფექტური დაზვერვის სისტემის დროულად შექმნის აუცილებლობა. პრეზიდენტმა ფრანკლინ დელანო რუზველტმა მთავრობასთან კონსულტაციების შემდეგ განაცხადა, რომ ამერიკის სასიცოცხლო ინტერესებისთვის აუცილებელი იყო ეფექტური დაზვერვის წარმოება, თანაც ისეთ პერიოდში, როდესაც თითქმის მთელი კაცობრიობა მეორე მსოფლიო ომში ებმებოდა. გადაწყდა შეექმნათ ძლიერი სადაზვერვო ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელი უშუალოდ აშშ-ს პრეზიდენტს მიაწოდებდა კვალიფიციურად გაანალიზებულ სტრატეგიულ ინფორმაციას.

აშშ-ს აღნიშნული ეტაპისთვის არ ჰქონდა გამოცდილება ცენტრალიზებული სტრუქტურების შექმნის სფეროში, რის გამოც ფრანკლინ დელანო რუზველტმა ინგლისელებთან შეთანხმებით რეკომენდაციების მიღების მიზნით 1940 წელს ლონდონში წარგზავნა ნიუ-იორკის შტატში ცნობილი ადვოკატი და დაზვერვის ახალი სამსახურის ხელმძღვანელობის კანდიდატი ვილიამ დონოვანი. დონოვანი ლონდონში პროტოკოლის დაცვით უმაღლეს დონეზე მიიღეს. დონოვანი შეხვდა მეფე გეორგ მეექვსეს და პრემიერ მინისტრ ვინსტონ ჩერჩილს. ბრიტანეთის დაზვერვის სამსახურის (MI-6) ხელმძღვანელმა სტიუარტ მენზისმა ამერიკელ სტუმარს დეტალურად გააცნო ბრიტანეთის დაზვერვის სტრუქტურა და მუშაობის მეთოდები, ლონდონის საჰაერო დაცვის სისტემა და ქვეითი ჯარების დისლოკაციის ადგილი, რომლებიც სრულ მზადყოფნაში იმყოფებოდნენ მე-3 რეიხის დესანტის წინააღმდეგ საბრძოლველად. აშშ-ს ელჩი ლონდონში ჯოზეფ პატრიკ კენედი რუზველტს ატყობინებდა, რომ ინგლისი გატეხილი იყო და ჰიტლერის გამარჯვება მხოლოდ დროის ამბავი იყო. დონოვანის ერთ-ერთი მისია ბრიტანეთში არსებულ სიტუაციაში გარკვევაც წარმოადგენდა. ინგლისელებმა დაზვერვის სფეროში პარტნიორობით და კეთილმოსურნე გახსნილი ურთიერთობის წყალობით, დონოვანის სახით აშშ-ს მეორე მსოფლიო ომში ჩართვის კიდევ ერთი მომხრე შეიძინეს, რომელსაც არგუმენტირებულად შეეძლო რუზველტისთვის და ამერიკის კონგრესისთვის დაემტკიცებინა მსოფლიო ომში ჩაბმის აუცილებლობა. ინგლისის მცდელობამ აქტიური პარტნიორობა დაემყარებინა ამერიკასთან, დაუყონებლივ გამოიღო შედეგი, აშშ-ს პრეზიდენტმა ინგლისს გადასცა 50 გამანადგურებელი საზღვაო ხომალდი, სამაგიეროდ აშშ-ს საზღვაო ძალებმა ინგლისისგან მიიღეს ატლანტის ოკეანის და კარიბის ზღვის კუნძულებზე განთავსებული ინგლისის ბაზების გამოყენების უფლება.

1941 წლის დასაწყისში დონოვანი ბრიტანეთის დაზვერვის წარმომადგენელთან, სტივენსონთან ერთად ოფიციალური ვიზიტით ეწვია ლონდონს სადაც შეხვდა ვინსტონ ჩერჩილს და სხვა ოფიციალურ პირებს. ლონდონის შემდეგ მთელ რიგ ქვეყნებში საქმიანი ვიზიტების დასრულების შემდეგ ვაშინგტონში დაბრუნებულ დონოვანს პრობლემების კასკადი დახვდა, სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელი

გენერალი მაილსი და გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი კონკურენციის შიშით შეპყრობილნი ახალი სპეცსამსახურის შექმნის კატეგორიულად წინააღმდეგნი იყვნენ. დონოვანს დიდი ძალისხმევა დასჭირდა დაერწმუნებინა კონგრესის იზოლაციონისტი დეპუტატები და კონკურენტი სპეცსამსახურები, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სტრატეგიული დაზვერვის ახალი სტრუქტურის შექმნას და მის გლობალურ მაშტაბებზე მოქმედებას.

1941 წლის 11 ივლისს ფრანკლინ დელანო რუზველტის ბრძანებით შეიქმნა ინფორმაციის კოორდინაციის ბიურო, რომლის კოორდინატორად დაინიშნა ვილიამ დონოვანი. ბიუროს ძირითადი ამოცანა იყო ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და პრეზიდენტისთვის მიწოდება. საწყის ეტაპზე ბიუროში 92 თანამშრომელი მსახურობდა, ხოლო უკვე 1941 წლის დეკემბერში ბიურო უკვე 500-ზე მეტ თანამშრომელს ითვლიდა. ახალი სპეცსამსახურის სტრუქტურის მოდელი ძირითადად ბრიტანეთის სპეციალური ოპერაციების სამმართველოს მაგალითზე იყო ფორმირებული. ბიუროში შედიოდა სამი განყოფილება: კვლევების და ანალიზის განყოფილება, რომელიც ახორციელებდა ღია წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის განზოგადებას, განყოფილება ძირითადად კომპლექტდებოდა ელიტური უნივერსიტეტების მეცნიერებით. დანარჩენი ორი განყოფილება პასუხისმგებელი იყო პროპაგანდის, ფსიქოლოგიური ომის, აგენტურული დაზვერვის და სპეციალური ოპერაციების წარმოებაზე. შერვუდის ხელმძღვანელობით მუშაობდა უცხოეთის ინფორმაციული სამსახური, რომელიც ღერძის ქვეყნების დაფარვის ზონაზე ავრცელებდა პროპაგანდისტულ რადიო გადაცემებს.

ახალი სპეცსამსახურის არსებობას მკაცრად აკრიტიკებდნენ სამხედრო წრეებში, თუმცა სიტუაცია მალევე შეიცვალა დონოვანის სასარგებლოდ, მას მხარდაჭერა გამოუცხადა ბრიგადის გენერალმა სმიტმა. სმიტი აღნიშნავდა, რომ შეიძლებოდა არსებული სპეცსამსახურის საქმიანობის არმიის სასარგებლოდ შემოტრიალება, ის ამტკიცებდა, რომ მხარი უნდა დაეჭირათ და არა წინააღმდეგობა გაეწიათ ვილიამ დონოვანისთვის, პრეზიდენტთან დაახლოებული პირისთვის, რომელიც უშუალოდ პრეზიდენტის წინაშე იყო ანგარიშვალდებული. გენერლი სმიტის მხარდაჭერის ფაქტი გამოიყენა ფრანკლინ დელანო რუზველტმა და 1942 წლის 13 ივნისს ინფორმაციის კოორდინაციის ბიუროს ბაზაზე შეიქმნა ორი ორგანიზაცია: სამხედრო ინფორმაციის სამმართველო და სტრატეგიული სამსახურების ოფისი, რომლებიც მანამდე ემორჩილებოდა გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელთა კომიტეტს.

სტრატეგიული სამსახურების ოფისი სტრუქტურულად ცენტრალური აპარატის ქვედანაყოფებისგან და უცხოეთის მისიებისგან შედგებოდა, უცხოეთის მისიებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი ლონდონის მისია იყო. სტრატეგიული სამსახურების ოფისის აპარატში შედიოდა სამდივნო, უშიშროების განყოფილება, სტრატეგიული სამსახურების ოფისის მთავარი საბჭო, კვლევითი განყოფილება და პროექტირების და კავშირის განყოფილებები. დაგეგმარების ჯგუფი უშუალოდ ოფისის დირექტორს ემორჩილებოდა. ოფისის დირექტორის ერთ-ერთი მოადგილე აკონტროლებდა ხუთ განყოფილებას, საიდუმლო დაზვერვის განყოფილება, რომელიც შედგებოდა: აფრიკის, ევროპის, ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეგანყოფილებებისგან, აღნიშნული რგოლი აწარმოებდა

აგენტურულ დაზვერვას. განყოფილებაში შედიოდა რამდენიმე ფუნქციონალური ბიურო: „X-2“ კონტრდაზვერვა, ომის ბოლოს აღნიშნულ ბიუროში მუშაობდა 700 თანამშრომელი, რომელთა შორის იყვნენ ენგელტონი, 1947 წელს შექმნილ ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში ჯაშუშებზე აქტიური მონადირე და კონტრმზვერავი. კვლევების და ანალიზის განყოფილება სტრატეგიული სამსახურების ოფისის ანალიტიკურ ქვედანაყოფს წარმოადგენდა, რომელიც ორგანიზებული იყო გეოგრაფიული პრინციპით. განყოფილების პროდუქციას წარმოადგენდა ანალიტიკური დოკუმენტების და მონაცემების მოკლედ განზოგადება და დამუშავება, რომელიც მიეწოდებოდა სადაზვერვო ინფორმაციის მომხმარებლებს. პროფესიულ ასპექტში ეს ქვედანაყოფი სტრატეგიული სამსახურების ოფისის ყველაზე კომპეტენტურ რგოლს წარმოადგენდა. უცხოეთის მოქალაქეებთან ურთიერთობის განყოფილება კონტაქტებს აწარმოებდა აშშ-ში მყოფ ნაციონალურ ჯგუფებთან და უცხოეთიდან გამოძევებულ მთავრობებთან. ცენზურის და დოკუმენტების განყოფილება აანალიზებდა ცენზურის მიერ მოპოვებულ და მოწინააღმდეგის რადიო გადაცემებიდან მიღებულ ინფორმაციას, განყოფილება აგენტებისთვის ამზადებდა ყალბ დოკუმენტებს.

დირექტორის მოადგილეს ოპერაციების დარგში ემორჩილებოდა ხუთი განყოფილება: სპეციალური ოპერაციების განყოფილება, რომელიც მხარს უჭერდა პარტიზანების მოქმედებებს ოკუპირებულ ქვეყნებში, ამარაგებდა მათ იარაღით და აღჭურვილობით, აგრეთვე აწარმოებდა მოწინააღმდეგეების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე დივერსიულ აქტებს. განყოფილების თანამშრომლების დიდი ნაწილი სხვადასხვა საჯარისო ნაწილებში შერჩეული ამერიკელები იყვნენ, რომლებიც სპეციალურ ოპერაციებს აწარმოებდნენ. ომის პერიოდში მოწინააღმდეგის ზურგში გადასროლილი იყო განყოფილების 1600 ოპერატიული თანამშრომელი, რომლებიც ჯგუფებად იყოფოდნენ და მტრის ზურგში მოქმედებდნენ. აღნიშნული ტიპის ერთ-ერთ ჯგუფში მუშაობდა უილიამ ქეისი, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი, რომელიც გერმანელ სამხედრო ტყვეებს შორის აწარმოებდა აგენტების მოძიებას. 1943 წლიდან სტრატეგიული სამსახურების ოფისის ევროპულ განყოფილებაში მუშაობდა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი რიჩარდ ჰელმსი. 1944 წელს იდენტურ საქმიანობას აწარმოებდა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს კიდევ ერთი დირექტორი უილიამ კოლბი. მორალური განადგურების განყოფილება აწარმოებდა მტრის მორალის დამანგრეველ და ძირგამომთხრელ საქმიანობას, აქ შედიოდა „შავი პროპაგანდა“, ცრუ ჭორების გაგრძელება, საბოტაჟის სტიმულირება და ოკუპირებულ ქვეყნებში მტრის საწინააღმდეგო აქციების წარმოება. სპეციალური პროექტების ქვედანაყოფი და განსაკუთრებული საბრძოლო ქვედანაყოფი ცდიდა აგენტებისთვის განკუთვნილ სპეცშეიარაღებას და აღჭურვილობას, აანალიზებდნენ ინფორმაციას გერმანიის რაკეტების და ბირთვული პოტენციალის შექმნის მცდელობის შესახებ.

სპეციალური ოპერაციების განყოფილებისგან დამოუკიდებლად არსებობდნენ 30-40 კაციანი „რეინჯერების“ და „კომანდოსების“ ოპერატიული ჯგუფები, რომლებსაც კონკრეტული დავალებებით უნდა ემოქმედათ მტრის ზურგში და მხარი დაეჭირათ ადგილობრივი პარტიზანებისთვის. ბრიტანეთის სპეციალური ოპერაციების სამსახურის დახმარებით ამერიკის სტრატეგიული სამსახურების ოფისმა ბრიტანეთის ტერიტორიაზე შექმნა დივერსანტების და სპეციალური აგენტების მოსამზადებელი სკოლა, რომლის კურსდამთავრებულები იმოქმედებდნენ

ოკუპირებულ ევროპაში. სტრატეგიული სამსახურების აგენტებთან საიმედო კავშირების ორგანიზების მიზნით 1944 წელს შეიქმნა გლობალური რადიოკავშირი. სტრატეგიული სამსახურების უცხოეთის მისიები ლონდონის გარდა მოქმედებდა ნიუ-დელიში, ალჟირში, ქაიროში და ჩუნცინში. სტრატეგიული სამსახურების ოფისის რეზიდენტები სიღრმისეულ დაზვერვას აწარმოებდნენ. 1944 წელს ოლსონმა შვედი დიპლომატი რაულ ვალენბერგი გადმოიბირა, რომელმაც ათი ათასობით უნგრელი ებრაელი გადაარჩინა მესამე რეიხისგან, ხოლო თავად ბოლოს საბჭოთა ციხეში დაღია სული. ვალენბერგის მიერ აშშ-ში გადაცემული ინფორმაცია უშუალოდ ფრანკლინ დელანო რუზველტს მიეწოდებოდა, ამერიკელები თავად აღიარებდნენ, რომ ვალენბერგი ერთადერთი საიმედო ინფორმაციის წყარო იყო. სწორედ ვალენბერგის საშუალებით ამყარებდა სტრატეგიული სამსახურების ოფისი კავშირს ანტიფაშისტური განწყობის მქონე უნგრელ სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან და ცდილობდა ერთიანი ძალებით გაეთიშათ უნგრეთის და გერმანიის კავშირი. წარმატებულად საქმიანობდა ბერნში (შვეიცარია) სტრატეგიული სამსახურების რეზიდენტი, შემდეგ წლებში თავისი დოქტრინით ცნობილი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი ალენ დალესი. მის მიერ შექმნილი სადაზვერვო ქსელი მოქმედებდა გერმანიაში, ჩეხოსლოვაკეთში, საფრანგეთში, იუგოსლავიაში, უნგრეთში, ბულგარეთში, იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში და ჩრდილოეთ აფრიკაში, ამ სქემაში მოქმედებდა ასობით აგენტი და სტრატეგიული სამსახურების ოფისის ოპერატიული თანამშრომელი.

სტრატეგიული სამსახურების ოფისმა 1945 წელს კონტაქტები დაამყარა ვიეტნამის ფრონტის ლიდერთან სოში მინთან. იაპონიის ჯარების წინააღმდეგ ეფექტური საომარი მოქმედებების წარმოებისათვის ხელშეწყობის მიზნით ამერიკამ აღჭურვა და შეაიარაღა ვიეტნამელი პარტიზანები. ამერიკელი კვალიფიციური ინსტრუქტორები სისტემატურად წვრთნიდნენ ვიეტნამელ პარტიზანებს, ასწავლიდნენ მათ დივერსიულ და სადაზვერვო საქმეს.

სტრატეგიული სამსახურების ოფისმა მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო დეგოლის დივერსიულ-სადაზვერვო სამსახურთან, ე.წ. აქტიური მოქმედებების და ინფორმაციის ცენტრალურ ბიუროსთან.

1943 წლის დეკემბრის თვეში, მოსკოვში ვიზიტით მყოფმა დონოვანმა კონტაქტები დაამყარა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობასთან. აშშ-ს და სსრკ-ს სპეცსამსახურები შეთანხმდნენ სადაზვერვო სტრატეგიული ინფორმაციის გაცვლაზე. ამერიკის მხარემ ოკუპირებულ ქვეყნებში მოქმედ საბჭოთა აგენტებს გადასცა ოპერატიული ტექნიკა და დაშიფრული კავშირისთვის აუცილებელი აღჭურვილობა.

1945 წელს სტრატეგიული სამსახურების ოფისში 13 ათასამდე შტატიანი თანამშრომელი მსახურობდა. სტრატეგიული სამსახურის ბიუჯეტი 57 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. სტრატეგიული სამსახურების ოფისის და დიდი ბრიტანეთის დაზვერვის ერთობლივად განხორციელებული ყველაზე მნიშვნელოვანი სპეცოპერაცია „კეიზი ჯონსი“ გახლავთ, რომელიც 1944 წელს დაიწყო და 1945 წლამდე გაგრძელდა. სპეცოპერაცია მიზნად ისახავდა სკანდინავიის, ჩრდილოეთ აფრიკის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიის აეროფოტოგადაღებას. გადაღებებს აწარმოებდა ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის გამანადგურებლების 16 ესკადრილია.

მეორე მსოფლიო ომის დასასრულს დონოვანმა ახალი ინიციატივა შესთავაზა აშშ-ს პრეზიდენტს, სტრატეგიული სამსახურების ოფისის ბაზაზე შეექმნათ ორგანიზაცია, რომელიც მშვიდობიანობის პერიოდში შეასრულებდა ცენტრალური დაზვერვის ფუნქციებს. რუხველტმა გარდაცვალების გამო ვერ მოასწრო აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, ხოლო აშშ-ს ახალი პრეზიდენტი ჰარი ტრუმანი უარყოფითად შეხვდა ამ იდეას. 1945 წლის 20 სექტემბერს სტრატეგიული სამსახურების ოფისი დაიშალა, ხოლო ანალიტიკური ტიპის განყოფილებების თანამშრომლები გადანაწილდა სახელმწიფო დეპარტამენტსა და თავდაცვის დეპარტამენტს შორის. დონოვანი განაგრძობდა ბრძოლას ცენტრალური დაზვერვის ახალი სტრუქტურის შექმნისთვის, მან შექმნა ორგანიზაცია „სტრატეგიული სამსახურების ვეტერანები“, რომელიც აერთიანებდა დაზვერვის სისტემის 1300 ყოფილ თანამშრომელს. მთელი რიგი რეორგანიზაციის შემდეგ ჰარი ტრუმანის განკარგულებით შეიქმნა აშშ-ს ცენტრალური დაზვერვა, თავიდან 1946 წლის 22 იანვარს შეიქმნა ცენტრალური დაზვერვის ჯგუფი, ხოლო შემდეგ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო, რომელშიც სტრატეგიული სამსახურების ოფისის უამრავმა თანამშრომელმა აღიღვინა თავი.

აშშ-ს პირველი ცენტრალიზირებული სადაზვერვო უწყების შეფი ვილიამ დონოვანი ლეგენდალური პიოვნება და აქტიური მზვერავი გახლდათ, მას ჯერ კიდევ 1944 წლის ნოემბერს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. თავისი ნატურით ის იყო დიპლომატი, მაგრამ ამავდროულად დიდი ავანტიურისტიც, რომელსაც აგენტურასთან მუშაობაზე მეტად ხიბლავდა სპეციალური ოპერაციების წარმოება. კოლეგებმა მას „ველური ბილი“ უწოდეს. ჰარი ტრუმანი არ მოიაზრებდა და ავერ ხედავდა დონოვანს ახალი დაზვერვის შეფის ამპლუაში. ომის დასრულების შემდეგ გენერალი დონოვანი პროკურორის მოადგილის რანგში მონაწილეობდა ნიურნბერგის პროცესზე, შემდეგ დონოვანი დაინიშნა აშშ-ს ელჩად ტაილანდში, აღნიშნული პოსტიდან ის პენსიაზე გავიდა. გენერალი დონოვანი 1959 წელს გარდაიცვალა.

ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს CIA-ის შექმნა

ამერიკელებს დაზვერვა ვაშინგტონის დროიდან ჰქონდათ, მაგრამ მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროს გახდა საჭირო ორგანიზაციის შექმნა, რომელიც ყველა ტიპის ინფორმაციას ერთად მოუყრიდა თავს. სწორედ ამიტომ 1942 წელს ფრანკლინ დელანო რუზველტი თხოვს ნიუ იორკელ ცნობილ იურისტს და ომის გმირ ვილიამ დონოვანს შექმნას სადაზვერვო ცენტრი, რის შედეგადაც შეიქმნა სტრატეგიული სამსახურების ოფისი (OSS), CIA-ის წინამორბედი სპეცსამსახური.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის მთავრობამ (OSS)-ის დაშლის ბრძანება გასცა და ყველა არსებული ძალის და ინფორმაციის სხვადასხვა სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში გადანაწილება მოითხოვა. ბევრი დრო არ დაჭირდა იმის მიხვედრას, რომ ამერიკის ეროვნული უსაფრთხოებისათვის აუცილებელი იყო ორგანიზაცია, რომელიც გააკონტროლებდა სხვა ქვეყნების ქმედებებს და ანალიზს გაუკეთებდა მათ სტრატეგიას, ამიტომაც 1947 წელს პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა მოაწერა ხელი „ნაციონალური აქტის“ ხელშეკრულებას, რომელმაც შექმნა დაზვერვის ცენტრალური სააგენტო, რომლის მთავარი მიზანი იყო ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით ინფორმაციის მოგროვება, გაანალიზება და შეფასება.

1947 წლიდან დღემდე აღნიშნულმა დაზვერვის ორგანიზაციამ დიდი გზა განვლო, რის შედეგადაც ის მსოფლიოში არსებულ სპეცსამსახურებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ძალაა. მისი საქმიანობა XX საუკუნის ბოლომდე გასაიდუმლოებული გახლდათ და მათი ცოდნა საშიშროებას წარმოადგენდა. CIA აქტიურად იყო ჩაბმული საბჭოთა იმპერიის განადგურებაში და დიდი წვლილი მიუძღვის აღნიშნული იმპერიის რღვევაშიც, თუმცა ეს ფაქტი ხშირად მეცნიერთა განხილვისა და დავის საგნად რჩება. სააგენტოს აქვს კონტაქტები მსოფლიოს ყველა კონტინენტზე და ყავს მრავალი გავლენის აგენტი, სხვადასხვა გზით ამყარებენ კავშირებს თითქმის ყველა სახელმწიფოს ლიდერთან, რისი მეშვეობითაც შემდეგ ისინი აკონტროლებენ და კურირებენ მთელი მსოფლიოს მოვლენებს.

დაზვერვის ცენტრალური სააგენტო შედგება ოთხი რეგიონალური ნაწილისაგან:

- შუა აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის ანალიზი (MENA)
- სამხრეთ აზიის ანალიზი (OSA)
- რუსეთისა და ევროპის ანალიზის (OREA)
- აზიის წყნარი ოკეანის, ლათინური ამერიკის და აფრიკის ანალიზის (APLAA)

ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს სტრუქტურა:

- ოპერატიული დირექტორატი-სტრატეგიულ ინფორმაციას მოიპოვებს აგენტურული დაზვერვის საშუალებით. ორგანიზებას უწევს და ახორციელებს საიდუმლო ოპერაციებს, კონტრდაზვერვითი აქციებით უზრუნველყოფს აგენტურულ-ოპერატიულ დონისძიებებს.

დირექტორატის სტრუქტურა:

- საგარეო დაზვერვის სამმართველო, აკონტროლებს რეგიონალური განყოფილებების ოპერატიულ საქმიანობას, ავასებს ინფორმაციის წყაროების საიმედოობას. შეიმუშავებს პრაქტიკულ რეკომენდაციებს ოპერატიული ქვედანაყოფებისთვის.
- საგარეო კონტრდაზვერვის სამმართველო, უზრუნველყოფს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს რეზიდენტურების სადაზვერვო საქმიანობის უსაფრთხოებას. ახორციელებს აგენტურის უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებში შეღწევას და აქტიურად თანამშრომლობს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებიდან გამოქცეულ ყოფილ ოფიცრებთან.
- საიდუმლო ოპერაციების და ტექნიკური სამსახურების სამმართველო, პასუხისმგებელია საიდუმლო ოპერაციების ტექნიკურ უზრუნველყოფაზე.
- კონტრტერორისტული ცენტრი, კოორდინირებას უწევს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ქვედანაყოფების საქმიანობას.
- ანტინარკოტიკული ცენტრი, ანალიზებს ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, შეიმუშავებს და ახორციელებს ნარკო-სინდიკატების საქმიანობის აღმკვეთ ღონისძიებებს.

- სამეცნიერო-ტექნიკური დირექტორატი, კვლევებს აწარმოებს ინფორმაციის მოპოვებისთვის საჭირო ტექნოლოგიების სფეროში. დირექტორატი აქტიურად თანამშრომლობს აშშ-ს მსხვილ სამეცნიერო ცენტრებთან. დირექტორატის სტრუქტურაში შედის:

- ტექნიკური სისტემების განვითარებისა და კვლევების სამმართველო, კვლევებს აწარმოებს ისეთ სპეციფიკურ სფეროებში როგორცაა: კავშირის მექანიზმები, სენსორული სისტემები, ნახევრად გამტარები, ხელოვნური ინტელექტი და პროცესების მოდელირება.
- ინფორმაციის მიმტაცებელი სამმართველო, ანვითარებს და იყენებს უახლეს აპარატურას, რომელიც აუცილებელია ინფორმაციის მოპოვებისა და მისი შემდგომი ანალიზისთვის.
- ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო, აწარმოებს სხვადასხვა ტიპის ოპერატიული ტექნიკის კვლევას და წარმოებას. ძირითადი აქცენტები გადატანილია: საიდუმლო წერის საშუალებებზე, მოსასმენ აპარატურაზე, ფარული ფოტოგადაღების მოწყობილობაზე, კოდირებისა და გაშიფვრის ტექნიკაზე.
- უცხოეთის რადიო მაუწყებლობების მაკონტროლებელი საინფორმაციო სამსახური, ხელმძღვანელობს რადიო სადგურების ქსელს, რომელიც ისმენს და იწერს ყველა მნიშვნელოვან უცხოურ გადაცემას.
- კოსმოსური დაზვერვის მასალების გაშიფვრის ეროვნული ცენტრი.

- საინფორმაციო-ანალიტიკური დირექტორატი, აწარმოებს სტრატეგიული სადაზვერვო ინფორმაციის კლასიფიკაციას, ანალიზის და რეკომენდაციების

მომზადებას, შემდგომ მისი პრეზიდენტისთვის, ეროვნული უშიშროების საბჭოსთვის და კონგრესისთვის გადაცემის მიზნით. აღნიშნული დირექტორატის სტრუქტურის ძირითადი ქვედანაყოფებია ხუთი რეგიონალური სამმართველო:

- დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის
- ევროპის
- ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიის
- აღმოსავლეთ აზიის
- აფრიკისა და ლათინური ამერიკის

სამმართველოს განკარგულებაშია ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოპერატიული ცენტრი, რომელიც 24 საათის განმავლობაში აანალიზებს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს, რათა დროულად იქნას აღმოჩენილი კრიზისული სიტუაციები, რომლებიც მომავალში შესაძლებელია დაემუქროს აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს.

- შეიარაღების სფეროში სამეცნიერო კვლევების მწარმოებელი სამმართველო, ახორციელებს უცხო ქვეყნების შეიარაღების ტექნიკური ასპექტების და კოსმოსური სისტემების, ბირთვული შეიარაღების და ენერგეტიკის, ტაქტიკური და საერთო დანიშნულების შეიარაღების სისტემების, ჰაერ საწინააღმდეგო საშუალებების და სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის სფეროში არსებული პროგრესის შესწავლასა და ანალიზს.
 - გლობალური პრობლემების სამმართველო, აწარმოებს ეკონომიკური, გეოგრაფიული და ტექნოლოგიური პრობლემების ანალიზს საერთაშორისო მასშტაბით.
 - ინფორმაციული რესურსების სამმართველო, ატარებს საინფორმაციო ცნობარის ფუნქციებს.
 - უცხოეთის ლიდერებზე არსებული ინფორმაციის ანალიზის სამმართველო, აშშ-ს ხელმძღვანელობას აწვდის უცხო ქვეყნების მეთაურებისა და უცხოეთის ორგანიზაციების ლიდერების დახასიათებასა და მონაცემებს.
- ადმინისტრაციული დირექტორატი, აწარმოებს კადრების შერჩევას, მომზადებას და გადამზადებას, უზრუნველყოფს სააგენტოს პერსონალის და ობიექტების უსაფრთხოებას. ადმინისტრაცია მუდმივ რეჟიმში ახორციელებს შიფრკავშირს რეზიდენტურებთან. აღნიშნულ დირექტორატში ცხრა ქვედანაყოფი შედის:
 - კადრების მართვის
 - კადრების მომზადებისა და გადამზადების
 - უშიშროების
 - ფინანსური
 - ინფორმაციის ძებნის და შენახვის
 - კომპიუტერული ტექნიკის
 - კავშირის მართვის
 - მედიცინის და საყოფაცხოვრებო ერთეულების

- დაგეგმარების დირექტორატი, ახორციელებს დაზვერვის საქმიანობის კოორდინაციას, დაგეგმვას და დაზვერვის ინფორმაციის ძირითად მომხმარებლებთან მჭიდრო ურთიერთობას.

აღნიშნული რგოლების გარდა სააგენტოს შემადგენლობაში ფუნქციონირებს: იურიდიული განყოფილება, რომელიც აკონტროლებს დაზვერვის თანამშრომლების ქმედებების კონსტიტუციასთან, სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან და სააგენტოს ინსტრუქციებთან შეთავსებადობის ხარისხს.

გენერალური ინსპექტორის განყოფილება, აღნიშნული განყოფილების უფროსს წარადგენს პრეზიდენტი, ხოლო თანამდებობაზე ამტკიცებს სენატი. ინსპექტორი ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის და კონგრესის წინაშე, მაგრამ ვალდებულია თავისი საქმიანობის ქმედებები შეათანხმოს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორთან. განყოფილებას აქვს საკუთარი ბიუჯეტი და შედგება ავტონომიური კადრების აპარატისგან. განყოფილება იძიებს სააგენტოს შიგნით არსებულ სამსახურებრივ დანაშაულებებს.

ფინანსური რევიზორის განყოფილება, აკონტროლებს სააგენტოს მთლიან ფინანსურ მოღვაწეობას. ცენტრალური დაზვერვის სააგენტოს სტრუქტურაში მუშაობს ასევე: სამდივნო, ისტორიის განყოფილება და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს საკითხებზე არსებული პუბლიკაციების მონიტორინგის საბჭო.

აშშ-ს დაზვერვის ცენტრალურ სააგენტოს აქვს მჭიდრო კავშირები სხვა ქვეყნების დაზვერვის სამსახურებთან. იყო შემთხვევები, როდესაც რამდენიმე სადაზვერვო ძალების გაერთიანებით ჩატარებულა ოპერაცია, მაგალითად ოპერაცია ბეირუთში ან ცნობილი ოპერაცია „ქარიშხალი უდაბნოში“, რომელშიც ინგლისის, ამერიკის და კიდევ რამდენიმე ქვეყნის სადაზვერვო ორგანიზაციები მონაწილეობდნენ, კოალიციურმა ოპერაციამ საკმაოდ ხმაურიანი და სასარგებლო შედეგი გამოიღო. ორგანიზაცია განთქმულია თავისი გაწვრთნილი სპეცდანიშნულების რაზმით, რომელიც ასრულებს ყველა საჭირო დავალებას, მათი წვრთნა მიმდინარეობს სპეციალურ საწვრთნელ ნაწილში, რომელიც მდებარეობს არლინგტონში, ვირჯინიის შტატში. სპეცდანიშნულების ჯგუფის წევრები მსახურს იწყებენ უმცროსი ოფიცრის თანამდებობით და ეტაპობრივად მიიწევენ მაღლა კარიერულ იერარქიაში. რაზმის წევრები ეხვევიან ჯგუფში მუშაობას და გარკვეულ სიმურილებურ დავალებებს ასრულებენ, ამ დავალებების შესრულების შემდეგ ისინი გადაყავთ კემპ პერიში სტრატეგიული სამსახურების ოფიციალურ საწვრთნელ ბაზაზე სადაც ამთავრებენ წვრთნას და ორგანიზაციის სხვადასხვა ქვედანაყოფებში ნაწილდებიან. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ თემატიკაზე მწირია ინფორმაცია ქართულ ენაზე, არის ის რაც გამოქვეყნებულია დაზვერვის ოფიციალურ ლოკუმენტებში, რომლებიც განსაიდუმლოებულია და ხელმისაწვდომია, ანდა ინფორმაცია, რომელიც მეცნიერებს ან მეცნიერებაში წასულ ყოფილ მზვერავებს აქვთ თავიანთ შრომებში მოცემული ან იმ ტიპის ინფორმაცია, რომელმაც რაღაც დოზით გაჟონა პრესაში და ისიც უცხოენაზე. ზოგადად ძნელია დეტალურად დააზუსტო ის თუ როგორ წვრთნიან თავიანთი კადრის ოფიცრებს და სპეცდანიშნულების რაზმის წევრებს სააგენტოში, რადგანაც ამ ტიპის ინფორმაცია და თანამშრომელთა უმრავლესობის ვინაობა გასაიდუმლოებულია.

როგორც მოგეხსენებათ, დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს შტაბ-ბინა მდებარეობს ლენგლიში, ვირჯინიის შტატში, საიდანაც ხდება ყველა დაზვერვითი სპეციალური კურიერება და წარმართვა. შენობა წარმოადგენს გასაიდუმლოებულ ქალაქს, სადაც მოხვედრა უცხო პირისთვის შეუძლებელია. აქ მოქმედებს უახლესი დამცავი სისტემები, როგორც კიბერნეტიკული თავდასხმისგან, ასევე ნებისმიერი სხვა შეტევებისგან, თუნდაც საჰაერო, რომლისგანაც შენობას არა მარტო უახლოეს აეროდრომზე განლაგებული საჰაერო მზვერავები იცავენ, არამედ ვირჯინიაში მდებარე NASA-ს ეროვნული ცენტრიც აკვირდება და უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას.

სააგენტოს ზონაში პიროვნება ვერ მოხვდება, თუ მას სპეციალური შესასვლელი საში არა აქვს, აქ ყურადღება ექცევა ნებისმიერ მუშაკს და ელემენტალურ შეცდომაზეც სწრაფი რეაგირების ჯგუფი მოქმედებს, რომელიც 24 საათიან მზადყოფნაშია. შენობაში განთავსებულია ცნობილი მემორიალური კედელი, რომელზეც გამოსახულია ვარსკვლავები ვინაობის და ნომრის გარეშე, ეს ვარსკვლავები აღნიშნავენ იმ გასაიდუმლოებულ დაზვერვის ოფიცრებს, რომლებიც დაიღუპნენ სპეცოპერაციებში, ამ კედელზე ასევე მიმაგრებულია რკინის ყუთი, რომელშიც მოთავსებულია „საპატიო წიგნი“, ამ წიგნში მოხსენიებულია თითოეული დაღუპული ოფიცერი და მათი წოდება, ეს არის ერთადერთი ადგილი სადაც ღიად წერია დაღუპული დაზვერვის ოფიცრის გვარი. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოფიცრები 18 თვიან სასწავლო კურსს გადიან სპეციალურ სასწავლო დაწესებულებაში ე.წ. „ფერმაში“ მზვერავთა სკოლაში (CIA Special Training Center), რომელიც ვილიამსბურგთან ახლოს მდებარეობს, ვირჯინიის შტატში. სპეცსკოლა განლაგებულია 10000 აკრზე უღრან ტყეში მდინარე იორკთან. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს სკოლა საიმედო საფარქვეშ არის მოქცეული და სამხედრო ორგანიზაციის „შეიარაღებული ძალების მომზადების ექსპერიმენტალური ცენტრი“ თავდაცვის სამინისტრო „კემპ-პირის“ სახელით არის რეგისტრირებული და ბაზაში შესასვლელ საკონტროლო პუნქტზეც აღნიშნული წარწერაა გაკეთებული. ყოველივე ეს კონსპირაციისათვის და ზედმეტი დაინტერესებული თვალის ასაბნევადაა გაკეთებული. 1952 წელს სამხედრო საზღვაო ძალებმა, აღნიშნული ბაზა ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს გადასცა ექსპლუატაციაში. სასწავლო ცენტრში კურსანტები გადიან ისეთ სპეციალურ დისციპლინებს როგორც არის: Flaps and Seals-წერილების და დოკუმენტების საიდუმლოდ გახსნა და დაღუპვა; Picks and locks-ფარული ფოტოგადაღება; შენიღბვის ხელოვნება; მალული შეღწევა. ზოგიერთი ოფიცრები დამატებით გადიან საპარაშუტო მომზადებას Harvey Point Defense Testing Activity, Elizabeth City, კაროლინას შტატში ან U.S. special forces ბაზაზე პანამაში. ცენტრი ძირითადად ამზადებს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოპერატიული დირექტორატის ოპერატიულ თანამშრომლებს. მომავალი ოპერატიული თანამშრომლების გარდა ფერმაში მომზადებას გადიან სააგენტოს სპეცრაზმელებიც. აღნიშნული სპეცრაზმი ცნობილია, როგორც SOG (Special Operations Group), რომელიც ძირითადად ყოფილი სამხედრო სპეცრაზმელებით არის დაკომპლექტებული. სპეცრაზმელები „ფერმაში“ 1 წლიან მომზადებას გადიან.

66 წლის მანძილზე დაზვერვის ცენტრალური სააგენტო ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებდა თავისი შესაძლებლობებით, ამ ორგანიზაციამ განვითარების გრძელი გზა განვლო, დაზვერვის ოფიცრები ზოგადად ეროვნულ უსაფრთხოებაზე ზრუნავენ და თავდაუზოგავად სამშობლოს სამსახურში არიან ჩაბმული.

დაზვერვის საქმიანობის ისტორიული ანალიზი

საგარეო დაზვერვის სამსახურების საქმიანობა თავისი არსით მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას. იგი არის პოლიტიკური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური ბრძოლის სპეციფიკური ფორმა, მიმართული დასაზვერი სახელმწიფოს წინააღმდეგ ფარული, თუ ღია აქციების ორგანიზებისა და განხორციელებისათვის, სპეციალური ძალების, საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებით. მათი მიზანია იქ არსებული კონსტიტუციური წყობილების დამსობა, ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, ეკონომიკური, სამეცნიერო, სამხედრო პოტენციალის ხელყოფა და აქედან გამომდინარე ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროს დესტაბილიზაცია-დეზორგანიზაცია, როგორც მაქსიმუმში, ხოლო მინიმუმში, პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტების ღიად თუ ფარულად ხელში ჩაგდებისა და მართვის გზით სახელმწიფოში გავლენის მოპოვება და შენარჩუნება.

თანამედროვე ეტაპზე სადაზვერვო საქმიანობის არსებით თავისებურებას წარმოადგენს მისი მაქსიმალური შენიღბვა, რომლის დროსაც დაზვერვა აქტიურად იყენებს საიდუმლო საშუალებებისა და მეთოდების მრავალფეროვან არსენალს. საქმიანობის საიდუმლო ხასიათის ძირითადი მახასიათებელია, როგორც გარეგნულ ქმედებათა, მტრული ზრახვებისა და მოქმედებების შენიღბვა, ასევე მეორე მხარის შეცდომაში შეყვანა დეზინფორმაციის გზით.

დაზვერვა ისეთივე უძველესი მოვლენაა, როგორც თვით კაცობრიობის ისტორია. ისტორიული და პოლიტიკური მოვლენების ნოვაციის შედეგად XX საუკუნეში ჩამოყალიბდა თანამედროვე სახის დაზვერვის სპეციალური სამსახურები, რომლებმაც თუნდაც შენიღბულად, მაგრამ მაინც შეინარჩუნეს თავიანთი წინამორბედი სამსახურების საქმიანობის სასტიკი ხერხები, ჯაშუშობის მრავალი მეთოდი და ფუნქცია. დაზვერვის სპეციალური სამსახურები ყოველი სახელმწიფოსთვის აუცილებელ სტრუქტურას წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფოს შიგნით არსებული და გარედან მოსალოდნელი საფრთხეების პრევენციული და შემაკავებელი ძალა გახლავთ. საუკუნეები გავიდა, მაგრამ სპეცსამსახურების მიზნები და ამოცანები არ შეცვლილა. შეიცვალა მხოლოდ მათი განხორციელების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და ხერხები. ხოლო მეთოდები უფრო დახვეწილი და დაუნდობელი გახდა. სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა უფრო მობილური და შედეგიანი გახადა სპეცსამსახურების საქმიანობა და ჯაშუშებს ხშირად უკვე კოსმოსური თანამგზავრი-მზვერავები და მზვერავი თვითმფრინავები ცვლიან, თუმცა ხშირ შემთხვევაში ტექნიკა შეზღუდულია თავისი შესაძლებლობებით და ვერ აკინებს დაზვერვის ოფიცრის მნიშვნელობას.

მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის საზღვრებს გარეთ განთავსებული რეზიდენტურების მიერ მოწოდებული საიდუმლო და ანალიტიკური ინფორმაცია, რომელიც ეხმარება ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში. მსოფლიოში არსებული ბუმბერაზი დაზვერვის სპეციალური სამსახურების ერთობლიობიდან ამ ეტაპზე განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოს გამოყოფთ, რომელიც სტრატეგიული სამსახურების სამმართველოს მემკვიდრე გახლავთ. დაზვერვის ცენტრალური სააგენტო 1947 წელს ჩამოყალიბდა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ცივი ომის პერიოდიდან მოყოლებული დღემდე, ინარჩუნებს უდიდეს

სტრატეგიულ მნიშვნელობას ისეთი ზესახელმწიფოსთვის, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია და მის პოლიტიკურ არსენალში ყველაზე სერიოზულ იარაღს წარმოადგენს, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მსოფლიოში მიმდინარე არაერთ მნიშვნელოვან მოვლენაზე: იქნება ეს დიდ თუ პატარა სახელმწიფოებში მთავრობების შეცვლა, ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების მომხრე დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ექსტრემისტების ფინანსური დახმარება და პოლიტიკური მხარდაჭერა, რაც არამარტო აღნიშნული სახელმწიფოს დაზვერვის სპეციალური სამსახურებისთვის არის დამახასიათებელი და აგრეთვე მსოფლიოს ცხელ და კონფლიქტურ წერტილებში მოქმედება თავიანთი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

ცნობილია, რომ „ცივი ომის“ პერიოდი (1946-1991) წ.წ მეტად დაძაბულ საერთაშორისო პოლიტიკურ პერიოდად არის მიჩნეული. თავდაპირველად, „ცივი ომი“ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი მსოფლიოს მოწყობის შესახებ განსხვავებული შეხედულებების შედეგად წარმოიშვა, რომელმაც ეჭვი და უნდობლობა დაბადა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის. „ცივი ომის“ პოლიტიკა, როგორც ვიცით საჯაროდ გამოაცხადა დიდი ბრიტანეთის იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა 1946 წლის 5 მარტს ფულტონში. მან დრამატიზმით აღსავსე ცნობილი სიტყვა წარმოსთქვა და მოუწოდა დასავლეთის ქვეყნებს შეექმნათ ინგლისურ-ამერიკული კავშირი მსოფლიო კომუნიზმის წინააღმდეგ, რომელსაც საბჭოთა რუსეთი ედგა სათავეში. „ცივი ომის“ პოლიტიკა მიზნად ისახავდა საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებასა და შენარჩუნებას, „ცხელი ომის“ წარმოშობის საფრთხის შექმნას, ომის ზღვარზე ბალანსირებას, შეუზღუდავი გამალებული შეიარაღების, სამხედრო ხარჯების კოლოსალური ზრდის გამართლებას, რეაქციის გაძლიერებას და კაპიტალისტურ ქვეყნებში სხვა იდეოლოგიის დათრგუნვას.

აღნიშნულ ეტაპზე ერთმანეთს ორი ბანაკი დაუპირისპირდა. პირველი: ვარშავის პაქტის გარშემო შემოკრებილი სოციალისტური სახელმწიფოები საბჭოთა კავშირის მეთაურობით, ხოლო მეორე მხრივ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი, სამხედრო პოლიტიკური ბლოკი (NATO), რომელსაც სათავეში ამერიკის შეერთებული შტატები ედგა.

აღნიშნულ დაპირისპირებაში აქტიურად ჩაება ორივე ქვეყნის დაზვერვის სპეციალური სამსახურები. სსრკ-ს მხრიდან სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი (КГБ), ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან უკვე ძლიერი და განვითარებული დაზვერვის ცენტრალური სააგენტო (CIA). მიმდინარე დაპირისპირების დროს ორივე ბლოკი იყენებდა ბრძოლის სხვადასხვა მეთოდსა და ტაქტიკას. ესენი გახლდათ დიპლომატიური ურთიერთობების ოფიციალური მხარე და მეორე გასაიდუმლოებული მეთოდი – დაზვერვის სპეციალური სამსახურების საიდუმლო აქციები, რომელთა ბიუჯეტი მილიონობით ამერიკულ დოლარს შეადგენდა. ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის სპეციალური სამსახურები აღნიშნული დაძაბული ეტაპისათვის უკეთესად მომზადებულები აღმოჩნდნენ, რამაც თავისი ნაყოფი გამოიღო. 1991 წლის 31 ივლისს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეიარაღების თაობაზე მიაღწიეს ყველაზე მნიშვნელოვან ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირთან, როდესაც ბუშმა და გორბაჩოვმა დიდი ხნის მოლაპარაკების შედეგად ხელი მოაწერეს „სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულებას“ (START) მოსკოვში, რომლის მიხედვითაც ორივე მხარის ბირთვული არსენალები 30-დან 40 პროცენტამდე მცირდებოდა. მაგრამ ეს შემცირებაც კი უმნიშვნელო იყო ამერიკის პრეზიდენტ ბუშისა და ბორის ელცინის, რუსეთის ფედერაციის

პრეზიდენტის მიერ დადებული ხელშეკრულების შემდეგ, რომლის მიხედვითაც 2003 წლისათვის მთლიანად უნდა განადგურებულიყო ქობინიანი რაკეტები. ორივე შეთანხმება, ერთობლიობაში დაახლოებით ორი მესამედით ამცირებდა ბირთვული ქობინების რაოდენობას – 21 000-დან 6000-7000 ცალამდე. ბირთვული იარაღის გამოყენების მუდმივმა შიშმა და ატომური საფრთხის რეალობამ, შეახერხა ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ატომური კონფლიქტის საშიშროება. „ცივი ომი“ დასრულდა აშშ-ის და (NATO)-ს სამხედრო პოლიტიკური ბლოკის წევრი ქვეყნების გამარჯვებით, რაშიც უდიდესი როლი ითამაშა აშშ-ს დაზვერვამ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის ცენტრალურ სააგენტოშიც (CIA) და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტშიც (КГБ) მუშაობდა ბირთვული შეიარაღებების განყოფილებები, რომლებსაც მეტად პრიორიტეტული ადგილი ეკავათ სპეცსამსახურების სისტემაში. აღნიშნული განყოფილებები აკონტროლებდნენ ორივე აღნიშნული ქვეყნის საგარეო საქმეთა უწყებებში მომქმედ ანალოგიურ განყოფილებებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისედაც დაუძღვრებული, ხოლო „ცივი ომის“ ეპოქაში განცდილი მარცხის შემდეგ, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილი და იდეოლოგიურად გამოფიტული საბჭოთა კავშირი 1991 წელს დაიშალა, რის შედეგადაც არსებობა შეწყვიტა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა და სახელმეცვლილი ფორმით მოგვევლინა რუსეთის ფედერაციის ფედერალური უშიშროების სამსახურის სახელწოდებით. დასავლეთის კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ ნომერ პირველ მტრად გამოცხადებული საბჭოთა კავშირი დაიშალა და დამარცხდა. ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს წინაშე ახალი პრიორიტეტული და სტრატეგიული გეგმები დაისახა.

დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს მოქმედების უმთავრეს სტრატეგიულ სფეროს ტერორიზმთან და შპიონაჟთან დაუნდობელი მეთოდებით ბრძოლა წარმოადგენს. აღნიშნული ქვეყნის დაზვერვის სპეციალურ სამსახურს მკაცრ კონტროლზე ჰყავს აყვანილი ამერიკის შეერთებული შტატების სრულწლოვანი მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომლებსაც საქმიანი, თუ პირადი კონტაქტები აქვთ დამყარებული სხვა ქვეყნებთან. რომ არაფერი ვთქვათ იმ კონტრდაზვერვით აქციებზე, რომლითაც ისინი მკაცრად აკონტროლებენ უცხოეთის მოქალაქეებს, უცხოელ სტუდენტებსა და უცხო ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის თანამშრომლებს 1978 წელს მიღებული „უცხოელთა ზედამხედველობის აქტის“ შესაბამისად. ამერიკის შეერთებული შტატების მრავალათასიანი საიდუმლო სამსახურების აპარატი მიზანმიმართულია, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით გააჩაღოს ტოტალური დაზვერვითი აქციები ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების სასარგებლოდ. აღნიშნული ქმედებები ხშირად შეიცავს, როგორც ძალადობრივ, ასევე დანაშაულებრივ ელემენტებსაც. მეტად საინტერესო გახლავთ ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტის, ანდერსონ კუპერის შეფასება: „დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს საქმიანობაზე: „დაზვერვის ცენტრალური სააგენტო უბრუნდება მუშაობის ძველ და ბინძურ მეთოდებს, საზღვარგარეთ სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე დივერსიული აქტებისა და ჯაშუშობის წარმოების აპრობირებულ ხერხს.“ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს წარმომადგენლები საიდუმლო ოპერაციებს გეგმავენ და აქტიურად თანამშრომლობდნენ, ისრაელის, პაკისტანის, გვატემალას, კორეის, ავღანეთის, აფრიკის და აშშ-ის სტრატეგიული ინტერესის არეში მოქცეული სახელმწიფოს სპეცსამსახურებთან.

აშშ-ის დაზვერვის ცენტრალური სააგენტო სპეციალური მეთოდების არსენალის დახვეწის საკითხში დიდ დახმარებას უწევდა ლაბორატორიები, რომლებიც კონკრეტული სახელმწიფოების წინააღმდეგ ჩასატარებელი სპეციალური სპეციფიკიდან გამომდინარე აწვდიდნენ დაგროვილ სპეცრესურსს და უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებას. XX საუკუნეში აშშ-ის სხვადასხვა სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე არსებობდა დაზვერვის ცენტრალური სააგენტოსა და აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სააგენტოს გასაიდუმლოებული ლაბორატორიები, სადაც მზადდებოდა მასობრივი განადგურების სხვადასხვა ტიპის იარაღი: ქიმიური (გაზები და მომწამვლელი აირები), ბიოლოგიური (ცოცხალი ორგანიზმებიდან მიღებული შხამები) და ბაქტერიოლოგიური (ვირუსების შტამი). აღნიშნული ტიპის ლაბორატორიები მუშაობდნენ აგრეთვე სიმართლის ელექსირის შესაქმნელად, სპეციალური ნარკოტიკული საშუალება, რომელიც გამოყენებულ იქნებოდა საწინააღმდეგო იდეოლოგიის და მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა მხარის ჯაშუშთა დაკითხვების დროს. 1943 წელს შვეიცარიის ცნობილ ფარმაკოლოგიურ ფირმაში „კონდორი“ 37 წლის ქიმიკოსმა ალბერტ ხოფმანმა ცდების შედეგად მიიღო ფსიქიკაზე ძლიერ მომქმედი ნარკოტიკული საშუალება ლსდ, რომელიც აქტიურად გამოიყენებოდა დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ არასასურველი ძალების და ადამიანების ფსიქიკის დასამსხვერველად და მათი დისკრედიტაციისათვის, აგრეთვე ადამიანებში არსებული საწინააღმდეგო სტერეოტიპების ამოშანთვის და ტვინის გამორეცხვის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის ცენტრალური სააგენტო, თეთრი სახლის მითითებით, ხშირად ერეოდა სხვადასხვა ქვეყნების შიდა სახელმწიფოებრივი საკითხებისა თუ პრობლემების მოგვარებაში: ასეთი ექსპანსიური ქმედების ფაქტები გახლავთ 1953 წელს ირანში სამხედრო შეთქმულების ორგანიზება, რომელმაც მოსადიკის დემოკრატიული მთავრობა დაამხო, რადგან მისი პოლიტიკური კურსი ისწრაფოდა სახელმწიფო გაეთავისუფლებინა უცხოელი მონოპოლისტების ბატონობისაგან. 1950 წლის დასაწყისში ირანი მსოფლიოში მე-4 ადგილზე იყო ნავთობის მოპოვების, გადამუშავების და ექსპორტის სფეროში. ჩვენის აზრით სწორედ ირანის ნავთობის რესურსების ნაციონალიზაცია გახდა მოსადიკის მმართველობის დასასრულის მიზეზი, აღნიშნული ნაბიჯი ავტომატურად იწვევდა დასავლეთის მონოპოლიური კომპანიების გაძევებას ან მათ მიერ ირანში წარმოებული საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავლებზე გადასახადების გაზრდას. მოსადიკი აღნიშნული თანხებით ირანის სახელმწიფოებრიობის გაძლიერებას ისახავდა მიზნად. აღნიშნულ პერიოდში ირანის ნავთობპროდუქტებზე მონოპოლია ინგლისურ-ირანულ ნავთობკომპანიას ეკავა, აშშ-ის დაზვერვის სამსახურებს იგი დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდა, რათა დასახული მიზნებისათვის ერთობლივი ძალებით მიეღწიათ. აღნიშნული კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრი გახლდათ ალენ დალესი, აშშ-ის დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს შეფი და სხვა გავლენიანი ამერიკელები, ხოლო აღნიშნულ ნავთობკომპანიას იურიდიულ მომსახურებას უწევდა ნიუ იორკის იურიდიული ფირმა „სალივენი და კრომველი“ რომლის საქმიანი პარტნიორები ძმები დალესები იყვნენ, რის საფუძველზეც ძნელი არ არის მივიდეთ დასკვნამდე, რომ დაზვერვის ცენტრალური სააგენტო თავისი შეფის პირადი და დასავლური ნავთობკომპანიის კორპორატიული ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა აღნიშნულ რეგიონში. თავად აშშ-ის პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ადმინისტრაციამ ერთხმად დაამტკიცა დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს მიერ მომზადებული და ალენ დალესის რეკომენდაციით გამყარებული

გეგმა, რომელიც ირანში მოსადიკის მმართველობის დასრულებას ისახავდა მიზნად. ინგლისურ-ირანული ნავთობკომპანიის მემკიდრე ამჟამად „ბრიტიშ პეტროლუმში“ გახლავთ (BP-British Petroleum).

1954 წელს ვაშინგტონში დაგეგმილმა და გვატემალაში მოწყობილმა რეაქციულმა გადატრიალებამ სისხლში ჩაახშო ანტიიმპერიალისტური ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. გვატემალაში დასავლური მონოპოლიების წარმომადგენელი „იუნაითედ ფრუტს“-ი გახლდათ, რომელიც ლათინური ამერიკის ცხრა ქვეყანაში აწარმოებდა ბანანების და სხვა ხილის ბიზნესს და აშკარაა მას ჰქონდა პრეტენზიები აღნიშნულ ქვეყანაში თავისი ბიზნესის თავისუფლად წარმოებაზე. გვატემალის 1944 წლის რევოლუციის შემდეგ ამ ქვეყნის ნაციონალისტური ძალები მუდამ უარყოფითად აფასებდნენ კომპანიის საქმიანობას. ნაციონალისტური ხელისუფლება გვატემალის მიწების ნაციონალიზაციას ახდენდა, რაც ხელს უშლიდა დასავლურ მონოპოლიებს და რიგ შემთხვევებში ხდებოდა არასასურველი მთავრობების დამხობის მიზეზი.

1961 წელს ამერიკის შეერთებული შტატები კუბის ტერიტორიაზე შეიჭრა, რაც მიზნად ისახავდა გაენადგურებინა ერთადერთი სოციალისტური რესპუბლიკა დასავლეთის სფეროში. კუბის ტერიტორიაზე ღორების ყურეში, ე.წ. „კოჩინოსზე“ 1500 კუბელი სამხედრო ემიგრანტის დესანტირება ფაქტიურად ამერიკის სამხედრო აგრესიას წარმოადგენდა, რადგან აღნიშნული სპეციალური დივერსიული ფორმირება შეაიარაღა და გაწვრთნა აშშ-ის დაზვერვის სპეცსამსახურებმა. რა მნიშვნელობა აქვს აგრესია ირიბი იქნება, თუ პირდაპირი?! არანაირი, მთავარია ის თუ ვის ინტერესებს ემსახურება იგი. 1975 წელს სენატის სპეციალურმა კომისიამ, რომელიც იძიებდა აშშ-ის დაზვერვის სამსახურების საქმიანობას საზოგადოებას აცნობა, რომ მოპოვებული იქნა კონკრეტული მტკიცებულებები იმისა, რომ 1960-1965 წ.წ. დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს მიერ ფიდელ კასტროს ლიკვიდაციის მიზნით განხორციელდა 8 სპეცოპერაცია, თუმცა ისინი უშედეგო აღმოჩნდა. აშშ-ს ეს სამხედრო აქციები არის ერთგვარი ბრძოლა მსოფლიო სტაბილურობის და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად, შემაკავებელი, პრევენციული ზომები იმ ქვეყნებისათვის ვინც დემოკრატიის ჭეშმარიტ ფასეულობებს გმობს, მაგრამ ამ მოვლენათა ანალიზისას მეორე მხრივ ეს ქმედებები შეიძლება სამხედრო აგრესიადაც შეფასდეს. ყოველივე ამას ისტორია განსჯის თავის დროზე, ისტორიისათვის, მთავარია არა ის თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო, არამედ ის თუ რა მოხდა.

1965 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წამოიწყო მრავალწლიანი ომი ვიეტნამის წინააღმდეგ, რომელსაც აქტიურად გმობდა ამერიკული საზოგადოებრივი აზრი. ამავე პერიოდში სამხედრო ინტერვენცია მოხდა დომინიკის რესპუბლიკაში იქ არსებული მარიონეტული რეჟიმის გადარჩენის მიზნით. 1973 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვფიქრობთ, ნეგატიური როლი ითამაშა ჩილეს მოვლენებში. დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს დაგეგმვითა და სამხედრო ძალისმიერი ამბოხების გზით ეროვნული ერთობის ხელისუფლება დაამხეს და ერთპიროვნული მმართველობა გააბატონეს. დაზვერვის ცენტრალური სააგენტოსა და ჩილეს სამხედრო მაღალჩინოსანი ოფიცრების (ხუნტა) შეთქმულების შედეგად განხორციელდა ჩილეს ეროვნული ლიდერის სალვადორ ალიენდეს სასახლეზე თავდასხმა და მისი ლიკვიდაცია. ჩილეს სათავეში ჩაუდგა აუგუსტო პინოჩეტი, რომელმაც ქვეყანაში ნაციონალური დაზვერვის სამმართველოზე დაყრდნობით

მასშტაბური სახელმწიფო ტერორი გააჩაღა. აშშ-ის დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოში ამ უკიდურესი ზომების გატარების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მას შემდეგ რაც უშედეგოდ დასრულდა სპეციალური პროექტები „კამელოტი“ და „კენტავრი“.

გეგმა „კამელოტი“ მიზნად ისახავდა ჩილეს სამხედრო წრეებში გენერალთა და მაღალჩინოსან ოფიცერთა გადმობირებას, რაც სახელმწიფოში სამხედრო გადატრიალების შემთხვევაში აღნიშნული აქციის წარმატებით დასრულების გარანტი იყო.

გეგმა „კენტავრი“ მიზნად ისახავდა ჩილეს ეკონომიკურ ბლოკადას, საერთაშორისო სესხების მიღებაზე შეზღუდვების დაწესებას, ჩილეში წარმოებული პროდუქციის ექსპორტზე ემბარგოს დაწესებას. აღნიშნული ქმედებები მიზნად ისახავდა ჩილეს შიგნით მოსახლეობის უკმაყოფილობის ინსპირირებას და შიდა არეულობების და მანიფესტაციების გზით საღვადორ ალიენდეს მთავრობის დამხობას, რომელიც აშშ-ს დაზვერვის სამსახურების მიერ იქნებოდა მხარდაჭერილი.

1975 წელს ანგოლაში კონტრრევოლუციურ ძალებს ეხმარებოდა და აფინანსებდა დაზვერვის ცენტრალური სააგენტო, რომლის დახმარებით და მხარდაჭერით სამოქალაქო ომმა იფეთქა, რათა შეეცვალათ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისათვის არასასურველი მთავრობა.

1979 წლის 3 ივნისს, აშშ-ს პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა ხელი მოაწერა საიდუმლო დირექტივას, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელებულიყო საბჭოთა კონტროლს დაქვემდებარებული რეჟიმის საწინააღმდეგო საქმიანობა ავღანეთში, რომელშიაც მნიშვნელოვანი როლი ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს უნდა ეთამაშა.

ოპერაცია ციკლონი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს პროგრამის კოდური სახელწოდებაა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა ავღანელი მოჯახედების შეიარაღება ავღანეთის ომის პერიოდში (1979-1989 წ.წ.). ციკლონი იყო ერთ-ერთი ხანგრძლივი სადაზვერვო ოპერაცია, რომლის დაფინანსება დაიწყო 20-30 მილიონი დოლარით, ხოლო 1987 წლისთვის 630 მილიონ დოლარს მიაღწია წელიწადში.

აშშ-ის პრეზიდენტის ჯიმი კარტერის მრჩეველი ზბიგნევ ბჟეზინსკი აღნიშნავდა, რომ ოპერაციის ძირითადი მიზანი იყო სსრკს ჩაბმა ძვირადღირებულ საომარ კონფლიქტში. 1998 წ. ფრანგული ჟურნალისტისთვის (Le Nouvel Observateur) მიცემულ ინტერვიუში ბჟეზინსკი იხსენებდა: „ჩვენ პირდაპირ არ ვუბიძგებდით რუსებს ავღანეთში სამხედრო კონფლიქტი წამოეწყოთ, მაგრამ ყველანაირად ვცდილობდით გაგვეზარდა ამის შესაძლებლობა“. ამ მცდელობის შედეგი გახდა საბჭოთა კავშირის შეტყუება ავღანურ ხაფანგში. იმ დღეს, როდესაც საბჭოთა კავშირმა გადაკვეთა ავღანეთის საზღვარი მე მივწერე პრეზიდენტ კარტერს, რომ ახლა ჩვენ გვაქვს შანსი მივცეთ საბჭოთა კავშირს ვიეტნამის ომი“. პრეზიდენტ კარტერის განკარგულებით სანქცირებულ იქნა ავღანეთში ანტიკომუნისტური ძალების აშშ-ის მიერ დაფინანსება და აქტიური მხარდაჭერა. ავღანეთში პროსაბჭოთა პრეზიდენტის ბაბრაქ ქარმალის დანიშვნის შემდეგ კარტერმა განაცხადა: „საბჭოთა კავშირის შეჭრა ავღანეთში ეს უდიდესი საფრთხეა კაცობრიობისთვის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ“. საიდუმლო ოპერაციების გეგმის მიხედვით ავღანეთის მოსახლურე პაკისტანში, დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს მიერ ორგანიზებული იქნა

ათეულობით ბასის განთავსება, სადაც 1979 წლის ბოლოსათვის მომზადებას ათასობით დაქირავებული სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე და ავღანეთის კომუნისტური ხელისუფლებისადმი უარყოფითად განწყობილი პირები გადიოდნენ. მათი უახლესი საბრძოლო ტექნიკით და იარაღით აღჭურვაც დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს მიერ იქნა ორგანიზებული. აღნიშნული ძალების დასაფინანსებლად დაახლოებით 6 მილიარდამდე დოლარი დაიხარჯა. შაიდუმლო ოპერაციის შედეგად, 1979 წელს კომუნისტური ორგანიზაციის ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი თარაკი ლიკვიდირებული იქნა.

2002 წელს ამერიკის შეიარაღებული ძალები ერაყში შეიჭრა სადამ ჰუსეინის ბირთვულ არსენალზე კონტროლის დამყარების მიზნით. აღსანიშნავია, რომ უნომიგის და მაგატეს ექსპერტების დასკვნით ერაყის ბირთვული არსენალი ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში განადგურდა ოპერაცია უდაბნოს ქარიშხლის დროს, რასაც ბირთვული სააგენტოებიც ამტკიცებდნენ. აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უმცროსმა) აღნიშნული ფაქტების და მტკიცებულებების სრული იგნორირება მოახდინა და ყველანაირი ნორმების დარღვევით კონგრესთან შეუთანხმებლად ერაყში გააჩაღა სამხედრო ოპერაციები.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის პრეზიდენტის განკარგულებებს დაზვერვით საკითხებში კურირებს მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში და მისი თანაშემწეები, რომლებიც აქციის სპეციფიკიდან გამომდინარე ირჩევენ შესაბამის სპეცსამსახურს. პრეზიდენტი ამ შემთხვევაში იზიარებს პრინციპს: „მიზანი ამართლებს საშუალებას“. პრეზიდენტი ზეპირ განკარგულებას იძლევა სპეცაქციებთან დაკავშირებით, რადგან ოფიციალურად დოკუმენტურად გამყარებული განკარგულების შემთხვევაში კონგრესი პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს დააყენებს, რადგან სამართლებრივად ერთი სუვერენული სახელმწიფოს დაზვერვის მიერ მეორე სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებული სპეცაქცია არასანქცირებულ ქმედებად ითვლება და საერთაშორისო სამართლისა და სისხლის სამართლის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც დანაშაულებრივი და ძირგამომთხრელი საქმიანობა. მაგალითისათვის საკმარისია „უოთერგეთის სკანდალი“, რომელიც გახმაურდა და 1974 წ. 9 აგვისტოს პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის იმპიჩმენტით და მისი მრჩეველების დაპატიმრებით დასრულდა. მითუმეტეს უცხო ქვეყანაში ჩატარებული სპეცაქციის გახმაურების შემთხვევაში გარდაუვალია დიპლომატიური სკანდალიც.

ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების განმტკიცებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის მიზნით შექმნილი სპეციალური კანონის ნიმუშია „ამერიკის პატრიოტის აქტი“ (USA Patriot Act), რომლის ხელმოწერისას, 2001 წლის 26 ოქტომბერს, აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა: ეს დოკუმენტი „გამოძიების სამსახურებს და პოლიციას არსებული საფრთხის ძლევის ახალ ინსტრუმენტებს სთავაზობს“. აღნიშნული კანონი 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში განხორციელებულ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით მიიღეს. იგი მომხდარი ტერაქტიდან 6 კვირაში განიხილეს. კონგრესის წარმომადგენლობითმა პალატამ კანონპროექტი 357 ხმით 66-ის წინააღმდეგ 24 ოქტომბერს დაამტკიცა, სენატმა კი იგი 98 ხმით მხოლოდ ერთის წინააღმდეგ 26 ოქტომბერს მიიღო. კანონის მთავარი იდეოლოგი და ავტორი იყო აშშ-ის გენერალური პროკურორი ჯორჯ ეშკროფტი.

კანონის მიღება აუცილებლობით გამოწვეულ გამონაკლისად იქნა აღიარებული. მისი რამდენიმე ნორმის მოქმედება მხოლოდ 4 წლის ვადით შემოიფარგლა.

პატრიოტის აქტი ახალ უფლებამოსილებებს ანიჭებს აშშ-ის გამოძიების ფედერალურ ბიუროს (Federal Bureau of Investigation), დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოს (Central Intelligence Agency), ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს (National Security Agency) და არმიას. კანონის მიღების პარალელურად შეიცვალა კანონი იმიგრაციის შესახებ, კანონი საბანკო ოპერაციების შესახებ, კანონი უცხოელთა ზედამხედველობის შესახებ.

პატრიოტის აქტმა სამართალდამცავ ორგანოებს ტელეფონზე საუბრის, შემწნეულ პირთა ელექტრონული ფოსტის გზავნილების, ბიბლიოთეკის კარტოთეკების, სამედიცინო, ფინანსური ოპერაციების და სხვა დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის უფლებები გაუზარდა; გაფართოვდა აგრეთვე ხაზინის მდივნის უფლებამოსილებები ფინანსური ოპერაციების რეგულირების საქმეში, მათ შორის უცხოელი იურიდიული და ფიზიკური პირის წარმოებულ ოპერაციებზე. სამართალდამცავი ორგანოებს და საიმიგრაციო სამსახურებს მიეცათ ტერორიზმში ან მასთან დაკავშირებულ ქმედებებში ეჭვმიტანილი პირების დაკავების და დეპორტაციის უფლება.

„პატრიოტის აქტის“ სამოქმედო მიმართულებებს წარმოადგენს:

- ტერორიზმის წინააღმდეგ შიდა უსაფრთხოების ზრდა;
- საზედამხედველო პროცედურების გაფართოება;
- საერთაშორისო ფულის გათეთრების შემცირება;
- საზღვრების დაცვა;
- ტერორიზმთან დაკავშირებული გამოძიების შემაფერხებელი ფაქტორების მოხსნა;
- ტერორიზმის მსხვერპლთა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ოფიცერთა და მათი ოჯახების დახმარება;
- ტერორიზმის საწინააღმდეგო სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამკაცრება.

ახალი კანონით შეიცვალა ტერორიზმის განმარტება და გაფართოვდა „ტერორიზმთან დაკავშირებული ფედერალური დანაშაულის“ ცნება, გაჩნდა ახალი, ადრე არარსებული „შიდა ტერორიზმის“ ცნება. ამ კატეგორიას მიეკუთვნება მთელი რიგი მძიმე ძალადობრივი დანაშაულებები, რომლებიც ადრე სხვა სახელწოდებით იყო ცნობილი (ხშირად ამერიკელი იურისტები მას „ფედერალური სისხლის სამართლის კოდექსს“ უწოდებენ).

„შიდა ტერორიზმი“ ახალი ნორმის მიხედვით ნიშნავს:

საქმიანობას, რომელიც:

- ითვალისწინებს ძალადობრივ ქმედებას ან ისეთ აქტებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს და არღვევს აშშ-ის ფედერალურ ან რომელიმე შტატის სისხლის სამართლის კანონს;
- ატარებს მიზანმიმართულ დანაშაულებრივ ხასიათს;
- ემსახურება მოქალაქეების დაშინებას ან ძალდატანებას;
- ემსახურება რომელიმე მთავრობის პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით წარმოებულ ძალდატანებას ან დაშინებას;

- თუ ემსახურება რომელიმე მთავრობის პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ჩადენილ მასიურ დაშინებას, სახელმწიფო მოღვაწის მკვლელობა ან მოტაცება

თავი „ტერორიზმთან დაკავშირებული გამოძიებების შემაფერხებელი ფაქტორების მოხსნა“ ძირითადად წარმოადგენს 1978 წელს მიღებული „უცხოელთა ზედამხედველობის აქტის“ სახეცვლილებას. იგი შიდა და გარე უსაფრთხოების სააგენტოებს წარმოებულ ოპერაციების კოორდინაციის უფლებას აძლევს. ახალი კანონით ფედერალური გამოძიების ბიურო უფლებამოსილი გახდა კერძო კომპანიებისგან (ინტერნეტით უზრუნველყოფის სააგენტოები) გამოითხოვოს ინფორმაცია ტერორიზმსა თუ ჯაშუშობაში შემჩნეული პირების პერსონალური მონაცემთა ბაზებიდან, რის უფლებასაც წინა კანონი არ იძლეოდა. „ტერორიზმის“ ტერმინის გაფართოების მიზნით, ახალ კანონში მოხდა ზოგიერთი ახალი ცნების განმარტება და ახლებური გაშიფვრა. მაგალითად „კომპიუტერთან დაკავშირებული თაღლითობა და სხვა ამგვარი ქმედებები“ შეიცვალა „კიბერტერორიზმის საფრთხის თავიდან აცილების შესახებ“, რომლის მიხედვით ცნება „კიბერტერორიზმი“ წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. ჰაკერული საქმიანობა, რომლის მიერ მიყენებული ზარალი მიაღწევს 5 ათას ამერიკულ დოლარს და მეტს (814-ე მუხლი) ითვალისწინებს მაღალი ოდენობის ჯარიმებს ან თავისუფლების აღკვეთას ხუთიდან 12 წლამდე. ანტიტერორისტული კანონის 216-ე მუხლი უფლებას აძლევს მოსამართლეებს გასცენ ორდერი ეჭვმიტანილი აბონენტების ტელეფონის ნომრების ამოცნობის მიზნით „აშშ-ის ნებისმიერ ტერიტორიაზე“, არამარტო სასამართლოს იურისდიქციის ტერიტორიის ფარგლებში, როგორც ეს წინა კანონით იყო განსაზღვრული. შინაარსიდან გამომდინარე, კანონის მოთხოვნების დიდი ნაწილი მძაფრი კრიტიკის ობიექტად იქცა. ექსპერტებისათვის განსაკუთრებით მიუღებელი აღმოჩნდა ინტერნეტისა და ელექტრონული ფოსტის ზედამხედველობის პრაქტიკულად შეუზღუდავი უფლებები. კანონის თანახმად, თუ ტელეფონით საუბარი მხოლოდ სპეციალური მინიშნების დაფიქსირების შემთხვევაში შეიძლება იქნეს მოსმენილი და ჩაწერილი, ელექტრონული ფოსტით სარგებლობისას, გზავნილი ბოლომდე უნდა გაიშიფროს. ექსპერტების აზრით, ეს შესაძლოა არამარტო დამნაშავეების საქმიანობის კონტროლის, არამედ ზოგადად ინფორმაციული ნაკადისა და მოქალაქეთა პირად ცხოვრებაზე ზედამხედველობის განხორციელების მექანიზმად იქცეს. პოლიტიკურმა ოპონენტებმა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა კანონის შემქმნელები სამართალდამცავ სამსახურებზე უსაზღვრო ძალაუფლების მინიჭებაში დაადანაშაულეს. მათი აზრით, მსგავსი კანონები შესაძლოა გამოყენებულ იქნას არამარტო ტერორიზმში ეჭვმიტანილთა, არამედ რიგითი მოქალაქეების წინააღმდეგადაც, ეს კი, თავის მხრივ, ადამიანის თავისუფლებისა და კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ხელყოფას წარმოადგენს.

9/11-ის შემდეგ თეთრი სახლის ადმინისტრაციის ყურადღება საშინაო პოლიტიკიდან რადიკალურად საგარეო პოლიტიკაზე გადაინაცვლა. 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში წარმოებულ კამპანიის დროს ძირითად ადგილს სწორედ საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხები იკავებს. თავისი პრეზიდენტობის პირველ წლებში ამერიკის შეერთებული შტატების მხოლოდ რამდენიმე პრეზიდენტი წააწყდა ისეთ დიდ გამოწვევებს, როგორც ჯორჯ ბუში უმცროსი. თუმცა ამ გამოწვევებზე პრეზიდენტის რეაგირებამ და ნაწილობრივმა გამარჯვებამ ამერიკელ ხალხში დიდი მხარდაჭერა ჰპოვა. ჯორჯ

ბუშის ადმინისტრაციის მიერ კონფლიქტის გადაჭრის ბევრმა ასპექტმა ავღანეთში, ერაყში და ფართომასშტაბიანმა კამპანიამ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ, ტრადიციულ ალიანსებს შორის ურთიერთობები დაძაბა და ხაზი გაუსვა ამერიკის შეერთებული შტატების უნიპოლარულ პოზიციას. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ნებისმიერი საკითხის ანალიზისას საჭიროა 11 სექტემბრამდე და მისი შემდგომი ვითარების პრაგმატული ანალიზი, რომ გამოაშკარავდეს ახალი მიმდინარეობები გლობალურ პოლიტიკაში და ნათელი მოეფინოს ამერიკის შეერთებული შტატების ახალ მიმართულებებსა და ინიციატივებს. რამდენიმე საბაზისო ამოცანა, რომელთა შესრულების აუცილებლობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ წარმოშვა, შესრულებულია. ავღანეთსა და ერაყში ჩატარებულმა ოპერაციებმა ნათლად წარმოაჩინეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალა, მოქნილობა და შესაძლებლობები, თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც ტერორიზმთან ბრძოლის საბაზით ზოგჯერ ზესახელმწიფოები ისეთი სასურველი მიზნების მიღწევას ახერხებენ, რომლებსაც სხვა შემთხვევაში ვერ განახორციელებდნენ.

მსოფლიოს მასშტაბებით მოწყობილი მრავალი შეთქმულება და გაუხმაურებელი, თუ ცნობილი სპეციალური აქციები, დივერსიები და სხვა ქმედებები, რომლებიც დაზვერვის ცენტრალურმა სააგენტომ განახორციელა, დიდი ავტორიტეტი და ძლიერება შესძინა თეთრ სახლს. აღნიშნული სპეციალური სამსახურის ისტორია, ქმედებები და პროფესიული გამოცდილება დიდ ყურადღებასა და გაანალიზებას საჭიროებს, რადგან მომავალში ნებისმიერი სახელმწიფო, ნებისმიერ დროს შეიძლება აღმოჩნდეს აღნიშნული ზესახელმწიფოს დაზვერვის სამსახურების ინტერესის სფეროში.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განსაკუთრებით აღნიშნა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში, რომ სპეცსამსახურების როლი სახელმწიფოს განვითარებაში მეტად დიდია. აშშ-ის მთავრობა მართლაც უზარმაზარ თანხებს ხარჯავს დაზვერვის და კონტრდაზვერვის პროდუქტიული მოდერნიზაციისთვის ხელის შესაწყობად. აშშ-ის სპეცსამსახურების ბიუჯეტს, თუ გადავხედავთ ვნახავთ, რომ ყოველ წელს მისი რაოდენობა იზრდება მილიარდობით წინა წლებთან შედარებით.

ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურების ბიუჯეტი არ არის ფიქსირებული და საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული პრიორიტეტული მიხედვით და საიდუმლო პროექტების შესასრულებლად დამატებითი თანხებიც გამოიყოფა.

სამხრეთ კავკასიის მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკის „საჭადრაკო დაფაზე“ ელვის სისწრაფით იზრდება. ამიტომაც ბუნებრივია სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურების ოპერატიულ-აგენტურული მუშაობის გააქტიურება ამ რეგიონში.

სამხრეთ კავკასია მრავალი უცხოური ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონს წარმოადგენს, რაც მათი სპეცსამსახურების ინტენსიურ საქმიანობაში გამოიხატება. პაექრობა ხშირად საზოგადოებისათვის ფარულად, მძიმე და დაუნდობელ ოპერატიულ დაპირისპირებაში მიმდინარეობს, გავიხსენოთ თუნდაც აშშ-ის დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს თანამშრომლის ფრედ ვუდროფის საიდუმლოებით მოცული მკვლელობა.

ვუდროფი თბილისში აშშ-ის საელჩოს თანამშრომლის საფარქვეშ ხელმძღვანელობდა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოპერაციებს საქართველოში. მისი მონიტორინგით იჭრებოდა სახელმწიფოს მეთაურის ელვარდ შევარდნაძის დაცვა და პირველი ქართული განსაკუთრებული დანიშნულების ქვედანაყოფი „OMEGA“. მისი მკვლელობა მოხდა იმ დროს, როცა ვუდროფი, შევარდნაძის დაცვის ხელმძღვანელთან, ელდარ გოგოლაძესთან და ორ

თანმხლებ პირთან ერთად ავტომანქანა ნივით თბილისში ბრუნდებოდა ქალაქგარე გასეირნებიდან. გამოძიების ვერსიით, ავტომანქანას გზა სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა, რამდენიმე ახალგაზრდამ გადაუღობა და გაჩერება მოსთხოვა. გოგოლაძე არ დაემორჩილა, რის შემდეგაც უცნობის მხრიდან მოხდა ერთი გასროლა. უკანა სკამზე მჯდომ ვუდროფს ტყვია თავში მოხვდა და საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. გოგოლაძე ინციდენტის ადგილას დაბრუნდა და დააკავა სამი არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პიროვნება, მათგან ანზორ შარმაიძე გამოძიებამ დამნაშავედ სცნო და 15 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

გამოძიების ვერსია თავიდანვე გახდა კამათის საგანი. 2004 წელს იყო მცდელობა საქმის გადახედვისა, თუმცა მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია. ინციდენტის ბევრმა მოწმემ ჩვენება შეცვალა, ზოგიერთი გაუჩინარდა. შარმაიძემ აღიარა, რომ გამოძიებისათვის ხელსაყრელი ჩვენება წამების შემდეგ მისცა. ფართოდ გაგრცელებულია ვერსია, რომ შესაძლოა ვუდროფი საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში მიმდინარე ჯაშუშურ ომს შეეწირა და საქმეში რუსეთის უშიშროების სამსახურები იყვნენ ჩარეულნი.

ამერიკულმა მხარემ გამოძიება დამოუკიდებლად ჩაატარა, თუმცა გამოძიების მასალების დიდი ნაწილი გასაიდუმლოებულია. ცნობილია, რომ გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე ვუდროფი თბილისში შეხვდა თავის ძველ მეგობარს, დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს მაღალი რანგის ოფიცერს ოლდრიჩ ეიმს, რომელიც მალე გაიშიფრა, როგორც რუსეთის აგენტი და აშშ-ის სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. ამერიკული გამოძიება თავიდანვე უარყოფდა შარმაიძის კავშირს ვუდროფის მკვლელობასთან. 2008 წლის ოქტომბერში შარმაიძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

უცხო ქვეყნების რეზიდენტებმა ჩვენს ქვეყანაში დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი დღეებიდანვე დაიწყეს სპეცაქციების განხორციელება, იხსნებოდა სხვადასხვა ქვეყნების საელჩოები, საკონსულოები, ფირმების სავაჭრო წარმომადგენლობები ანუ ლეგალური შპიონაჟის ე.წ. „საფარი“. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს ლეგენდალური შეფი ალენ დალესი აღნიშნავდა, რომ სპეცსამსახურის ჩავარდნა მხოლოდ ამ სამსახურის მოქმედებებისა და შესაძლებლობების მასშტაბებს გვიჩვენებს, ხოლო სერიოზული სპეცსამსახურები არასდროს ამხელენ წარმატებებსო.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდში სპეცსამსახურების ზოგადი ანალიზი მეტად რთულ სურათს გვიხატავს. იმ დროს როდესაც სხვადასხვა სახელმწიფოები სპეცსასწავლებლების სრულყოფისაკენ მიისწრაფიან და ანვითარებენ სპეციფიკურ სასწავლო პროგრამებს საქართველოში მხოლოდ პოლიციის აკადემიადა რჩება სადაც საეჭვოა ასე მოკლე სასწავლო პროგრამებით მისცენ კურსანტებს საერთაშორისო დონის სპეცგანათლება, გვრჩება მხოლოდ ერთი რამ, ისევ უცხოეთიდან მოწვეულ ინსტრუქტორებს დავეყრდნოთ.

გადავხედოთ აშშ-ის სპეცსამსახურების სასწავლო დაწესებულებებს და მივხვდებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის, მითუმეტეს ჩვენს მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოსთვის პროფესიონალი კადრების აღმზრდელი დაზვერვის აკადემია.

აშშ-ში სპეცსამსახურების თანამშრომელთა მომზადების ცენტრებია, ერთ-ერთი ზემოთ აღნიშნული დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს კემპ-პირის დაზვერვის სკოლა (კოდური სახელწოდება „ფერმა“), სადაც მომავალი მზვერავეები სპეციალურ მომზადებას გადიან. ამავე შტატში კუანტიკოს სამხედრო ბაზაზე განლაგებულია გამოძიების ფედერალური ბიუროს აკადემია, სადაც კონტრ დაზვერვის აგენტების

მომზადება ხდება. ამერიკის შეიარაღებული ძალები – არმია, ფლოტი და ავიაცია, მზვერავებს ამზადებენ საკუთარ სასწავლო ცენტრებში, რომლებიც სხვადასხვა სამხედრო ბაზებზეა მოთავსებული. ამერიკის ყველაზე გასაიდუმლოებული სპეცსამსახურის, ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს სასწავლო ცენტრის ადგილმდებარეობა ჯერჯერობით კვლავ მკაცრად არის გასაიდუმლოებული.

საქართველოს უშიშროების აკადემია, მისი არსებობის დროს არ აკმაყოფილებდა შიდა უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებს. 2003 წელს საქართველოს უშიშროების აკადემიის შენობაში გაიხსნა ფასიანი სწავლების ჯგუფები „სამართალმცოდნეობის“ სპეციალობით, სადაც წელიწადში 600 დოლარის საფასურად უნდა მიეღოთ მსურველები, სასწავლო პროცესი 5 წელი გრძელდებოდა. ჩვენი აზრით მიუღებელია ერთ სასწავლო კორპუსში საერთო სარეჟიმო პირობებში სპეცშემოწმება გავლილი პირების და ფასიანი სექტორის სტუდენტების განთავსება. სპეცშემოწმება გავლილი კურსანტები მომავალი: დაზვერვის, კონტრდაზვერვის, დადგენის, გარემეთვალყურეობის, ოპერატიულ-ტექნიკური სამსახურების თანამშრომლები არიან, რომელთა ვინაობა და გარეგნობა საიდუმლოდ უნდა დარჩეს! ვინ იქნებოდა პასუხისმგებელი, თუ ამ ფასიან ჯგუფებში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების აგენტურის ჯერ შეღწევა და შემდეგ მათ მიერ მომავალი თანამშრომლების ანკეტური მონაცემების და გარეგნული ნიშნების დადგენა და შემდგომში ფარული შემადგენლობის გაშიფრვა მოხდებოდა?! ამ მონაცემებითაც კი არ არის ძნელი ობიექტურად შეფასდეს ქართული სპეცსამსახურებისათვის კადრების მომზადების საქმეში არსებული კრიტიკული მდგომარეობა.

აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ძალოვანი სტრუქტურები აშშ-ის გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან. FBI-იმ საქართველოში წარმომადგენლობა 2005 წელს გახსნა. მანამდე სამხრეთ კავკასიის რეგიონს თურქეთისა და უკრაინის ოფისები ფარავდნენ. საქართველოში ბიუროს ოფისის გახსნის მიზეზი წარმომადგენლობის მაშინდელმა იურიდიულმა ატაშემ ბრაიან პაარმენტმა ასე ახსნა: „საქართველო ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დემოკრატიის აკვანია და ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე საიმედო მოკავშირეა ტერორიზმთან გლობალურ ომში. საქართველოს ასევე აქვს გეოგრაფიულად სტრატეგიული მნიშვნელობა, განსაკუთრებით ტრანსნაციონალური დანაშაულის ევრაზიულ ქსელთან ბრძოლის თვალსაზრისით“.

საქართველო მრავალი წელია აქტიურად არის ჩაბმული საზღვარგარეთ მიმდინარე სამშვიდობო სამხედრო ოპერაციებში და აგრეთვე მონაწილეობას ღებულობს ანტიტერორისტულ აქციებში. აღნიშნული ჩვენის აზრით დიდ საფრთხეს უქმნის ისეთ დაუცველ სახელმწიფოს როგორც საქართველოა. მუსლიმური სამყაროს მიერ საქართველოს ასეთი აქტიურობა შეიძლება მათ წინააღმდეგ მიმართულ აგრესიადაც კი იქნეს აღქმული. მაშინ როდესაც ტერორისტული ორგანიზაციები ტერაქტებს აწყობენ განვითარებული სახელმწიფოების დედაქალაქებში მათთვის დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს საქართველოს, რომელიმე მხარეში გამაფრთხილებელი ტერაქტის მოწყობა, რაც კიდევ უფრო დააზარალებს ჩვენს ქვეყანას.

ეროვნული უშიშროების საბჭო მსოფლიოს თითქმის ყველა, გამოკვეთილად საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყანაშია შექმნილი და პრეზიდენტის უმთავრესი სათათბირო ორგანოა. კრიზისული სიტუაციების დროს ეს სტრუქტურა განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობს და პრეზიდენტს მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად ოპტიმალურ მოქმედებათა წინასწარ გათვლილ ვარიანტებს სთავაზობს. ეროვნული უშიშროების საბჭო პრეზიდენტისათვის ამზადებს

რეკომენდაციებს საგარეო და საშინაო პოლიტიკის, აგრეთვე უშიშროებისა და თავდაცვის საკითხებში. ამავე დროს კოორდინაციას უწევს სპეცსამსახურების საქმიანობას და მათი პროდუქციის ძირითადი მომხმარებელია.

ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობა, როგორც წესი ძალზე შეზღუდული უნდა იყოს. აშშ-ის ეუს-ოს მუდმივი წევრები არიან მხოლოდ: პრეზიდენტი, (ეუს-ოს თავჯდომარე), ვიცე-პრეზიდენტი, სახელმწიფო მდივანი, თავდაცვის მინისტრი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში (საბჭოს მდივანი). თვით აშშ-ის სპეცსამსახურების მთავარ კოორდინატორს, ცენტრალური დაზვერვის დირექტორს (იმავედროულად ცსს-ოს დირექტორი) მხოლოდ მრჩეველის სტატუსი აქვს და მარტო სპეციალური მიწვევის შემდეგ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ეუს-ოს სხდომებზე.

ეუს-ოს ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს აპარატი, რომელსაც ხელმძღვანელობს პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში. ბოლო წლებში ამერიკის ეუს-ოს აპარატი 190 (მუდმივი, დროებითი და მოწვეული) თანამშრომლისგან შედგებოდა, რომლებიც 11 ფუნქციონალურ და რეგიონალურ სექტორში მუშაობდნენ. 60-დე თანამშრომელი ანალიტიკურ სამუშაოს ასრულებდა, ხოლო დანარჩენი დამხმარე პერსონალი იყო (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ში ამ კატეგორიის პერსონალის სტატუსი და ფუნქცია-მოვალეობანი საკმაოდ მაღალია).

აშშ-ის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ძალზე ეფექტურია მცირე, სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული დროებითი სამუშაო ჯგუფებისა და უწყებათაშორისი კომისიების საქმიანობა.

საქართველოში ეუს-ოს შექმნის ისტორია ასეთია. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობიდან წელიწადნახევრის შემდეგ, 1993 წლის 2 ივლისს მიღებული კანონით შეიქმნა ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო. საქართველოს ეუს-ოს შემდგომი ძლიერებისათვის გადამწყვეტი იყო მისი უფლებამოვალეობების მკაფიოდ განსაზღვრა, რაც 1996 წლის 24 იანვარს მიღებულ „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ კანონში „გეგმის გადაჭარბებით“ შესრულდა. ამ კანონის მიღების შემდეგ ქვეყანას მოეწვინა ახალი სახელმწიფო სტრუქტურა, რომელსაც შეეძლო უხილავი ძაფებით ემართა პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური პროცესები. ეს შედარება, გადაჭარბებულად, რომ არ მოგვეჩვენოს, მოკლედ ჩამოვთვლით ეუს-თვის მინიჭებულ ფუნქციებს:

ეროვნული უშიშროების კონცეფციის შემუშავება; თავდაცვის და უშიშროების საშინაო და საგარეო საკითხების განხილვა და პრეზიდენტისთვის რეკომენდაციების მომზადება; სამხედრო ძალების რაოდენობის, მზადყოფნის და სამხედრო კადრების განაწილების განხილვა; სამხედრო მრეწველობის ფუნქციონირებისა და პერსპექტივების შეფასება; სამხედრო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინაცია; თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების საკითხებზე კანონებისა და ნორმატიული აქტების პროექტირების შემუშავება; საქართველოს ყველა სამინისტროსა და უწყების უშიშროებისა და თავდაცვის სფეროში საქმიანობის კონტროლი; საგარეო და საშინაო საფრთხეების გამოვლენა, პროგნოზირება და ნეიტრალიზაციის ღონისძიებების შემუშავება. ბუნებრივია აღნიშნულ პოსტს პრეზიდენტი ჩააბარებდა იმ პიროვნებას ვისაც უპირობოდ ენდობოდა. 1996 წელს საქართველოს ეუს-ოს მდივნად და პრეზიდენტის თანაშემწედ ეროვნული უშიშროების საკითხებში აწ გარდაცვლილი ნუგზარ საჯაია დაინიშნა. იგი 1972 წლიდან მოყოლებული შევარდნაძის ერთ-ერთი ყველაზე ერთგულ კადრად

ითვლებოდა. ნუგზარ საჯაიამ მოკლე დროში შეძლო ახლადშექმნილი სტრუქტურისათვის ისეთი იმპულსების მიცემა, იმგვარი ღია და ფარული ადმინისტრაციული ბერკეტების თავის ხელში მოქცევა და საჭირო მომენტში ამოქმედება, რაც სხვებისათვის წარმოუდგენელ სირთულეს წარმოადგენდა.

2002 წ. ბატონი ნუგზარ საჯაიას გარდაცვალების დღიდან დაიწყო ეუს-ოს სტრუქტურაში ცვლილებები. მუშაობის სტილი და ძირითადი პრიორიტეტები შეიცვალა. დაიკარგა სამართალდამცავი და ძალოვანი უწყებების მუშაობის თუნდაც ფორმალური კოორდინაციის მოთხოვნილება, რაც მთელ მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა. ეუს-ოს აპარატი უკვე აღარ იყო ის ავტორიტეტული ორგანო, რომელსაც საკადრო პოლიტიკა მიჰყავდა და მის რეკომენდაციებს წონა ჰქონდა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ XXI-ე საუკუნის დასაწყისს საქართველო, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ ურთულეს გეოპოლიტიკურ რეგიონში მდებარეობს, პოლიციის უზარმაზარი კადრებით და მსოფლიოში, ალბათ ყველაზე სუსტი ჯარითა და სპეცსამსახურებით შეხვდა.

ვფიქრობ პრეზიდენტის უფლებამოსილების შესახებ 2013 წლის 21 მარტის საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ ეუს-ომ ფუნქცია დაკარგა, თუმცა აღნიშნული სტრუქტურა არც მანამდე გამოირჩეოდა პროგნოზირებისა და პრევენციის დიდი შესაძლებლობებით, რაც სამწუხაროდ დაამტკიცა 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკულმა მოვლენებმა. ჩემი აზრით ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით აუცილებელია ეროვნული უშიშროების საბჭოს ნაცვლად, შეიქმნას „სპეციალური გაერთიანებული კომიტეტი“. სახელმწიფომ უნდა ჩამოაყალიბოს 21-ე საუკუნის გამოწვევების და საფრთხეების წინააღმდეგ ეფექტურად მებრძოლი, მუდმივი მზადყოფნის რეჟიმში მოქმედი პროგნოზირების და პრევენციული ღონისძიებების ეფექტურად გამტარებელი სტრუქტურა, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების ფარი იქნება. ვფიქრობ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო ფაქტიურად უფუნქციო და სუსტი რგოლია, მან ამოწურა თავისი რესურსი და მართლაც მხოლოდ ფორმალური სტატუსითაა შემოიფარგლება. „სპეციალური გაერთიანებული კომიტეტი“ საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში უნდა შევიდეს. „სპეციალური გაერთიანებული კომიტეტი“ კოორდინირებას გაუწევს ძალოვანი სტრუქტურების და სხვა და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის სამინისტროების საქმიანობას (განუსაზღვრავს ქვეყნისათვის პრიორიტეტულ საკითხებს). „სპეციალური გაერთიანებული კომიტეტი“ მთავრობის მეთაურისთვის პრიორიტეტული და ეფექტური კონტროლის რგოლი იქნება, რომელიც პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული. „სპეციალური გაერთიანებული კომიტეტს“ უხელმძღვანელებს დირექტორი, იგივე პრემიერის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოებისა და გლობალური პოლიტიკის საკითხებში.

სპეციალური კომიტეტის აპარატში შევა შეფასებების 5 სამმართველო და ადმინისტრაცია. შეფასებების სამმართველოები დაკომპლექტდება კვალიფიციური ანალიტიკოსებით, რომლებიც კვლევენ ჩაატარებენ სპეციალური კომიტეტის მიერ დასმულ კონკრეტულ და ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სფეროსა და საკითხებზე. განსაკუთრებულ შემთხვევებში სპეციალური გაერთიანებული კომიტეტი შექმნის საგანგებო შტაბს, რომელშიც სპეციფიკიდან გამომდინარე შევლენ საქართველოს ძალოვანი მინისტრები და სპეცსამსახურების დირექტორები,

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და პრემიერის მრჩეველები საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში.

„სპეციალური გაერთიანებული კომიტეტის“ ფუნქციებია:

- პრემიერის და მინისტრთა კაბინეტის კონსულტირება დაზვერვის, თავდაცვის, გლობალური ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და მათ ფონზე ეროვნული პრიორიტეტების ჩამოყალიბების სფეროში
- სპეცსამსახურებს შორის სტრატეგიული ინფორმაციის დროულად გაცვლის და პროდუქტიული თანამშრომლობის კოორდინირება
- სახელმწიფო აპარატისა და ქვეყნის სასიცოცხლო რგოლებთან დაკავშირებული პირების კომპლექსური შემოწმება
- პრემიერისთვის ყოველდღიური ანალიტიკური მოხსენებების წარდგენა ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე, შეფასებების და რეკომენდაციების დართვით

სპეციალური გაერთიანებული კომიტეტის ძირითადი პრიორიტეტები იქნება:

- საქართველოს სუვერენიტეტის, სახელმწიფოებრიობის, ტერიტორიების, მოქალაქეების, ეროვნული საკუთრების და ფასეულობების დაცვის ეფექტური მექანიზმების შემუშავება და კოორდინირება, ტერორიზმის, შპიონაჟის, ორგანიზებული დანაშაულებრივი სინდიკატებისა და სხვა გლობალური საფრთხეებისაგან სახელმწიფოს დაცვის მიზნით
- საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის მხარდაჭერა და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებების აღკვეთის მიზნით პრევენციული ეფექტური ღონისძიებების გატარება
- უცხოეთის სპეცსამსახურებთან ოპერატიული და კოორდინირებული თანამშრომლობის წარმოება

„სპეციალური გაერთიანებული კომიტეტი“ უნდა შედგებოდეს შემდეგი ანალიტიკური სამმართველოებისგან:

1. საშინაო პოლიტიკის შეფასებების სამმართველო
2. საგარეო პოლიტიკის შეფასებების სამმართველო
3. ეროვნული უსაფრთხოების საკითხთა სამმართველო
4. თავდაცვის საკითხთა სამმართველო
5. განსაკუთრებული საკითხების მართვის სამმართველო

6. ადმინისტრაცია

კომიტეტის საქმიანობას წარმართავს დირექტორი და მისი სამი მოადგილე:

- პირველი მოადგილე კურატორობას გაუწევს: საგარეო პოლიტიკის და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს
- მეორე მოადგილე კურატორობას გაუწევს: თავდაცვის საკითხებს და განსაკუთრებული საკითხების მართვის სამმართველოს
- მესამე მოადგილე კურატორობას გაუწევს: საშინაო პოლიტიკის შეფასებების სამმართველოს და ადმინისტრაციას

72 კაცისგან დაკომპლექტებული კომიტეტიდან 8 თანამშრომელი მივლინებული იქნება რამდენიმე უწყებაში და ადგილზე გააანალიზებს არსებულ ვითარებას და უფრო ხარისხიანად და კოორდინირებულად წარმართავს უწყებასა და კომიტეტს შორის თანამშრომლობას, რაც შემდგომში უფრო ეფექტურ შედეგს მოუტონს ქვეყნის უსაფრთხოებას. ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის ამ მნიშვნელოვანი სტრუქტურის შენახვა შესაძლებელია წელიწადში 5 მილიონ ლარად, თუმცა მეტი თანხების გამოყოფის და აღნიშნული თანხების სწორი მიმართულებით გამოყენების შემთხვევაში სტრუქტურის ეფექტურობის მაჩვენებელი უფრო მაღალი იქნება.

აღნიშნული სტრუქტურის ჩამოყალიბების აუცილებლობას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს:

1. დასავლური სტილის ეფექტური მოდელი, რომელიც მორგებულია ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტებზე და რეალობაზე.
2. ქვეყანაში ეფექტური მართვის დემოკრატიული ბერკეტი და ქვეყნის გარეთ არსებული სიტუაციის ადეკვატურად აღქმის ეფექტური საშუალება
3. საქმიანობის მაქსიმალური პროდუქტიულობა ნაკლები ფინანსური დანახარჯის მიუხედავად. ფინანსური ეკონომია

მსურს გავიხსენო ცნობილი ამერიკელი დიპლომატის, აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის, ჰენრი კისინჯერის ერთ-ერთი გამონათქვამია „თუ მსოფლიოს მართლაც სურს მშვიდობა, მან უნდა მიიღოს ამერიკის ყველა წინადადება და განუხრელად იხელმძღვანელოს საერთაშორისო სამართლისა და დიპლომატიის მხოლოდ ამერიკული პოსტულატებით“. მსგავსი ერთმნიშვნელოვანი მიდგომა, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო დაძაბავს არსებულ წინააღმდეგობებს და დისკომფორტს შეუქმნის მსოფლიოში ფორმირებულ ძალთა ბალანსს. მსგავსი მიდგომის შედეგად, დაძაბულობის საბოლოო გადაწყვეტის ნებისმიერი კონცეფცია მხოლოდ თეორიული მსჯელობის საგანი გახდება. რამ მისცა ბიძგი კისინჯერის აღნიშნული თეზისის დამკვიდრებას?! ქვეყნის პოტენციალმა, სამხედრო ძლიერებამ და ეფექტური სპეცსამსახურების თანამეგობრობის არსებობამ. ჩვენ შეგვიძლია ამერიკის უსაფრთხოების სისტემის გამოცდილებით და აღნიშნულ სფეროში არსებული პოსტულატებით ვიხელმძღვანელოთ.

ამერიკის პოლიტიკის სპეციფიკურმა თავისებებებურებმა, რომლებიც ისტორიული განვითარების მანძილზეა შექმნილი, წარმოშვა ამერიკის საგარეო პოლიტიკის ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მიდგომა. პირველი კონცეფციის მიხედვით, ამერიკა

საუკეთესო სახით ამყარებს და ავითარებს საკუთარ ეროვნულ ფასეულობებს ქვეყნის შიგნით, სრულყოფილ სახეს აძლევს დემოკრატიულ ფასეულობებს ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აშშ დამოიკიდებლობისა და დემოკრატიის შექმნის როლს ასრულებს მთელი მსოფლიოსათვის. მეორე კონცეფციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ს დაეკისრა ვალდებულება, რომლის მიხედვითაც მან უნდა იბრძოლოს არსებული ფასეულობების განვითარებისა და გაღრმავების მიზნით მსოფლიო მასშტაბით. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ორივე მოსაზრების მიხედვით, ამერიკას უკავია წამყვანი პოზიცია: პირველი, ამერიკა გვევლინება, როგორც თავისუფლების შექმნა, ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც მებრძოლი-ჯვაროსანი, რომელიც იხელმძღვანელებს გლობალური სართაშორისო წესრიგით, რომელიც დაემყარება დემაკრატიას, თავისუფალ ვაჭრობასა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში, ფაქტობრივად, შეერთებული შტატები განაგებდა მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ მოვლენებს. დიდ ბრძოლაში გამარჯვებამ და დამანგრეველი ომიდან ქვეყნის უვნებლად გამოსვლამ გაუძლიერა ერს რწმენა თავისი განსაკუთრებული მისიის შესახებ საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. შეერთებული შტატების ლიდერებს დემოკრატიული სტრუქტურის შენარჩუნება, რომელსაც უზარმაზარი ძალისხმევის ფასად იცავდნენ და ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა მეტ ხალხს ესარგებლა კეთილდღეობის შედეგებით. მათთვის ეს პერიოდი იყო „ამერიკის საუკუნე“.

საგარეო დაზვერვის სტრატეგია

აშშ-ს მიერ მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე მოპოვებული პრესტიჟი და მისი აქტიური როლი თანამედროვე დინამიურ მსოფლიოში მეტად ართულებს და უდიდეს მისიას აკისრებს ამ ქვეყნის სპეცსამსახურებს. აშშ-ს პოლიტიკურ დომინანტობას და მის საგარეო კურსს უამრავი რადიკალურად განწყობილი სახელმწიფო უპირისპირდება.

XXI საუკუნეში ტექნოლოგიური ნოვაციების ეპოქაში აშშ-ს სპეცსამსახურებს უფრო მეტი პროფესიონალიზმის გამოვლენა მართებთ, რომ აღკვეთონ მტრულად განწყობილი სახელმწიფოების მიერ აშშ-ს სახელმწიფო სტრუქტურებში გავლენის აგენტების დამკვიდრება და შპიონაჟის კიდევ უამრავი თვისობრივი ქმედებანი. საუკუნეები გავიდა, მაგრამ სპეცსამსახურების მიზნები და ამოცანები არ შეცვლილა. შეიცვალა მხოლოდ მათი განხორციელების მატერიალური საშუალებები და ხერხები. ხოლო მეთოდები და მათი სპეციფიკა უფრო დახვეწილი და დაუნდობელი გახდა. სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა უფრო მობილური და შედეგიანი გახადა სპეცსამსახურების საქმიანობა და ამჟამად მსტოვართა ადამიანურ რესურსს ხშირად კოსმოსური თანამგზავრი-მზვერავები ცვლიან. „სუსტი სპეცსამსახურები = სუსტ სახელმწიფოს.“

აშშ-ს ყველა სახელმწიფო სტრუქტურა მეტად თავისებურად არის ორგანიზებული. ამ ქვეყნის შექმნის და განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური სამინისტროები და უწყებები აშშ-ს ტერიტორიული სიდიდის, გეოგრაფიული მდებარეობის და შიდა პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით იქმნებოდა.

საგარეო დაზვერვის მისია გაცილებით რთული და დიდი რისკის მატარებელია, ვიდრე კონტრდაზვერვის მისია და ფუნქციები, რამეთუ კონტრდაზვერვის სპეცსამსახურები ქვეყნის ინტერესებს და მის უსაფრთხოებას იცავენ თავიანთი სახელმწიფოს შიგნით, საკუთარ ტერიტორიაზე და ამის გამო მათ ქმედებებს უფრო მეტი სტიმული და გამბედაობა ახასიათებთ. ყოველივე აღნიშნული გამოწვეულია, აგრეთვე, ერთგვარი ფსიქოლოგიური მომენტი, ანუ პატრიოტული გრძნობების გამძაფრებითაც, მაშინ, როდესაც საგარეო დაზვერვის არალეგალური თანამშრომელი ანუ ჯაშუში მუდმივი გამოაშკარავების რისკის ქვეშ იმყოფება და მუდმივი სტრესული სიტუაციებია თანმდევი თავისი დაზვერვითი ხასიათის მქონე აქციების შესრულებისას. უცხო ქვეყანაში დიპლომატიის სტატუსით დაცული და თბილ კაბინეტში მოკალათებული მზვერავის რისკი ახლოსაც ვერ მივა არალეგალი აგენტის ყოველდღიურ სტრესთან და მრავალწლიან, სხვის გვარს ამოფარებულ ფარულ ლეგენდებზე აგებულ ცხოვრებასთან.

არალეგალური დაზვერვა ურთულესი პროცესია. ის მოითხოვს ყველა წვრილმანის შესწავლას და გათვალისწინებას. „არალეგალები“ მრავალწლიანი ფარული აგენტური მუშაობის დაწყების წინ სპეციალურ მომზადებას გადიოდნენ. მომზადების პერიოდის ხანგძლივობა ინდივიდუალურად განისაზღვრებოდა „რეკრუტის“ (ახალბედა) პიროვნული თვისებების: თავისი ნიჭის, განათლების დონის და სპეციფიკური ინფორმაციის აღქმის უნარის მიხედვით. პირველ ეტაპზე დაწვრილებით ისწავლება იმ ქვეყნის ისტორია, კულტურა, არქიტექტურა და წეს-ჩვეულებები, სადაც ფარულად უნდა ეცხოვრათ. მეორე ეტაპზე უკვე ოპერატიული ტექნიკის გამოყენებას

ასწავლიდნენ. „არაღვებების“ მთავარი ამოცანა არის: აგენტების გადაბირება, საიდუმლო დოკუმენტაციის ხელში ჩაგდება, თავისი ქვეყნის აგენტებს შორის ოპერატიული კავშირის უზრუნველყოფა, დივერსიების მომზადება და ჩატარება.

დასამალი არ არის, რომ ყველა ქვეყნის სპეცსამსახურს უხდება „ბინძური“ და „სისხლიანი“ სპეცაქციების (დივერსიული აქტი, ოპერატიული დაინტერესების ობიექტის დროებით მწყობრიდან გამოყვანა...) ჩატარება. ამ ამოცანების რეალობაში განსახორციელებლად აღნიშნულ სტრუქტურებში შექმნილია სპეციალური დანაყოფები, რომლებიც ჩვეულებრივ რაიმე ნეიტრალურ სახელს არიან ამოფარებულნი, რადგანაც სპეცოპერაციების მომზადება და ჩატარება მაქსიმალურად ფარულად უწევთ. აშშ-ს დაზვერვის ცენტრალური სამმართველო არაერთგზის იღებდა მონაწილეობას სახელმწიფოს გარეთ საიდუმლო ოპერაციებში: აუგუსტო პინოჩეტის მიერ განხორციელებული გადატრიალების მხარდაჭერა ჩილეში; კუბელი ლიდერის, ფიდელ კასტროს მკვლელობის მცდელობა, იარაღის მიწოდება იმ ძალებისათვის, რომლებიც სალვადორში იბრძოდნენ კანონიერად არჩეული მთავრობის წინააღმდეგ. აღნიშნული ქმედებები სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში ინტერვენციას ნიშნავს, რაც თითქოს აშშ-ს მიერ ნაქადაგები ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებისთვის სრულიად მიუღებელია.

სპეც-ოპერაციების დელიკატურობიდან გამომდინარე შესრულების იარაღიც განსაკუთრებული და უჩვეულო უნდა იყოს. ამიტომ სპეციალურად, რომელიმე კონკრეტული ოპერაციის შესასრულებლად სპეცსამსახურების საიდუმლო ლაბორატორიებში მზადდებოდა იარაღი, რომლის გარეგნული სახე და ტექნიკური მახასიათებლები ძალზედ განსხვავდებოდა ჩვეულებრივისაგან. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საინტერესო ფაქტი: მეორე მსოფლიო ომი მთავრდებოდა, გერმანია დამარცხებისთვის იყო განწირული. მესამე რაიხის ხელმძღვანელები ეძებდნენ გამოსავალს ამ რთული სიტუაციიდან. დიპლომატიისა და საგარეო დაზვერვის დიდი მცდელობის მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს „დიდი სამეულის“ ყველაზე საშიში წევრის სტალინის ფიზიკური ლიკვიდაცია. კონკრეტული მოქმედების გეგმა განსაზღვრა გერმანელი გამომგონებლების მიერ შექმნილმა ახალმა ცეცხლსასროლმა იარაღმა (ავტოკალამმა), რომელიც 6-8 მეტრიდან სასიკვდილოდ აზიანებდა მიზანს.

რიბენტროპმა თავისი იდეა ჰიტლერს, ჰიმლერს და ბორმანს გაუზიარა. ტერაქტის უშუალო შემსრულებლად გერმანიის საგარეო დაზვერვის უფროსი ვალტერ შელენბერგი დასახელდა. გერმანიის მხარეს უნდა მიედწია და სტალინი უმაღლესი დონის ორმხრივ ფარულ მოლაპარაკებებზე უნდა შეეტყუებინა, იქ კი შელენბერგი „ავტოკალამს“ გამოიყენებდა. აღნიშნულ გეგმას ჩასახვისთანავე ჩავარდნა ეწერა. ამ გეგმის აბსურდულობა იმაში მდგომარეობდა, რომ ისედაც ეჭვიანი სტალინი არაფრის დიდებით არ დაჯდებოდა მოლაპარაკების მაგიდასთან დამარცხებისათვის უკვე განწირულ მტერთან.

ძნელად წარმოსადგენია ის საიდუმლო არსენალი, რომელსაც XXI საუკუნის პროგრესული სახელმწიფოების სპეცსამსახურები ფლობდნენ და იყენებდნენ თავიანთი მიზნების განსახორციელებლად. თუ XX საუკუნის 40-იან წლებში საიდუმლო ტექნიკურ ლაბორატორიებს შეეძლოთ ასეთი სპეცტექნიკის და მექანიზმების შექმნა თანამედროვე ნოვატორულ ეპოქაში უნივერსალურ დონეზე იქნება აყვანილი და განვითარებული აღნიშნული სფეროს ტექნოლოგიური მხარე. ამ

არსენალში შედის მაგალითად, ფოტოაპარატსა და ვიდეოკამერაში ჩამონტაჟებული პისტოლეტის სისტემა, პისტოლეტი კალამი, რომელზეც ზევით უკვე გვქონდა საუბარი, ქოლგის წვერში ჩამონტაჟებული კაფსულა, ბიოლოგიური ნივთიერების შიგთავსით და კიდევ უამრავი ნივთი, რომლებიც სპეციალისტების ხელში სპეციარად იქცევა.

აშშ-ს დაზვერვის ცენტრალური სამმართველო საიდუმლო ინფორმაციას მოიპოვებს და აანალიზებს პარტნიორი ქვეყნების ტერიტორიაზე. ეს ერთგვარი კანონზომიერებაც გახლავთ, რამეთუ აშშ-ს მზვერავს ინფორმაციის მოპოვება, რა თქმა უნდა, უფრო უადვილდება პარტნიორი, ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში, ვიდრე მასთან დაპირისპირებულ და მტრულად განწყობილ ირანის მუსლიმური სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც ირანის უშიშროების სამსახური - „სავაკი“ უცხოელებს მუდმივ კონტროლს უწევს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, ვაღიაროთ, რომ აშშ-ს დაზვერვის ცენტრალური სამმართველო სპეცაქციებს ატარებს დედამიწის თითქმის ყველა წერტილში. თავისი სტრუქტურაც (განყოფილებები) სწორედ გეოგრაფიული ნიშნით არის აგებული და დაყოფილი. ამერიკის ჯაშუშები საიდუმლო ინფორმაციის მოსაპოვებლად აქტიურად მოღვაწეობენ აზიასა და აფრიკაში, ავსტრალიასა და ლათინურ ამერიკაში, ახლო და შორეულ აღმოსავლეთში და რაც მეტად საინტერესოა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზეც, ანუ, როგორც აღვნიშნეთ, ევროპის ქვეყნებშიც. აშშ-ს დაზვერვის აგენტები დღითი-დღე უფრო მტკიცედ მკვიდრდებიან სხვადასხვა კონტინენტზე და ამრავლებენ თავიანთ აგენტურ ქსელს. მათი პრიორიტეტული მხარე გავლენის აგენტების გადმოზიდვა გახლავთ, რაც უმაღლეს მიღწევადე მიიჩნევა არალეგალურ მზვერავთა წრეში.

ხშირად ხდებოდა ხოლმე – რომ თვით აშშ-ს დაზვერვის სპეცსამსახურებში მკვიდრდებოდნენ უცხო ქვეყნის ჯაშუშები. ეს განსაკუთრებით „ცივი ომის“, აშშ-სა და საბჭოთა რუსეთის დაპირისპირების ეპოქაში იყო დამახასიათებელი, რაზეც ისტორიული ფაქტებიც მეტყველებს, ამისათვის საკმარისია მაგალითად მოვიყვანოთ კემბრინჯის ხუთეული. მათ აშშ-სა და მის პარტნიორ სხვადასხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეკავათ, თუმცა ასეთ შემთხვევები დამახასიათებელი რუსეთის სპეცსამსახურებისთვისაც იყო. საკმარისია აღვნიშნულის ფაქტად მოვიყვანოთ ვიქტორ სუვოროვის, თავდაცვის გენერალური შტაბის დაზვერვის მთავარი სამმართველოს მაიორის, გაქცევა დასავლეთში. ერთი ქვეყნის სპეცსამსახურის თანამშრომლის უცხო ქვეყნის მხარეზე გადასვლა და სახელმწიფო დალატი, რაც ბევრ ქვეყანაში მკაცრად ისჯება, მრავალი მიზეზით არის გამოწვეული, ესენია: პროტესტის გრძნობა სახელმწიფოს ან კონკრეტულად სტრუქტურაში მმართველი წრეების მიმართ; რელიგიური ან სხვა საწინააღმდეგო შეხედულებებიდან გამომდინარე, ასევე შესაძლებელია ფინანსური (ანგარება) დაინტერესების ქონა, ან სხვა სახელმწიფოს წყობის მიმართ სიმპატიების ქონა, რაც ბევრი ფაქტორით შეიძლება იყოს გამოწვეული, კერძოდ, უცხოეთში განათლების მიღება, ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე (მეუღლე, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, ან უცხოელი მშობლები...).

აშშ-ს დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს ოფიციალური საიტი იუწყება, რომ მხოლოდ 1995-2002 წლებში, საიდუმლო ინფორმაციის გავრცელების გამო, აღიძრა რამდენიმე ასეული სისხლის სამართლის საქმე, სახელმწიფოს დალატის მუხლით. აღნიშნული საქმეები გადავიდა იუსტიციის სამინისტროს ხელში, რომ

გატარებულიყო კონტრაზვერვითი პრევენციული აქციები, რომლებიც მომავალში მათ ქვეყანას თავიდან ააცილებდა არასასიამოვნო ფაქტებს, ხოლო ინფორმაციის გამავრცელებელი, რომელმაც დიდი ზიანი და ზარალი მიაყენა სახელმწიფოს, სათანადოდ დაისჯებოდა და ეს იქნებოდა გაფრთხილება სხვა დანარჩენებისათვის. ამჟამად, აშშ-ს დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოს ასეულობით რეზიდენტურა აქვს განლაგებული სხვადასხვა ქვეყანაში. აღნიშნულ რეზიდენტურებში მოქმედებენ, როგორც ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს, ანუ ტექნიკური დაზვერვის აგენტები, ასევე სხვა მრავალი აშშ-ს გასაიდუმლოებული სპეცსამსახურის ჯაშუშები, რომელთაც კონკრეტული დავალება აქვთ განსაზღვრული. რეზიდენტურების შემადგენლობაში მყოფ ჯაშუშებზე კონტროლს ახორციელებს დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს უცხოეთის რეზიდენტურის უფროსი რეზიდენტი, რომელიც ერთგვარ ობობის ქსელის მაგვარ აგენტურ კავშირებს ამყარებს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. ყოველივე ეს გახლავთ მხოლოდ მცირედი ნაწილი იმ დიდი საიდუმლო ინფორმაციისა, რაც ცხრაკლიტურს მიღმა არის გასაიდუმლოებული საზოგადოებისაგან.

დასკვნის სახით აღვნიშნავდი, რომ აშშ-ს დაზვერვის ცენტრალური სააგენტო, რომელიც აშშ-ს საზღვრებს გარეთ საქმიანობს სავარაუდოდ 17-18 ათას თანამშრომელს ითვლის, ხოლო კონტრაქტით აყვანილი და ქოლგის ქვეშ სხვადასხვა გადამფარავ ორგანიზაციებში მოღვაწე არაოფიციალური (არალეგალური) თანამშრომლების ჩათვლით სავარაუდოდ ინფორმაციით 40 ათას აღწევს.

ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს სპეციალური

ამერიკის დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს ყოფილმა ოფიცერმა, მოგვიანებით კი ამ ორგანიზაციის კრიტიკოსმა რალფ უოლტერ მეგეჰიმ (Ralph Walter McGehee) აღნიშნა, რომ დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს (CIA)-ის მთავარ საქმიანობას არ შეადგენს მარტო დაზვერვა, ანუ უცხო ქვეყნიდან სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და მიწოდება შესაბამისი უწყებისთვის (პრეზიდენტისთვის, ეროვნული დაზვერვის დირექტორისთვის, უშიშროების საბჭოსთვის). ამ ფუნქციის შესრულების ნაცვლად, როგორც მეგეჰი ამტკიცებს, დაზვერვის ცენტრალური სააგენტო ძირითადად დაკავებულია „ფარული ქმედებებით“ (covert action), რომლის მეშვეობითაც სააგენტო აკონტროლებს პოლიტიკურ მოვლენებს ამა თუ იმ უცხო ქვეყანაში და მანიპულირებას ახდენს სასურველი პოლიტიკური ძალების მოსვლისა და არასასურველის წასვლის პროცესებზე, მათი პოლიტიკური მარგინალიზების, ფიზიკური ნეიტრალიზების, თუ რაიმე სხვა სპეციალური საშუალებებით. მეგეჰი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ აუცილებელია გაანალიზდეს თუ რამდენად სანდოა დაზვერვის სამსახურის მიერ „ფარული ქმედებების“ შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, თავდაპირველად გასარკვევია ხო არ ემსახურება იგი რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის ინტერესს?! მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნას, 2003 წლის ერაყის სპეცოპერაცია, სადაც ამერიკული სადაზვერვო მასალა სპეციალურად იყო მოჭრილი სპეციფიური პოლიტიკური ინტერესის ყალიბზე. იმის ნაცვლად, რომ ვაშინგტონს ომის დაწყების პოლიტიკური გადაწყვეტილება სანდო სადაზვერვო ანალიტიკური ცოდნის საფუძველზე მიეღო, არსებულმა სადაზვერვო მონაცემებმა შეასრულეს უკვე მიღებული გადაწყვეტილების გამართლების ფუნქცია. საჭიროა განვასხვავოთ ერთმანეთისგან ის სადაზვერვო მასალა, რომელიც ასრულებს პოლიტიკური გადაწყვეტილების საჯაროდ გამართლების ფუნქციას და ის, რომელიც რეალურად უსწრებს და აპირობებს ამ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. პირველის არსებობა არ ნიშნავს, რომ არ არსებობს მეორე. ერაყის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი არსებობდა, თუმცა არ ყოფილა განცხადებული. აღნიშნული ნაბიჯი ემსახურებოდა ვაშინგტონის მაშინდელი ელიტის განუცხადებელ პოლიტიკურ მიზანს, ამერიკის კოალიციური ჯარების მიერ ერაყის ოკუპაცია რეალურად ნავთობის და სხვა გეო-პოლიტიკურ და ეკონომიკური გრძელვადიანი პროექტების აუცილებელი კომპონენტი იყო.

აღნიშნული საკითხის უფრო კონკრეტული მხარე ჩნდება მაშინ, როდესაც შეკითხვას სვამენ ამერიკის დაზვერვის სამსახურების ქმედებების თავსებადობაზე სამართლის ცნებასთან და მათ პრაგმატულ ღირებულებაზე. საკითხვის პირველი ასპექტის ნაკლი ისაა, რომ ამერიკის ამ უწყების ფარული ფუნქციების ლეგალური და ეთიკური დაცვა ყველაზე უფრო თავგამოდებულ პრო-ამერიკელებსაც კი უჭირთ. ამ ამერიკული დაზვერვის სპეციალური სამსახურის შემოქმედების „კლასიკური“ ნაწილი სცდება ლეგალურ ენაში მისი რაიმე პოზიტიური აღწერადობის შესაძლებლობას. ის მყარად და ტრივიალურად თავსდება ქრონიკული და მძიმეწონიანი საერთაშორისო სამართალდარღვევების კატეგორიაში.

საკითხი უფრო საინტერესო ხდება მაშინ, როდესაც ფორმალური და სამართლებრივ-სტატუსობრივი არსის დადგენის ნაცვლად ვეხებით ამერიკის ხსენებული დაზვერვის უწყების პრაქტიკის კონკრეტულ შინაარსობრივ მხარეს და

მის პრაგმატიკას. ამ მხარის ზოგიერთი ასპექტის მოკლე მიმოხილვამდე სასურველია შეინიშნოს, რომ მეგეჰის მტკიცებაში ფრაზა “ფარული ქმედება” ფართო მნიშვნელობითაა გამოყენებული და მოიცავს “საიდუმლო ოპერაციის” (Clandestine Operation) ცნებასაც. როგორც წესი ამ ორ ცნებას ანსხვავებენ, “ფარულ ქმედებაში” არსებითია თვითონ ქმედების და არა მისი შედეგის ფარულობა, როდესაც სპეცოპერაციის შედეგი სახეზეა, მაგალითად ობიექტის ლიკვიდაციის ფაქტი, მაგრამ უცნობია შემსრულებელი და დამკვეთი მხარე. “საიდუმლო ოპერაცია” განსხვავდება სპეცოპერაციაში მიღწეული შედეგების ფარულობით. ამის მაგალითია გავლენის აგენტის გადმოხიზვა, რომელშიც მოსყიდული აგენტის ღალატის უცნობობა ოპერაციის წარმატების კრიტერიუმი.

ფილიპ ბარნეტ ფრანკლინ ეიჯი (Philip Burnett Franklin Agee) დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს ყოფილი ოფიცერი, ამ ორგანიზაციის უფრო დიდი კრიტიკოსია ვიდრე მეგეჰი. მან ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რომ საჯაროდ ცნობილი გამხდარიყო ის საშუალებები, რომლებიც შეაძლებინებდა კონკრეტულ საზოგადოებას, თუ ჯგუფს ნაწილობრივ მაინც შეეზღუდა ამერიკული დაზვერვის აგენტთა ან ამერიკის დაზვერვის ოფიცერთა შესაძლო უკანონო ქმედებები მათ ქვეყანაში, მისი თქმით ერთ-ერთი აუცილებელი ნაბიჯი ამერიკელი მზვერავების მიერ გადაბირებული აგენტების ვინაობის გამჟღავნება გახლდათ. ფილიპ ეიჯის მიერ 1975 წელს გამოქვეყნებულმა წიგნმა „Inside The Company: CIA Diary“ (კომპანიის შიგნით: დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს დღიური) დიდწილად განაპირობა ის, რომ 1982 წელს ამერიკის კონგრესმა მიიღო „მზვერავთა ვინაობის დაცვის აქტი“ (Intelligence Identities Protection Act) რომლის თანახმად ამერიკული დაზვერვის ფარული აგენტის ვინაობის გამხელა ვინმეს მიერ ფედერალურ დანაშაულს წარმოადგენს, მაგრამ აღნიშნული აქტი მხოლოდ აშშ-ს ტერიტორიაზე ან მის მოქალაქეებზე ვრცელდება. ეიჯიმ 250 ფარული აგენტის ვინაობა დაასახელა, რის შემდეგაც იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა აშშ და სიცოცხლის ბოლომდე ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასახლებულიყო, სანამ 2008 წლის 9 იანვარს კუბაში არ დალია სული.

ზოგადად ცნობილია, რომ ამერიკელი მზვერავები უცხო ქვეყანაში ძირითადად ორი სახის ლეგენდით მიემგზავრებიან: ერთ-ერთია დიპლომატიური კორპუსის თანამშრომლის ლეგენდით, რომლითაც მზვერავი უცხო ქვეყანაში ამერიკის საელჩოს თანამშრომლად გვევლინება. მეორე ლეგენდაა ბიზნესმენის ამპლუა, ეს არ ნიშნავს, რომ მოცემული მზვერავის ბიზნესი არარეალურია, ეს მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლებლობაა. ლეგენდის მქონე მზვერავი შეიძლება ეწეოდეს რეალურ ბიზნეს-საქმიანობას და ათავსებდეს მას მის მთავარ სადაზვერვო საქმესთან. ხშირ შემთხვევაში, ეს შეთავსება საკმაოდ ნაყოფიერია მისთვის და ხელს უწყობს სამიზნე საზოგადოებაში მყარი კავშირისა და ნდობის მოპოვებას. მზვერავის ამ ორი ლეგენდის გარდა, დაზვერვის მუშაკს შეიძლება ასევე შეხვდეთ როგორც ერთჯერად სტუმარს ქვეყანაში, იქნება ეს გაცვლითი პროგრამის სტუდენტი, მოწვეული მასწავლებელი, რელიგიური მუშაკი, პოლიტიკური ექსპერტი, საარჩევნო მეთვალყურე თუ მრავალი სხვა.

დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს სპეციალური რეალური პროფილის დასანახად აუცილებელია სპეციალური ოპერაციების სამმართველოს (Special Activities Division) საქმიანობის ცოდნა. სპეციალური ოპერაციების სამმართველო

არის დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს სახელმწიფო საიდუმლო სამსახურის სპეცდანაყოფი, რომელიც საიდუმლო ოპერაციებს ანხორციელებს. სპეციალური ოპერაციების სამმართველოში არის ორი დამოუკიდებელი ჯგუფი: ერთი გამოიყენება სამხედრო ტიპის, ტაქტიკური სპეცოპერაციების და დავალებების განსახორციელებლად, ხოლო მეორე ფარული პოლიტიკური ქმედებებისათვის. სპეციალური ოპერაციების სამმართველოს საქმე არაა ღია და საჯარო ინფორმაციის მოპოვება, მისი საქმიანობის ბირთვი ფარული ქმედებაა. აღნიშნული სამმართველოს მზვერავებისათვის აუცილებელი მახასიათებლებია თეორიული მულტი-კვალიფიციურობა და ანალიტიკური აზროვნება, სიტუაციური აღლო და სოციალური ელასტიურობა.

როგორც წესი, დესტაბილიზირებულ, მილიტარიზებულ ზონაში ამერიკის სადაზვერვო სამსახურში წინ იწვევს ფარული ქმედებების პარამილიტარული ფუნქცია, მაგრამ საშუალო ან ზომიერი პოლიტიკური სტაბილურობის პირობებში, სამიზნე საზოგადოებაში, როგორც წესი მესამე სამყაროს ქვეყნებში ამერიკის დაზვერვის სამსახურს საკმაოდ ფართო სოციალური მონიტორინგის ფუნქცია აქვს. ეკონომიკური, პოლიტიკური და მილიტარული ღრმა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სფეროების ანალიტიკის გარდა ეს ფართო სოციალური მონიტორინგის ფუნქცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს შესაძლო კრიზისული და კონფლიქტური სიტუაციების მართვაში.

სტაბილური სიტუაციის პირობებში სააგენტო არ იზღუდება უცხო ქვეყნის მხოლოდ პოლიტიკური ელიტის ან სხვა პოლიტიკური ჯგუფების უშუალო თვალყურისა და დამოძღვრის ფუნქციით, ის როგორც წესი აქტიურადაა ჩართული მოცემული საზოგადოების მასობრივი ცნობიერების დინებების ანალიზში და განვითარებაში. ხალხური ფოლკლორის ნარატიული შინაარსებისა და ფორმების შესწავლა, მასობრივი ცნობიერების ისტორიული დინამიკის ცოდნა, ელიტალური დაჯგუფებების დომინანტური მსოფლმხედველობრივი ფორმირება და მოქმედი სტერეოტიპების კვლევა, ყოველივე ეს არის დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს ერთ-ერთი რგოლის, დაზვერვის სამმართველოს კომპეტენცია. ამგვარი ცნებითი და ფაქტობრივი მასალის კვლევა, მათ საფუძველზე სამოქმედო პროგრამების მოდელირება და მათი გამოყენებადობის პირობების დადგენა არსებითი საფეხურია, ის წინ უძღვის სპეციალური ოპერაციების სამმართველოს ოფიცერთა პრაქტიკულ საქმიანობას. როგორც წესი ე.წ. „ფსიქოლოგიური ომი“ და მისი შემადგენელი ნეგატიური და პოზიტიური პროპაგანდა, რომელიც ფარულ ქმედებათა არსებით კომპონენტებს შეადგენენ, განპირობებული უნდა იყოს დაზვერვის სამმართველოს ანალიზური მონაცემებით, თუმცა რეალურად, სააგენტოს სტრუქტურის აღნიშნული შრომის დანაწილება ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ნებისმიერი ღია ინფორმაცია ანალიზდება და სადაზვერვო მასალად მუშავდება დაზვერვის სამმართველოს მიერ.

არაკომპლექსურ სიტუაციებში ფარულად მომქმედ ოპერატიულ მუშაკს, მზვერავს, როგორც წესი შეუძლია მიმართოს საკუთარ წარმოსახვას და ინტუიციას, რათა კონკრეტული ინდივიდის, ჯგუფის ან საზოგადოების მითოსი ან ტრადიცია საკუთარი მიზნების მისაღწევად გამოიყენოს. მაგალითად, როდესაც მეოცე საუკუნის 40-იან წლებში ფილიპინური კომუნისტური პარტიის შეიარაღებული ფრთის Hukbalahap-ის მემბოხეებთან ბრძოლისას ამერიკელი მზვერავების ერთ-ერთი არსებითი მეთოდი გამპირული მკვლევლობების სიმულაცია იყო (ყელ-გამოღადრული, სისხლისაგან სრულიად დაცლილი ცხედრების მიმოხიზვა ფილიპინურ სოფლებში

საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ვამპირების შესახებ ცრურწმენების მქონე მემბოსხეებს წინააღმდეგობის გარეშე მიეცოვებინათ ტერიტორია), ეს არ ნიშნავდა იმას, რომ აქ ჯერ დაზვერვის სამმართველომ იკვლია ფილიპინური მითოსი ვამპირების და სხვა მოვლენების შესახებ და შემდეგ სპეციალური ოპერაციების სამმართველოს ოფიცერმა მიუყენა კვლევითი შედეგები კონკრეტულ სიტუაციას. მაგალითად ცნობილია ფეაქტები, როდესაც ზოგიერთ არაბულენოვან ქვეყანაში ამერიკელ მზვერავებს მოსყიდული ჰყავდათ ასტროლოგები და მკითხავეები, რადგან მასამ რეგულარულად მოისმინოს გარკვეული სახის ნათელსიღვები, რომელშიც სასურველი პოლიტიკური მოვლენები დადებითად იქნება აღწერილი, დაზვერვის სამმართველოს არაბულენოვანი კულტურის ექსპერტიზა მეტად სპეციფიკური და მნიშვნელოვანი ანალიტიკური რგოლია, რომელსაც მრავალი მზვერავი აანალიზებს.

ამერიკის დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს ბიუჯეტი დიდი ხანი გასაიდუმლოებული იყო, სავსებით შესაძლებელია, რომ წლიური 44 მილიარდი დოლარი, ციფრი რომელიც ამერიკის ეროვნული დაზვერვის დირექტორის ყოფილმა მოადგილემ მერი მარგარეტ გრეჰემმა დაასახელა 2005 წელს ვერც კი ასახავდეს იმ რეალურ სახსრებს, რომელსაც ეს ორგანიზაცია ხარჯავს, როდესაც გათვალისწინებულია სხვადასხვა ფარულ ოპერაციებსა და ქმედებებში გაღებული ნაღდი თანხები. უახლესი ტექნიკური აღჭურვილობით, მეცნიერული ინოვაციების საკუთარ პრაქტიკაში მყისიერი დანერგვით, საკადრო მომცველობით და რაც მთავარია გლობალური შეღწევებით ეს ორგანიზაცია ასევე სცილდება შედარებითობის პარამეტრებს.

ძალის დიპლომატია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის არსენალში

საერთაშორისო საკითხებში ამერიკის მიერ ძალის გამოყენების გამართლების თაობაზე ამერიკულ აზროვნებაში ბოლო 40 წლის განმავლობაში შეიმჩნევა მეტად საყურადღებო ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, ძალის კანონიერი გამოყენების ცნება ფართოვდება, რასაც თავად ამერიკელები „ჰუმანიტარულ ინტერვენციას“ უწოდებენ.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა დევს სასწორზე, მოვიყვანოთ პატივცემული ისტორიკოსისა და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტის კუინსი რაიტის შენიშვნა: „როცა ომი იდეისათვის იწარმოება, განსაკუთრებით თუ ეს იდეა ფართო და ცივილიზაციისათვის ფუნდამენტურადაა მიჩნეული, თუ ვინმე დემოკრატიისათვის იბრძვის, შეიძლება საჭირო აღმოჩნდეს ყველა სახელმწიფოსა და ადამიანების უმრავლესობის მოსპობა, რომ დარჩეს თავისუფალი ადგილი, სადაც შეიძლება დემოკრატია განვითარდეს.“

ჰუმანიტარული ინტერვენციებით ამერიკა მეტ-ნაკლებად ანგრევს მის მიერვე შექმნილი ძალის გამოყენების გლობალური აკრძალვის გაერო-ს სისტემას და ცდილობს ამჟამინდელ სიტუაციას მოარგოს ძალის გამოყენება ისე, რომ თავი წარმოაჩინოს, როგორც მსოფლიო უსაფრთხოების უპრეცედენტო გარანტმა.

აშშ-ს სამხედრო-პოლიტიკურ სტრატეგიას დიდი ისტორიული წარსული გააჩნია: 1961 წელი აშშ-ს ინტერვენცია კუბაში, 1968 წელი ვიეტნამში, 1983 წელი გრენადაში, 1989 წელს პანამაში, 2002 წელს ერაყში... აშშ-ს ეს სამხედრო აქტები ერთგვარი ბრძოლა არის მსოფლიო სტაბილურობის და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად, შემაკავებელი, პრევენციული ზომები იმ ქვეყნებისათვის ვინც დემოკრატიის ჭეშმარიტ ფასეულობებს გმობს, მაგრამ ამ მოვლენათა ანალიზისას მეორემხრივ ეს ქმედებები შეიძლება სამხედრო აგრესიადაც შეფასდეს. ყოველივე ამას ისტორია განსჯის თავის დროზე, ისტორიისათვის, მთავარია არა ის თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო, არამედ ის თუ რა მოხდა.

ზოგ შემთხვევაში აშშ-ს აგრესიული საგარეო პოლიტიკა მისასაღმებელიც არის, რადგან მრავალი სახელმწიფო მართლაც დიდ საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიო თანამეგობრობისათვის. დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს შეფასებით, მსოფლიოში სულ ცოტა ოცი სახელმწიფო აწარმოებს ქიმიურ და ბირთვულ იარაღს, ან ყოველ შემთხვევაში, მისწრაფვის აქეთკენ. ახლო და შუა აღმოსავლეთის სახელმწიფოებს საკუთარი ქიმიური და ბირთვული იარაღის ვრცელ მონაკვეთებზე სასროლად დიდი ხანია აქვთ საშუალო სიმორის რაკეტები. ისინი ამ იარაღს საბჭოთა კავშირის ან დასავლეთის სახელმწიფოებისაგან ყიდულობდნენ, მოგვიანებით ჩინეთისაგან, შიგადაშიგ ასევე ბრაზილიის, არგენტინის და ჩრდილოეთ კორეისაგან. მათი მოქმედების რადიუსია დაახლოებით 1000კმ. და ზევით. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ თავისი სარაკეტო პროგრამა იმგვარად განავითარა, რომ ის ამ პროგრამას კომერციული მიზნებისათვის უთმობს დასავლეთის სახელმწიფოებს. ირანს აქვს საკუთარი სარაკეტო ინდუსტრია, ერაყისა კი 1991 წელს განადგურდა. საშუალო სიმორის რაკეტები არსებობს ორივე კორეაში, პაკისტანში, ინდოეთსა და ტაივანში. საბედნიეროდ ბიოლოგიური იარაღი, როგორც ჩანს, ჯერ არ არის ფართოდ გავრცელებული მესამე სამყაროში. ტერორისტების ხელში მას ინდუსტრიალიზებული სამყაროსათვის უზარმაზარი

ზარალის მიყენება შეუძლია ისე, რომ არ იქნეს ჩათრეული ქვეყანა, საიდანაც ეს იარაღი მოდის.

ამერიკელები ხშირად იყენებენ ტერმინს „უკანასკნელი ზესახელმწიფო“ აშშ-ს დასახასიათებლად, მაგრამ 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ამერიკის ხელისუფლებამ იმპერიისათვის დამახასიათებელი თვისებები გამოაჩინა. გვსურს მოვიყვანოთ ამერიკელი პოლიტიკური კომენტატორის პატრიკ ბიუკენენის ციტატა: „2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენები წარმოადგენს ისლამურ სამყაროში აშშ-ს ინტერვენციონისტური პოლიტიკის პირდაპირ შედეგს. არადა, ისლამური სამყაროს მხრიდან ჩვენთვის საფრთხე იმდენად დიდი არ არის, რომ ჩვენი ასეთი უცერემონიო და დაბეჯითებული ჩარევა გაგამართლოთ. ჩვენ ხომ რესპუბლიკა ვართ და არა იმპერია. მანამდე, ვიდრე ჩვენ არ დაეუბრუნდებით ჩვენს პოლიტიკას, რომელიც გვიანდერძეს ჩვენი ქვეყნის დამფუძნებელმა მამებმა, თავი შევიკავოთ სხვა ქვეყნების დაპირისპირებებში ჩარევისაგან, ჩვენ არ გვიწერია, თავი ვიგრძნოთ უსაფრთხოდ თვით საკუთარ სახლში.“

მილიტარიზმის გაძლიერება, სახელმწიფო საიდუმლო სექტორის გაფართოება და იმის რწმენა, რომ შეერთებული შტატები უკვე აღარ არის შეზღუდული ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის სახელგანთქმული ფორმულირებით, „კაცობრიობის აზრის ჯეროვანი გათვალისწინებით“ ეს უკვე შეუქცევადი პროცესია. რათა ამ პროცესის შეჩერება რეალური გახდეს, საჭირო იქნება პენტაგონის კვლავ დაქვემდებარება დემოკრატიული კონტროლისადმი და დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს ამბიციების მოთოკვა.

ახალი პრეზიდენტის, ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ მართლაც, რომ გადახედა ამ პრიორიტეტულ სფეროს, ძალოვანი სტრუქტურების ფუნქციებსა და პრიორიტეტებს, ჩამოაყალიბა კორექტირებული და საჭიროების შემთხვევაში ხისტი სტრატეგია, თუმცა ბარაკ ობამას ადმინისტრაციას უმთავრეს იარაღად დიპლომატიური არსენალი მიაჩნია.

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში სულ 168 000 კაცი მსახურობდა. დღეს მშვიდობიანობის ჟამს, იგივე ამერიკის შეერთებული შტატები ინახავენ 4,4 მილიონ სამხედრო მამაკაცს და ქალს.

აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში უდიდესი როლი აქვს ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსს NATO-ს. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში „ცივი ომის“ დროს, ორი დაპირისპირებული ბანაკის არსებობისას ალიანსმა უდიდესი როლი ითამაშა მსოფლიოში სტაბილურობისა და ბირთვული ომის ზღვარზე მყოფი მსოფლიოს დასარეგულირებლად.

ზბიგნევ ბუჟინსკი, რომელიც შეერთებული შტატების სახელმწიფო აპარატში 1979 წელს, სწორედ იმ პერიოდში მოღვაწეობდა, როდესაც საბჭოთა კავშირი ავღანეთში შეიჭრა, შეერთებული შტატებისა და კოალიციური ძალების შესაძლებლობებს ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში წარმატების მიღწევის თაობაზე პესიმისტურად აფასებს. ყოფილი მრჩეველი მიიჩნევს, რომ 11 სექტემბრის შემდეგ აშშ-ს შეიარაღებული ძალების სპეციალური დანიშნულების რაზმის მხოლოდ 300 სამხედრო აღმოჩნდა საკმარისი ავღანეთის თალიბთა მმართველობისაგან გასათავისუფლებლად, როცა დღეს ავღანეთში სტაბილურობის შესანარჩუნებლად და ამბოხებულ თალიბებთან საბრძოლველად კოალიციის 100 000 სამხედროც კი აღარ არის საკმარისი. მსგავსი სიტუაციაა ერაყშიც, სადაც გამალებით ეწყობა ტერაქტები და იღუპება უამრავი ადამიანი, როგორც კოალიციის

ჯარისკაცები ასევე ადგილობრივი მოსახლეობაც, რაც ამკარად სრული კონტროლის სადავეების შესუსტებას ნიშნავს.

ბუეზინსკის აზრით, ეს ვითარება სულ უფრო ემსგავსება ავღანეთში საბჭოთა ინტერვენციას, ხოლო საერთაშორისო ძალები ოკუპანტებს. მისივე განცხადებით, ავღანური კამპანია პრეზიდენტ ობამასთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური საკითხია, რომელიც აუცილებლად საჭიროებს სტრატეგიულ გადახედვას, „წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს დიდი რისკი, რომ სრულიად გაუაზრებლად საბჭოთა ჯარისკაცების ბედს გავიზიარებთ,“ განაცხადა უსაფრთხოების ყოფილმა მრჩეველმა. ბუეზინსკიმ NATO-ს მომავალზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ თუკი ევროპული ძალები შეერთებულ შტატებს ავღანეთში მარტო დატოვებენ, ეს NATO-ს დასასრული იქნება, თუმცა აქვე მან მოვლენათა ამგვარი განვითარების შესაძლებლობა პრაქტიკულად გამორიცხა.

სპეცსამსახურების, კერძოდ კი დაზვერვის როლი აშშ-ს საგარეო პოლიტიკის წარმოებაში უდაოდ დიდია. დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს მოქმედების უმთავრეს სტრატეგიულ სფეროს წარმოადგენს ტერორიზმთან და შპიონაჟთან დაუნდობელი მეთოდებით ბრძოლის წარმოება. აღნიშნული ქვეყნის დაზვერვის სპეციალურ სამსახურს მკაცრ კონტროლზე ყავს აყვანილი ამერიკის შეერთებული შტატების სრულწლოვანი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, რომ არაფერი ვთქვათ იმ საგარეო კონტრდაზვერვით აქციებზე, რომლითაც ისინი მკაცრ კონტროლს უწესებენ უცხოეთის მოქალაქეებს, უცხოელ სტუდენტებს და უცხო ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის თანამშრომლებს. ამერიკის შეერთებული შტატების მრავალათასიანი საიდუმლო სამსახურის აპარატი მიზანმიმართულია, რომ მთელი მსოფლიოს მაშტაბით გააჩაღოს გლობალური შპიონაჟის აქციები ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების სასარგებლოდ. აღნიშნული ქმედებები ხშირად შეიცავს, როგორც ამორალურ ასევე დანაშაულებრივ ელემენტებსაც. მეტად საინტერესო გახლავთ ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტის ანდერსონის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის ცენტრალური სამმართველოსათვის მიცემული შეფასება: „დაზვერვის ცენტრალური სამმართველო უბრუნდება მუშაობის ძველ და ბინძურ მეთოდებს, საზღვარგარეთ სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე დივერსიული აქციების და შპიონაჟის წარმოების აპრობირებულ ხერხს.“

მსოფლიო ისტორიის განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფოთა მიერ მათი ეროვნული უსაფრთხოებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით მრავალი ალიანსი და კოალიცია შეიქმნა. სახელმწიფოთა შორის კავშირები იქმნებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნების ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა და როცა მათ წინაშე საერთო საფრთხე არსებობდა. სხვადასხვა ალიანსებისა თუ კოალიციების შექმნით, კავშირში შემაჯავლი სახელმწიფოები ერთად აწონასწორებდნენ აგრესორი მეტოქის ძლიერებას. კავშირის წევრები მიიჩნევდნენ, რომ პოტენციური აგრესორი საკმაოდ ძლიერი კავშირის წინააღმდეგ ბრძოლას მოერიდებოდა.

XX საუკუნეში ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი NATO გახლდათ ვარშავის ბლოკში შემაჯავლ სახელმწიფოთა აგრესიის შემაკავებელი ძალა, აღსანიშნავია, რომ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი NATO დღემდე ინარჩუნებს თავის სტრატეგიულ ფუნქციას მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე.

როგორც ცნობილია, ნატო-ს აქტიური ძალისხმევის შედეგად „ცივი ომის“ პერიოდში, კაცობრიობამ თავიდან აიცილა მესამე მსოფლიო ომი, (ბირთვული ომი). მოკლედ გავაანალიზოთ, თუ რა ფაქტორებმა განაპირობა ნატო-ს ბლოკის

გამარჯვება. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლდათ ის, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ბლოკი NATO სოციალისტური ვარშავის ბლოკისაგან განსხვავებით წარმოდგენილი იყო როგორც ერთიანი გუნდი. NATO-ს შექმნის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა კომუნიზმისაგან თავდაცვის მიზნით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა აშშ-ს სამხედრო კონტინგენტი ევროპაში გაზრდილი ყოფილიყო. ამიტომაც იყო, რომ NATO-ს ევროპელი მოკავშირეების ტერიტორიაზე 200-ზე მეტი აშშ-ის სამხედრო ბაზისა და სამხედრო ობიექტის განთავსება განხორციელდა ნებაყოფლობით საფუძველზე, ამერიკის შეერთებული შტატების და მისი ევროპელი მოკავშირეების ინტერესების ურთიერთგათვალისწინებით. ამავე დროს, ევროპის ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობა, აცნობიერებდა რა საბჭოთა კავშირიდან მოსალოდნელ საფრთხეს, არ იყო ნეგატიურად განწყობილი აშშ-ის პოლიტიკური ისტებლიშმენტის და მისი სამხედრო ბაზების მიმართ.

კომუნისტური ბანაკის დაშლის შედეგად მსოფლიოში შეიქმნა სრულიად ახალი გეოპოლიტიკური რეალობები. ზემოაღნიშნულმა ფაქტმა შექმნა იმის მყარი საფუძველი, რომ მომხდარიყო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ტრანსფორმაცია. „ცივი ომის“ დასრულების პერიოდში NATO-ს ძირითად მიზანს წარმოადგენდა აღმოსავლეთთან კონფრონტაციის პოლიტიკიდან პარტნიორობისა და თანამშრომლობის პოლიტიკაზე გადასვლა. ალიანსისათვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენდა და წარმოადგენს ევროპის უშიშროების ახალი არქიტექტურის მშენებლობა, რომლის მთავარი საფუძველი უნდა იყოს დასავლური დემოკრატიული ფასეულობები.

NATO-ს საქმიანობისას ძირითადი ყურადღება გამახვილებულია უსაფრთხოების საკითხებზე და მაღალი დონის დიპლომატიაზე, რაც დაკავშირებულია სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის სამიტებთან და ამ დონისძიებებზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე. გლობალური ხასიათის საკითხების გადაჭრასთან ერთად NATO ყოველდღიურად აქტიურადაა ჩართული მრავალრიცხოვანი პროექტების განხორციელებაში, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროატლანტიკურ რეგიონში უსაფრთხოების კუთხით მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

XXI საუკუნეში, როგორც სხვა ერებს, ასევე ამერიკას მოუწევს, ისწავლოს ლავირება ხისტ აუცილებლობასა და მოქნილ არჩევანს შორის, საერთაშორისო ურთიერთობების უცვლელ პრინციპებსა და ელემენტებს შორის.

აშშ-ს საგარეო პოლიტიკა განისაზღვრება არა იმდენად საკუთარი ნება-სურვილით, არამედ აუცილებლობით, რაც იმპერიისაგან განსხვავებით, რესპუბლიკის დამახასიათებელი ჯანსაღი ტენდენციაა. 21-ე საუკუნეში აშშ-ს წარმატება ყველაზე მეტად დამოკიდებულია მომავლის სწორად განჭვრეტის უნარზე და ამერიკული ხასიათის ფენომენზე. ამერიკელები დარწმუნებულნი არიან, რომ მსოფლიო სრულყოფილი ვერ გახდება, მაგრამ მას შეუძლია გაცილებით უკეთესი გახდეს, ვიდრე ეს ბევრს ჰგონია.

აგენტურული საქმიანობის სპეციფიკა

აგენტი დაზვერვის მიერ ფარული საქმიანობის განსახორციელებლად გადმობირებული პირია, რომელიც საიდუმლოდ, ნებაყოფლობით, ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე თანამშრომლობს და არ იმყოფება მის შტატში. აგენტის მიმართ წაყენებული ძირითადი მოთხოვნებია: სადაზვერვო წვდომა, საიმედოობა, სადაზვერვო შესაძლებლობებისა და/ან პერსპექტივების ფლობა.

მაგალითად დასავლეთის ქვეყნებში სიტყვა აგენტს მეორე მნიშვნელობაც გააჩნია, აგენტებს უწოდებენ სპეცსამსახურების რიგებში მომუშავე ოფიცრებს ან გასაიდუმლოებულ თანამშრომლებს, რომლებიც ორგანიზაციის დავალებით სხვადასხვა შედწევის მეთოდებით და წინასწარ დამუშავებული ლეგენდით ლეგალურად ან არალეგალურად ასრულებენ სპეციალურ დავალებებს, მაგალითად: გამოძიების ფედერალური ბიუროს სპეციალური აგენტი, საიდუმლო სამსახურის სპეციალური აგენტი და ა.შ. ფაქტიურად სიტყვა აგენტი აღნიშნავს რომელიმე სააგენტოს ინტერესების გამტარებელ და აღმსრულებელ პირს.

გადმობირების მეთოდი “ვერბოვკა” დაზვერვის არსენალში უძველესი დროიდან გამოიყენება და დღესაც აქტუალურია. დაზვერვის ისტორიაში “ცივი ომი”-ს პერიოდი “საიდუმლო ომის” პიკს წარმოადგენს. მოცემულ თავში სწორედ აღნიშნულ საკითხს გვსურს შევეხეთ.

აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოფიცრის ედუარდ სმიტის მოწინააღმდეგე სახელმწიფოს სპეცსამსახურის მიერ გადამბირების ოფიციალური ფაქტი 1953 წელს დაფიქსირდა, იგი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მოსკოვის რეზიდენტურის თანამშრომელი იყო. მოგვიანებით ცნობილი ხდება რომ სსრკ-ს საგარეო დაზვერვის მიერ გადმობირებულ იქნა არაერთი გავლენის აგენტი. ამ მხრივ არც აშშ-ს დაზვერვა აკლებდა ხელს. ორივე სახელმწიფოს სპეცსამსახურების რიგებში იყვნენ არალეგალური პირები, რომლებიც სხვადასხვა მოტივით დალატობდნენ თავიანთ სამშობლოს. 1980-იანი წლების ბოლოსთვის საბჭოთა დაზვერვამ ერთგვარ წარმატებას მიაღწია გადმობირების სფეროში. მათ სასარგებლოდ თანამშრომლობდნენ ედვარდ ლი ვიქტორ ჰოვარდი და ოლდრიჩ ჰეიზენ ეიმსი.

ედვარდ ლი ჰოვარდი დაიბადა 1951 წლის 27 ოქტომბერს ქალაქ ალამოგორდოში, ნიუ-მექსიკოს შტატში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჰოვარდი მოეწყო ტეხასის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და საერთაშორისო ვაჭრობის ფაკულტეტზე, რომელიც 1972 წელს წარჩინებით დაამთავრა. იმავე წელს მან მიიღო ამერიკის მშვიდობის კორპუსის შეთავაზება მათ რიგებში დაეწყო სამსახური, ედვარდი მალევე გაემგზავრა ლათინურ ამერიკაში სადაც ფირმის კონსულტატად დაიწყო მუშაობა. 1973 წელს კოლუმბიაში ჰოვარდმა გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე მერი, რომელთანაც 1976 წელს აშშ-ში დაბრუნების შემდეგ იქორწინა.

1979 წლის მარტში ჰოვარდმა სამსახური დაკარგა და მეტად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ახალი სამსახურის ძიების პროცესში მან სხვადასხვა ფირმებში გააგზავნა თავისი ანკეტა. მისი ერთ-ერთი ანკეტა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს კადრების განყოფილებაში აღმოჩნდა, რომლის თანამშრომლებმაც იგი 1980 წელს გასაუბრებაზე მიიწვიეს. სამედიცინო-

ფსიქოლოგიური კომისიის გავლის და სიცრუის დეტექტორზე შემოწმების შემდეგ ჰოვარდი დაზვერვის სამსახურისთვის ვარგისად იქნა აღიარებული და 1981 წლის 28 იანვარს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოპერატიულ სამმართველოში იქნა აყვანილი. ოპერატიულ სამმართველოში ჰოვარდი განამწესეს საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის განყოფილებაში სადაც მას ამზადებდნენ, როგორც მომავალ ოპერატიულ მუშაკს მოსკოვის რეზიდენტურაში დაზვერვითი საქმიანობის საწარმოებლად. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს დაზვერვისთვის საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის განყოფილება მუდამ ერთ-ერთი მკაცრად გასაიდუმლოებული განყოფილება იყო, ამჟამად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იგი რუსეთის ფედერაციის საკითხებზე განაგრძობს მუშაობას. აღნიშნულ განყოფილებაში ჰოვარდის ფუნქციაში შედიოდა სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვება და საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში საიდუმლო ოპერაციების ჩატარება.

1980-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის განყოფილების პირადი შემადგენლობა 300 მოსამსახურისგან შედგებოდა. ამ განყოფილების თანამშრომლები ფაქტიურად წარმოადგენდნენ დახურულ კასტას ოპერატიული სამმართველოს შიგნით.

საბჭოთა კავშირში მივლინებით გასამგზავრებლად ამზადებდნენ არამარტო ჰოვარდს, არამედ მის მეუღლე მერისაც, რომელიც აღნიშნულ პერიოდში ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში მდივნად მუშაობდა. მოსკოვში ისინი ჩაიღობდნენ აშშ-ს საელჩოს თანამშრომლების სტატუსით, გამოგონილი სახელებით და გვარებით. ჰოვარდის საბუთები მომზადდა როჯერ შანონის სახელზე. მომზადების განმავლობაში ჰოვარდმა შეისწავლა ის სპეციფიკური ოპერატიული მეთოდები, რომლებსაც იყენებდა მოსკოვის რეზიდენტურა დაზვერვითი საქმიანობისას. ის საფუძვლიანად გაეცნო ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ გადმობირებული საბჭოთა აგენტების ფსევდონიმების სიას, რომელიც მას შემდგომი აგენტურული კავშირ-ურთიერთობების წარმმართვეაში შეუწყობდა ხელს.

1983 წლის გაზაფხულზე მოსამზადებელი კურსის დასრულების და უცხოეთში გამგზავრების წინ სააგენტოს ტრადიციისამებრ ჰოვარდს შესთავაზეს მეორედ გაევილო რუტინული პროცედურა სიცრუის დეტექტორზე (პოლიგრაფი) შემოწმება. ტესტირების მსვლელობისას აღმოჩნდა, რომ ჰოვარდი მაღავდა თავის მიდრეკილებას ნარკოტიკული საშვალეებისადმი და თაღლითობისკენ გადახრას. ამ ფაქტების აღმოჩენისთანავე იგი გაანთავისუფლეს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსგან. მოგვიანებით წარმომადგენლობითი პალატის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მუდმივი ქვეკომიტეტის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ჰოვარდი თავიდანვე არასახარბიელო კანდიდატი იყო ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსთვის. ვეკომიტეტის დასკვნაში აგრეთვე ეწერა: გასაკვირია რომ მიუხედავად მისი ასეთი ნაკლოვანებებისა იგი მაინც აიყვანეს დაზვერვის სააგენტოში. სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო ორი წლის მანძილზე მაღავდა ამ ფაქტს და ინსტრუქციის მიუხედავად არ ატყობინებდა გამოძიების ფედერალურ ბიუროს. მაშინაც კი როდესაც საქმეში ჩაერთო გამოძიების ფედერალური ბიურო, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო კვლავ განაგრძობდა ჰოვარდის მფარველობას. ვფიქრობთ აღნიშნული ქმედებით ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო ცდილობდა ავტორიტეტის შენარჩუნებას და აღნიშნული ფაქტის გახმაურება არ შედიოდა ორგანიზაციის ინტერესებში. სწორედ

ამიტომაც ზედმეტი ხმაურის გარეშე მოხდა ჰოვარდის გათავისუფლება სამსახურიდან და შემდეგ ცდილობდნენ დაევიწყებიათ აღნიშნული ფაქტი, ანუ უხეშად რომ ვთქვათ სურდათ მიეჩქმალათ ეს ამბავი.

სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ ჰოვარდი მეუღლესთან ერთად ნიუ-მექსიკოში გაემგზავრა და ქალაქ სანტაფეში დასახლდა. აღნიშნულ პერიოდში ჰოვარდი მეტად რთულ ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ რთულ პერიოდში მას შეეძინა ვაჟი და მატერიალური სირთულეები უფრო მეტად დააწვა კისერზე. ჰოვარდი განაწყენებული იყო დაზვერვიდან განთავისუფლების ფაქტით. მისი აზრით სამსახურიდან უმიზეზოდ განთავისუფლებამ დაანგრია მის მიერ წარმატებულად დაწყებული დაზვერვის ოფიცრის ბრწყინვალე კარიერა. აღნიშნული განწყობით ჰოვარდმა შურისძიების მიზნით გადაწყვიტა საბჭოთა დაზვერვასთან დაკავშირება და თანამშრომლობის შეთავაზება. ამ მიზნით 1985 წელს გაემგზავრა ავსტრიაში და მიმართა საბჭოთა საელჩოს. ჰოვარდთან ურთიერთობას კურირებას უწევდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პირველი მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელი ვლადიმერ კრუჩკოვი. ჰოვარდს მიენიჭა ოპერატიული ფსევდონიმი "რობერტი". ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ მან დეტალურად უამბო საბჭოთა დაზვერვის ოფიცრებს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაგეგმილი სპეცოპერაციების, ოპერატიული მეთოდების და ტექნიკური დაზვერვის საშუალებების შესახებ. ჰოვარდმა დაასახელა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ სსრკ-ში გადმოხილებული მნიშვნელოვანი აგენტების ვინაობა და მათი კავშირის საშუალებები. აღნიშნული მონაცემების გადაცემის შემდეგ მან შევიცარიის ბანკის ერთ-ერთ ანგარიშზე 150 ათასი დოლარი დადო. ჰოვარდისგან მიღებული ინფორმაციის წყალობით სსრკ-ს მიერ აღკვეთილ იქნა აშშ-ს დაზვერვის მიერ დაგეგმილი რამდენიმე სპეცოპერაცია. საბჭოთა კავშირის დაზვერვის ყველაზე დიდ წარმატებად ითვლება ადოლფ ტოლკაჩოვის დაპატიმრება. ტოლკაჩოვი მოსკოვის რადიო მშენებლობის წამყვანი კონსტრუქტორი იყო. ტოლკაჩოვმა თავად შესთავაზა თავისი მომსახურება ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს. ტოლკაჩოვი მოსკოვში მოღვაწე აშშ-ს საელჩოს დიპლომატებს მანქანებში გამუდმებით უგდებდა წერილებს. ლენგლი თვლიდა, რომ აღნიშნული ქმედება სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხრიკები იყო და დიდხანი არ გადიოდნენ კონტაქტზე. 1978 წლის სექტემბრის თვეში გადაწყდა ტოლკაჩოვთან კავშირის დამყარება, რამაც დიდი შედეგი გამოიღო. დაპატიმრებამდე ტოლკაჩოვმა ამერიკელებს გადასცა სსრკ-ს სამხედრო საჰაერო ძალების "სტელს"-ის ტექნოლოგიების კვლევის შედეგები და მონაცემები, აგრეთვე მრავალი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ტექნიკური პროგრესის შემცველი ინფორმაცია. ტოლკაჩოვის მიერ მიწოდებული საიდუმლო ინფორმაციის სანაცვლოდ მას ლენგლიმ გადასცა 789 500 რუბლი, ხოლო აშშ-ს ბანკის ანგარიშზე ჰქონდა 1 990 729 აშშ დოლარი.

1985 წლის 9 ივნისს ტოლკაჩოვი დააპატიმრეს, რამდენიმე დღეში ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მოსკოვის რეზიდენტურის ოპერატიული მუშაკი პოლ სტრომბაუხი დააკავეს, სტრომბაუხი მოსკოვში აშშ-ს საელჩოს მეორე მდივნის ლეგენდით იმყოფებოდა. ის იმ დროს დააკავეს, როდესაც ტოლკაჩოვთან მიდიოდა შესახვედრად, ტოლკაჩოვის როლს სტრომბაუხთან შეხვედრისას სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი ასრულებდა. სტრომბაუხი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადეს, ხოლო ტოლკაჩოვის ქმედებებს სასამართლომ სასჯელის უმაღლესი ზომა შეუფარდა.

ჰოვარდის მიერ სსრკ-ს სასარგებლოდ ჯაშუშობის შესახებ, გამოძიების ფედერალურ ბიუროს ინფორმაცია საბჭოთა დაზვერვის თანამშრომელმა მიაწოდა. აღნიშნული ისტორია შემდეგნაირად განვითარდა. 1985 წლის 1 აგვისტოს იტალიაში, რომში მივლინებით ყოფნის დროს გაუჩინარდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, პირველი მთავარი სამმართველოს, აშშ-ს საკითხებზე მომუშავე პირველი განყოფილების უფროსის მოადგილე ვიტალი იურჩენკო. მოგვიანებით იურჩენკო ამტკიცებდა, რომ ის გაიტაცეს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომლებმა ვატიკანის ტერიტორიიდან. აშშ-ს მხარე თავის მხრივ ამტკიცებდა, რომ იურჩენკო თავისი ნებით მივიდა რომში მოქმედ აშშ-ს საელჩოში და პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა. იურჩენკო დაუყოვნებლივ გადაიყვანეს აშშ-ში. იურჩენკომ აშშ-ს დაზვერვას დაწვრილებითი ინფორმაცია გადასცა სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ აშშ-ს წინააღმდეგ დაგეგმილი მოქმედებების შესახებ. იურჩენკოს დახმარებით გაშიფრეს რონალდ პელტონი, აშშ-ს ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი, რომელმაც საკუთარი ინიციატივით შესთავაზა საბჭოთა დაზვერვას თანამშრომლობა. მეორე საბჭოთა ჯაშუში, რომელიც იურჩენკოს დახმარებით გაიშიფრა ჰოვარდი იყო. დაკითხვების მსვლელობისას იურჩენკომ ლენგლიში ახსენა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი, რომელიც სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პირველ მთავარ სამმართველოში გადიოდა ფსევდონიმით რობერტი. მან აღნიშნა ორი მნიშვნელოვანი ფაქტი, პირველი – რობერტის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის წარმომადგენლებთან ავსტრიაში შეხვედრა და მეორე ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ აგენტი რობერტი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მოსკოვის რეზიდენტურაში გამგზავრებისთვის ემზადებოდა და ამ მიზნით ფერმაში გადიოდა სპეციალურ მომზადებას, თუმცა ფერმიდან დაბრუნების შემდეგ დაუყოვნებლივ მოხდა მისი დაზვერვის სამსახურიდან განთავისუფლება.

საბჭოთა აგენტის საკითხი დაუყოვნებლივ გადაეცა განსახილველად გამოძიების ფედერალურ ბიუროს, ხანგრძლივი ანალიზის შედეგად გამოძიების ფედერალურ ბიუროში მივიდნენ დასკვნემდე, რომ ჯაშუში ფსევდონიმით რობერტი ედვარდ ლი ვიქტორ ჰოვარდი იქნებოდა. ჰოვარდს მუდმივ რეჟიმში უთვალთვალებდნენ გამოძიების ფედერალური ბიუროს ოფიცრები, ხოლო 1985 წლის 19 სექტემბერს სანტა-ფეში ჰოვარდი დაკითხა გამოძიების ფედერალური ბიუროს კონტრდაზვერვის განყოფილების ოფიცერმა ჯერი ბრაუნმა და ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში ჰოვარდის ყოფილმა უფროსმა თომას მილზმა. დაკითხვებზე მას წაუყენეს ბრალად საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან თანამშრომლობა და განუმარტეს, რომ აღნიშნული ინფორმაცია 1985 წლის ივლისის თვეში ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს და გამოძიების ფედერალურ ბიუროს მიაწოდა ოლეგ გორდიევსკიმ, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ლონდონის რეზიდენტურის რეზიდენტმა. ჰოვარდმა უარყო მის წინააღმდეგ წაყენებული ყველა ბრალდება და აღნიშნულ ეტაპზე თავი აარიდა სასჯელს, რადგან გამოძიების ფედერალურ ბიუროში არ გააჩნდათ საკმარისი მტკიცებულება ჰოვარდის დასაპატიმრებლად. როგორც კი ჰოვარდმა იგრძნო, რომ მის გარშემო სახიფათო წრე ვიწროვდებოდა სსრკ-ში გაქცევა გადაწყვიტა. 1985 წლის 21 სექტემბერს ჰოვარდი მეუღლესთან ერთად სახლიდან მანქანით გავიდა, ავტომობილს მერი მართავდა, ჰოვარდი ავტომობილის უკანა სავარძელზე იჯდა, გვერდით მანეკენი მოისვა, რომელსაც თავისნაირი კეპი დაახურა და ერთ-ერთ მოსახვევში თავის ადგილზე მანეკენი

დასვა, ხოლო თავად მანქანიდან გადახტა და მიიმაღა. გამოძიების ფედერალური ბიუროს ოფიცრებმა, რომლებიც უთვალთვალებდნენ ჰოვარდს და მის ოჯახს ვერ შეამჩნიეს ჰოვარდის აღნიშნული ქმედება და სადამოს ხელმძღვანელობას მოახსენეს, რომ ჰოვარდი სადამოს მეუღლესთან ერთად დაბრუნდა სახლში. ჰოვარდის სახლზე მუდმივი თვალთვალი ხორციელდებოდა, ამ დროს კი ჰოვარდი ჰელსინკში გაფრინდა საიდანაც ის მოსკოვში გადააფრინეს. მოსკოვში კონსპირაციულ ბინაზე დაიწყო ჰოვარდის დეტალური გამოკითხვა. გამოკითხვას ატარებდნენ გამოცდილი მზვერავები, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პირველი მთავარი სამმართველოს უფროსი ვლადიმირ კრუჩკოვი და 1978-1982 წლებში კანადაში მომქმედი ყოფილი რეზიდენტი ვლადიმირ მეჩულაევი.

ჰოვარდის გაქცევამ დიდი დარტყმა მიაყენა ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს და გამოძიების ფედერალურ ბიუროს. ჰოვარდის მეუღლე დაუყოვნებლივ დაიბარეს დაკითხვებზე, ინტენსიური დაკითხვების შედეგად მან გამოძიებლებს აცნობა შვეიცარიის ბანკში არსებული ანგარიშის შესახებ, სადაც ინახებოდა 150 ათასი აშშ დოლარი, უამბო სამალავის შესახებ, რომელიც გაკეთებული იყო ნიუ-მექსიკოს შტატის უდაბნოში, სადაც აღმოაჩინეს 10 ათასი დოლარი. აშშ-ს კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის დაზვერვის საკითხების სპეციალურმა კომიტეტმა ზემოთ უკვე აღნიშნულ მოხსენებაში მკაცრად გააკრიტიკა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ქმედებები. ჰოვარდის საქმის წარმოება და ლალატის აღნიშნული ფაქტი შეაფასა, როგორც აშშ-ს დაზვერვის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანაკარგი და მარცხი. მოხსენებაში მოყვანილია ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსის გარდნერ ჰათუეის სიტყვა, რომელიც აღიარებდა, რომ ჰოვარდის ქმედებებმა მართლაც მძიმე შედეგები მოუტანა ამერიკის დაზვერვას. ოვარდმა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს მოახსენა აშშ-ს დაზვერვის მიერ დაგეგმილი ისეთი მნიშვნელოვანი სპეცოპერაციების შესახებ, რომლებიც აქამდე არ ყოფილა განხორციელებული სსრკ-ს ტერიტორიაზე. ჰოვარდი სსრკ-ში დიდ პატივში ჰყავდათ. ის ცხოვრობდა მოსკოვის გარეუბანში, ქალაქიდან 40 კმ-ზე დაშორებულ დახურულ დასახლებაში. ის განკარგულებაში იყო 5 ოთახიანი სახლი, მზარეული, მოსამსახურე და 24 საათიანი დაცვა. 1986 წლის 7 აგვისტოს "იზვესტია"-ში დაიბეჭდა შემდეგი შინაარსის ინფორმაცია: "სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით მიმართა აშშ-ს მოქალაქე, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა ჰოვარდ ედვარდ ლიმ, რომელიც აღნიშნავდა, რომ აშშ-ს სპეცსამსახურები მას ავიწროებდნენ და დევნიდნენ. ჰუმანური და პოლიტიკური მოტივით სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვიტა მიენიჭებინა ჰოვარდისთვის სსრკ-ს ტერიტორიაზე ცხოვრების უფლება."

ჰოვარდის პიროვნების შესახებ საინტერესო შენიშვნები დატოვა თავის წიგნში კრუჩკოვმა, რომელიც კარგად იცნობდა მას. ის წერს, რომ ჰოვარდი იყო ერუდირებული პიროვნება, რომელიც კარგად ერკვეოდა ფინანსურ ოპერაციებში. ჰოვარდს მიამაგრეს რამდენიმე საბჭოთა სპეციალისტი, რომლებსაც აცნობდა საფონდო ბირჟაზე მოქმედების და ფინანსური ოპერაციების მართვის მის მიერ შემუშავებულ მეთოდებს. ჰოვარდს გადაადგილების სრული თავისუფლება ქონდა. 1987 წელს ის ჩავიდა უნგრეთში სადაც ინტერვიუ მისცა ცნობილ ამერიკელ მწერალს დევიდ უაიზს, რომელმაც შემდეგ წელს მისი ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ ვრცელი წიგნი გამოსცა. 1989 წელს ჰოვარდი შეხვდა "ვაშინგტონ პოსტ"-ის

ამერიკელ კორესპონდენტებს და მისცა ვრცელი ინტერვიუ სადაც დაწვრილებით უამბო თავისი ცხოვრების ახალ სტილზე.

1991 წლის აგვისტოს მოვლენები უარყოფითად აისახა ჰოვარდის ბედზე. ის კერძო სახლიდან მოსკოვის ბინაში გადაასახლეს და დაცვაც მოუხსნეს. ჰოვარდი გაანერვიულა 1991 წელს გამოძიების ფედერალური ბიუროს დაზვერვის განყოფილების დირექტორის თომას დიუხედუეის “ვაშინგტონ თაიმს”-ში დაბეჭდილმა ინტერვიუმ, სადაც ის აღნიშნავდა, რომ აშშ-მ ეკონომიკური დახმარების სანაცვლოდ სსრკ-ს უნდა მოსთხოვოს ჰოვარდის ექსტრადაცია აშშ-ში. ამერიკისთვის გადაცემის ან აშშ-ს სპეცსამსახურების მიერ გატაცების შიშით ჰოვარდი 1991 წლის ოქტომბერში უნგრეთში გაემგზავრა. აშშ-ს მოთხოვნით უნგრეთის ხელისუფლება იძულებული გახდა გაეძევა ბიუროს ჰოვარდი ქვეყნიდა. იმავე წლის დეკემბერში ჰოვარდი იძულებული გახდა სხვისი სახელით და გვარით არალეგალურად გადასულიყო შვეციაში, მაგრამ არც ნეიტრალურ შვეციაში ჰოვარდს არ მიეცა მშვიდად ცხოვრების საშუალება. გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლებმა გამოიჭირეს ჰოვარდის და მისი მეუღლე ის სატელეფონო საუბარი, დაადგინეს მისი ადგილმდებარეობა და შევიდნენ მასთან პირდაპირ კონტაქტში. გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ჰოვარდს შესთავაზა სასამართლო პროცესიც და ბრალდებების მოხსნა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან თანამშრომლობის დეტალურ ინფორმაციის მიწოდების სანაცვლოდ, ჰოვარდი არ დაეთანხმა ამ წინადადებას. საპასუხოდ გამოძიების ფედერალურმა ბიურომ შეედეთის უშიშროების პოლიციას (სეპო) შეატყობინა ჰოვარდის ადგილმდებარეობა და 1992 წლის აგვისტოს დასაწყისში “სეპო”-ს თანამშრომლებმა შპიონაჟის ბრალდებით დააკავეს ჰოვარდი, თუმცა უკვე აგვისტოს ბოლოს მოუხსნეს ყველა ბრალდება და ის დაუყოვნებლივ რუსეთში გაფრინდა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს მხარე კატეგორიულად მოითხოვდა ჰოვარდის გადაცემას, შეედეთმა იგნორირებით უპასუხა. შეედეთიდან რუსეთში გამგზავრების შემდეგ ჰოვარდის კვალი საბოლოოდ იკარგება.

ედვარდ ჰოვარდზე მნიშვნელოვანი საბჭოთა აგენტი ოლდრიჩ ეიმსი იყო. ის 9 წლის მანძილზე ჯერ საბჭოთა ხოლო შემდეგ რუსეთის დაზვერვას აწვდიდა აშშ-ს ზესაიდუმლო დოკუმენტებს და ინფორმაციას. დღემდე უცნობია სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გავლენის აგენტის ეიმსის ჩავარდნის მიზეზი, თუმცა მისი საქმიანობა მეტად საინტერესო და ექსტრემალური იყო. სუკ-მა ეიმსი 1985 წელს გადაიბირა.

ოლდრიჩ ჰეიზენ ეიმსი დაიბადა 1941 წლის 26 მაისს ქალქ რივერ-ფოლსში, ვისკონსინის შტატში. 1959 წელს სკოლის დამთავრების შემდეგ ოლდრიჩმა ჩიკაგოს უნივერსიტეტში ჩააბარა, მაგრამ მალევე ვაშინგტონში გადავიდა და “ჯორჯ ვაშინგტონ”-ის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. 1962 წელს ოლდრიჩი მუშაობას იწყებს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოპერატიული სამმართველოს არქივის განყოფილების ანალიტიკოსად. მის ფუნქციებში შედიოდა აღმოსავლეთ ევროპაში აშშ-ს დაზვერვის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციების და სადაზვერვო მონაცემების დამუშავება, კოდირება და დაარქივება. საწყის ეტაპზე ეიმსი დაზვერვაში მუშაობის საკითხს განიხილავდა, როგორც უმაღლესში სწავლის საფასურის გადახდის ძირითად წყაროდ, რადგან ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში მაშინაც მაღალი სწავლის გადასახადი იყო. ეიმსმა არქივის განყოფილებაში 5 წელი დაჰყო და შემდეგ გადაწყვიტა ოპერატიული მუშაკი გამხდარიყო. 1967 წლის სექტემბერში

ეიმსმა უნივერსიტეტი საშუალო შეფასებით დაამთავრა და ისტორიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა. მავე წელს ეიმსი ოპერატიულ შტატში ჩასვეს და სპეციალური მომზადების გასაველელად დაუყონებლივე “ფერმა“-ში გაავზავნეს. 1968 წლის ნოემბერში სპეციალური მომზადების გავლის შემდეგ ეიმსი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოპერატიული სამმართველოს სსრკ-ს და აღმოსავლეთ ევროპის ცენტრალური აპარატის განყოფილებაში მიიღეს სამუშაოდ, მან შეისწავლა თურქული ენა, ამავე პერიოდში ის დაქორწინდა თავის დიდი ხნის მეგობარ ქალზე, ნენსი სეგებარტზე, ხოლო ერთ წელიწადში ეიმსი მიველინებით თურქეთში გაავზავნეს, ანკარაში, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს რეზიდენტურაში, სადაც სსრკ-ს და სხვა სოციალისტური ქვეყნების მოქალაქეების ვერბოვკას აწარმოებდა. თურქეთში ეიმსი მოქმედებდა სპეციალური ლეგენდით, აშშ-ს სამხედრო საჰაერო ძალების სამოქალაქოდ მოსამსახურედ. ეიმსმა ანკარაში ვერ გამოიხინა თავი, როგორც აქტიურმა ოპერატიულმა მუშაკმა. 1972 წელს ეიმსის თურქეთში მიველინების დასრულების შემდეგ, რეზიდენტის მოადგილემ დიუი კლერიჯმა ეიმს უარყოფითი დახასიათება მისცა, როგორც ოპერატიული საქმისთვის შეუფერებელი კადრი, რომელსაც შეუძლია მუშაობა მხოლოდ ლენგლიში ოფისის პირობებში. ლერიჯი აღნიშნავდა, რომ ეიმსის ძირითადი პრობლემა იყო ადამიანთან კონტაქტში შესვლა და მათი გადმობირება, რადგან ეიმსი თავად ჩაკეტილი პიროვნება იყო. ასეთმა კრიტიკულმა დახასიათებამ უარყოფითად იმოქმედა ეიმსზე, მან განიცადა აღნიშნული ფაქტი და ერთი პერიოდი დაზვერვიდან წასვლაზეც კი ფიქრობდა, რადგან ოპერატიული მუშაკისთვის ასეთი დახასიათება კარიერული კრახის მომასწავლებელი იყო. 1972 წელს ეიმსი დაბრუნდა აშშ-ში და ლენგლიში საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა. ეიმსის ძირითად ფუნქციებში შედიოდა სპეცოპერატიების დაგეგმვის და ანალიზის წარმოება. ამ ტიპის საქმიანობა ეიმსისთვის უფრო ახლო იყო და ხელმძღვანელობაც მისი საქმიანობის შედეგებს დადებითად აფასებდა.

1974 წელს ლათინოამერიკული განყოფილების უფროსმა ეიმსს შესთავაზა კოლუმბიაში, ბოგოტაში მოქმედი საბჭოთა საელჩოს გადმობირებულ მესამე მდივანთან ალექსანდრე ოგოროდნიკთან მუშაობა. იმსი ოგოროდნიკის კურატორი იყო ამავე წლის სექტემბრამდე, შემდეგ ის მოსკოვში გაიწვიეს. გოროდნიკთან ეიმსის მუშაობა სმიტს იმდენად მოეწონა, რომ მან ეიმსი ნიუ-იორკში წაიყვანა სხვა საბჭოთა აგენტთან სერგეი ფიოდორენკოსთან სამუშაოდ, რომელიც გაეროს სამდივნოს თანამშრომელი იყო. ფიოდორენკოს და ეიმსის ურთიერთობა დადებითად ვითარდებოდა და ბოლოს ისინი დამეგობრდნენ კიდევ. მის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ საბჭოთა დაზვერვის სასარგებლოდ მუშაობის დროს ეიმსმა ფიოდორენკო არ მოიხსენია, როგორც ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ გადმობირებული საბჭოთა აგენტი. 1976 წლიდან ეიმსი აქტიურად მუშაობდა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ნიუ-იორკის განყოფილებაში, სადაც დადღეი ხაასთან ერთად არკადი შევჩენკოს ოპერატორი იყო. არკადი შევჩენკო გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე გახლდათ პოლიტიკურ საკიტხებში და ამავედროულად ჰქონდა საგანგებო და სრულ უფლებიანი ელჩის სტატუსი. 1978 წლის 6 აპრილს შევჩენკომ აშშ-ში დარჩენის გადაწყვეტილება მიიღო, ეიმსმა მისი ნიუ-იორკის კონსპირაციულ ბინაზე გადაყვანა ითავა.

სააგენტოს ბევრი თანამშრომელი აღნიშნავდა, რომ ეიმსისთვის ნიუ-იორკის განყოფილებაში მუშაობის პერიოდი ყველზე წარმატებული იყო. ეიმსის მიმართ

დადებითად იყო განწყობილი ნიუ-იორკის განყოფილების უფროსი როდნი კარლსონი, ეიმსი რამდენჯერმე აიწია კარიერულ საფეხურზე და დაწინაურდა. ეიმსი მეგობრობდა ნიუ-იორკის “პრავდის” კორესპონდენტთა კორპუსის ხელმძღვანელთან თომას კოლესნიჩენკოსთან. ეიმსი რეგულარულად სადილობდა თომასთან, ის მეტად საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა. ეიმსი მოგვიანებით იგონებდა, რომ ბევრი რამ შეიტყო თომასისგან იმის შესახებ, თუ რა იყო სინამდვილეში საბჭოთა კავშირი. ჩვენთვის მეტად რთული წარმოსადგენია, თუ რას შეეძლო მოეხიბლად ეიმსი, საბჭოთა კავშირი ხომ ერთ პარტიული, ტოტალიტარული რეჟიმის ცენზურისა და სუკ-ის მიერ კონტროლირებადი და მართული სისტემა იყო.

ეიმსი ნიუ-იორკში 1981 წლამდე მუშაობდა. ამ დროს ნიუ-იორკის განყოფილების უფროსმა შეახსენა ეიმსს, რომ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომელი ვერ იჯდებოდა მუდმივად მანჰეტენზე ოფისში. ეიმსს რამდენიმე ვარიანტი შესთავაზეს. მან უარი განაცხადა ლაგოსის და მოსკოვის რეზიდენტურაში გამგზავრებაზე და დათანხმდა მექსიკაში მივლინებას. მათე წლის ოქტომბრიდან ეიმსი შეუდგა მეხიკოს რეზიდენტურაში მუშაობას უფროსი ოფიცრის რანგში. მან ვერც მეხიკოში გამოიჩინა თავი, როგორც აქტიურმა ოპერატიულმა მუშაკმა, ვერ შეიძინა ახალი აგენტები. აღნიშნულ პერიოდში ეიმსს კონტაქტი ჰქონდა იგორ შურიგინთან, სუკ-ის მეხიკოს რეზიდენტის მოადგილესთან საგარეო კონტრდაზვერვის ხაზით. ეიმსი შურიგინის გადმობირებას ცდილობდა, 2 წლის მანძილზე ისინი ერთად საუზმობდნენ, სადილობდნენ და ერთად სტუმრობდნენ ბარებს, მაგრამ უშედეგოდ, ეიმსის მიერ ცენტრში გაგზავნილი მოხსენებებიდან ჩანდა, რომ შურიგინი პირიქით ცდილობდა ეიმსის გადაბირებას. შურიგინთან წარუმატებელი კონტაქტის შემდეგ ეიმსი თავს არიდებდა საელჩოდან გასვლას, შეამცირა ოპერატიული ქონტაქტები და მეტად დამოკიდებული გახდა ალქოჰოლზე. 1982 წელს მან რომანი გააბა მეხიკოში მოქმედი კოლუმბიის საელჩოს კულტურის ატაშესთან, მარია დელ ლოსარიო კასას დიუპუისთან, მის მომავალ მეორე მეუღლესთან. არია როსარიო გამოჩენილი კოლუმბიელი წარმომადგენელი გახლდათ რომელსაც მეგობრული ურთიერთობები ჰქონდა კოლუმბიის პრეზიდენტთან ხულიო სეზარ ტურბე ალაისთან. ბოგოტაში ამერიკული სკოლის დამთავრების შემდეგ ის რაღაც პერიოდი სწავლობდა პრინსტონის უნივერსიტეტშიც, ხოლო შემდეგ კოლუმბიაში ანდების უნივერსიტეტში. არია ნიჭიერი პიროვნება გახლდათ, რომელიც რამდენიმე უცხო ენას ფლობდა და დისერტაციას იცავდა ჰეგელის დიალექტიკაზე. 1983 წელს როდესაც ეიმსის მივლინების დრო ამოიწურა მარია გაყვა მას ვაშინგტონში.

მექსიკაში წარუმატებელი მუშაობის მიუხედავად ეიმსი ლენგლიში დაწინაურებული დაბრუნდა, 1983 წელს ის დაინიშნა სსრკ-ს და აღმოსავლეთი ევროპის სამმართველოს კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსად. აღნიშნულ თანამდებობაზე დასანიშნად რეკომენდაცია ნიუ-იორკის განყოფილების უფროსმა როდნი კარლსონმა მისცა. იმსს ჰქონდა ღრმა ანალიზის უნარი, შეეძლო ერთმანეთისთვის დაეკავშირებინა უამრავი ფაქტი, ჰქონდა ინტუიციის გრძობა და იყო გამომგონებლურ-შემოქმედებითი ნიჭის მქონე თანამშრომელი, რომელიც რთული ოპერატიული დავალებების შემუშავებისას თავს ართმევდა ნებისმიერ სიტუაციას. მოგვიანებით ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ინსპექტორი ფრედერიკ ხიტცი ეიმსის საქმესთან დაკავშირებულ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ეიმსს ჰქონდა გონებრივი ლავირების უნარი, ინტელექტუალური ცნობისმოყვარეობა,

მუდამ ეწეოდა თვითგანათლებას, ამუშავებდა ისეთ საკითხებსაც კი, რომებიც მისი სამსახურეობლივი და სპეციალობის ჩარჩოებიდანაც გადიოდა. მეტად მნიშვნელოვანი იყო ეიმსის შესაძლებლობა ოპერატიულ დოკუმენტებსა და ანალიტიკურ ცნობებში აზრების და ინფორმაციის ლოგიკურად ჩამოყალიბების უნარი. არანაკლები იყო მისი უარყოფითი თვისებებიც, მუდამ აგვიანებდა ან საერთოდ არ აგზავნიდა ცენტრში ფინანსური და ოპერატიული ტიპის შეტყობინებებს, არ აცნობებდა ხელმძღვანელობას თავისი საზღვარგარეთ მოგზაურობის და ოპერატიული კონტაქტების შესახებ. ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში მუშაობის პერიოდში ეიმსმა რამდენჯერმე დაარღვია უსაფრთხოების რეჟიმი. 1976 წელს მას მეტროს ვაგონში დარჩა ჩანთა საიდუმლო დოკუმენტებით. 1983 წელს მარია როსარიო მიიყვანა კონსპირაციულ ბინაზე, რასაც სხვა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომლების გამოვლენა მოჰყვა. იმავე წლიდან ეიმსის ალკოჰოლისადმი ქრონიკული პათოლოგია ხელს უშლიდა ელემენტალური დავალებების შესრულებაშიც კი. მიუხედავად ამ მინუსებისა ეიმსი დაინიშნა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსად და ჰქონდა წვდომა ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციაზე, რომელიც ეხებოდა აშშ-ს დაზვერვის მიერ სსრკ-ს წინააღმდეგ მსოფლიოში წარმოებული სპეცოპერაციების შესახებ. ის მონაწილეობდა 1985 წლის აგვისტოს თვეში აშშ-ში სუკ-ის პირველი მთავარი სამმართველოს პოლკოვნიკის ვიტალი იურჩენკოს დაკითხვებში. მ ეტაპზე ეიმსი აქტიურ სადაზვერვო საქმიანობას ეწეოდა. ეიმსი გადავიდა მარია როსარიოსთან ერთად საცხოვრებლად, აპირებდა მასზე დაქორწინებას და დაიწყო პირველ ცოლთან გაყრის პროცესი სასამართლოში. სასამართლო პროცესებს და დოკუმენტების მომზადებას დიდი თანხები დაჭირდა, რის გამოც ეიმსი ვალებში ჩაეფლო. მისი ვალი 50 ათას დოლარს შეადგენდა. აშშ-ს ოფიციალური მხარის აზრით სწორედ ამ სირთულეების შემდეგ შესთავაზა ეიმსმა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს მის ხელთ არსებული შესაძლებლობები. ვაშინგტონში მოქმედი სსრკ-ს საელჩოს მრჩეველი ინფორმაციულ საკითხებში სერგეი დივილკოვსკის აზრით, რომელიც პირადად იცნობდა ეიმსს, აღნიშნავდა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს რიგებში 1984 წლიდან ეიმსის სახით მსახურობდა შეურიგებელი დისიდენტი, ინტელიგენტი, რომელიც ცხოვრებისეული სირთულეების და სისტემის შიგნიდან აღქმის შედეგად ვეღარ შეეგუა აშშ-ს ზრახვებს და იმპერიალისტურ პოლიტიკას. 1985 წლის გაზაფხულზე ეიმსი ჩაერთო სპეცოპერაცია “კორშია”-ში. ეს იყო ცენტრალური სადაზვერვოს სააგენტოს და გამოძიების ფედერალური ბიუროს ერთობლივი ოპერაცია, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებში შეღწევას და მაქსიმალური რაოდენობით აგენტების გადმობირებას. აღნიშნულ ოპერაციაში ეიმსი მონაწილეობდა ოპერატიული ფსევდონიმით “უელსის მდინარე”. ეიმსი ვაშინგტონში აქტიურ კონტაქტებს ამყარებდა საბჭოთა საელჩოს თანამშრომელთან, მათი შემდგომი გადმობირების მიზნით. ის კონტაქტებს შორის იყვნენ უკვე ზემოთ აღნიშნული საბჭოთა საელჩოს მრჩეველი ინფორმაციულ საკითხებში სერგეი დივილკოვსკი და ვაშინგტონში მოქმედი საბჭოთა საელჩოს მრჩეველი განიარაღების საკითხებში სერგეი ჩუვახინი. აღნიშნული ვითარება ეიმსს ხელს უწყობდა მისი განზრახვის განხორციელებაში. 1985 წლის 16 აპრილს ეიმსი უნდა შეხვედროდა ჩუვახინს სასტუმრო მეი ფლაუერში, რომელიც საბჭოთა საელჩოდან ერთი კვარტალით იყო მოშორებული. შეხვედრამდე ეიმსმა დაბეჭდა შემდეგი შინაარსის წერილი: “მე ოლდრიჩ ჰეიზენ ეიმსი ვმუშაობ ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის განყოფილებაში

კონტრდაზვერვის ქვედანაყოფის უფროსად. ვმსახურობდი ნიუ-იორკში ენდი რობინსონის ფსევდონიმით. მჭირდება 50 ათასი დოლარი, სამაგიეროდ გთავაზობთ ინფორმაციას 3 აგენტზე, რომლებსაც ამჟამად გადმობირების მიზნით ვამუშავებთ საბჭოთა კავშირში”. წერილთან ერთად კონვერტში ჩაღო ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს სატელეფონო ცნობარი, სადაც მონიშნა თავისი სახელი, გვარი და თანამდებობა, კონვერტს დააწერა: “გენერალ ანდროსოვს, სუკ-ის რეზიდენტს”. ჩაღო აღნიშნული კონვერტი მეორე სუფთა კონვერტში წარწერის გარეშე და დათქმული დროისთვის გაემართა შეხვედრაზე. ჩუვახინმა 45 წუთი დააგვიანა, ეიმსმა დაარღვია ყველა უსაფრთხოების წესები და საბჭოთა საელჩოში მივიდა, კონვერტი გადასცა დაცვის თანამშრომელს და დაუყონებლივ დატოვა შენობა. მეორე დღეს ეიმსმა მოახსენა თავის უფროსს დევიდ მერფის სსრკ-ს საელჩოში არასანქცირებული ვიზიტის შესახებ და ეს ქმედება ახსნა ჩუვახინის ლანჩზე არ გამოცხადების მიზეზის გაგების ინტერესით.

ეიმსის წინადადება სუკ-მა დიდი ენთუზიაზმით მიიღო. აღნიშნულ პერიოდში საბჭოთა დაზვერვის რიგებში ბევრი აშშ-ს ჯაშუში მოქმედებდა და სსრკ მრავალ მარცხს განიცდიდა საიდუმლო ომის წარმოებისას. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს სსრკ-ს და აღმოსავლეთ ევროპის სამმართველოს კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსის გადმობირება წარმატების ზენიტი იყო. ეიმსის შესახებ საბჭოთა დაზვერვის ვიწრო წრემ იცოდა. ვაშინგტონში მომქმედ საბჭოთა რეზიდენტურაში ეიმსის შესახებ იცოდნენ რეზედიდენტმა სტანისლავ ანდროსოვმა და მისმა მოადგილემ საგარეო კონტრდაზვერვის ხაზით ვიქტორ ჩერკაშინმა. ეიმსის შესახებ ინფორმაციის გაჟონვის თავიდან აცილების მიზნით ჩერკაშინმა ინფორმაცია ცენტრში შიფროგრამით კი არ გააგზავნა, არამედ თავად გაფრინდა მოსკოვში და პირადად სუკ-ის თავჯდომარეს კრიუჩკოვს მოახსენა. სუკ-ში ეიმსის შესახებ ინფორმაციას ფლობდა 8 ოფიცერი, საგარეო საქმეთა სამინისტროში 2 დიპლომატი, ხოლო რაც შეეხება საგარეო დაზვერვის სამსახურს თავად ევგენიმ პრიმაკოვმა მხოლოდ ის იცოდა, რომ ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში არსებობდა ფასეული აგენტი, რომელიც სსრკ-ს ინტერესებში მოქმედებდა. მოსკოვიდან დაბრუნებულმა ჩერკაშინმა ჩუვახინს სთხოვა ეიმსი საბჭოთა საელჩოში მიეწვია და ვიზიტით გაემყარებინათ მასთან კავშირები. ეიმსმა საბჭოთა საელჩოში ვიზიტის შესახებ წინასწარ გააფრთხილა ხელმძღვანელობა და გამოძიების ფედერალური ბიურო. შეხვედრაზე ჩუვახინმა გააცნო ეიმსი ჩერკაშინს, რომელთანაც მოილაპარაკეს შემდეგი კონტაქტის პირობები, ეიმსს დაუყონებლივ გადასცეს 50 ათასი დოლარი. ეიმსის შემდგომი კონტაქტები საბჭოთა წარმომადგენლებთან სრული კონსპირაციის დაცვით მიმდინარეობდა, ის ხვდებოდა მხოლოდ ჩუვახინს, რადგან ის არ იყო სუკ-ის თანამშრომელი და მასთან ურთიერთობა არავითარ ეჭვს არ იწვევდა. თანამშრომლობის პერიოდში ეიმსს შეატყობინეს, რომ მის მიერ გაწეული მილიონი აშშ დოლარით იყო შეფასებული, ის ელოდა, რომ ჯაშუშობისთვის გადაუხდიდნენ, მაგრამ არ ეგონა თუ ასეთ დიდ თანხებს მიაღწევდა მისი კონორარი. საბჭოთა დაზვერვის მიერ გადახდილმა თანხებმა შედეგი გამოიღო, რადგან ეიმსის მიერ მიწოდებული ინფორმაციის წყალობით საბჭოთა დაზვერვის რიგებში დააპატიმრეს 1960-იანი წლებიდან მომქმედი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს აგენტები. 1985 წელს ეიმსმა იქორწინა მარია როსარიოზე, ის თავიანთი ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების მიზეზად ასახელებდა ჩიკაგოდან ჩამოსული ბიზნესმენი მეგობრის რჩევით გაკეთებულ სარფიან ინვესტიციას. ეიმსი სპეცოპერაცია “კორშია“-ის

ფარგლებში რომში მივლინებამდე ხშირად ხვდებოდა ჩუვახინს. 10 თვის მანძილზე ის არ აწვდიდა ანგარიშებს ხელმძღვანელობას აღნიშნული შეხვედრების შესახებ. გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ოფიციალურად მოითხოვა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსგან ეიმსის საქმიანობის შესახებ წერილობითი ანგარიშის მიწოდება, რაზეც ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ იგნორირება მოახდინა. 1985 წლიდან 1986 წლამდე ეიმსი რომის რეზიდენტურაში დანიშნვამდე აქტიურად სწავლობდა იტალიურ ენას. ის რომში 1986 წლის შუა პერიოდში გაემგზავრა. რომში ისევე, როგორც მანამდე სხვა მივლინებებში მან ვერ გამოიჩინა თავი როგორც აქტიურმა ოპერატიულმა თანამშრომელმა, უმატა ალკოჰოლის სმას და ხშირად კაბინეტშიც კი იძინებდა სამუშაო მაგიდაზე. ეიმსი იტალიაშიც განაგრძობდა სუკ-ის წარმომადგენლებთან კონტაქტებს. მასთან შეხვედრებზე მიდიოდა სსრკ-ს რომში მოქმედი საელჩოს თანამშრომელი ალექსი ხრენკოვი. 1989 წელს ეიმსი რომიდან ვაშინგტონში დაბრუნდა და სსრკ-ს და აღმოსავლეთ ევროპის განყოფილებაში კონტრდაზვერვის უფროსის თანამდებობა დაიკავა, სადაც 1990 წლის ოქტომბრის თვემდე მუშაობდა, შემდეგ ის გადაჰყავთ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს კონტრდაზვერვის ცენტრში, სადაც მის ფუნქციაში შედიოდა ანალიტიკური საქმიანობა და სუკ-ში შეღწევის სტრატეგიული გეგმების შემუშავება. 1991 წელს ეიმსი დროებით სამუშაოდ ისევ ბრუნდება სსრკ-ს და აღმოსავლეთ ევროპის განყოფილებაში ე.წ. სუკ-ის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის უფროსად. ჯგუფის ძირითადი მისია იყო საბჭოთა კავშირის სუკ-ის საბოლოო განადგურება. ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში თვლიდნენ, რომ სსრკ-ს 1991 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ სუკ-ი აღვილად შეღწევადი სტრუქტურა გახდა. ოპერატიულ თანამშრომლებს მიზნად დაუსახეს ყველა რესურსის გამოყენებით მიედწიათ რუსეთის პარლამენტის მიერ სუკ-ის პირველი მთავარი სამმართველოს ბიუჯეტის შეკვეცა, ამ ქმედებით საგარეო დაზვერვის მწარმოებელი სამმართველოს პარალიზება იყო განზრახული. აღნიშნული ჩანაფიქრი არ აღმოჩნდა წარმატებული, 1991 წელს ჯგუფი დაშალეს, ხოლო ეიმსი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრში დაინიშნა. იმავე წლის დეკემბრის თვიდან ეიმსმა დაიწყო ცენტრში მუშაობა. ის პასუხისმგებელი იყო შავიზღვისპირეთის ქვეყნებზე და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მის ფუნქციებში შედიოდა ნარკობიზნესთან მებრძოლი აშშ-ს და უცხოეთის სპეცსამსახურების თანამშრომელობის კოორდინაცია და მათ შორის ინფორმაციის გაცვლის ორგანიზება. იმ პერიოდში ეიმსი განაგრძობდა სუკ-თან თანამშრომლობას, ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ლოკალური ქსელიდან მოპოვებულ საიდუმლო ინფორციას გადასცემდა თავის ახალ ოპერატორს იური კარეტკინს. კარეტკინთან შეხვედრები აშშ-ს საზღვრებს გარეთ ხდებოდა. ასე გრძელდებოდა 1994 წლის 21 თებერვლამდე, მის დაპატიმრებამდე. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს და გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა აგენტის ოლდრიი ეიმსის დაპატიმრებამდე 1985-1987 წლებში ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს სსრკ-ში მომქმედი აგენტების ჩავარდნებს 1985 წელს საბჭოთა კავშირში გაქცეულ ჰოვარდს უკავშირებდნენ, მაგრამ შემდეგ ნათელი გახდა, რომ ახალი მარცხის მიზეზი ჰოვარდის შესაძლებლობებს სცილდებოდა. იმავე წლის დეკემბერში ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორმა უილიამ კეისიმ გასცა ბრძანება მიეღოთ ყველა ზომები და გაერკვია ჩავარდნების მიზეზი. ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში შეიქმნა 4 კაციანი ჯგუფი, რომელიც აღნიშნულ საკიტხთან დაკავშირებით არსებული მასალების ანალიზს შეუდგა. 1988 წელს ჯაშუშის ძიების

პროცესი შეჩერდა რადგან ამ პერიოდში იქმნებოდა კონტრდაზვერვის სპეციალური ცენტრი. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს კონტრდაზვერვის თანამშრომლები ჩამოაცილეს აღნიშნული საკითხების ანალიზს და ჩართეს სხვა მისიების წარმოებაში. როგორც ადრე იყო აღნიშნული ყველა ჩავარდნას ჰოვარდის დალატს მიაწერდნენ, მაგრამ 1991 წელს აშშ-ს დაზვერვის მიერ წარმოებული რამდენიმე მნიშვნელოვანი სპეცოპერაციის ჩავარდნის შემდეგ ჯაშუშის ძიება გაორმაგებული ძალებით განახლდა. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით შეიქმნა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს და გამოძიების ფედერალური ბიუროს ერთობლივი სპეციალური ჯგუფი, რომელიც ანალიზებდა ყველა ჩავარდნილი სპეცოპერაციის მონაცემებს. ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს შორის ყოველთვის ტარდებოდა კონკურენცია, მაგრამ ამ ეტაპზე აღნიშნული კონკურენცია სკანდალში გადაიზარდა. გამოძიების ფედერალური ბიუროს ვაშინგტონის განყოფილების უფროსმა რობერტ ბრაიანტმა სასამართლო პროცესით დაემუქრა ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს და დაადანაშაულა ისინი გამოძიების ფედერალური ბიუროსთვის განკუთვნილი ინფორმაციის მიწოდების შეზღუდვაში, მისი აზრით ამ ქმედებით ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს საქმიანობა უფრო ეფექტური აღმოჩნდებოდა და უფრო ეფექტური სამსახურის იმიჯს მოიპოვებდა. აღნიშნული უთანხმოება სპეცსამსახურების მალაჩინოსნებმა მალევე აღმოფხვრეს.

1992 წელს ეჭვიმტანილთა წრე შევიწროვდა და ძირითადი ყურადღება ეიმსზე გადავიდა. გაირკვა, რომ ეიმსი მზვერავისთვის არასტანდარტული საქციელის გამო ჯერ კიდევ 1986 წელს იყო კონტრდაზვერვის ჯაშუშობაში ეჭვიმტანილ პირთა სიაში, მაგრამ აღნიშნული ეჭვი მალევე გააქრო აღმოსავლეთ ბერლინში მყოფმა აგენტმა, რომელმაც ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს გადასცა ინფორმაცია, რომ საბჭოთა სპეცსამსახურებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ცენტრალური კომუნიკაციების სისტემა, რომელიც განთავსებული იყო ქალაქ ვარენტონში სამხედრო ბაზაზე ლენგლისთან ახლოს, აღნიშნული კომუნიკაციის ცენტრი სტრატეგიული ინფორმაციის მატარებელი წყარო იყო და მისი საშუალებით აშშ-ს ყველა განზრახვის წინასწარ გაგება იყო შესაძლებელი. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 1986 და 1990 წლებში ეიმსმა წარმატებით გაიარა სიცრუის დეტექტორზე შემოწმება, თუმცა ექსპერტების აზრით ამ წარმატების მიზეზი გახლდათ ის რომ მას ჩაუტარდა სტანდარტული შემოწმება, აღნიშნულ ეტაპზე “პოლიგრაფ”-ზე მომუშავე სპეციალისტებმა არ იცოდნენ ეიმსის ჯაშუშობაში ეჭვიმტანილის სტატუსის შესახებ. ადაწყდა ეიმსის ფინანსური მდგომარეობის ფარულად შემოწმება. 1992 წლის აგვისტოში შედარებითი ანალიზის გზით დადგინდა, რომ არსებობდა კავშირი ეიმსის საბანკო ოპერაციებსა და საბჭოთა წარმომადგენლებთან შეხვედრის თარიღებს შორის. აღნიშნული კავშირები სპეცოპერაცია “კორშიპ”-ის ფარგლებში ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ 1985 წლიდან იყო სანქცირებული. კონტრმზვერავებმა გაარკვიეს, რომ რომიდან დაბრუნების შემდეგ ეიმსმა იყიდა სახლი არლინგტონში 540 ათას აშშ დოლარად, კოლუმბიაში, ბოგოტასა და კარტახენში მარია როსარიოს სახელზე შეძენილ იქნა 2 ბინა და ფერმა, ამას გარდა ეიმსა იყიდა ავტომობილი იაგუარი და სხვა ფუფუნების საგნები 455 ათას აშშ დოლარად, 165 ათას დოლარად საფონდო ბირჟაზე შეისყიდა აქციები და მარია როსარიოსთვის ფილიპინებშია ჩამოიყვანა მოსამსახურე. ცვლილებებს ამჩნევდნენ ეიმსის თანამშრომლებიც, რომ მას ჰქონდა განახლებული გარდერობი,

ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებდა ძვირიან ფუფუნების საგნებს და არაფერს იკლებდა.

ზემოთ უკვე ხსენებულ ფრედერიკ ხიტცის მოხსენებაში წერია: “ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს და გამოძიების ფედერალური ბიუროს ერთობლივი ანალიზის საფუძველზეგაკეთდა დასკვნა, რომ ადგილი აქვს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს რიგებში ახალი გავლენის აგენტის შეღწევას”.

1993 წელს გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ეიმსის საკითხის გამოძიება დაიწყო, ამავე წლის 23 მაისს გამოძიების ფედერალური ბიუროს ვაშინგტონის კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსმა ლესლი უაიზერმა განკარგულება გასცა ეიმსისთვის ეთვალთვალათ. აღნიშნული დავალების შესასრულებლად გამოიყო კონტრდაზვერვის 8 თანამშრომელი და დიდი რაოდენობით ტექნიკური და მხარდამჭერი ოპერატიული ჯგუფები. ეიმსის სახლის ტელეფონზე გამოძიების ფედერალური ბიუროს ტექნიკოსებმა ფარული შეღწევის შედეგად ჩააყენეს ინფორმაციის გადამცემი მოწყობილობა, ხოლო ეიმსის სახლის მოპირდაპირე მხარეს დააყენეს ფარული კამერა, რომელიც აფიქსირებდა მთელი ოჯახის გადაადგილებას და სტუმრების ვიზიტებს. გარდა ამისა ეიმსის პერსონალურ კომპიუტერზე ხორციელდებოდა მუდმივი კონტროლი, მაგრამ თუ რა საშუალებებით ხორციელდებოდა პერსონალური კომპიუტერის კონტროლი, ეკრანიდან დისტანციურად ინფორმაციის მოხსნით თუ პერსონალურ კომპიუტერში გადამცემი მოწყობილობის ჩამონტაჟების გზით ამ ინფორმაციას გამოძიების ფედერალური ბიურო არ ამხელს. გარეთვალთვალის და სატელეფონო მოსმენის შედეგად დადგინდა, რომ 1993 წლის ზაფხულში შესაძლებელი იყო ეიმსი შეხვედროდა თავის ოპერატორს და გადაეცა საიდუმლო ინფორმაციით სავსე კონტეინერი. ინფორმაციის გადამცემის დღეს ეიმსმა მოახერხა გამოძიების ფედერალური ბიუროს კონტრდაზვერვის თანამშრომლების თვალთვალისგან თავის არიდება და მიმაღვა. მათვე წლის 15 სექტემბერს კონტრდაზვერვამ ეიმსის ნაგვის ტომრის საიდუმლოდ ამოღება მოახდინა, სადაც ნაპოვნი იქნა საფოსტო ბარათზე დაწერილი წერილის ნაგლეჯი, სადაც ეწერა:

“მზად ვარ შესახვერად ბ-ში 1 ოქტომბერს. არ შემიძლია ჩრდილოეთის წაკითხვა 13-19 სექტემბერს. თუ ისევ შემხვდებით ბ-ში 1 ოქტომბერს ნიშანი მიეცით ჩრდილოეთს. ნიშანი არ ყოფილა მიღში. თუ არ შეგიძლიათ 1 ოქტომბერს ჩემთან შეხვერა ანიშნეთ ჩრდილოეთს 27 სექტემბრის შემდეგ მიღში ნიშნის მიცემის საშუალებით”.

როგორც შემდეგში გაირკვა “ჩრდილოეთი” და “მილი” იყო სამალაგების ადგილმდებარეობის დასახელება, “ბ” ესევე ბოგოტა, კოლუმბიის დედაქალაქი, სადაც 1 ოქტომბერს უნდა შემდგარიყო ეიმსის შეხვედრა მის ოპერატორთან. რედერიკ ხიტცი თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ 1993 წლის სექტემბერში ეიმსის ნაგვის ყუთში აღმოჩნდა ოპერატიული წერილი რითაც მტკიცდებოდა ეჭვი, რომ ეიმსი საბჭოთა აგენტი იყო. ამავე წლის ნოემბერში ეიმსის კარაკაში გამგზავრების შემდეგ გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლებმა დააფიქსირეს მისი საბანკო ანგარიშის 86 700 აშშ დოლარის გაზრდის ფაქტი. 1994 წლის 21 თებერვალს გამოძიების ფედერალური ბიუროს კონტრდაზვერვამ ეიმსი სახლთან დააპატიმრა, როდესაც ის ლენგლიდან დაბრუნდა. იმავე დღეს დააპატიმრეს მისი მეუღლე მარია როსარიო. ეიმსის დაპატიმრებას დიდი ხმაური

მოპყვა, არკვევდნენ თუ რა ზარალი მიაყენა ქვეყანას ეიმსის ქმედებებმა, ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს ბრალს სდებდნენ უმოქმედობაში და უუნარობაში. მოსკოვში არაოფიციალური ვიზიტით ჩავიდა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს 2 მაღალჩინოსანი, რომლებიც მოთხოვდნენ ეიმსის რუსეთის დაზვერვასთან თანამშრომლობის ფაქტის აღიარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრობდნენ დიპლომატიური სკანდალით. ზრდილობიანი უარის მიღების შემდეგ ამირეკის მხარემ ლისენკო, რომელიც რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის რეზიდენტი გახლდათ ვაშინგტონში არასასურველ პიროვნებად (პერსონა ნონ გრატად) გამოაცხადეს. რუსეთმა გადადგა საპასუხო ნაბიჯი და არასასურველ პიროვნებად გამოაცხადა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს რეზიდენტი მოსკოვში ჯეიმს მორისი. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დასკვნით ეიმსმა დაახლოებით 12 ამერიკის ჯაშუში გასცა და ჩაშალა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ სსრკ-ს და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ წარმოებული 50 სპეცოპერაცია. ამისათვის ეიმსმა ჯერ სუკ-ისგან ხოლო შემდეგ რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამსახურისგან მიიღო 2,7 მილიონი აშშ დოლარი.

ეიმსის სასამართლო პროცესი სწრაფ და დახურულ ფორმატში ჩატარდა. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო და გამოძიების ფედერალური ბიურო თავს არიდებდნენ ხანგრძლივ სასამართლო პროცესს ნაფიცმსაჯულთა მონაწილეობით, სადაც ბევრი არასასურველი კითხვა დაისმებოდა, მაგალითად აშშ-ს სპეცსამსახურებისთვის ყველაზე არასასურველი კითხვა იყო, თუ როგორ ჯაშუშობდა და მოქმედებდა ეიმსი დაუსჯელად 9 წლის განმავლობაში მათ თვალწინ. 1994 წლის 28 აპრილს ეიმსი გაასამართლეს შპიონაჟისა და გადასახადების გადაუხდელობის გამო და მიუსაჯეს სიცოცხლის ბოლომდე პატიმრობა. ამავე წლის 23 ოქტომბერს მარია როსარიო-ეიმსს ჯაშუშობაში თანამონაწილეობის და გადასახადების გადაუხდელობის ბრალდებით მიუსაჯეს 5 წელი. ოჯახის მთელი ქონება, ამერიკაში მოქმედი ბანკის ანგარიშები, პენსია თუ სხვა ტიპის ფინანსური შემოსავალი ჩამორთმეულ იქნა. ერთადერთი ქონება რომელიც ეიმსებს ვერ ჩამოართვეს ეს იყო ქონება კოლუმბიაში, რაზეც აშშ-ს ხელი არ მიუწვდებოდა. რაც შეეხება ეიმსის სასამართლო პროცესს ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ ფედერალური სასამართლოს პროკურორის საბრალმძებლო სიტყვაზე, მისი მარტივი განმარტებით: “ეიმსის მიერ გაცემული და სსრკ-ში დახვრეტილი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ჯაშუშები შეეწირენ მის სიხარბეს“. ჩვენი აზრით ეიმსი ისეთივე ჯაშუში და მოღალატე იყო, როგორებიც ის სსრკ-ში დახვრეტილი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ჯაშუშები, ისინი ძირითადად ფინანსური ინტერესებით მოქმედებდნენ და სწადიოდნენ ამ ღალატის აქტებს. ეიმსის ჩავარდნის მიზეზებზე კამათი დღესაც აქტუალურია. ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში და გამოძიების ფედერალურ ბიუროში ამტკიცებენ, რომ ეიმსის ჩავარდნა აშშ-ს აღნიშნული სპეცსამსახურების პროფესიონალიზმის და ოპერატიული მუშაობის შედეგი იყო, ხოლო სუკ-ის ყოფილი გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლაი ლეონოვი, რომელიც მრავალი წელი მსახურობდა პირველ მთავარ სამმართველოში ანალიტიკური სამმართველოს უფროსად კატეგორიულად განსხვავებული მოსაზრება გააჩნია:

“მე დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ ეიმსს მოსკოვში უღალატეს, მრავალი წელი მე პირადად ვუძღვებოდი აშშ-ში ჩვენ აგენტურასთან კონტაქტების წარმოებას და უზრუნველყოფას. ბოლო 10 წლის განმავლობაში აღნიშნული

კონტაქტები იდეალურად იყო კონსპირირებული და აწყობილი. ყველა სამხილი, მაკომპრომეტირებული ინფორმაცია, ნაგვის ყუთში ნაპოვნი წერილი და ფუფუნების და უზომო ხარჯების შედეგად ზედმეტი ყურადღების მიქცევის შესახებ სულელების თვალის ასახვევად იყო გამოგონილი. ეიმსი ამხილეს მოსკოვში ცენტრალური დაზვერვის აგენტებმა, პირებმა, რომლებსაც პირდაპირი სამსახურეობრივი კავშირი ჰქონდათ ეიმსის საქმესთან”.

ოლდრინ ეიმსის დალატი აშშ-ს სპეცსამსახურების ისტორიაში მეტად მტკივნეული და რთული საკითხია. აღნიშნული მოვლენების შემდეგ აშშ-ს მთავარ სადაზვერვო უწყებაში დიდი რეორგანიზაცია ჩატარდა. ეიმსის საქმის შემდეგ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო თავისი თანამშრომლებისგან მკაცრად ითხოვდა ყოველწლიური ანგარიშების და ფინანსური დეკლარაციების ჩაბარებას. აღნიშნული პრევენციული ზომების შემდეგ აშშ-ში თვლიდნენ, რომ ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში შეღწევა ამერიიდან შეუძლებელი იყო, თუმცა სპეცსამსახურებს შორის ბრძოლა არ შეწყვეტილა და ორივე ქვეყნის დაზვერვაში მას შემდეგ გადაბირების მრავალი ფაქტი დაფიქსირდა.

ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ რუსეთში გადმობირებული აგენტი, ამავედროულად სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი ლეონიდ პოლიშუკი სიხარბემ გამოააშკარავა. აფრიკიდან მოსკოვში შევებულებით დაბრუნებულმა აშშ-ს დაზვერვის წარმომადგენლებისგან მოითხოვა 20 ათასი რუბლი (იმ დროს 3 ავტომობილის თანხა) რომელიც ამერიკელებს უნდა დაეტოვებინათ სამალავში. სიჩქარეში ამერიკელ დიპლომატს გადაავიწყდა უსაფრთხოების ზომების მიღება თვალთვალის აღმოჩენის მიზნით, სწორედ ეს უყურადღებობა გახდა კონტრდაზვერვის წარმატებული ოპერაციის მიზეზი. რუსეთის კონტრდაზვერვა დიპლომატს აშშ-ს საელჩოდან მიყვებოდა კვალში, ოპერატიულმა მუშაკებმა დააფიქსირეს სამალავის ადგილმდებარეობა, პერიმეტრი აიყვანეს მუდმივ კონტროლზე და პოლიშუკი სამალავიდან თანხის ამოღების მომენტში დააკავეს.

1980-იან წლებში საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა სამხედრო თვითმფრინავები, რომლებიც სხვა სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში გამოიყენებოდა ადვილი სამიზნე გახდა აშშ-ს ზენიტური რაკეტებისთვის. თავიდან წარუმატებლობის მიზეზად უცხოეთის მფრინავების არასაკმარისი მომზადება სახელდებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საბჭოთა მფრინავი-ინსტრუქტორები დაიღუპნენ დაიწყო ფაქტის მოკვლევა. აშშ-ს სამეცნიერო გამოცემების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ხდებოდა საიდუმლო ინფორმაციის გადინება რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სისტემიდან. ორი თვის შემდეგ აგენტი კონტრმზვერავება გაშიფრეს, დახურულ ბიბლიოთეკაში სტრატეგიული ინფორმაციის გამოწერამ და შემდგომ მისი საეჭვო გამოყენების ფაქტის დადგენის მიზნით საქმეში ჩაერთო ჯგუფი „ალფა“, რომელსაც დაევალა აგენტის დამუშავება და აყვანა. ოპერაცია ჩატარდა მეტროს სადგურ „პიონერსკაიას“ მახლობლად ტელეფონის ჯიხურთან, ეს გახლდათ ამერიკის აგენტისა და ამერიკელი მზვერავის წინასწარ დათქმული შეხვედრის ადგილი. დაკავების ოპერაცია უპრობლემოდ ჩატარდა, აშშ-ს საელჩოს მეორე მდივან პოლ სტომბაუსსა და მოსკოვის რადიომშენებლობის საიდუმლო ცენტრის თანამშრომელ ადოლფ ტოლკაჩოვს თან ჰქონდათ ჯაშუშური საქმიანობის დამადასტურებელი ყველა სამხილი.

1991 წლიდან ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ძირითად პრიორიტეტად განისაზღვრა აშშ-სთვის რუსეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე ზემოქმედებისთვის საჭირო გარემოებების შექმნა.

აღნიშნული ისტორიული მაგალითები გვიჩვენებენ თუ რა მოტივებით შეიძლება მოხდეს გავლენის აგენტების გადაბირება ისეთ ძლიერ და შეუღწევად სადაზვერვო სტრუქტურებშიც კი როგორც ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო და ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოებია. აშშ-ს დაზვერვის ისტორიაში ამ ტიპის ფაქტები არც თუ ისე ხშირია, თუმცა აღნიშნული ზესახელმწიფოს დაზვერვის სისტემისთვის ესეც კი მიუღებელია.

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა იდეოლოგიის და კულტურის მქონე ზესახელმწიფოს სადაზვერვო უწყებებში იყო გარკვეული ხარვეზებიც, დამარცხებებიც და გამარჯვებებიც. ვფიქრობთ აღნიშნული ორი ბირთვული სახელმწიფოს დაზვერვის სპეციალური სამსახურის პაექრობა ბუნებრივი ისტორიული კანონზომიერება გახლავთ და იგი დღესაც გრძელდება სახე შეცვლილი ფორმებით.

გამოძიების ფედერალური ბიურო და სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია “ინტერპოლი”

(თანამშრომლობა, სტრატეგია და ძირითადი პრიორიტეტები)

1908წ. აშშ-ს პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა და იუსტიციის მინისტრმა, ამავდროულად გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა ჩარლზ ბონაპარტმა ერთობლივი ძალისხმევით ჩამოაყალიბეს სპეციალური აგენტების ქვედანაყოფი, რომელიც ფედერალური გამოძიების ბიუროს შექმნის წინაპირობად ითვლება. ბიუროს ისტორიისა და რეალობის შესახებ თუნდაც ზოგადი წარმოდგენა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავინახოთ ქვეყნისათვის ამ უმძლავრესი ორგანიზაციის არსებობის უდიდესი მნიშვნელობა. როგორც სტატისტიკური მონაცემებით არის ცნობილი, XX ს. სამართალდარღვევათა დონე აშშ-ში გაცილებით მაღალია, ვიდრე ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში. ადვილი წარმოსადგენია თუ როგორი კრიმინოგენული ვითარება დაისადგურებდა შტატებში, რომ არა ფედერალური გამოძიების ბიუროს მიერ რეგულარული ხასიათის მქონე სპეცოპერაციები. სწორედ სპეცოპერაციებისა და მასიური ხასიათის მქონე წმენდის საშუალებით ხერხდება დამნაშავეთა რაოდენობის მინიმალურ რიცხვამდე დაყვანა და ბალანსირება.

თავდაპირველად ორგანიზაციას დაერქვა გამოძიების ბიურო (BOI), 1932 წელს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა აშშ-ის გამოძიების ბიურო, 1933 წლიდან აშშ-ის გამოძიების ბიურო გაერთიანდა აკრძალვის ბიუროსთან და ეწოდა გამოძიების განყოფილება, ხოლო 1935 წლიდან ეწოდება გამოძიების ფედერალური ბიურო. გამოძიების ბიუროს დირექტორი ედგარ ჰუვერი ცვლილებების შედეგად გახდა გამოძიების ფედერალური ბიუროს პირველი დირექტორი. ჰუვერი აღნიშნულ პოსტზე 48 წელი იმყოფებოდა, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ კანონმდებლებმა ბიუროს დირექტორებს პოსტზე საქმიანობის ვადა 10 წლით განუსაზღვრეს. ედგარ ჰუვერის შემდეგ, რობერტ მიულერი გვბ-ოს მეორე დირექტორია, რომელიც სხვა დირექტორებზე მეტ ხანს ინარჩუნებს თანამდებობას. მიულერი დირექტორის პოსტს 2001 წლის 4 სექტემბრიდან იკავებს.

თითქმის ყველა ქვეყნის დიდი სახელმწიფოებრივი ფორმაცია, ყოველი ძალოვანი სტრუქტურა შექმნისთანავე ატარებს სხვებისაგან განსხვავებულ თვისებათა ელემენტებს. აქვს საკუთარი იდეოლოგია, რომელსაც აუცილებლად უპირისპირდება განსხვავებული აზრის მქონე იდეოლოგიები. სახელმწიფო უშიშროების იერარქიული ორგანოები და სრულყოფილი სახელმწიფოსათვის აუცილებელი დამცავი სტრუქტურაა, რომელიც მეტად კონსერვატიულია და უბრალოდ არ შეიძლება, რომ ყველაფერში ეთანხმებოდეს სოციუმის ისტორიულ ცვლილებებს. სახელმწიფო უშიშროების სპეცსამსახურების ძირითად მიზანს ეროვნული უშიშროების დაცვა და ეროვნული ინტერესების განსაზღვრა წარმოადგენს. ფედერალური გამოძიების ბიურო არ ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი, რომელიმე კონკრეტული მიმართულებით. მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიული არსებობის მანძილზე ბიურო ცდილობდა გაფართოებულიყო და გაეზარდა თავისი მოღვაწეობის სფეროს არეალი. ხანგრძლივი და მასშტაბური რეფორმების შედეგად იგი გადაიქცა ყოველისშემძლე უნივერსალურ სამართალდამცავ ორგანიზაციად, რომელიც კომპეტენტურია ისეთი საკითხების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორიც

არის: ნარკობიზნესი, ტრეფიკინგი, კიდნეპინგი, დაზვერვა, კონტრდაზვერვა, ტერორიზმი, პოლიტიკური ძებნა. ბიურო დაწვრილებით ანალიზებს ყველა მნიშვნელოვან ისტორიულ, პოლიტიკურ თუ კრიმინალურ მოვლენას, რომელიც დამუშავებული და დახარისხებული ინფორმაციის სახით ორგანიზაციის ანალიტიკური დეპარტამენტის საიდუმლო არქივში ინახება.

ფედერალური გამოძიების ბიურო აქტიურად თანამშრომლობს ინტერპოლთან, სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან. ინტერპოლი შეიქმნა 1923 წ. ვენაში სისხლის სამართლის პოლიციის კონგრესზე, როგორც ამ კონგრესის ორგანო. 1930 წ. გამოეყო კონგრესს დამოუკიდებელ ორგანიზაციად II მსოფლიო ომის დასაწყისში ორგანიზაცია ხელში ჩაიგდეს გერმანელებმა. ომის დამთავრებამდე გერმანელებმა გაანადგურეს დოკუმენტაცია და მან ფაქტიურად შეწყვიტა არსებობა. ინტერპოლის მუშაობა 1946 წ. განახლდა, როცა მისი ახალი წესდება მიიღეს. წესდების მიხედვით ინტერპოლი აერთიანებს სხვადასხვა სახელმწიფოების სამართალდამცავ ორგანოებს. ინტერპოლის ამოცანაა დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლა საერთაშორისო მასშტაბით. მისი მთავარი ორგანოა გენერალური ანსამბლეა, რომელიც აეთიანებს ინტერპოლის წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს. აღმასრულებელი ორგანოა გენერალური სამდივნო. ინტერპოლის შტაბ-ბინა პარიზში მდებარეობს.

საერთაშორისო ასპექტში ფედერალური გამოძიების ბიურომ რეაგირება 90-იანი წლებიდან დაიწყო. აღნიშნული ცვლილებები გლობალურ დანაშაულთა რიცხვის ზრდას უკავშირდება. 1994წ. ზაფხულში ჩატარდა საერთაშორისო მნიშვნელობის მთელი რიგი სხდომები და სემინარები, რომლებიც მიექცა მსოფლიო კრიმინალთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან პრობლემურ საკითხებს. შეხვედრებს დაესწრო ამერიკის დიპლომატიურ და სამართალდამცავ უწყებათა ოფიციალური დელეგაცია ფედერალური გამოძიების ბიუროს დირექტორის ლუის ფრის ხელმძღვანელობით და ევროპის 11 ქვეყნის სხვადასხვა უწყების მაღალჩინოსანი პირები. აშშ-ს ფედერალური გამოძიების ბიურო, რომლის ძალაუფლებაც ქვეყნის მთელ მასშტაბებზე ვრცელდება, რადიკალურად განსხვავდება ქვეყნის პოლიციისაგან, რომლის უფლებამოსილება მხოლოდ ლოკალურ ხასიათს ატარებს და არც გამოდის იმის პრეტენზიით, რომ ჩაერთოს კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ მიმდინარე საერთაშორისო ბრძოლაში. ფედერალური გამოძიების ბიუროს სრული იურიდიული უფლება ჰქონდა წარმოედგინა ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურები ინტერპოლში. თუმცა, სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის რიგებში შესვლას ფედერალური გამოძიების ბიურო არ ჩქარობდა, რადგან ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების ყველა მსურველისათვის საკმაოდ სოლიდური საწევრო გადასახადი იყო დაწესებული, რაც საერთაშორისო აპარატის შემდგომ განვითარებას და სრულყოფას ხმარდებოდა. არსებული პირობები ეწინააღმდეგებოდა ედგარ გუვერის პრინციპებს, რადგან გუვერს უცხო ქვეყნების ერთობლივი პოლიციის აპარატის განვითარების მიზნით შეტანილი თანხები დაკარგულად მიაჩნდა. მას ის უარყოფითი მომენტიც ემატებოდა, რომ ინტერპოლის არქივი ვენაში მდებარეობდა, რის გამოც ბიუროს ტერიტორიული სიშორის გამო არ შეეძლო არქივში მოთავსებული მათთვის მნიშვნელოვან საიდუმლო დოკუმენტებზე მუდმივი მუშაობის წარმოება. ბიუროს მხოლოდ ოფიციალური მოთხოვნის შემდეგ ეგზავნებოდა ერთჯერადი კონკრეტული ინფორმაცია, რაც დიდ დროს მოითხოვდა და არაპროფესიონალიზმზე მიუთითებდა. ზემოთ აღნიშნული უარყოფითი მხარეები ბიუროს ნეგატიურ შეხედულებას უქმნიდა ინტერპოლზე. ორგანიზაციებს

ერთმანეთთან ფორმალური ურთიერთობები 1938 წლამდე არ ჰქონდათ დამყარებული. პერიოდულად ბიურო თუ პასუხობდა ინტერპოლის მოთხოვნებზე, რომლის ძირითად მიზანს იმ დამნაშავეთა შესახებ ინფორმაციის მოპოვება წარმოადგენდა, რომლებიც ევროპის სამართალდამცავი ორგანოებისაგან თავს აფარებენ აშშ-ს კონტინენტს.

ფედერალური გამოძიების ბიუროსა და ინტერპოლის ურთიერთობებში დადებითი გარდატეხა მოახდინა 1933 წ. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ ექსტრადიციის ძირითადი პრინციპების დაწესებამ. საერთაშორისო კანონი აღიარებს ექსტრადიციის უფლებას მხოლოდ ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში. უცხო ქვეყნის ხელისუფლებას შეუძლია, თუ ეს შეესაბამება ქვეყნის კონსტიტუციასა და ქვეყნის კანონებს, გადასცეს დამნაშავე იმ ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს, რომელი ქვეყნიდანაც ის დანაშაულის ჩადენის შემდეგ გაიქცა. კრიმინალური სამყაროს კავშირების ტრანსატლანტიკურ დონეზე გაფართოებამ ფედერალურ ბიუროს ინტერპოლთან თანამშრომლობის აუცილებლობა დაანახა. 1936წ. იანვარში ბიურომ არსებობის მანძილზე პირველად გამოაქვეყნა სტატია კიდნეპერების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ინტერპოლის ჟურნალში სახელწოდებით „საერთაშორისო საზოგადოების უსაფრთხოება“. ეს გახლავთ ოპერატიულ-ინსტრუქციული ჟურნალი, რომელიც განკუთვნილია ევროპისა და რამდენიმე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიციის სპეციალური საერთაშორისო დეპარტამენტისათვის. 1936-1937 წ.წ ფედერალურმა ბიურომ ინტერპოლის ყოველწლიურ გენერალურ ასამბლეაზე დამკვირვებლად საგანგებოდ შერჩეული აგენტები გააგზავნა. დელეგატები ქვეყანაში დადებითი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ და ორგანიზაციის მუშაობის შესახებ მეტად პოზიტიური შემაჯამებელი მოხსენება გააკეთეს. აღნიშნულ პერიოდში საერთაშორისო კრიმინალური პოლიცია უკვე მეტად სერიოზული პროფესიონალებით დაკომპლექტებულ სისტემას წარმოადგენდა, რომლის რეპუტაცია ჯერ არ იყო შელახული გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მიერ მოხდენილი ზეგავლენის გამო.

1938წ. 10 ივნისს აშშ-ს კონგრესმა სპეციალური აქტით დაადგინა, რომ აშშ-ს გენერალური პროკურორი საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის კომისიაში გაწევრიანების შემდეგ წარმოადგენდა აშშ-ს მხარეს და გამოხატავდა ქვეყნის ინტერესებს ინტერპოლში. ამ აქტის ერთ-ერთ საიდუმლო პუნქტს წარმოადგენდა ედგარ გუვერის საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის კომისიაში სპეციალურ წარმომადგენლად დანიშვნის ოფიციალური გადაწყვეტილება. ყოველივე ამას დაემატა მეტად მნიშვნელოვანი ქვეპუნქტი, რომლითაც ფედერალური გამოძიების ბიურო აშშ-ს ერთადერთი ძალოვანი უწყება იქნებოდა, რომელიც ითანამშრომლებდა ინტერპოლის კომისიასთან. ამ ორ ორგანიზაციას შორის თანამშრომლობა 1941წ. ბოლომდე გრძელდებოდა კონკრეტულად, აშშ-სა და გერმანიას შორის ომის გამოცხადებამდე. ინტერპოლი ამ დროს ნაცისტების სრული კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა. ორგანიზაციის პრეზიდენტად დაინიშნა გეიდრიხი, რომლის მითითებით ინტერპოლის შტაბ-ბინა ბერლინის გარეუბანში (ვანზეაში) გადავიდა. ედგარ გუვერმა გეიდრიხის ქმედების საპასუხოდ გასცა განკარგულება, რომ ბიუროს აღარ გაეგზავნა ოპერატიული კორესპონდენციები ინტერპოლისათვის, რადგან ქვეყნებს შორის არსებული დაძაბული ვითარება დღითიდღე რადიკალურ სახეს იღებდა. შექმნილი ვითარების გამო, უწყებებს შორის შეწყდა ურთიერთობები, რაც ომის შემდგომ პერიოდშიც კი ხანგრძლივი დროის მანძილზე არ განახლებულა. მის პერიოდში ნაცისტური მთავრობის მიერ მოდიფიცირებული

ინტერპოლი აგრძელებდა ფუნქციონირებას. გეიდრიხის შემდეგ ინტერპოლის კომისიის პრეზიდენტის პოსტზე სამხედრო დამნაშავე კალტენბრუნერი დაინიშნა. მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ინტერპოლის გენერალი მდივანი ოსკარ დრესლერი ანშლიუსის შემდეგ, ნაცისტების დირექტივების შემსრულებელი გახდა.

1946წ. 3 ივნისს ბელგიის უშიშროების სამსახურის გენერალური ინსპექტორის ფლორან ლუჟოვის ხელმძღვანელობით ჩატარდა ინტერპოლის კომისიის მე-15 გენერალური ასამბლეის სხდომა, რომელზეც საგანგებოდ მოწვეული ედგარ გუვერი არ გამოცხადდა. ფედერალური გამოძიების ბიუროს დირექტორმა თავის ოფიციალურ მოხსენებაში სხდომაზე არგამოცხადების მიზეზად საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ომის შემდეგ გარდაქმნილი სისტემის ახალ იდეოლოგიასა და სტრატეგიულ მიზნებში გაურკვეველობა დაასახელა. აშშ-ს კრიტიკული განცხადების მიუხედავად, ედგარ გუვერი აღნიშნულ ასამბლეაზე ინტერპოლის ვიცე-პრეზიდენტთა შეიდეულში მაინც შევიდა, ორგანიზაციის პრეზიდენტად ფლორან ლუჟოვი აირჩიეს, გენერალური მდივნის პოსტი ლუი დიუკლემ დაიკავა, ხოლო იურიდიული დეპარტამენტის უფროსად სიურტე ნაციონალი დაინიშნა. ფედერალური გამოძიების ბიუროს დირექტორი და ამავე დროს უკვე ინტერპოლის ვიცე-პრეზიდენტი ედგარ გუვერი პრეტენზიას აცხადებდა ბიუროსადმი უნდობლობის გამო. იგი საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის განახლებულ საიდუმლო არქივებზე დაწესებული შეზღუდვების მოხსნას და ოპერატიულ მასალებზე სამუშაოდ ბიუროს თანამშრომლების შეუფერხებელ დაშვებას მოითხოვდა. აღნიშნული ორგანიზაციის საიდუმლო არქივში არსებული მასალების ნაწილი ომის პერიოდში ნაცისტებმა გაანადგურეს, ხოლო დანარჩენის ადგილსამყოფელი ხანგრძლივი დროის მანძილზე ყველასათვის უცნობი იყო. 1945წ. შემოდგომაზე ფედერალური გამოძიების ბიურომ მოიპოვა ინფორმაცია, რომ საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის არქივი ბერლინში ინახებოდა. აღნიშნული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, ფედერალურმა ბიურომ გამოძიების ჩატარება მოითხოვა. ბერლინში მყოფმა აშშ-ს ჯარების უსაფრთხოების სამსახურის დირექტორის მოადგილემ ფედერალურ ბიუროს აცნობა არქივის ზუსტი ადგილმდებარეობა. ერლინიდან მიღებული ინფორმაციის ხანგრძლივი გადამოწმებისა და შესწავლის შედეგად ფედერალურმა ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღნიშნულ არქივში არსებული მასალები თითქოს გაუფასურებული იყო და ვაშინგტონში მათ გადაგზავნას არავითარი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. არქივის შემდგომი ადგილსამყოფელი კვლავ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უცნობი იყო, რადგან ის სინამდვილეში სამი წლის მანძილზე მუშავდებოდა აშშ-ს სპეც-სამსახურების მიერ. შემდეგ გაშიფრული და უკვე გაუფასურებული ინფორმაციით დაკომპლექტებული არქივის მასალები გადაიგზავნა პარიზში ინტერპოლის ახალ შტაბ-ბინაში. აღნიშნული არქივის კარტოტეკებში 15000 დოსიე ინახებოდა. ომის დამთავრების შემდეგ არაერთი სასამართლო პროცესი ჩატარდა გერმანელი ნაცისტების დასასჯელად. სასამართლო პროცესების ამსახველი ყველა ეს ინფორმაცია და სხვა არაერთი კომპრომატი, რა თქმა უნდა, მეტად მნიშვნელოვანი იყო როგორც აშშ-ისთვის, ისე მისი მოკავშირეებისთვისაც.

1947 წლიდან ფედერალური გამოძიების ბიუროსა და ინტერპოლს შორის თანამშრომლობა ისევ განახლდა. ინტერპოლის გენერალურ ასამბლეაზე ედგარ გუვერის დავალებით მოხსენებით გამოვიდა სპეციალური წარმომადგენელი, პარიზში მდებარე აშშ-ს საელჩოს იურიდიული ატაშე. ამ შეხვედრაზე ინტერპოლში შემავალმა ქვეყნებმა თანამშრომლობის დეკლარაცია განაახლეს. თანამშრომლობის

შესახებ დეკლარაციის განახლებამ მაინც ვერ შეაჩერა მომავალში მოსალოდნელი პრობლემური სიტუაციის მოახლოება. ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი, რომელიც უარყოფითად აისახა გუვერის უწყებაზე იყო „ცივი ომის“ ანუ საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავება და ბირთვული ომის საფრთხე.

1948წ. სექტემბერში პრავდაში ჩატარებულ ინტერპოლის რიგით მე-17 კომისიის ასამბლეაზე ორგანიზაციის წესდება შეამკეს ფრაზით, რომელმაც ანტიკომუნისტური პათოლოგიის მქონე გუვერი შეძრწუნებული დატოვა. ასამბლეაზე აღინიშნა, რომ ორგანიზაცია მოქმედებდა შემდეგი პრინციპით, იგი არ ერეოდა პოლიტიკურ და რელიგიურ-რასობრივი ხასიათის მატარებელ პრობლემურ საკითხებში. ფედერალური გამოძიების ბიურომ პროტესტის ნიშნად არ მიიღო მონაწილეობა პრავდის ასამბლეაზე. აშშ-ს წარმომადგენელი ასამბლეაზე არ იმყოფებოდა იმ მიზეზით, რომ ინტერპოლში შემაგულ რამდენიმე ქვეყანაზე ვრცელდებოდა საბჭოთა კავშირის გავლენა. ინტერპოლს არ ჰქონდა უფლება მიეღო მომავალი სამოქმედო გეგმა ორგანიზაციაში შემაგული რომელიმე ქვეყნის წარმომადგენლის გარეშე, ე.ი ფედერალური გამოძიების ბიუროს წარმომადგენლის ასამბლეის სხდომებში მონაწილეობას საერთო საქმის ინტერესები მოითხოვდა. თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო დონის საკითხები, როგორცაა კონტრაბანდა, ნარკოტიკებისა და ყალბი კუპიურების ტრანსპორტირების მეტად პრობლემური საკითხების წინააღმდეგ ბრძოლა შედიოდა აშშ-ს საბაჟო სამსახურის, საიდუმლო სპეცსამსახურებისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ადმინისტრაციის კომპეტენციაში. აღნიშნული ორგანიზაციები იმყოფებოდნენ აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს იურისდიქციის ქვეშ. მიტომაც ინტერპოლის ხელმძღვანელმა წრეებმა პირდაპირ აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს შესთავაზეს თანამშრომლობა, რაზეც თანხმობა მიიღეს. 1949წ. ბერნში ჩატარებულ ინტერპოლის კომისიის გენერალურ ასამბლეაზე მიწვეული იყო აშშ-ს ორი უწყების თანამშრომელი: ერთი ფედერალური გამოძიების ბიუროდან, მეორე ფინანსთა სამინისტროდან. ჰააგაში ჩატარებულ მომდევნო ასამბლეაზე აშშ-ს საიდუმლო სამსახურისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი დეპარტამენტის წარმომადგენლებს უკვე მინიჭებული ჰქონდათ ოფიციალური დელეგატის სტატუსი, რაც ბიუროს ინტერპოლიდან გამოსვლის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად იქცა. ამ ცვლილებების შემდეგ 1938 წლის კანონში შესწორება გაკეთდა, რომლის ძალითაც აშშ-ს გენერალურ პროკურორს უფლება ეძლეოდა ნებისმიერი სამინისტრო თუ უწყება დაესახელებია ქვეყნის ოფიციალურ წარმომადგენლად ინტერპოლში.

ფედერალური გამოძიების ბიუროსა და ინტერპოლს შორის ურთიერთობის გააქტიურება მომდევნო წლებში ვერც რობერტ კენედიმ შეძლო პროკურორის ამპლუაში ყოფნისას. თუმცა, ამ პერიოდში ქვეყანაში უკვე ფუნქციონირებდა ოფიციალური წარმომადგენლობა, აშშ-ს სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ცენტრალური ნაციონალური ბიურო, რომელიც მხოლოდ ედგარ გუვერის გარდაცვალების შემდეგ, შევიდა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში. აშშ-ს ინტერპოლის ცენტრალური ნაციონალური ბიუროს მოღვაწეობაზე პასუხისმგებლობას ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროები ინაწილებდნენ. ფედერალური გამოძიების ბიუროს საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ცენტრალური ნაციონალური ბიუროს საქმეებში მონაწილეობა და მასზე კონტროლი ყოველ წელს ძლიერდებოდა. უპირველეს ყოვლისა, ამ მოვლენების ხელისშემწეობი გახლდათ 70-იანი წლებში აშშ-ში კრიმინალური სფეროს ტრანსნაციონალური ასპექტების კიდევ უფრო სწრაფად ზრდა. 80-იან წლებში

კრიზისმა ინტერპოლიც კი მოიცვა. გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა და კანადა უკვე ახალი ალტერნატიული ორგანიზაციის შექმნაზე მუშაობის დაწყებას აპირებდნენ, რომ სიტუაცია დარეგულირდა და ორგანიზაციამ ჩვეულ რიტმში განაგრძო მუშაობა. ფედერალურ ბიუროსა და ინტერპოლს შორის დაახლოებასა და მათ ნაყოფიერ მუშაობაში დიდი წვლილი შეიტანა 1981წ ვაშინგტონის სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ცენტრალური ნაციონალური ბიუროს ხელმძღვანელმა რიჩარდ სტეინერმა. იგი აღნიშნავდა, რომ ინტერპოლი ძალიან დიდ როლს ასრულებდა მრავალი ქვეყნის სამართლებრივ ცხოვრებაში: ინტერპოლი რომ არ არსებობდეს, ჩვენ მოგვიწევდა მისი შექმნა. მაგრამ, რადგან ასეთი უკვე არსებობს უმჯობესი იქნება უკვე არსებული ორგანიზაციის მოდერნიზება და მისთვის რაღაც უნივერსალური სტრუქტურის სახის მიცემა. 1982წ. ოქტომბერში აშშ-ს საიდუმლო სამსახურის ახალი დირექტორი ჯონ სიმფსონი აირჩიეს ინტერპოლის ვიცე-პრეზიდენტად, ხოლო სამი წლის შემდეგ 1985წ. იგი აშშ-ს ინტერპოლის ნაციონალური ბიუროს პირველი პრეზიდენტი გახდა. ამერიკის ინტერპოლის ცენტრალური ბიუროს ბიუჯეტი აღნიშნულ წლებში 125 ათასი დოლარი 6 მილიონამდე გაიზარდა, რამაც ხელი შეუწყო ორგანიზაციის განვითარებას. ფედერალური გამოძიების ბიუროს თანამშრომლებმა ინტერპოლში ახალი სამუშაო ეტაპი მსოფლიოს ნომერ პირველი საფრთხის გლობალური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიული გეგმის დამუშავებით დაიწყეს. იუროს სპეციალური აგენტი დონ ლევი, რომელიც ბიუროში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიაზე 10 წლის მანძილზე მუშაობდა, 1984 წ. დაინიშნა საფრანგეთში მდებარე აშშ-ს საელჩოს იურიდიულ ატაშედ. 1985წ. ოქტომბრიდან დონ ლევი სამუშაოდ გადაიყვანეს სენ-კლუში მდებარე ინტერპოლის გენერალურ სამდივნოში. 1987 წლიდან კი ის ხელმძღვანელობდა სპეციალურ ანტიტერორისტულ ჯგუფ TE-ს. სპეცსამსახურების ოპერატიული მონაცემებით, XX საუკუნეში ტერორისტული აქტების შედეგად დაიღუპა 70-ზე მეტი სახელმწიფოს მეთაური და 600-მდე სახელმწიფო მოღვაწე. ბოლო წლებში ტერორისტული აქტების მსხვერპლი იზრდება. შექმნილია დაქირავებულ მკვლელთა სინდიკატები, ბევრგან, განსაკუთრებით, არაბულ ქვეყნებში, სპეციალურ სკოლებში ამზადებენ ტერორისტ თვითმკვლევებს (კამიკაძე), რომელთა გამოვლენა მეტად ძნელია. თანამედროვე ტერორიზმი, როგორც წესი, ამჟამად გამოკვეთილად რელიგიურ და ეთნიკურ ხასიათს ატარებს. ტერორიზმის ყველაზე მძიმე და საშიში ფორმაა სახელმწიფო ტერორიზმი. ეს არის XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული მოძრაობა, რომელმაც თითქმის ყველა ქვეყნის საზღვრებს მიაღწია.

XXI საუკუნის დასაწყისში გამონაკლისი შემთხვევების გარდა ტერორიზმისა და კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ მებრძოლ კოალიციაში შემავალი სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები უმკლავდებიან როგორც სხვადასხვა ტიპის ორგანიზებულ დანაშაულებრივ სინდიკატებს, ასევე ტერორიზმის ყოველგვარ გამოვლინებას.

გამოძიების ფედერალური ბიუროს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებათა ანალიზის ეროვნული ცენტრი

გამოძიების ფედერალური ბიურო (FBI) ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის შემადგენელი ნაწილია. მისი ძირითადი ფუნქციებია ფედერალური სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება და ქვეყნის შიგნით უსაფრთხოების უზრუნველყოფა და კონტრდაზვერვა. FBI-ი შეიქმნა 1908 წლის 26 ივლისს 104 წლის წინ. 2012 წლის 29 თებერვლის მონაცემებით ბიუროს თანამშრომელთა რაოდენობა 35, 664 გახლდათ. 2011 მონაცემებით მისი წლიური ბიუჯეტი 7.9 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა. 1976 წელს მიღებული კანონით ბიუროს დირექტორი ინიშნება 10 წლის ვადით, მას ნიშნავს პრეზიდენტი სენატის თანხმობით. 1981 წლის 4 დეკემბერს პრეზიდენტის მიერ გამოცემული დირექტივით გამოძიების ფედერალური ბიურო ყველა სახელმწიფო უწყებაზე ანხორციელებს კონტრდაზვერვით მონიტორინგს, მათ შორის დაზვერვის ცენტრალურ სააგენტოსა და თავდაცვის დეპარტამენტზე.

„ერთგულება, სიმამაცე, პატიოსნება“ ბიუროს ოფიციალური დევიზია. გამოძიების ფედერალური ბიუროს ოპერატიული კავშირის ცენტრები 40-დე ქვეყანაში ფუნქციონირებს, ცენტრი განთავსებულია ამერიკის საელჩოში, მას ხელმძღვანელობს ბიუროს წარმომადგენელი სამართლებრივი ატაშეს რანგში. ბიუროში მიუღებელია რაიმე ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია, იქნება ეს: სქესი, რასა, ეთნიკური კუთვნილება თუ ინვალიდობა.

FBI-ის სტრუქტურულიდან მეტად საინტერესო და სპეციფიკური გახლავთ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებათა ანალიზის ეროვნული ცენტრი (NCAVC) (National Center for the Analysis of Violent Crime) რომელიც FBI-ის კრიტიკულ ინცინდენტებზე პასუხისმგებელი ჯგუფის (CIRG) (Critical Incident Response Group) შემადგენლობაშია. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებათა ანალიზის ეროვნული ცენტრი იძიებს ისეთ მძიმე დანაშაულებებს, როგორებიცაა: სერიული მკვლელობები, მცირეწლოვანი ბავშვების გატაცება ან ექსპლუატაცია, კონკრეტულ შემთხვევებში ტერორიზმის ფაქტებს, სერიულ გაუპატიურებებს და სხვადასხვა ტიპის შანტაჟს. ცენტრს გააჩნია დიდი ტექნიკური და საინფორმაციო ბაზა, რომელიც სხვადასხვა ტიპის პროფაილებით (ფსიქოლოგიური პროტრეტი) და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციით არის დატვირთული.

საზოგადოებაში ხშირად ცენტრის თანამშრომლებს პროფაილერებს უწოდებენ, კრიმინალური პროფაილი ნიშნავს ზოგადად პიროვნების ან დამნაშავის ფსიქოლოგიურ პროტრეტს. ცენტრში გარდა პროფაილების შექმნისა მიმდინარეობს საფრთხეების შეფასება, დანაშაულის ანალიზი, გამოძიების სხვა ორგანოებისათვის მხარდაჭერა გამოძიების პროცესში ცენტრის მიერ მომზადებული პროფაილებით, აქტუალურია აგრეთვე ინტერვიუს ან დაკითხვის სტრატეგია, სასამართლო პროცესის მომზადებისა და დევნის სტრატეგია, ექსპერტების ჩვენება, ექსპერტის კოორდინაცია და სხვა დამატებითი ოპერატიული რესურსები და კომპონენტები.

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებათა ანალიზის ეროვნული ცენტრის შექმნის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა ამერიკის პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა 1984 წლის 21 ივნისს. ცენტრის დაარსების დღიდან მრავალი მძიმე დანაშაულია

გახსნილი, ხოლო პრევენციული ზომების შედეგად მრავალი დანაშაული იქნა აღკვეთილი.

FBI-ის ანალიზისა და კვლევის ეროვნული ცენტრი დანაშაულის ძიების პროცესში ძირითად აქცენტებს ახდენს პროფაილინგზე და ვიქტიმოლოგიაზე. ვიქტიმოლოგია არის კრიმინოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის დანაშაულის მსხვერპლის როლს დანაშაულში. იგი სწავლობს ყველაფერს, რაც დაკავშირებულია დაზარალებულ პიროვნებასთან, კერძოდ მის ფსიქოლოგიურ, მორალურ თუ ფიზიკურ თვისებებს. როფაილინგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ არის დამნაშავის ფსიქოლოგიური პროტრეტი, გამოძიების მსვლელობისას მეტად მნიშვნელოვანი დეტალი. დანაშაულის ადგილზე შეიძლება იყოს უამრავი დეტალი, რომლის თავისებურებებიდან გამომდინარე სასამართლო ექსპერტის მიერ ამოღებული კვალის ანალიზის საფუძველზე კვლევისა და ანალიზის ეროვნული ცენტრის აგენტებს შეუძლიათ დაადგინონ მისი ჩამდენის ვინაობა დანაშაულის სპეციფიკური ხელწერის მიხედვით.

კრიმინალური პროფაილინგი გამოიყენება ფსიქოპატების და სერიული მკვლელების ძიების პროცესში, აგრეთვე მოძალადეთა და სერიულად ხანძრის წამკიდებელთა ვინაობის დადგენის დროს. ყოველ დამნაშავეს დანაშაულის ჩადენის ინდივიდუალური ხელწერა გააჩნია. ხელწერის საშუალებით ირკვევა თუ რა ტიპის არის დამნაშავე: ორგანიზებული, დეზორგანიზებული, თუ შერეული ტიპის. ორგანიზებული დამნაშავე ქრონოლოგიურად, დეტალურად და გააზრებულად ამზადებს თავის სასტიკ ქმედებას. ისინი ძალიან გონიერები არიან და როგორც წესი აღნიშნული მიდრეკილება ძალადობისადმი გამოწვეულია სტრესული სიტუაციებით ან ფსიქოლოგიური წნეხის შედეგად. ისინი ადვილად არსებობენ სოციუმში და ნაკლებად შესამჩნევია მათი ფსიქოლოგიური გადახრები.

სპონტანურ დანაშაულს დეზორგანიზებული დამნაშავე სჩადის სხვადასხვა დროს და გაუთვალისწინებელ ადგილსა და სიტუაციაში. დეზორგანიზებული დამნაშავე ცხოვრობს მარტო, რის გამოც არის კარგი დამკვირვებელი, ის ცხოვრობს ან მუშაობს შემთხვევის ადგილიდან ახლოს. ის აკვირდება მსხვერპლს სწავლობს მას, მაგრამ ზუსტად არ იცის თუ სად და როდის აისრულებს მის ფანტაზიას. დიას ამ ტიპის ადამიანები სოციუმისთვის საფრთხეს წარმოადგენენ, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ისინი ფსიქიურად ავადმყოფები და შეურაცხადები არიან, რადგან მათ ქმედებებს ხშირად ვერანაირ ლოგიკურ ახსნას ვერ უპოვი და იგი წარმოადგენს მათი დეგრადირებული ფანტაზიის ნაყოფს.

აღნიშნული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლისათვის აუცილებელია კვალიფიციური კადრები. გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები, გამოძიების ფედერალური ბიუროს აკადემიაში გადიან სპეციალურ მომზადებას. კადემიის დამთავრების შემდეგ და ბიუროს სხვა დანაყოფებში სამწლიანი მუშაობის შემდეგ საჭიროების შემთხვევაში ან საკუთარი ინიციატივის შემთხვევაში აგენტებს ეძლევათ უფლება იმსახურონ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებათა ანალიზის ეროვნულ ცენტრში.

გამოძიების ფედერალური ბიუროს მთავარი სასწავლო ცენტრი „გამოძიების ფედერალური ბიუროს ეროვნული აკადემია“ გაიხსნა 1972 წლის მაისში. იგი განთავსებულია აშშ-ს სამხედრო საზღვაო ქვეითი ძალების ბაზაზე ქალაქ

კუანტიკოში, ვირჯინიის შტატში. აკადემიის ძირითადი კომპლექსი შედგება: საერთო საცხოვრებელი, სასადილო, ბიბლიოთეკა, სასწავლო კორპუსი, სამეცნიერო კვლევების და სავარჯიშო ცენტრი, 1000 ადგილიანი აუდიტორია, ეკლესია, ადმინისტრაციული ოფისები, დიდი სპორტული დარბაზი და სტადიონი, სპეციალური ტექნიკით და მანქანებით აღჭურვილი ავტო ფარეხით. ძირითადი დანამატია პატარა ქალაქი „ხოგანს ელი“, რომელიც ქმნის ამერიკული ქალაქის იმიტაციას და გამოიყენება ბიუროს ახალბედა თანამშრომელთა ტაქტიკური და ოპერატიული მოქმედებების დასახვეწად. აკადემიის შტატი რამდენიმე ასეულ სპეციალურ აგენტსა და აგენტ-ინსტრუქტორს ითვლის. თითქმის ყველა ინსტრუქტორს სპეც-პედაგოგის სტატუსი აქვს მინიჭებული ვირჯინიის უნივერსიტეტის მიერ.

არის პერიოდი, როდესაც კვლევისა და ანალიზის ცენტრის აგენტები ჩვეულებრივ ხანგრძლივ სამუშაო დღეს ოფისში ატარებენ, ეს ხდება მაშინ როდესაც არ ისმის ზარი პროკურატურიდან, ან პოლიციის დეპარტამენტიდან ან მუნიციპალიტეტიდან, ზარი რომელიც ახალი შემთხვევის შესახებ ატყობინებს ჯგუფს, ასეთ მშვიდ პერიოდში ცენტრში ლაბორატორიულად ამუშავებენ დანაშაულის ადგილიდან ამოღებულ ნივთებს ან დნმს, აანალიზებენ დანაშაულის ადგილზე გადაღებულ ფოტოებს და ერთმანეთს უზიარებენ პროფესიულ მოსაზრებებს, ისინი უკავშირებენ სხვადასხვა ფაქტებს და ქმნიან დანაშაულის სურათს რათა ჩაწვდნენ დანაშაულის მოტივს, დროულად დააკავონ დამნაშავე, გახსნან საქმე და მოახდინონ შემდეგი დანაშაულის პრევენცია. აღნიშნული საქმიანობა ანალიტიკურ და ფსიქოლოგიურ სპეციალურ განათლებას, გამოცდილებას და პრაქტიკას მოითხოვს. ცენტრის თანამშრომლები ერთიანდებიან პროფესიულ ასოციაციებში, მონაწილეობენ სპეციფიკური საქმიანობის თემატიკასთან დაკავშირებულ სამეცნიერო კონფერენციებში, აგრეთვე ცენტრის ანალიტიკურ ჟურნალებში აქვეყნებენ ზოგადი ფსიქოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილ სტატიებს. გამოძიების ფედერალური ბიუროს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებათა კვლევებისა და ანალიზის ცენტრს განსაკუთრებული და რთული მისია აქვს დაკისრებული, იგი მაღალი იმიჯით სარგებლობს აშშ-ს სახელმწიფო წრეებსა და საზოგადოებაში.

შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტი

2002 წლის ივნისში, 9/11-ის მოვლენების შემდეგ აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ოფიციალურად წამოაყენა წინადადება ახლო მომავალში უსაფრთხოების დამცველი ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბების შესახებ, ფაქტიურად ეს გახლდათ „ქვეყნის შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტი“ ქვეყნის შიგნით მომქმედი სტრუქტურა (Department of Homeland Security). 2002 წლის 25 ნოემბრის კონგრესის მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე უშიშროების უზრუნველყოფის აქტის მიღების შემდეგ უკვე იურიდიულად დამტკიცდა ამ ორგანოს შექმნა. შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის აქტი შედგება 17 თავისგან და განსაზღვრავს დეპარტამენტის სტრუქტურას, მისიას და პრიორიტეტებს. 2003 წლის 1 მარტიდან აღნიშნულმა უწყებამ დაიწყო თავისი საქმიანობა. აღნიშნული ორგანოს ხელმძღვანელად დაინიშნა ყოფილი საზღვაო ქვეითი, პენსილვანიის შტატის ყოფილი გუბერნატორი და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მეგობარი ტომ რიჯი.

უწყების ოფიციალური მონაცემებით დეპარტამენტში დასაქმებულია 240 000-ზე მეტი თანამშრომელი და მოსამსახურე. დეპარტამენტის 2010 წლის ბიუჯეტი 55 მილიარდი გახლდათ, ხოლო 2012 წლის ბიუჯეტი 60.5 მილიარდი აშშ დოლარია. შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტში მრავალი სააგენტო და ოფისი შედის, რომელთა უმრავლესობა აღნიშნულ სტრუქტურაში ინტეგრაციამდე და მის შექმნამდეც არსებობდა და ფუნქციონირებდა ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად. დეპარტამენტის სტრუქტურა იერარქიულადაა მოწყობილი, დეპარტამენტის მდივანი ახორციელებს მთლიანი სტრუქტურის მართვას, ხოლო მისი მოადგილეები კოორდინირებას უწევენ სტრუქტურაში შემავალი სხვადასხვა უწყებების საქმიანობას.

შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის მდივნის მოადგილეს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ექვემდებარება:

- აშშ-ს სანაპირო დაცვის სამსახური
- აშშ-ს საემიგრაციო და საბაჟო აღსრულების სამსახური
- მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახური
- საზღვრისა და საბაჟო დაცვის სამსახური
- აშშ-ს საგანგებო სიტუაციების მართვის ფედერალური სააგენტო
- სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მომზადების ფედერალური ცენტრი
- აშშ-ს საიდუმლო სამსახური
- ოპერაციების კოორდინაციის ოფისი
- სატრანსპორტო უსაფრთხოების დაცვის ადმინისტრაცია

შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის მდივნის მოადგილეს პროგრამების დარგში ექვემდებარება:

- კიბერუსაფრთხოებისა და კომუნიკაციების ოფისი
- ეროვნული კომუნიკაციების სისტემა
- კიბერუსაფრთხოების ეროვნული განყოფილება
- ინფრასტრუქტურის დაცვის ოფისი
- უწყებათაშორისი პროგრამების ოფისი

- რისკების მართვისა და ანალიზის ოფისი
- აშშ-ს ვიზიტორთა და ემიგრანტთა სტატუსის დამდგენი სამსახური ე.წ. (US-VISIT). აშშ-ში ჩასული სუბიექტების იდენტიფიკაცია საზღვარზე ტექნიკური საინფორმაციო ბაზის სისტემური საშუალებით.

შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის მდივნის მოადგილეს მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში ექვემდებარება:

- კვლევების განყოფილება
- ტრანზიციის განყოფილება
- ინოვაციების განყოფილება
- ფეთქებადი მასალების და განადმვის საკითხების განყოფილება
- ქიმიური და ბიოლოგიური განყოფილება
- სასაზღვრო და საზღვაო უსაფრთხოების განყოფილება
- სარდლობის, კონტროლის და ფუნქციური ურთიერთთავსებადობის განყოფილება
- ადამიანური ფაქტორების განყოფილება: ანალიზებს სოციალურ ჯგუფებს და შეისწავლიან ტერორისტული ორგანიზაციებს და მათ მოტივაციას და ქცევის წესებს
- ინფრასტრუქტურისა და გეოფიზიკური განყოფილება

უწყების ძირითადი ფუნქციებია:

- აშშ-ს სახელმწიფო ტერიტორიების დაცვა ტერორისტული საფრთხეებისაგან
- აშშ-ს საზღვრების, პორტების და სტრატეგიული ინფრასტრუქტურის დაცვა
- სინთეზურად გაანალიზოს ქვეყნის უშიშროების საკითხები დაზვერვის მრავალი წყაროს ინფორმაციის საფუძველზე
- კოორდინაცია გაუწიოს ცენტრალური ხელისუფლებისა და ლოკალური ხელისუფლების ორგანიზებულ კავშირებს ქვეყნის უშიშროების დაცვის აქციების წარმოებისას
- დაიცვას ქვეყანა ბიოტერორიზმის და სხვა ტიპის მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებისა და გამოყენებისაგან
- მოამზადოს სპეციალური კადრები კონტრტერორისტული საქმიანობისათვის
- მართოს ფედერალური დონის საგანგებო სიტუაციები

აშშ-ს ტერორისტული თავდასხმებისაგან ხსნის პროექტის ფარგლებში შეიქმნა შიდა უსაფრთხოების საბჭო (The Homeland Security Council) რომელმაც უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოების დაცვის პროგრამაში ჩართული ყველა უწყების კოორდინაცია.

საბჭოში შედიან:

- პრეზიდენტი
- ვიცე-პრეზიდენტი
- ფინანსთა მინისტრე
- თავდაცვის მინისტრე
- იუსტიციის მინისტრი
- ჯანდაცვის მინისტრე
- ტრანსპორტის მინისტრი

- საგანგებო სიტუაციების ფედერალური სააგენტოს დირექტორი
- გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი
- დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს დირექტორი
- პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში და სხვა უწყების ხელმძღვანელები, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში პრეზიდენტი იწვევს საბჭოს სხდომებზე

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ვიცე-პრეზიდენტს და პრეზიდენტის მრჩეველს ეროვნული უშიშროების საკითხებში უფლება აქვთ დაესწრონ საბჭოს ყველა სხდომას. სახელმწიფო მდივანს, სოფლის მეურნეობის მდივანს, შინაგან საქმეთა მინისტრს, ენერგეტიკის, დასაქმებისა და ვაჭრობის მინისტრებს, ვეტერანთა საქმეების მდივანს, გარემოს დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელი, პრეზიდენტის თანაშემწე ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში და პრეზიდენტის თანაშემწე შიდა პოლიტიკურ საკითხებში უნდა დაესწრონ მხოლოდ მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხების განხილვისას. საბჭოს თავჯდომარე და უწყების პოლიტიკის განმსაზღვრელი გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი.

თავდაცვის დეპარტამენტის დაზვერვის სააგენტო

ამერიკის შეერთებული შტატების ყველა სახელმწიფო სტრუქტურა, სამხედრო პოლიტიკური და ეკონომიკური პროფილის სამინისტროები და უწყებები – გეოგრაფიული მდებარეობისა და შიდაპოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით იქმნებოდა. გთავაზობთ ინფორმაციას აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის დაზვერვის სააგენტოს შესახებ („სამხედრო დაზვერვა“).

აშშ-ის პირველი მზვერავი იყო ნათან ჰეილი, რომელიც ინგლისელებმა 1776 წლის სექტემბერში ჩამოახრჩვეს. მოხალისე მზვერავი ამერიკის ეროვნული გმირი გახდა და მისი ძეგლი აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში აღმართეს. ყველაფერი კი ასე დაიწყო: „ამერიკელი კოლონისტები დამოუკიდებელი ქვეყნის შექმნისთვის თავდაუზოგავად იბრძოდნენ. მათი მოწინააღმდეგე კი იმხანად მსოფლიოში უძლიერესი დიდი ბრიტანეთის არმია იყო. ამერიკელთა ლაშქარს გენერალი ჯორჯ ვაშინგტონი ხელმძღვანელობდა, რომელიც იარაღთან და ფულთან ერთად მზვერავების ნაკლებობას განიცდიდა. მზვერავის სახიფათო მოვალეობის შესრულებას პატრიოტი მოქალაქეები ცდილობდნენ. ერთ-ერთი იყო ნათან ჰეილი, რომელიც მოწინააღმდეგემ ამხილა და სიკვდილით დასაჯა. ამის შემდეგ, ჯორჯ ვაშინგტონის გადაწყვეტილებით, შეიქმნა “საიდუმლო სამსახურის ბიურო”, რომელშიც ათიოდე პატრიოტი გაერთიანდა. ისინი მოქმედებდნენ ნიუ-იორკში, სადაც ინგლისის არმიის შტაბი იყო დაბანაკებული“.

აშშ-ში სამხედრო დაზვერვის პირველი სტრუქტურა მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს, 1885 წელს შეიქმნა და მას „სამხედრო ინფორმაციის სამმართველო“ ერქვა. სამმართველოში სულ ორი ადამიანი მუშაობდა – ოფიცერი და კლერკი. მათი ძირითადი მოვალეობა იყო სახელმწიფო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი, საგაზეთო სტატიების შეგროვება და სხვა საჯარო ინფორმაციის საფუძველზე მოკლე ანგარიშის შედგენა.

სამხედრო ინფორმაციის მოპოვების წყაროების გაფართოვების მიზნით 1889 წელს აშშ-ის ადმინისტრაციამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქებში სამხედრო ატაშები გაგზავნა. თავდაპირველად ატაშეების დაფინანსება ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული და მათ ყველა ხარჯის გასტუმრება საკუთარი ჯიბიდან უხდებოდათ.

სამხედრო დაზვერვის სამმართველო, როგორც დამოუკიდებელი დანაყოფი, მხოლოდ 1917 წლის მაისის დასაწყისში, პირველ მსოფლიო ომში აშშ-ის საჯარისო სამხედრო დაზვერვის როლი და ფუნქციები მნიშვნელოვნად გაიზარდა. შესაბამისად დიდი იყო ამ დანაყოფის წვლილი გერმანიის არმიის დამარცხებაშიც. შემდგომ პერიოდში კი სამხედრო დაზვერვის სამმართველოს სიძლიერე და პრესტიჟი განუწყვეტლივ მცირდებოდა.

აშშ-ს შეიარაღებული ძალების, დაქუცმაცებული სადაზვერვო დანაყოფების კოორდინაციის მიზნით 1961 წლის 1 ოქტომბერს თავდაცვის სამინისტროსა და შტაბების უფროსის კომიტეტთან შეიქმნა ახალი ცენტრალიზებული სადაზვერვო ორგანო – თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სააგენტო. სამხედრო დაზვერვის ერთიანი, ცენტრალიზებული ორგანო შეიძლება არც კი შექმნილიყო, რომ არა ამერიკის ახალი, ენერგიული და ამბიციური პრეზიდენტის, ჯონ კენედის დიდი

მონდომება. მას მხარში ამოუდგა ახალი თავდაცვის მინისტრი რობერტ მაკნამარა. მანამდე აშშ-ს შეიარაღებულ ძალებში სადაზვერვო საქმიანობა დუბლირებული იყო და არაკოორდინირებულად ხორციელდებოდა.

1961 წლის 1 ოქტომბერს სააგენტომ საქმიანობა დაიწყო. თავდაპირველად მასში 25 თანამშრომელი იყო, შემდეგ კი ფუნქციების ზრდასთან ერთად, შტატებიც იზრდებოდა. 1963 წლის დასაწყისში შეიქმნა ანალიტიკური ცენტრი, მოგვიანებით მონაცემთა ავტომატური დამუშავების ცენტრი, სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის დეპარტამენტი და ა.შ. თუმცა წლების განმავლობაში სამხედრო დაზვერვა, დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს ჩრდილში რჩებოდა და მეორეხარისხოვან სადაზვერვო დანაყოფად მიიჩნეოდა. არაერთ მალავდა, რომ ამ სტრუქტურაში ინტელექტუალი კადრები სანთლით იყო საძებნი.

თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სააგენტოს სრულყოფაზე მუშაობა მას შემდეგ დაიწყო, რაც მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ქიმიკოსი ჯონ დეიჩი აშშ-ს თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა (1993 წ.). დეიჩი მაქსიმალურად უწყობდა ხელს სამხედრო დაზვერვის, როგორც ერთიანი სადაზვერვო სისტემის სრულყოფიანი და ეფექტიანი „მოთამაშის“ ჩამოყალიბებას. 1996 წელს აშშ-ს კონგრესმა მიიღო კანონი ამერიკის სპეცსამსახურების ფარული (ჩრდილოვანი) დაფინანსების შესახებ. სამხედრო მზვერავებს ოპერატიული ოპერაციების საფარად და ლეგენდების შესაქმნელად კომერციული ფირმების შექმნის უფლება მიეცათ, რაც მანამდე მხოლოდ დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს და გამომძიების ფედერალურ ბიუროს ჰქონდათ. აშშ-ს სამხედრო მზვერავები უცხოეთში ძირითადად ამერიკის საელჩოს სამხედრო ატაშეს აპარატს აფარებენ თავს და დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს რეზიდენტებს ემორჩილებიან. სააგენტოს სტრუქტურა დირექტორატებისგან შედგება.

სამხედრო დაზვერვის სააგენტოს სტრუქტურის დირექტორატებია:

- თავდაცვის კონტრდაზვერვის ცენტრი
- ინფორმაციის მართვის და მთავარი ინფორმაციის ოფიცრის დირექტორატი
- ტექნიკური მონაცემების შეგროვების დირექტორატი
- ანალიზის დირექტორატი
- გენერალური შტაბის დაზვერვის საკითხებზე მომუშავე დირექტორატი
- მისიათა მომსახურების დირექტორატი
- მონაცემთა შეგროვების მართვის დირექტორატი

ამერიკელი სამხედრო მზვერავების გმირობის ამბები ნაკლებადაა ცნობილი. ჩაფიქრებელია, რომ ამ საქმეებს გრიფი „სრულიად საიდუმლო“ ჯერ არ მოხსნია და საზოგადოებისთვის ჯერაც ხელმიუწვდომელია. ამჟამად ამერიკის სამხედრო დაზვერვას გენერალი რონალდ ბერჯესი ხელმძღვანელობს, რომელსაც ბევრი თავსატეხი აქვს: ერაყი, ავღანეთი, საერთაშორისო ტერორიზმი და კიდევ მრავალი საჯარო თუ ფარული ოპერაცია. სამხედრო დაზვერვის თანამშრომელთა რაოდენობა 17 ათასს აღწევს. თუ როგორ გაუმკლავდება ამერიკის სამხედრო დაზვერვა ამ გლობალურ პრობლემებს დრო გვიჩვენებს.

ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტის დაზვერვის სააგენტომ სისტემის რეფორმების გეგმა შეიმუშავა, რომელიც მიზნად ისახავს სისტემის გაძლიერებას და სადაზვერვო საქმიანობის მეტი ეფექტურობისთვის ქვეყნის სხვა

სპეცსამსახურებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას. თავდაცვის დაზვერვის სააგენტო გეგმავს აქტიურად ითანამშრომლოს ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოსა და სპეციალურ ოპერაციათა სარდლობასთან. ვაშინგტონ პოსტის მიერ გაერცელებული ინფორმაციით ამჟამად თავდაცვის დაზვერვის სააგენტოს საქმიანობაში ძირითადი პრიორიტეტებია: აფრიკაში მოქმედ ისლამისტურ ჯგუფებზე თვალთვალი და მათი საქმიანობის კონტროლი, ჩრდილოეთ კორეის და ირანის მიერ სხვა სახელმწიფოებისათვის იარაღის მიყიდვის ფაქტების გამოვლენა და ჩინეთის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის ეტაპების კონტროლი. სტრატეგიული დაზვერვისა და სამხედრო დაზვერვის მიერ ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებისას სპეცსამსახურები იყოფენ ინტერესის სფეროებს, თუ პირველი უწყება დაინტერესებულია მსოფლიო პოლიტიკური პროცესებით მეორე ორიენტირებულია სამხედრო საკითხებზე.

თავდაცვის დაზვერვის სააგენტო აპირებს აქტიურად გაზარდოს გაზარდოს უცხოეთში მოქმედი ოპერატიული კადრების რიცხვი. თანამშრომელთა შტატების ზრდა დაგეგმილია რთულ ეკონომიკურ ფონზე, რის გამოც მათი შექმნა მოხდება სხვა ნაკლებად პრიორიტეტული განყოფილებების შემცირების ხარჯზე და საშტატო განრიგის ცვლილებებით. აღნიშნული რეფორმით განზრახულია სამხედრო დაზვერვის სააგენტოს სპეციალურ გლობალურ აგენტურულ ქსელად გარდაქმნა. შემუშავებული გეგმის მიხედვით სამხედრო მზვერავები მომზადდებიან ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში, მაგრამ დაემორჩილებიან პენტაგონს.

„გარდიანი“ იუწყება, რომ თავდაცვის დაზვერვის სააგენტო ხშირად ქირაობს სამოქალაქო პირებს, უნივერსიტეტის პროფესორებსა და ბიზნესმენებს, კანდიდატის შერჩევისას ძირითადი აქცენტი კეთდება სამხედრო თვალსაზრისით სტრატეგიულ რეგიონებზე. „გარდიანის“ მტკიცებით მზვერავთა ახალი კადრების ამოქმედება უპრეცედენტო ვითარებას შექმნის გლობალური მასშტაბით, კერძოდ მსოფლიო ჯაშუშთა ეფექტურ ქსელს. აღნიშნული გამოცემა ამავედროულად ყურადღებას მახვილებს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს შტატების ზრდაზეც. ბოლო 11 წლის განმავლობაში ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ტერორიზმთან ბრძოლის დეპარტამენტი 300 თანამშრომლიდან 2000-დე გაიზარდა. სამხედრო დაზვერვის შტატების ზრდა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს უკმაყოფილებამაც გამოიწვია, მზვერავები აღნიშნავენ, რომ დაიდალნენ სამხედრო სპეციფიკასთან დაკავშირებული დავალებების შესრულებით და სურთ ღრობე გადააბარონ კომპეტენციები თავდაცვის დაზვერვის გაფართოებულ სააგენტოს. ჩენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს არ სუსრს ერთდროულად ლიბიაში ეძებოს მიწა-პაერის კლასის რაკეტები და პარალელურად შეაფასოს სირიის ოპოზიციის ძალები, ეს ორმაგი პროცესი დამქანცველია აგენტებისთვის.

ვაშინგტონში არსებობენ პროგრესული ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან თავდაცვის დაზვერვის სააგენტოს მოდერნიზაციის არეალის გაფართოებას, რადგანაც ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსგან განსხვავებით თავდაცვის დაზვერვის სააგენტოს საქმიანობას კონგრესი სრულად ვერ აკონტროლებს, რადგან თავდაცვის დეპარტამენტის ზოგიერთი ზესაიდუმლო ოპერაცია ტაბუ დადებულია.

ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ თავდაცვის დაზვერვის სააგენტოს თანამშრომლების მომზადების აუცილებლობა გამოიწვია თანამშრომლების აგენტურული საქმიანობისთვის არასაკმარისი მომზადების ღონის გამოვლინებამ.

ჩენტრალური სადაზვერვო სააგენტოს სასწავლო ბაზაზე უკვე აქტიურად მიმდინარეობს თავდაცვის დაზვერვის სააგენტოს საიდუმლო ოპერაციების ქვედანაყოფის (Defense Clandestine Service) კადრების მომზადება. შწავლების შემდეგ მზვერვები პრაქტიკებს გაივლიან: ავღანეთში, ერაყში და აფრიკისა და ლათინური ამერიკის კრიზისულ ქვეყნებში. შემდგომ პერსპექტივაში დაგეგმილია თავდაცვის დაზვერვის სააგენტოს სამხედრო სადაზვერვო ინფორმაციის მომპოვებელ წამყვან რგოლად გარდაქმნა. აშშ-ში მოქმედებს 2012 წლის იანვარში მიღებული დოკუმენტი სახელწოდებით აშშ-ის გლობალური ლიდერობის შენარჩუნება: 21-ე საუკუნის თავდაცვის პრიორიტეტები „Sustaining U.S. Global Leadership: Priorities for 21 Century Defense“. თავდაცვის დეპარტამენტის ამ სტრატეგიულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ამერიკას ბოლო 65 წლის განმავლობაში წამყვანი პოზიცია ეკავა საერთაშორისო სისტემის გარდაქმნისას.

ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტის შეფასებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გაძლიერებამ ხანგრძლივ პერსპექტივაში შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ამერიკის ეკონომიკასა და უსაფრთხოებაზე. პენტაგონი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ქმნის ღრმად კონსპირირებულ სადაზვერვო სტრუქტურებს. 2007 წელს ჩინეთის მიერ სატელიტ საწინააღმდეგო რაკეტის ცდების ჩატარება პენტაგონისთვის შოკისმომგვრელი იყო. თავდაცვის დაზვერვის სააგენტოს ანალიტიკურ მოხსენებებში საფუძვლიანად აღინიშნებოდა, რომ აშშ-ჩინეთის კონფლიქტის შემთხვევაში, ჩინეთი შეძლებს აშშ-ის სატელიტური სათვალთვალო და კავშირის სისტემების მწყობრიდან გამოყვანას. ჩინეთი აქტიურად ხვეწავს ელექტრონული ომის წარმოების მეთოდებს. კონტინენტაშორისო ბალისტიკური რაკეტის „დუნფენ-41“ წარმატებული ცდის შემდეგ ვაშინგტონი განსაკუთრებით დელავს, რადგან „დუნფენ-41“ ტიპის რაკეტას თავისუფლად შეუძლია მიაღწიოს აშშ-ის ცონტინენტს. პარტნიორული ურთიერთობები დაამყარა ჩინეთმა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან. ჩინეთიდან აქტიურად მიედინება სამხრეთ ამერიკაში სხვადასხვა ტიპის შეიარაღება, რომლის საფასურიც მილიარდობით დოლლარს შეადგენს.

საფრთხის შემცველად ითვლება ამერიკის შეიარაღებულ ძალებში ირანის ფაქტორიც. თეირანში მიმდინარე ბირთვული პროგრამა უახლოეს მომავალში ბირთვული იარაღის შექმნით დასრულდება. აშშ-ის არმიის ყოფილმა გენერალ-ლეიტენანტმა ფრენკ კირნიმ თავის ერთ-ერთ მოხსენებაში აღნიშნა, რომ ირანთან ომი არსებულ პრობლემას ვერ გადაწყვეტს. მისი აზრით, ირანის ბირთვულ ობიექტებზე ტაქტიკური დარტყმები ვერ გაანადგურებს ბირთვულ არსენალს, არამედ დროებით შეაფერხებს ბირთვული კვლევების პროცესს: „უაზრობაა ტაქტიკური ქმედებებით ირანის ინტელექტუალური რესურსის განადგურების იმედის ქონა. ირანზე თავდასხმა, მხოლოდ დროებით შეასუსტებს არსებულ ხელისუფლებას და რამდენიმე წლით უკან გადაისვრის ბირთვულ პროექტს, მაგრამ ეს ქმედება ირანელებს უფრო მეტ სტიმულს მიცემს დაასრულონ ბირთვული პროექტი. აშშ-ის თავდასხმის შემდეგ ირანის მთელი მოსახლეობა მხარს დაუჭერს სახელმწიფოში გაბატონებული თეოკრატიული ხელისუფლების მიერ ნომერ პირველ მტრად გამოცხადებულ აშშ-ზე ბირთვული თავდასხმის იდეის განხორციელებას.“ რისკის ფაქტორების გათვალისწინების შემდეგ გადაწყდა ისევ თავდაცვის დაზვერვის სააგენტოს ძალებით ემოქმედათ, რომლის უმთავრესი მისიაა დესტაბილიზაციის გამოწვევა ირანში გავლენის აგენტების გამოყენებით. ირანის საკითხის

წარმატებულად მოგვარების შემთხვევაში თავდაცვის დაზვერვის სააგენტო აიმაღლებს პრესტიჟს კონგრესის წინაშე, რადგან სენატორები სკეპტიკურად არიან განწყობილი თავდაცვის დაზვერვის სააგენტოს საქმიანობისადმი. ისინი აღნიშნავენ, რომ ქვეყნისთვის უფრო სასარგებლო იქნება თუ პენტაგონი ნაკლები დანახარჯებით მოიტანს სარგებელს.

აშშ-ის საგარეო პოლიტიკის და სამხედრო ისტორიის ექსპერტი, საგარეო ურთიერთობების საბჭოს მკვლევარი მაქს ბუტი, თავდაცვის დეპარტამენტის დაზვერვის სააგენტოს რეკომენდაციით მიმართავს: „სისტემა გასანთავისუფლებელია ბიუროკრატიული ფენისგან, შეცვალეთ ხელმძღვანელობა და დაიქირავეთ ნიჭიერი და ჭკვიანი ადამიანები დაზვერვის რიგებისთვის, შეარჩიეთ ისეთი კადრები, რომლებიც იცნობენ სხვადასხვა ქვეყნების კულტურას და ფლობენ უცხო ენებს“. აღნიშნული რეფორმებით შესაძლებელი იქნება უფრო ეფექტური და მოქნილი სისტემის ამოქმედება.

თავდაცვის დეპარტამენტის კონტრდაზვერვის სამსახური

პენტაგონის ქვედანაყოფი CIFA (Counterintelligence Field Activity) შეიქმნა 2002 წლის 19 თებერვალს თავდაცვის დეპარტამენტის მდივნის დირექტივით. მისი ძირითადი დანიშნულებაა: ძალოვანი სტრუქტურების დაცვა, პოტენციური საფრთხეების მხილება, ქვეყნის შიგნით სამხედრო ობიექტებზე და სამხედრო მოსამსახურეებზე ტერაქტების თავიდან აცილების მიზნით კონტრტერორისტული მოდელის შემუშავება.

CIFA-ს სტრუქტურა შედგება:

- დირექტორი
- კონტრდაზვერვითი საფრთხეების შეფასების გაერთიანებული სამმართველო
- კონტრდაზვერვის გაერთიანებული ანალიტიკური ჯგუფი
- სამხედრო კონტრდაზვერვის ინფორმაციული სისტემის სამმართველო
- კონტრდაზვერვის გაერთიანებული სასწავლო აკადემია
- სამხედრო კონტრდაზვერვის ოპერატიული მხარდაჭერის ჯგუფი

CIFA-ს ფუნქციებია:

- ეფექტურად მართოს და გააკონტროლოს თავდაცვის დეპარტამენტის კონტრდაზვერვის საქმიანობა
- თავდაცვის დეპარტამენტის კონტრდაზვერვის საქმიანობის ეროვნული დაზვერვის თანამეგობრობის საქმიანობასთან კოორდინაციაში მოყვანა
- თავდაცვის დეპარტამენტის შეიარაღებული ნაწილების სარდლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე პრიორიტეტული კონტრდაზვერვითი აქციების განხორციელება
- კონტრსადაზვერვო ოპერატიული მეთოდების შემუშავება, შემდგომი განვითარება და მათი დაზვერვის თანამეგობრობისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
- სამსახური ზრუნავს თავდაცვის კონტრდაზვერვის კადრების კარიერულ განვითარებაზე და ამისათვის ატარებენ სპეციალურ ტრენინგებს
- საველე პირობებში საფრთხის გამოვლინება და იდენტიფიცირება სპეციალური ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით
- შეიმუშავებს შეთანხმებულ და ერთიან მიდგომას კონტრდაზვერვის მიმართ, როგორც დაზვერვის სპეციფიკური დისციპლინისადმი
- შეაფასოს თავდაცვის დეპარტამენტის კონტრდაზვერვის ოპერატიული ელემენტების შესაძლებლობები

კონტრდაზვერვის ოპერატიული დეპარტამენტის პროგრამები მკაცრად გასაიდუმლოებულია. CIFA-ს საქმიანობაზე წარმოდგენა, რომ შეგვექმნას, საკმარისია გავეცნოთ ექსკლუზიურ მასალებს, რომელიც აშშ-ს ქვეითი ჯარების დაზვერვის ყოფილი ანალიტიკოსის ვილიამ არკინის განკარგულებაში აღმოჩნდა. მასალების მიხედვით, კონტრდაზვერვის ქვედანაყოფ CIFA-ს ყველა სამართალდამცავი ორგანოების არქივებსა და დოკუმენტებზე მიუწვდება ხელი, მეტიც, დაზვერვის სამსახურების მიერ მოპოვებულ ინფორმაციასაც კი ფლობდა. არკინი აღნიშნავს, რომ CIFA-ს ასეთი შესაძლებლობების შედეგად ქვედანაყოფი

ავტომატურად გააფართოებს მონიტორინგს ყველა ტიპის პოტენციურ საფრთხეზე საკუთარი თავის სრული კონსპირაციის დაცვით.

2005 წლის ნოემბერში Washington Post-მა გაავრცელა ცნობა, რომ თეთრი სახლის გადაწყვეტილებით, კონტრდაზვერვის ოპერატიულ დეპარტამენტს მეტი უფლებამოსილება ექნებოდა თავისი საქმიანობის შესასრულებლად. აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის ინიციატივით მომავალში CIFA-ს კომპეტენციაში შევიდოდა შემდეგი ტიპის ფაქტების გამოძიება: სამხედრო და ეკონომიკური შპიონაჟი, სახელმწიფოს დალატი, უცხო ქვეყნის დაზვერვის სამსახურების ან ტერორისტების მხრიდან საბოტაჟის ფაქტები.

გადაწყდა, რომ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო, დაზვერვის ცენტრალური სააგენტო და გამოძიების ფედერალური ბიურო მოთხოვნის შესაბამისად გადასცემდნენ CIFA-ს მონაცემებს აშშ-ს იმ მოქალაქეების შესახებ, რომლებსაც ნებისმიერი ტიპის კავშირი აქვთ უცხოეთის დაზვერვის ან სხვა ტიპის სპეცსამსახურებთან. პენტაგონის მტკიცებით ასეთი ტიპის ქმედებით, აღნიშნულ შემთხვევაში არ ირღვევა ადამიანთა უფლებები, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში საქმე ეხება ეროვნულ ინტერესებს და სახელმწიფო უშიშროებას.

თავდაცვის დეპარტამენტის აღნიშნულმა გეგმებმა უფლებათა დამცველების პროტესტი გამოიწვია. საქმე იმაში გახლავთ, რომ თავდაცვის დეპარტამენტის ქვეყნის შიგნით საქმიანობა რეგლამენტირებულია 1878 წლის შერიფის საგანგებო უფლებების კანონის მიერ. ამერიკის არმიას მოქმედების უფლება ეძლევა ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ქვეყნის შიგნით იგი მოქმედებს მხოლოდ საგანგებო სიტუაციების დროს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები პენტაგონს ადანაშაულებდნენ კანონის დარღვევაში და ადამიანთა უფლებების ხელყოფაში. საზოგადოებრივ წრეებში ვნებათა ღელვის ჩაწყენარების მიზნით აშშ-ს კონგრესის თავდაცვისა და დაზვერვის საკითხთა სპეციალური კომიტეტი მუდმივად ანხორციელებს აშშ-ს დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სპეციალური სამსახურების მონიტორინგს, იგი მაქსიმალურად ცდილობს მათი ქმედებების კანონმდებლობასთან შეთავსებას, ხოლო კანონის დარღვევის ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში მათ აღმოფხვრას.

2008 წლის აგვისტოს თვეში გამოცხადდა, რომ CIFA იხურებოდა, ხოლო მის ბაზაზე იქმნებოდა თავდაცვის დეპარტამენტის ახალი სამსახური კონტრდაზვერვისა და დაზვერვის ცენტრი (Defense Counterintelligence and Human Intelligence Center).

2012 წელს თავდაცვის მდივანმა ლეონ პანეტამ და ეროვნული დაზვერვის შეფმა ჯეიმს კლაპერმა ახალი სამსახურის შექმნის შესახებ განაცხადეს. თავდაცვის დეპარტამენტის საიდუმლო სამსახური (Defense Clandestine Service) თავდაცვის დეპარტამენტის დაზვერვის სააგენტოს ნაწილია, რომელიც გამოცდილი სამხედრო კადრებითაა დაკომპლექტებული. საიდუმლო სამსახური ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით სადაზვერვო აქციებს ატარებს: ჩინეთის, ირანის, ერაყის და ავღანეთის ტერიტორიაზე.

ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო (NSA)

აშშ-ს ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო (NSA) შეიქმნა 1952 წლის 4 ნოემბერს. სააგენტოს შტაბ-ბინა მდებარეობს ფორტ მიდში, მერილენდის შტატში. აღნიშნული სპეცსამსახური არის ერთ-ერთი პრიორიტეტული რგოლი აშშ-ს სპეცსამსახურებს შორის და ყველზე გასაიდუმლოებულია, მას შავ ოთახსაც უწოდებენ. სააგენტო წარმოადგენს ტექნიკური დაზვერვის სამმართველოთა ერთობლიობას, რომელიც მოღვაწეობს რადიო-ელექტრონულ, კრიპტოგრაფიისა და ინფორმაციის დაცვის ხაზით. სააგენტო უზრუნველყოფს იმ ტიპის ინფორმაციის უსაფრთხოებას და მოპოვებას, რომელიც, რადიო-ლოკაციურ კომუნიკაციებსა და კომპიუტერულ ქსელში ცირკულირებს. სააგენტოს სტრუქტურა იერარქიულად არის მოწყობილი: სააგენტოს დირექტორი, დირექტორის პირველი მოადგილე, დირექტორის მოადგილე ოპერატიულ საკითხებში, დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში, დირექტორის მოადგილე ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების საკითხებში.

სააგენტოს შემადგენლობაში ფუნქციონირებს რამდენიმე სამმართველო, რომლებსაც განსაზღვრული აქვთ კონკრეტული ფუნქცია და მისია:

1. რადიო-ელექტრონული სადაზვერო ოპერაციების სამმართველო, რომელიც შედგება სამი ინფორმაციის მომპოვებელი და ორი დამხმარე ჯგუფისგან.

ინფორმაციის მომპოვებელი ჯგუფი დაკომპლექტებულია გეოგრაფიული პრინციპით:

ჯგუფი <A> - პასუხისმგებელია რუსეთის ფედერაციის და ყოფილი ვარშავის ხელშეკრულებაში შემაჯავლი ქვეყნების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე.

ჯგუფი - ამუშავებს ინფორმაციას, რომელიც ეხება ჩინეთს, ჩრდილოეთ კორეას, ვიეტნამს და სხვა აზიურ სოციალისტურ სახემწიფოებს.

ჯგუფი <G> - პასუხისმგებელია სხვა დანარჩენ სტრატეგიულ, თუ მეორე ხარისხოვან სახელმწიფოთა შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე.

1960 წლიდან მოყოლებული ჯგუფი <G> აკონტროლებს და აანალიზებს აშშ-ში შემაჯავლი და გამომავალ საერთაშორისო რადიოსიგნალებს. 1972 წელს ჯგუფი <G>-ს შტატი შედგება 1244 სამოქალაქო პირისგან და 600 სამხედრო ოფიცრისგან.

რადიო ელექტრონული სადაზვერო ოპერაციების სამმართველოს კონტროლის ქვეშ იმყოფება დამხმარე ქვეგანყოფილებები <C> და <W>. პირველი განყოფილება სადაზვერო ინფორმაციის კომპიუტერულ დამუშავებას ეწევა, ხოლო მეორე განყოფილება კოორდინაციას უწევს სატელიტური თანამგზავრების საშუალებით წარმოებული მოსმენების და გაშიფვრის შედეგად მიღებული საიდუმლო ინფორმაციის მოპოვების პროცესს.

2. სააგენტოს კომუნიკაციების დაცვის სამმართველო ცნობილია, როგორც ორგანიზაცია <S>. აღნიშნული სამმართველო საშიფრი მოწყობილობებით ამარაგებს აშშ-ს ყველა სახელმწიფო დაწესებულებას და აგრეთვე აკონტროლებს აშშ-ს

დაზვერვით თანამეგობრობაში შემავალ უწყებათა კომპიუტერულ და ტელეკომუნიკაციურ სისტემათა ქსელს.

3. სააგენტოს შემადგენლობაში ფუნქციონირებს ტექნიკურ მეცნიერებათა კვლევის სამმართველო. აღნიშნული სამმართველოს კვლევის სფერო მრავალფეროვანია, ისინი სრულყოფენ საიუღუმლო რადიოსიგნალების მოპოვების მეთოდებს, მრავალ დონიანი შიფრების გატეხვას და ასევე ინფორმაციის დაშიფვრასა და კოდირებას. სამმართველო შედგება ოთხი განყოფილებისგან:

a. მათემატიკური კვლევების განყოფილება სხვადასხვა ტექნიკური სპეციალური საშუალებებით აუმჯობესებს კრიპტოანალიზს.

b. რადიოსიგნალების მოპოვებელი სპეცაპარატურის შემქმნელი და ტექნიკური აღჭურვის განყოფილება, აწარმოებს ტექნიკას, რომელიც რადიოსიგნალების მოპოვებას და მათ ანალიზს ახდენს.

c. კრიპტოგრაფიული დანადგარების განყოფილება, რომელიც ამუშავებს და აუმჯობესებს დამშიფრავი დანადგარების ტიპებს, რომელიც შემდგომში გლობალური კომუნიკაციების დაცვისთვის გამოიყენება.

d. კომპიუტერული ტექნიკის განყოფილება ელექტრო-გამომთვლელი ტექნიკურ სფეროს იკვლევს.

4. მეტად საინტერესოა სააგენტოს საიდუმლო სამმართველო, რომელიც ტექნიკური მოწყობილობების (ე.წ. ჟუნოების) და სასიგნალო დანადგარების მონტაჟსა და რეგულირებას ეწევა გლობალური მასშტაბით.

ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს კადრები სპეციალურ სასწავლო კურსს გადიან აშშ-ს კრიპტოგრაფიის ნაციონალურ სკოლაში. ამავე სკოლაში სპეციალურ მომზადებას გადიან, აშშ-ს სხვა სპეცსამსახურების კადრები და პენტაგონის ოფიცრები.

ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს საიდუმლო მოსასმენი ობიექტები მსოფლიოს თითქმის ყველა წერტილშია განლაგებული. ეს ობიექტები ძირითადად რაიმე კვლევითი ან კოსმოსური სამეცნიერო ცენტრის საფარქვეშ მოქმედებს და სინამდვილეში სრულიად სხვა მისიას ასრულებს. ობიექტებზე მუშაობენ ექსპერტთა ჯგუფები, რომელიც შედგება: ლოგისტიკის სფეროს სპეციალისტის, ლინგვისტის, ანალიტიკოსის და კიბერნეტიკული ტექნოლოგიების ექსპერტისაგან. მათი უმთავრესი მისიაა ფლობდნენ ინფორმაციას ყველა პრიორიტეტული საკითხის შესახებ და წინასწარ გათვალონ მოსალოდნელი საფრთხეები, რომლებიც რაიმე სახით ზიანს მიაყენებს მათი ქვეყნის ნაციონალურ უსაფრთხოებას.

სააგენტოს თანამშრომელთა საერთო შტატი 120 000 კაცისგან შედგება. ოცი ათასიდან ოცდაოთხ ათასამდე სააგენტოს თანამშრომელი ცენტრალურ აპარატში მუშაობს, ხოლო დანარჩენი თანამშრომლები, ძირითადად, სამხედრო პირები მსახურობენ მსოფლიო მასშტაბით არსებული სააგენტოს ბაზებსა და საინფორმაციო დაზვერვით სადგურებზე, რომელთა რიცხვი რამდენიმე ათასს აღწევს. აღნიშნული სტაციონალური სადგურების გარდა სააგენტო თავისი მისიის შესასრულებლად იყენებს სამხედრო საზღვაო ძალების მზვერავ გემებს. ნაციონალური

უსაფრთხოების სააგენტოს განკარგულებაშია ასევე აშშ-ს სამხედრო საჰაერო ძალები და საზღვაო ავიაცია.

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განსაკუთრებით აღნიშნა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში, რომ სპეცსამსახურების როლი სახელმწიფოს განვითარებაში მეტად დიდია. აშშ-ს მთავრობა მართლაც უზარმაზარ თანხებს ხარჯავს დაზვერვის თანამეგობრობის პროდუქტიული მოღვაწეობისთვის ხელის შესაწყოებად. აშშ-ს სპეცსამსახურების მაღლა უკვე მოყვანილ ბიუჯეტს თუ გადავხედავთ ვნახავთ, რომ ყოველ წელს მისი რაოდენობა შესამჩნევად იზრდება რამდენიმე მილიარდით წინა წლებთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს სპეცსამსახურების ბიუჯეტიდან 8 მილიარდამდე აშშ დოლარი ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს განეკუთნება. სააგენტოს ბიუჯეტი არ არის ფიქსირებული და საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული პრიორიტეტული მისიების და საიდუმლო პროექტების შესასრულებლად მას დამატებით თანხებიც გამოეყოფა.

ფარული მოსმენები და ვიდეო გადაღება მართლაც, რომ ყველა ქვეყნის სპეცსამსახურის აუცილებელი ატრიბუტია და ამერიკის აღნიშნულ სააგენტოს ამ საქმეში მართლაც, რომ წამყვანი ადგილი უკავია მსოფლიოში. სპეცსამსახურების ოპერატიულ-აგენტურული მუშაობა სპეციალური ტექნიკის გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია. ოპერატიულ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და სპეცტექნიკის დანაყოფს ევალება ოპერატიული და საგამოძიებო სამსახურების დაკვეთით დააფიქსირონ ნებისმიერი სახის ტელეკომუნიკაციური კავშირი (ტელეფონები, ფაქსი, ელ-ფოსტა) ფარულად შეადწინონ ბინებსა და ოფისებში და მოსასმენი და სათვალთვალო აპარატურა დაამონტაჟონ.

ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს ე.წ სადგური “ემელონი” ელექტრონული შპიონაჟის გლობალური სისტემა. ეს არის ცენტრი, სადაც მიედინება მსოფლიოს ელექტრონულ სივრცეში არსებული აუცილებელი ინფორმაცია, შემდეგ ეტაპზე ინფორმაცია გადის ფილტრაციას, ხდება მისი კლასიფიკაცია და არქივში შენახვა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ამოქმედება. ემელონი უკავშირდება კოსმოსში მოქმედ ასობით სატელიტურ ანტენას, რომლებიც წარმოადგენენ ერთგვარ საინფორმაციო წყაროს “ემელონისთვის”. აღნიშნული ტერმინი გამოყენებაშია 1980 წლიდან. ემელონის ოფიციალური ისტორია იწყება 1947 წელს როდესაც აშშ-ს და ინგლისს შორის დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება **(UKUSA)** უსაფრთხოების სფეროში, რომლის მიხედვითაც ამ ორმა სახელმწიფომ გააერთიანეს თავიანთი სადაზვერო პოტენცია გლობალური შპიონაჟის წარმოების მიზნით. მოგვიანებით ამ ხელშეკრულებას შეუერთდა: კანადა, ავსტრალია და ახალი ზელანდია, ხოლო შემდეგ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის სხვა წევრი სახელმწიფოებიც.

“ემელონის” მთავარი სადგური მდებარეობს აშშ-ს სტრატეგიული მოკავშირის და პარტნიორის ტერიტორიაზე (მენვით ჰილზე) დიდ ბრიტანეთში. ემელონის სრულყოფილად ფუნქციონირების მიზნით მასზე მუშაობს, როგორც დედამიწის ზედაპირზე არსებული ტექნიკური კომპლექსები, აგრეთვე ასობით კოსმოსური სატელიტური ანტენა და ათობით წყალქვეშა გემი. წყალქვეშა გემების მისიაა

საკომუნიკაციო კაბელებზე მოსასმენი ტექნიკის დამონტაჟება და მიღებული ინფორმაციის დამუშავება.

აშშ-ს ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მეტად საპასუხისმგებლო მისია დაეკისრა 2001 წლის 11 სექტემბრის კატასტროფული მოვლენების შემდეგ. აშშ-ს სადაზვერვო თანამეგობრობა აქტიურად იბრძვის XXI საუკუნის საფრთხის, გლობალური ტერორიზმის წინააღმდეგ. პარტნიორი ქვეყნების სპეცსამსახურებთან ერთად ისინი აქტიურად ატარებენ პრევენციულ ანტიტერორისტულ აქციებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ სტრუქტურაში ბოლომდე გახსნილი თანამშრომლობა და ურთიერთობა შეუძლებელია. ტექნიკურ დაზვერვაში სწორედ საიდუმლო მიმოწერას და კრიპტოგრაფიის მეთოდების განვითარებას ეთმობა ყველაზე დიდი ყურადღება.

კრიპტოგრაფია წარმოიშვა ბერძნული სიტყვებიდან “კრიპტოს” – ფარული და “გრაფო” – წერა, ანუ ფარული წერა. ეს არის მეცნიერება ინფორმაციის დაფარვის შესახებ. კრიპტოგრაფია განიხილება, როგორც მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების განაყოფი და მჭიდროდ დაკავშირებულია მეცნიერების ისეთ დარგებთან, როგორებიცაა ინფორმაციის თეორია, კომპიუტერული უსაფრთხოება და ინჟინერინგი. დღესდღეობით იგი გამოიყენება ტექნოლოგიურად განვითარებულ სფეროებში, როგორიცაა: საკრედიტო ბარათები, კომპიუტერული პაროლები, ელექტრონული კომერცია და სხვა.

კრიპტოგრაფიული სისტემა გულისხმობს 2 ან მეტ მონაწილეს, “გამგზავნს” და “მიმღებს”, რომელთაც სურთ ერთმანეთს გადასცენ რაიმე სახის ინფორმაცია, ისე რომ ამ სისტემის გარეშე პირმა ვერ შეძლოს დაშიფრული ინფორმაციის გაგება. ინფორმაციის სახეცვლილება ისე, რომ დაფარულ იქნას მისი აზრი, შიფრაციას უწოდებენ, უკუპროცესს-დეშიფრაციას, მიღებულ შედეგს-შიფროტექსტს, ხოლო შიფრაცია/დეშიფრაციის ალგორითმს – შიფრს. ეს პროცესი დამოკიდებულია გასაღებზე. ეს არის საიდუმლო პარამეტრიც, რომელიც ცნობილია მხოლოდ ურთიერთმოკავშირე მხარეებისათვის. შიფრები გასაღების გარეშე უსარგებლოა, თუმცა არსებობს მათი გატეხვის მრავალი ხერხიც. კრიპტოგრაფიული პროტოკოლები წარმოადგენენ წესების ერთობლიობას, რომლებიც სრულდება კრიპტოგრაფიული სისტემის მონაწილეების მიერ, თანმიმდევრობით და უპირობოდ.

ტერმინი “კოდი” კრიპტოგრაფიაში აღნიშნავს ჩვეულებრივი ტექსტის ნაწილის შეცვლას კოდური სიტყვით ან ფრაზით, რისი კარგი მაგალითი მოცემულია ოლდრიჩ ეიმის მიერ სუკ-თან კონტაქტისთვის შედგენილ საიდუმლო წერილში. კოდები სერიოზულ კრიპტოგრაფიაში აღარ გამოიყენება, რადგან მისი გამოყენება მოითხოვს მონაცემთა გადაცემამდე მოკავშირეთა შორის ყველა შესაძლო მონაცემი შესაბამისი სიტყვებით კოდირებული და ურთიერთშეთანხმებული იქნას. ამავე დროს ყოველთვის არსებობს მონაცემთა სიმრავლე, რომელთათვისაც შესაბამისი კოდური სიტყვა ჯერ არ შეთანხმებულა. შიფრები უფრო მოსახერხებელია და ამავე დროს უფრო მისადაგებული კომპიუტერულ გამოთვლებთან.

თანამედროვე ერამდე, კრიპტოგრაფია გამოიყენებოდა შეტყობინებათა საიდუმლოების დასაცავად, ტექსტის გარდაქმნით სიმბოლოების გარკვეულ ნაკრებად ისე რომ უკუგარდაქმნა იოლი ყოფილიყო მხოლოდ შეტყობინების ადრესატისათვის. უკანასკნელ ათწლეულებში კრიპტოგრაფიამ ისეთი ფუნქციები

შეიძინა, როგორებიცაა: შეტყობინების მოლიანობის შემოწმება, აუთენტიფიკაცია, ციფრული ხელმოწერა, პირადობის შემოწმება, საიდუმლო გამოთვლები და სხვა.

შიფრის კლასიკური ტიპებია გადანაცვლებადი შიფრი (ტექსტში ხდება სიმბოლოების გარკვეული გადაადგილება) და ჩანაცვლებადი შიფრი (ტექსტში ხდება ერთი სიმბოლოს ან სიმბოლოების ჯგუფის სხვებით შეცვლა). ჩანაცვლებადი შიფრის პირველი ცნობილი მაგალითია იულიუს კეისარის შიფრი, რომელშიც ლათინური ანბანის ყოველი ასო იცვლებოდა მისგან მარჯვნივ 3 პოზიციით დაცილებული სიმბოლოთი.

კლასიკური შიფრებით დამუშავებული ტექსტი (შიფროტექსტი) ყოველთვის შეიცავდა გარკვეულ სტატისტიკურ ინფორმაციას, რაც საშუალებას იძლეოდა საწყისი ტექსტის აღდგენისა. IX-ე საუკუნეში არაბი მათემატიკოსის მიერ სიხშირული ანალიზის აღმოჩენის შემდეგ, ასეთი შიფრების გატეხვა გაცილებით იოლი გახდა. 1467 წელს იტალიელმა ლეონ ბატისტა ალბერტიმ გამოიგონა პოლიალფაბეტური შიფრი, რომლითაც ტექსტის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა შიფრით იშიფრებოდა. მანვე გამოიგონა პირველი მექანიკური დამხმარე მოწყობილობა (ე.წ. შიფრო ბორბალი). ვიგენერის პოლიალფაბეტურ შიფრში გამოიყენებოდა პაროლი, რომელიც განსაზღვრავდა იმას თუ ტექსტის რომელი სიმბოლო შიფრის რომელი სიმბოლოთი უნდა შეცვლილიყო. 1800 წელს ბებიჯმა დაამტკიცა, რომ ასეთი ტიპის პოლიალფაბეტური შიფრებიც ექვემდებარებოდა გარკვეულ სიხშირულ ანალიზს. მიუხედავად იმისა, რომ სიხშირული ანალიზი საკმაოდ მძლავრი საშუალებაა კრიპტოანალიზისათვის, ის მაინც შედარებით უცნობ მეთოდად რჩებოდა. ამ მეთოდის გარეშე შიფრის გატეხვა მოითხოვდა შიფრის ალგორითმის ცოდნას, რისი მოპოვებაც შპიონაჟით, მოქრთამით და გამოძალვით ხერხდებოდა. XIX საუკუნეში დადგინდა, რომ შიფრის ალგორითმის საიდუმლოდ შენახვა, შიფრის დაცულობის გარანტი არ არის და რომ შიფრი დაცული უნდა რჩებოდეს მაშინაც კი როდესაც მოწინააღმდეგე სრულად ფლობს გამოყენებული შიფრის ალგორითმის შესახებ ინფორმაციას. ძირითადად იდეალური შიფრის დაცულობა დამოკიდებული უნდა იყოს შიფრის გასაღების (პაროლის) დაცულობაზე. კრიპტოგრაფიის ეს ფუნდამენტური პრინციპი პირველად ჩამოაყალიბა 1883 წელს ავგუსტ კერჰოფმა (კერჰოფის პრინციპი), შემდგომში ეს პრინციპი განავრცო კლოდ შენონმა “მტერი იცნობს სისტემას”.

კრიპტოგრაფიაში მრავალი ხელსაწყო და მექანიზმი იქნა გამოყენებული. ცნობილი მაგალითია ძველ საბერძნეთში სპარტელების მიერ გამოყენებული ღვედი, გადანაცვლებადი შიფრისათვის. პოლიალფაბეტურ შიფრებთან ერთად გამოჩნდა ალბერტის შიფრის დისკი, ტრიტემიუსის სქემა და ჯეფერსონის ცილინდრები. რამდენიმე შიფრაცია-დეშიფრაციის მოწყობილობა გამოყენებული იქნა XX საუკუნის დასაწყისში, მათ შორის როტორული მანქანები. მათგან ყველაზე ცნობილი, ენიგმა, გერმანელების მიერ გამოყენებულ იქნა II მსოფლიო ომში. ამ მანქანებმა კარდინალურად გაზარდა კრიპტოანალიზის სირთულე.

კომპიუტერების გამოჩენამ შესაძლებელი გახადა შექმნილიყო გაცილებით რთული და დახვეწილი შიფრები. შესაძლებელი გახდა დაშიფრულიყო ყველანაირი მონაცემი ბინარულ ფორმატში. კომპიუტერული შიფრები უმეტესწილად მანიპულირებენ ბიტებზე ან ბიტების ჯგუფებზე, განსხვავებით კლასიკური პოლიალფაბეტური შიფრებისაგან, რომლებიც ტექსტის ცალკეულ სიმბოლოებს

ამუშავებდნენ. ამავე დროს გაადვილდა შიფრების კრიპტოანალიზი. მიუხედავად ამისა, თანამედროვე შიფრები მონაცემების დაცვის მაღალ დონეს უზრუნველყოფენ, მათი კრიპტოანალიზის გზით გატეხვა იმდენად კოლოსალურ გამოთვლით და დროით რესურსებს მოითხოვს, რომ პრაქტიკულად შეუძლებლად მიიჩნევა. ინტენსიური ღია კვლევები კრიპტოგრაფიის დარგში 1970-იანი წლებიდან დაიწყო, ეს იყო DES-ის (Data Encryption Standard) გამოქვეყნებული სპეციფიკაციები, დიფი-ჰელმანი და RSA ალგორითმი. მას შემდეგ ინტენსიურად დაიწყო კრიპტოგრაფიის გამოყენება კომუნიკაციებში, კომპიუტერულ ქსელებსა და მთლიანად კომპიუტერულ უსაფრთხოებაში. თანამედროვე კრიპტოგრაფიული სისტემების დაცულობა დამოკიდებულია გარკვეულ მათემატიკურ პრობლემებზე, მაგ. რიცხვის ფაქტორიზაცია, დისკრეტული ლოგარითმები და ელიპსური მრუდეები. დამტკიცებულია, რომ ასეთი კრიპტოგრაფიული სისტემა დაცულია, თუ მათემატიკური პრობლემის ეფექტურად და მოკლე დროში გადაჭრა შეუძლებელია. გამონაკლისია “ერთჯერადი ბლოკნოტი”, არ არსებობს მისი გატეხვის თეორიული გზა და წარმოადგენს იდეალურ კრიპტოგრაფიულ ალგორითმს.

თუ XX საუკუნემდე კრიპტოგრაფია ძირითადად მანიპულირებდა სიმბოლოებზე და იყენებდა ლინგვისტიკის ელემენტებს, XX საუკუნიდან ხდება მათემატიკის ინტენსიური გამოყენება, ინფორმაციის თეორიის, სტატისტიკის, კომბინატორიკის, აბსტრაქტული ალგებრის და რიცხვთა თეორიის ჩათვლით. კრიპტოგრაფიაში ფიქსირდება კვანტური ფიზიკის ელემენტების შემოტანაც. აღნიშნული ელემენტები კვანტურ კრიპტოგრაფიასა და კვანტურ გამოთვლებთანაა დაკავშირებული.

არსებობს სიმეტრიული კრიპტოგრაფია, რომელიც იყენებს მეთოდებს, რომლის დროსაც ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები იყენებენ ერთსა და იმავე გასაღებს (იშვიათად სხვადასხვა, მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი გასაღები იოლად გამოითვლება მეორიდან). 1976 წლამდე ეს შიფრაციის ერთადერთი მეთოდი იყო. თანამედროვე სიმეტრიული კრიპტოგრაფია დაკავშირებულია ძირითადად ბლოკურ შიფრებთან, ნაკადურ შიფრებთან და მათ გამოყენებასთან.

ბლოკური შიფრი წარმოადგენს ფაქტობრივად პოლიალფაბეტური შიფრის მოდიფიკაციას: აიღება საწყისი ტექსტის გარკვეული სიგრძის ნაწილი (ბლოკი) და გასაღები, შედეგად მიიღება იგივე (იშვიათად განსხვავებული) სიგრძის შიფროტექსტი. შიფროტექსტის შემადგენელი ბლოკების ერთმანეთთან შერწყმისათვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, რომლებსაც მთლიანობაში ქმედების რეჟიმი ეწოდებათ. მონაცემთა შიფრაციის სტანდარტი (Data Encryption Standard - DES) და გაუმჯობესებული შიფრაციის სტანდარტი (Advanced Encryption Standard - AES) წარმოადგენენ ბლოკურ შიფრებს. DES და მისი ნაირსახეობა 3 DES ჯერაც რჩება ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ალგორითმად და ფართოდ გამოიყენება, თუმცა მისი გასაღების სიგრძის არასაკმარისობის გამო, ხდება მისი ჩანაცვლება სხვა, უფრო თანამედროვე ალგორითმებით. დღემდე გამოგონილია მრავალი ბლოკური შიფრი, მათი უმეტესობა გატეხილია წარმატებული კრიპტოანალიზის შედეგად.

ნაკადური შიფრი ქმნის განუსაზღვრელი სიგრძის გასაღებს, რომელიც შემდგომ უერთდება საწყის ინფორმაციას. გამომავალი ინფორმაცია დამოკიდებულია შიფრის გასაღებზე, ზოგიერთ ნაკადურ შიფრში ტექსტზეც.

კრიპტოგრაფიული ჰემ-ფუნქციები (ტექსტის ანაბეჭდის ფუნქციები) წარმოადგენენ კრიპტოგრაფიული ალგორითმების მნიშვნელოვან კლასს. ისინი იღებენ საწყის მნიშვნელობად ტექსტს და უკან აბრუნებენ ფიქსირებული სიგრძის ჰემს, რომლის დაკავშირება საწყის მნიშვნელობასთან პრობლემას წარმოადგენს. ასეთ ფუნქციებს ცალმხრივ ფუნქციებსაც ეძახიან. საუკეთესო ალგორითმებისათვის კოლიზიები (ორი ტექსტი, რომელთა ჰემი ერთი და იგივეა) რთული მოსაძებნი უნდა იყოს და ამის ალბათობა მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი. ჰემირების ფუნქცია ემსახურება იმას რომ უფრო ჩქარა მოხდეს მონაცემის იდენტიფიცირება.

შეტყობინების აუთენტიფიკაციის კოდები ჰემ-ფუნქციების მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ჰემ-მნიშვნელობის შესამოწმებლად გამოიყენება საიდუმლო გასაღები.

სიმეტრიული კრიპტოგრაფია იყენებს 1 გასაღებს შიფრაციისათვის და დეშიფრაციისათვის. ამ მეთოდის უპირველეს ნაკლს გასაღების მართვის აუცილებლობა წარმოადგენს. ქსელში ყოველ სხვადასხვა წყვილს უწევს იქონიოს ცალკე გასაღები, რაც წყვილთა რაოდენობის გაზრდისას გასაღებების რაოდენობის კვადრატული პროპორციით გაზრდას იწვევს. ორ მოკავშირე მხარეს შორის გასაღების გაცვლა, მაშინ როცა ჯერ არ არსებობს დაცული საკომუნიკაციო არხი (გასაღების გაცვლა უნდა მოხდეს ფარულად, ფარულად გაცვლა ითხოვს დაშიფრვას, დაშიფრვა თავის მხრივ თხოულობს გასაღების გაცვლას და შემდგომ ამოქმედებას).

1976 წელს უიტფილდ დიფი და მარტინ ჰელმანმა წარმოადგინეს ასიმეტრიული კრიპტოგრაფია-კარდინალურად განსხვავებული კონცეფცია, რომელშიც გამოიყენება ორი სხვადასხვა, მაგრამ მათემატიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული გასაღები-ღია და ფარული გასაღებები. ამავე დროს ფარული გასაღების მიღება ღია გასაღებიდან მოითხოვს კოლოსალურ გამოთვლით რესურსებს. ასიმეტრიულ კრიპტოგრაფიაში ღია გასაღები შეიძლება ყველასათვის ცნობილი იყოს, ამავე დროს ფარული გასაღები საიდუმლოდ უნდა დარჩეს. ტიპიურ შემთხვევაში ფარული გასაღები გამოიყენება შიფრაციის დროს, ხოლო ღია გასაღები დეშიფრაციის დროს, დიფი და ჰელმანმა ასევე წარმოადგინეს დიფი-ჰელმანის გასაღების გაცვლის პროტოკოლი. 1978 წელს კრიპტოგრაფების ჯგუფმა რონალდ რივესტის, ადი შამირის და ლენ ედლმანის შემადგენლობით შექმნეს მეორე ასიმეტრიული კრიპტოსისტემა RSA. დიფი-ჰელმანის და RSA ალგორითმები დღეს ფართოდ არის გავრცელებული. არსებობს ასევე რამდენიმე სხვა კრიპტოსისტემა, რომელიც ღია გასაღების კონფერენციას იყენებს. შიფრაციის გარდა ასიმეტრიული კრიპტოგრაფია ციფრული ხელმოწერებისათვისაც გამოიყენება. ციფრული ხელმოწერა ჩვეულებრივ ხელმოწერას იმით წააგავს, რომ მისი მფლობელისათვის მისი შექმნა და განკარგვა მარტივია, ხოლო უცხო პირისათვის მისი დუბლირება შეუძლებელი.

ციფრული ხელმოწერები გამოიყენება 2 ალგორითმში: 1) ხელმოწერა, სადაც ფარული გასაღები გამოიყენება ტექსტის ან ტექსტის ჰემის შიფრაციისათვის. 2) შემოწმება, სადაც ღია გასაღების მეშვეობით ხდება დეშიფრაცია, მოწმდება ტექსტის ჰემი და ამდენად ტექსტის მთლიანობა და ხელმოწერის ნამდვილობა. RSA და DSA წარმოადგენენ ციფრული ხელმოწერის ყველაზე გავრცელებულ ალგორითმებს და ფართოდ გამოიყენება ისეთ პროტოკოლებში, როგორებიცაა: SSL/TSL, VPN და სხვა. ღია გასაღების კრიპტოსისტემები დაფუძნებულია ძნელი

პრობლემების გამოთვლით სირთულეზე. მაგალითად RSA ემყარება რიცხვის ფაქტორიზაციის პრობლემას (ანუ დიდი რიცხვის დაშლას მარტივ მამრავლებად), ხოლო დიფი-ჰელმანის ალგორითმი ეფუძნება დისკრეტული ლოგარითმების პრობლემას. ასეთი სისტემების უმეტესობაში ინტენსიურად გამოიყენება მოდულით გამრავლება და დახარისხება, შესაბამისად გაცილებით მეტი გამოთვლითი სიმძლავრეა საჭირო, ვიდრე სიმეტრიულ სისტემებში. მიტომ ღია გასაღების კრიპტოსისტემები ძირითადად გამოიყენება, როგორც ჰიბრიდული სისტემები, სადაც ინფორმაციის შიფრაცია/დეშიფრაციისათვის გამოიყენება სწრაფი სიმეტრიული ალგორითმები, ხოლო მისი გასაღების მართვისა და გადაცემისათვის გამოიყენება შედარებით ნელი ასიმეტრიული ალგორითმები.

რაც შეეხება კრიპტო ანალიზს მისი უმთავრესი ამოცანაა იპოვოს სუსტი წერტილები კრიპტოგრაფიულ სისტემაში, რათა შეძლოს ამ სისტემით დაცული ინფორმაციის მოპოვება. კრიპტოანალიზი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ბოროტგანმზრახველის მიერ, ასევე კრიპტოსისტემის შემქმნელის მიერ ამ სისტემაში ნაკლის აღმოსაჩენად (გაცილებით იოლია სისტემის ნაკლის პოვნა, ვიდრე მისი სრულყოფილების დამტკიცება). ფართოდ გავრცელებული და ამავე დროს მცდარი აზრია ის, რომ ნებისმიერი შიფრის გატეხვა შესაძლებელია სასრულ დროში. II მსოფლიო ომის პერიოდში კლოდ შენონმა დაამტკიცა, რომ შიფრის გატეხვა თეორიულად შეუძლებელია, თუ მისი გასაღები ნამდვილად შემთხვევითია, არ მეორდება, ტექსტის სიგრძის ტოლი ან მეტია და დაცულია პირდაპირი წვდომისაგან სხვა პირებისგან. ამ პირობებს მხოლოდ ე.წ. ერთჯერადი ბლოკნოტი აკმაყოფილებს. სხვა შიფრები, გარდა ამ შიფრებისა შეიძლება გატყდეს ე.წ. უხეში ძალის მეთოდით (მიუხედავად მისი დროისა). ამავე დროს შესაბამისი გამოთვლების ოდენობა ექსპონენციურად დამოკიდებულია გასაღების სიგრძეზე. შისტემა დაცულად ითვლება, თუ ამ გამოთვლების ოდენობა აღემატება ნებისმიერი მოწინააღმდეგის შესაძლებლობებს, ამავე დროს თუ არ არსებობს გატეხვის სხვა მეთოდი, რომელიც უფრო სწრაფი იქნებოდა ვიდრე უხეში ძალის მეთოდი. დღესდღეობით ერთადერთ თეორიულად გაუტეხელ შიფრად ერთჯერადი ბლოკნოტი რჩება. არსებობს კრიპტოანალიზის რამდენიმე ტიპი, ძირითადი განსხვავება მათ შორის არის მოწინააღმდეგისათვის ცნობილი ინფორმაციის ოდენობა და სახე, რის საფუძველზეც ხდება შემდეგი ანალიზი. ცნობილი შიფროტექსტის შემთხვევაში კრიპტოანალიტიკოსს ხელთ აქვს მხოლოდ დაშიფრული ინფორმაცია. ცნობილი ღია ტექსტის შემთხვევაში კრიპტოანალიტიკოსს აქვს შიფროტექსტი და მისი შესაბამისი ტექსტი, მაგრამ არ აქვს გასაღები. არჩეული ტექსტის შემთხვევაში ანალიტიკოსს შეუძლია თვითონ შეარჩიოს ტექსტი და მიიღოს მისი შესაბამისი შიფროტექსტი. არჩეული შიფროტექსტის შემთხვევაში ანალიტიკოსს შეუძლია შეარჩიოს შიფროტექსტები და შეისწავლოს მათი შესაბამისი ტექსტები.

სიმეტრიული კრიპტოსისტემების კრიპტოანალიზი ბლოკურ ან ნაკადურ შიფრებში გატეხვის უფრო ეფექტური მეთოდების პოვნას ემსახურება, ვიდრე გასაღებების სიმრავლის უბრალო გადარჩევა, ანუ უხეში ძალის მეთოდი. მაგალითად უხეში ძალის მეთოდი DES ალგორითმის წინააღმდეგ მოითხოვს 1 ცნობილ ტექსტს და 256 დეშიფრაციის ოპერაციას. ამავე დროს წრფივი კრიპტოანალიზი მოითხოვს 243 ცნობილ ტექსტს და 243 შიფრაციას, რაც უხეში ძალის მეთოდთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯია.

ასიმეტრიული ალგორითმები რომელიმე მათემატიკური პრობლემის გათვლით სირთულეს ემყარება, მათ შორის ყველაზე ცნობილია რიცხვის მამრავლებად დაშლის პრობლემა, ასევე დისკრეტული ლოგარითმების პრობლემა, მათი კრიპტოანალიზის მეთოდები მოიცავს რამდენიმე მეტნაკლებად ეფექტურ რიცხვით მეთოდს ამ პრობლემების გადასაჭრელად. მაგალითად ელიპსური მრუდეების პრობლემის ამოხსნას საუკეთესო ალგორითმით გაცილებით მეტი დრო ესაჭიროება ვიდრე ექვივალენტური სირთულის რიცხვით ფაქტორიზებას შესაბამისი საუკეთესო ალგორითმით, ამიტომ ბოლო ხანებში ელიპსურ მრუდეებზე დაფუძნებულმა კრიპტოსისტემებმა სულ უფრო მეტი პოპულარულობა მოიპოვა. წმინდა კრიპტოანალიზი იყენებს ალგორითმების სისუსტეებს მაშინ როდესაც შესაძლებელია კრიპტოსისტემაზე შეტევა განხორციელდეს სხვა კუთხიდანაც, მაგალითად კრიპტოანალიტიკოსმა შესაძლოა მოიპოვოს ფიზიკური წვდომა შიფრაციის მოწყობილობაზე და მიიღოს დამატებითი ინფორმაცია ანალიზისთვის, შიფრაციის ოპერაციისათვის საჭირო დრო, გატარებული ინფორმაციის სტრუქტურა ან შუალედური მონაცემები. არსებობს სოციალური ინჟინერია, რაც გულისხმობს ინფორმაციის მოპოვებას თვითონ ადამიანებისგან, ვისაც აქვთ წვდომა კრიპტოსისტემაზე, იქნება ეს შანტაჟით, დაშინებით, მოქრთამვით, შპიონაჟით თუ სხვა. შესაძლოა ეს ყველაზე ეფექტური მეთოდი აღმოჩნდეს ყველა დანარჩენ მეთოდთან შედარებით.

ცენტრალური უსაფრთხოების სამსახური სამხედრო კრიპტოგრაფიულ თანამეგობრობას უზრუნველყოფს დროული კრიპტოგრაფიული მხარდაჭერით, უზიარებს თავის გამოცდილებას, ცოდნას და მის ხელთ არსებულ კვალიფიციურ ინფორმაციას. CSS არის რგოლი, რომელიც ხელს უწყობს ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოსა და შეიარაღებული ძალების კრიპტოგრაფიულ ელემენტებს შორის კოორდინირებულ თანამშრომლობას. CSS ანვითარებს კრიპტოგრაფიულ სტრუქტურებს შორის სრულყოფილი თანამშრომლობის მეთოდებს, ხელმძღვანელობს დაზვერვის სიგნალებს და ინფორმაციული მისიების უსაფრთხოებას.

CSS შეიქმნა 1972 წელს პრეზიდენტის დირექტივით. CSS ხელმძღვანელობს ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს დირექტორი. ცენტრალური უსაფრთხოების სამსახურს, ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოსგან განსხვავებით არ ჰქონდა საკუთარი ემბლემა. 1996 წელს, ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს დირექტორმა და ამავდროულად CSS ხელმძღვანელმა გენერალ-ლეიტენანტმა კენეთ ა. მინიჰანმა მოითხოვა სამსახურისთვის შეექმნათ განმასხვავებელი ემბლემა, რომელიც წარმოადგენდა ცენტრალური უსაფრთხოების სამსახურს, ოღონდ აღნიშნავდა მას როგორც ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოში შემავალ სტრუქტურას. იმავე წელს შემუშავდა და მიღებულ იქნა ემბლემა, რომელიც შედგება და ასახავს ხუთი კრიპტოგრაფიული სამსახურის კომპონენტს: აშშ-ის ფლოტის კიბერ სარდლობა, საზღვაო ქვეითთა დაზვერვის დეპარტამენტი, აშშ-ის არმიის დაზვერვისა და უსაფრთხოების სარდლობა, აშშ-ის საჰაერო ძალების დაზვერვის, ფარული ზედამხედველობისა და რეკონოსცირების სააგენტო და სანაპირო დაცვის დაზვერვის ქვედანაყოფი, CSS ემბლემის შუაში ვარსკვლავზე განთავსებულია ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ნიშანი, რომელიც მართავს და ხელმძღვანელობს ტექნიკური დაზვერვისა და სადაზვერვო სიგნალების მოპოვების სფეროში წარმოებულ სპეციალურებს.

გეოსივრცითი დაზვერვის ეროვნული სააგენტო

გეოსივრცითი დაზვერვის ძირითადი ფუნქცია და მისია წარმოადგენს სამხედრო და სახელმწიფოს ოფიციალური სფეროებისთვის სპეციფიკის მიხედვით საჭირო კოსმოსური გამოსახულებითი დაზვერვის მიერ მოპოვებული ფოტო და კარტოგრაფიული ინფორმაციის მიწოდება. აღნიშნული სააგენტო აშშ-ს დაზვერვის თანამეგობრობის სისტემაში შედის. სააგენტოს დევიზია: „შეიცანით დედამიწა“, „გინვენებთ გზას“, „გაიგეთ მსოფლიო“.

გეოსივრცითი დაზვერვის სააგენტოს თანამშრომელთა რაოდენობა 16 ათასს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტი დღემდე გასაიდუმლოებულია, თუმცა ლოგიკური ანალიზის შემდეგ რთული მისახვედრი არ არის, რომ კოსმოსური პროექტების განსახორციელებლად რამდენიმე ათეულ მილიარდიანი ბიუჯეტია საჭირო. გეოსივრცითი დაზვერვის შტაბ-ბინა 2011 წლამდე განლაგებული იყო ბეთესდაში, ვირჯინიაში, ხოლო შემდეგ გადავიდა ბელვიორში, ფეირფაქსის საგრაფოში, ვირჯინიაში, სააგენტოს ახალი შტაბ-ბინა ვაშინგტონში სხვა სახელმწიფო შენობებს შორის მე-3 ადგილზეა სიდიდით, მისი ფართი 214000 კვადრატულ მეტრს შეადგენს, ხოლო ისეთი მაღალია, რომ აშშ-ს თავისუფლების ქანდაკება შეიძლება განთავსდეს. სააგენტო თეთრი სახლის მითითებით ჩართული იყო ბენ ლადენის განადგურების სპეცოპერაციაში სახელწოდებით „ნეპტუნის სამკაპი“. გეოსივრცითი დაზვერვის სააგენტო აღნიშნული სპეცოპერაციის მსვლელობისას უზრუნველყოფდა სპეცდანიშნულების რაზმებს და დაზვერვის სამსახურებს სპეციალური ტაქტიკური და სტრატეგიული ინფორმაციით.

გეოსივრცითი დაზვერვის სააგენტო რამდენიმე სპეციალური სამსახურის სამართალმემკვიდრეა, რომლებიც ძირითადად აშშ-ს შეიარაღებული ძალებისთვის საჭირო კარტოგრაფიული მასალების მომზადებაზე იყვნენ ორიენტირებულნი. ადრეულ პერიოდში გეოსივრცითი დაზვერვის სააგენტოს ფუნქციებს ასრულებდნენ შემდეგი სამსახურები:

- 1961 წელს აშშ-ს პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერის განკარგულებით შექმნილი გამოსახულებითი ფოტოების გამშიფრავი ეროვნული ცენტრი (National Photographic Interpretation Center, NPIC). NPIC-ი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დირექტორატის ქვედანაყოფი, რომელიც სპეციალიზირდებოდა გამოსახულებების დამუშავებაზე.
- 1972 წლის 1 იანვარს შექმნილი სამხედრო კარტოგრაფიული სამმართველო (Defense Mapping Agency, DMA), რომელიც ანხორციელებდა აშშ-ს ყველა ტიპის შეიარაღებული ძალების რუკების შემდგენელი ქვედანაყოფების მართვას.

DMA და NPIC ცენტრები არსებობდნენ 1990 წლის შუა პერიოდამდე, უკვე XX საუკუნის ბოლოსათვის ამერიკის დაზვერვის თანამეგობრობის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა აღნიშნული ორი სამსახურის რეორგანიზაცია და ერთიან სააგენტოდ გარდაქმნა. 1995 წლის 28 ნოემბერს აშშ-ს თავდაცვის მდივანმა უილიამ პერიმ, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორმა ჯონ დეიჩმა, შტაბის ხელმძღვანელების გაერთიანებული კომიტეტის თავჯდომარემ გენერალმა ჯონ შალიკაშვილმა აშშ-ს კონგრესს მიმართეს ინიციატივით, რომლითაც ამერიკელ კანონმდებლებს სთხოვდნენ კიდევ ერთი სადაზვერვო სტრუქტურის,

„გამოსახულებითი და კარტოგრაფიული ინფორმაციის ეროვნული სააგენტოს“ (National Imagery and Mapping Agency, NIMA) შექმნაზე თანხმობას. ერთწლიანი განხილვის შემდეგ სააგენტოს კონცეფციამ მოწონება დაიმსახურა და 1996 წლის 1 ოქტომბერს სააგენტო მუშაობას შეუდგა.

აღნიშნული სააგენტოს სტრუქტურას შეერწყა შემდეგი სამსახურები:

- სამხედრო კარტოგრაფიული სამმართველო
- გამოსახულებითი ინფორმაციის ცენტრალური სამსახური
- თავდაცვითი ინფორმაციის გავრცელების სამსახური
- ფოტოგადაღებების გაშიფრვის ეროვნული ცენტრი

გამოსახულებითი და კარტოგრაფიული ინფორმაციის ეროვნული სააგენტოს პერსონალის ნაწილი გადავიდა თავდაცვის დეპარტამენტის სადაზვერვო სააგენტოდან, სამხედრო-კოსმოსური დაზვერვისა და სამხედრო საჰაერო დაზვერვის სამსახურიდან. 2003 წლის 24 ნოემბერს გამოსახულებითი და კარტოგრაფიული ინფორმაციის ეროვნულ სააგენტოს გადაერქვა სახელწოდება და თავისი სპეციფიკური საქმიანობის აღსანიშნავად ეწოდა გეოსივრცითი დაზვერვის ეროვნული სააგენტო (National Geospatial-Intelligence Agency). 2001-2006 წლებში როდესაც სააგენტოს ჯეიმს კლაპერი ხელმძღვანელობდა, სააგენტოს საქმიანობის ძირითადი აქცენტები და პრიორიტეტები გადატანილი იყო კონკრეტულ სტრატეგიულ ობიექტებზე დაკვირვების წარმოებაზე და არა გლობალური დაზვერვის წარმოებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციულად გეოსივრცითი დაზვერვის სააგენტო აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის სტრუქტურაში შედის, მისი დირექტორი ემორჩილება, როგორც თავდაცვის მდივანს ისე ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორს. სააგენტოს პირველი დირექტორი კონტრ-ადმირალი ჯოზეფ დენტონ უმცროსი (Joseph J. Dantone) გახლდათ. სააგენტოში დანიშვნამდე ჯოზეფ დენტონი ხელმძღვანელობდა აშშ-ს სამხედრო საზღვაო ძალებს, მონაწილეობდა სამშვიდობო ოპერაციაში სომალიში. 2010 წლის 9 აგვისტოდან სააგენტოს ხელმძღვანელობს ლიტცია ლონგი. სააგენტო ასაქმებს პროფესიონალებს ისეთი სამეცნიერო მიმდინარეობებიდან როგორებიც არის: აერონავტიკის ანალიზის, კარტოგრაფიის, გეოსივრცითი ანალიზის, გამოსახულებების ანალიზის, ფლოტის ანალიზის, ფიზიკის მეცნიერებების, გეოდეზიის, კომპიუტერული და ტელეკომუნიკაციების ინჟინერიის და ფოტოგრაფიის სფეროში, აგრეთვე ეროვნული უსაფრთხოებისა და სამართლებრივი საკითხების ექსპერტებს.

სააგენტოს ხელმძღვანელს ჰყავს სამი მოადგილე:

- დირექტორის პირველი მოადგილე
- აღმასრულებელი დირექტორი
- ტექნიკური დირექტორი

მეტად სტრატეგიული ფუნქციის მქონეა სააგენტოს შტაბი, შტაბის სტრუქტურა ვრცელია და ის შემდეგ რგოლებს შეიცავს:

- გენერალური მრჩევლის განყოფილება
- გენერალური ინსპექტორის განყოფილება

- საერთაშორისო პოლიტიკის განყოფილება
- პროტოკოლის განყოფილება
- საერთო საკითხთა განყოფილება
- თანაბარ სამსახურებრივ შესაძლებლობათა განყოფილება
- კომერციული განყოფილება
- სადაზვერვო ამოცანების დასახვის ცენტრალური განყოფილება
- სარდლობის ცენტრი
- სამდივნო

სააგენტოს შტაბში მუდმივად მივლინებულია სამხედრო-კოსმოსური ეროვნული სამმართველოს წარმომადგენელი, გეოსივრცითი დაზვერვის სააგენტოს დირექტორის სპეციალური თანაშემწის რანგში. სააგენტო შედგება რვა დირექტორატისაგან, რომელთაგან სამი ძირითადი, ხოლო ხუთი დამხმარე დირექტორატია.

ძირითადი დირექტორატებია:

- ანალიზის და ინფორმაციის წარმოების დირექტორატი
- შესყიდვების დირექტორატი
- ინოვაციის დირექტორატი

დამხმარე დირექტორატებია:

- ფინანსური დირექტორატი
- საკადრო რესურსების დირექტორატი
- საინფორმაციო სამსახურების დირექტორატი
- შიდა უსაფრთხოებისა და დადგენილი ოპერაციების დირექტორატი
- სასწავლო-თეორიული დირექტორატი

გეოსივრცითი დაზვერვის ეროვნულ სააგენტოში მოქმედებს სპეციალური სასწავლო-კვლევითი დაწესებულება, გამოსახულებითი და კარტოგრაფიული დისციპლინების შემსწავლელი ეროვნული კოლეჯი, რომელიც კვალიფიციურ კადრებს ამზადებს გეოსივრცითი, კერძოდ კარტოგრაფიული და გამოსახულებითი დაზვერვის სფეროში. კოლეჯის შესახებ ყველანაირი ინფორმაცია მკაცრად არის გასაიდუმლოებული.

სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ეროვნული ოფისი

სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ეროვნული ოფისი ამერიკის დაზვერვის თანამეგობრობის კოსმოსური დაზვერვის პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელია. სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ეროვნული ოფისი შეიქმნა 1961 წლის 6 სექტემბერს, მისი შტაბ-ბინა ჩანტილუ, ვირჯინიაშია განლაგებული. აღნიშნული სააგენტოს შექმნით გაერთიანდა: სამხედრო საჰაერო ძალების, სამხედრო საზღვაო ძალების, ქვეითი ჯარების, თავდაცვის დეპარტამენტის დაზვერვის სააგენტოს და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ინტერესები და პრიორიტეტები ტექნიკური და კოსმოსური დაზვერვის სფეროში. სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ეროვნული ოფისის ჩამოყალიბების პერიოდში ექსპლუატაციაში უკვე შესული იყო ფოტოდაზვერვის სატელიტი KH-2, რომელიც 1959 წელს იყო გაშვებული კოსმოსში. პროექტი „დისქავერი“ კონსპირაციის მიზნით სამოქალაქო კოსმოსური ტელესკოპური აპარატის ლეგენდით შეინიღბა.

ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მსგავსად, სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ეროვნული ოფისის არსებობაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გასაიდუმლოებული იყო. მხოლოდ 1971 წლიდან მცირე დოზით ჩნდება აშშ-ს პრესაში ინფორმაცია, რომ ამერიკაში არსებობდა კოსმოსური დაზვერვის სპეცსამსახური. 1992 წლის 18 სექტემბერს აშშ-ს ოფიციალურმა პირებმა დაადასტურეს სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ეროვნული ოფისის არსებობა და მისი აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ფაქტი.

სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ოფისის დირექტორი ინიშნება თავდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ ეროვნული დაზვერვის დირექტორთან ერთობლივი გადაწყვეტილების და შეთანხმების საფუძველზე კონგრესის თანხმობის გარეშე. ოფისის დირექტორი სწორედ მაღლა აღნიშნული ორი პიროვნების წინაშე ანგარიშვალდებულია. სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის დირექტორი ამავდროულად თავისი სტატუსით არის სამხედრო საჰაერო ძალების ხელმძღვანელის თანაშემწე კოსმოსური სისტემების მართვის საკითხებში. კოსმოსური დაზვერვის ოფისს სადაზვერვო დავალებებს და პრიორიტეტული ინფორმაციების მოძიების მიმართულებებს განუსაზღვრავენ: ეროვნული დაზვერვის დირექტორის ოფისი (კონტრტერორისტული ცენტრი) და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო. სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ეროვნული ოფისის და მისი დირექტორის ამდაგვარი რთული სტატუსი აიხსნება იმით, რომ კოსმოსური დაზვერვის ეროვნული ოფისი უწყებათაშორის ორგანიზაციას წარმოადგენს. ორგანიზაციის მოსამსახურეების შტატი კომპლექტდება ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა და თავდაცვის დეპარტამენტის პერსონალის მიერ შემდეგი წესით: სამხედრო საჰაერო ძალები, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო, ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო, სამხედრო საზღვაო ძალები და სახმელეთო ჯარები. სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ოფისი საქმიანობისას მჭიდროდ თანამშრომლობს გეო-სივრცითი დაზვერვის ეროვნულ სააგენტოსთან.

სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ოფისის დირექტორის უშუალო დაქვემდებარებაში არის:

- თანაბარი სამსახურეობრივი შესაძლებლობების უზრუნველყოფის განყოფილება: ისევე, როგორც აშშ-ს სხვა უწყებებში აკონტროლებს, რომ

კოსმოსური დაზვერვის ოფისის თანამშრომლები არ გახდნენ რაიმე სახის დისკრიმინაციის მსხვერპლნი.

- გენერალური ინსპექტორი: ატარებს დისციპლინურ შემოწმებებს და აწარმოებს სამსახურობრივ გამოძიებებს.
- გენერალური მრჩეველი: დირექტორის იურიდიული მრჩეველი
- უფროსი მრჩეველი რეკრუტირების საკითხებში: დირექტორის მრჩეველი კადრების შერჩევისა და შემდგომი დანიშვნის საკითხებში
- აღმასრულებელი თანაშემწე
- სამხედრო თანაშემწე
- აღმასრულებელი ოფიცერი
- სამდივნო
- საჩივრების განხილვის განყოფილება

სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ეროვნული ოფისის დირექტორს რამდენიმე მოადგილე ჰყავს:

- დირექტორის პირველი მოადგილე
- დირექტორის მოადგილე რესურსების, ზედამხედველობის და მართვის დარგში
- დირექტორის მოადგილე ეროვნული მხარდაჭერის სფეროში: პასუხისმგებელია სადაზვერვო ინფორმაციის მომხმარებელ, ძირითადად ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობაზე.
- დირექტორის მოადგილე სამხედრო მხარდაჭერის სფეროში: პასუხისმგებელია სადაზვერვო ინფორმაციის მომხმარებელ, ძირითადად ქვეყნის უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელობასთან ურთიერთობაზე.
- დირექტორის მოადგილე სისტემური განვითარების საკითხებში
- სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ეროვნული ოფისის შტაბის მეთაური

სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ეროვნული ოფისის შტაბი მნიშვნელოვანი და ვრცელი რგოლია, რომელშიც შედის შემდეგი განყოფილებები:

- კონტრდაზვერვის განყოფილება
- შიდა უსაფრთხოების განყოფილება
- კონტრაქტების განყოფილება
- ისტორიული კვლევების განყოფილება
- პოლიტიკური განყოფილება
- პროტოკოლის განყოფილება
- საერთო კომუნიკაციების განყოფილება
- კოსმოსში გამშვები პროექტების განყოფილება

სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ეროვნული ოფისის სტრუქტურის ძირითადი ნაწილი შედგება ოთხი დირექტორატისა და სამი განყოფილებისგან:

- რადიოელექტრონული დაზვერვის სისტემების შესყიდვისა და ექსპლუატაციის დირექტორატი
- კომუნიკაციის სისტემების შესყიდვისა და ექსპლუატაციის დირექტორატი
- გამოსახულებითი დაზვერვის სისტემების შესყიდვისა და ექსპლუატაციის დირექტორატი
- ახალი სისტემებისა და ტექნოლოგიების დირექტორატი

- მმართველი სამსახურების და სპეცოპერაციების განყოფილება: პასუხისმგებელია სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ეროვნული ოფისის ელემენტების ცენტრალიზირებული საქმიანობის კოორდინაციაზე
- საერთო ოპერაციების განყოფილება: პასუხისმგებელია სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ოპერაციების ტექნიკურ უზრუნველყოფაზე: სატელიტების გაშვება, დიაგნოსტიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიებზე ზედამხედველობა
- ოპერატიული მხარდაჭერის განყოფილება: პასუხისმგებელია ოფისის მიერ მოპოვებული სადაზვერვო ინფორმაციის მომხმარებლებთან თანამშრომლობაზე

სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ოფისი დაფინანსებას იღებს, როგორც აშშ-ს დაზვერვის ბიუჯეტიდან ისე სამხედრო ბიუჯეტიდანაც. გეო-სივრცითი დაზვერვის ეროვნული სააგენტოსაგან განსხვავებით სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ზოგიერთი წლის ბიუჯეტი ცნობილია: 1971 წელს წლიური ბიუჯეტი 1 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, 1994 წელს წლიური ბიუჯეტი იყო 6 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო შემდეგ წლებში კოსმოსური დაზვერვის განვითარების მიზნით ბიუჯეტი იზრდებოდა და უკვე 2010 წლისთვის საინფორმაციო წყაროების მტკიცებით სავარაუდოდ 15 მილიარდი აშშ დოლარი იყო. კოსმოსური დაზვერვის სამსახურები აქტიურად თანამშრომლობენ NASA-სთან და სხვა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებთან.

„KeyHole“ ტიპის სატელიტური ანტენები აშშ-ს სამხედრო წრეებმა ტექნიკური დაზვერვის განხორციელების მიზნით 1960-იანი წლებიდან გაუშვეს ორბიტაზე. აღნიშნულ პერიოდში ძირითადი ტექნიკური პრობლემა იყო გადაღებული ფირის კოსმოსიდან მომხმარებლამდე მიწოდება. საწყის ეტაპზე ინფორმაციის მიღება ხორციელდებოდა ორბიტიდან გადმოსროლილი კონტეინერის ატმოსფეროშივე სპეცთვითმფრინავის გამოყენების გზით. აღნიშნული სქემა 1972 წლამდე გამოიყენებოდა. KH-11 ELINT (Electronic Intelligence) ტიპის სატელიტური ანტენების ამოქმედებისთანავე აშშ-ს დაზვერვა გადავიდა ელექტრონულ სისტემაზე, ამიერიდან სატელიტების მიერ მიღებული სურათი მათ შორის ინფრაწითელი სპექტრის გამოსახულებები ორბიტიდან რადიოტალღების საშუალებით იგზავნებოდა სპეციალურ მიმღებ სადგურებზე. აუცილებელი მოთხოვნები იყო ორბიტიდან გადაღებული გამოსახულებების მაღალი ხარისხი, რაც სამხედრო კარტოგრაფებს არსებული ვითარების რუკებზე ზუსტად გადატანის საშუალებას აძლევდა.

სპეციალური ოპერაციების სარდლობა

სპეციალური ოპერაციების სარდლობა აშშ-ს შეიარაღებული ძალების ცხრა ერთიანი საბრძოლო სარდლობიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია თავისი სამხედრო სტრატეგიით და საგანგებო ოპერაციების ჩატარების სპეციფიკური მეთოდებით. მის შემადგენლობაში გაერთიანებულია: არმიის ქვეითი ჯარების, საჰაერო ძალების, საზღვაო ფლოტისა და საზღვაო ქვეითი კორპუსის სპეცდანიშნულების რაზმები.

აშშ-ს სპეციალური ოპერაციების სარდლობა შეიქმნა 1987 წლის 16 აპრილს. სარდლობის შტაბ-ბინა განლაგებულია აშშ-ს სამხედრო საჰაერო ძალების ბაზაზე „მაკდელ“ „MacDill“ ქალაქ ტამპასთან ახლოს, ფლორიდაში.

1980 წელს ირანში აშშ-ს საელჩოში მყოფი ტყვეების განთავისუფლების მიზნით განხორციელებული სპეცოპერაციის „არწივის კლანჭი“ ჩავარდნამ შეაშფოთა ამერიკა, ამ ფაქტს უდიდესი რეზონანსი მოჰყვა. აღნიშნულ ფაქტზე რამდენიმე წელი მიმდინარეობდა გამოძიება ამერიკის სენატის თავდაცვის საკითხების კომიტეტში. აღნიშნული სპეციალური ოპერაციის ჩავარდნის მიზეზების ძიებისა და ხანგრძლივი კვლევითი მუშაობის შედეგად დაიდო კომიტეტის დასკვნა და რეკომენდაციები სადაც სენატის კომიტეტი მოუწოდებდა თავდაცვის დეპარტამენტს სპეციალური დანიშნულების რაზმების ცალკე სტრუქტურულ ერთეულად გამოყოფაზე ეროვნული თავდაცვის ერთიანი სტრუქტურის ფარგლებში.

ამერიკელი ექსპერტების მტკიცებით არსებული სპეცდანიშნულების რაზმების მთავარი ნაკლი იყო მათი არაკოორდინირებული და დეზორგანიზებული შეუთანხმებელი ქმედება, არ არსებობდა ერთიანი ხედვა და პრობლემის რეალური შეფასება, რის გამოც სპეციალური ოპერაცია „არწივის კლანჭი“ თავიდანვე მარცხისთვის იყო განწირული. 1987 წელს აშშ-ს პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა მოიწონა სენატის დასკვნა-რეკომენდაციები და 1987 წლის 16 აპრილს შეიქმნა სპეციალური ოპერაციების სარდლობა. ელიტურ რაზმებს უნდა გაეველოთ დამატებითი წვრთნები და განსაკუთრებული სპეცაქციების დროს საჭიროების შემთხვევაში მათ კოორდინაციას წარმართავდა აშშ-ს პრეზიდენტი ან თავდაცვის მდივანი.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულ აქტამდე სპეციალური ოპერაციების სარდლობა ძირითადად აშშ-ს უცხოეთში მოქმედი საელჩოების მიერ წარმოებული მნიშვნელოვანი მისიების განხორციელებას უზრუნველყოფდნენ, 9/11-ის შემდეგ სპეციალური ოპერაციების სარდლობა ჩაება საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლების განსაზღვრებით სპეციალური ოპერაციების სარდლობა შეიქმნა, გაიწვრთნა და აღიჭურვა სპეციფიკური დავალებების შესასრულებლად და პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ფსიქოლოგიური ტიპის მიზნების მისაღწევად, რომლებიც პირდაპირ კავშირში იქნებოდა აშშ-ს პოლიტიკურ ინტერესთან სხვადასხვა რეგიონებში. აღნიშნული სარდლობის ძალები მუდმივ მზადყოფნაში არიან შეუდგნენ დავალების შესრულებას როგორც მშვიდობიან ისე ომის პერიოდში დამოუკიდებლად ან სხვა სამხედრო შენაერთებთან ერთად. სპეციალური ოპერაციების სარდლობის

მობილური ძალები გამოიყენება კონფლიქტურ რეგიონებში იმ შემთხვევაში, როდესაც დიდი საჯარისო ნაწილების ამოქმედება პოლიტიკური თვალსაზრისით მიუღებელია. აქედან გამომდინარე სპეციალური ოპერაციების სარდლობა გამოდის ერთგვარი შტაბის როლში, რომელიც პასუხისმგებელია სარდლობის სისტემაში არსებული სპეცრაზმის ყველა ოპერაციაზე. სპეციალური ოპერაციების სარდლობას შეუძლია შეიმუშაოს და კოორდინირება გაუწიოს, როგორც გლობალურ ოპერაციებს ისე ცალკეული სპეციალური დანიშნულების რაზმების დამოუკიდებელ ოპერაციებს.

სპეციალური ოპერაციების სარდლობის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- მასობრივი განადგურების იარაღზე კონტროლი და მისი გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა
- ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა
- უცხოეთის ქვეყნებში სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- სტრატეგიული დაზვერვა
- უშუალოდ საბრძოლო მოქმედებები
- ფსიქოლოგიური ოპერაციები
- არატრადიციული საბრძოლო მოქმედებების წარმოება
- საინფორმაციო ომის წარმოება
- სამაშველო-სამძებრო ოპერაციების წარმოება
- ჰუმანიტარული დახმარების გაწევა
- სამოქალაქო ადმინისტრაციასთან თანამოქმედება
- ნარკოტიკული საშუალებების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა

სპეციალური ოპერაციების სარდლობის პირადი შემადგენლობა შეადგენს 58 000. სპეციალური ოპერაციების სარდლობის სამხედრო მოსამსახურეთა დაახლოებით 85% სპეციალურ ოპერაციებს ატარებენ უცხოეთში, მაგალითად სარდლობა პასუხისმგებელია ახლო აღმოსავლეთის 20 ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე. 2010 წლის მონაცემებით სპეცდანიშნულების რაზმები ამა თუ იმ დოზით ამოქმედებული იყო მსოფლიოს 75 ქვეყანაში. სპეცდანიშნულების რაზმების რეგულარული ნაწილები და რეზერვი მუდმივად არის დისლოცირებული აშშ-ს ტერიტორიაზე. ის სპეცდანიშნულების რაზმები, რომლებიც იმყოფებიან უცხოეთის ტერიტორიაზე ემორჩილებიან რეგიონალური შტაბის მთავარსარდალს. აშშ-ს სპეციალური ოპერაციების სარდლობის ნაწილები და ქვედანაყოფები მშვიდობიან პერიოდში ემორჩილებიან შტატების იმ გუბერნატორებს, რომელი შტატის ტერიტორიაზეც არიან განლაგებული.

სპეციალური ოპერაციების სარდლობის ორგანიზაციული სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

- მეთაური
- მეთაურის მოადგილე
- მეთაურის მოადგილე მობილიზაციისა და რეზერვების საკითხებში
- შტაბის უფროსი
- მეთაურის მხარდაჭერის ცენტრი
- სპეციალური ოპერაციების ცენტრი
- საინფორმაციო ქსელებისა და კომუნიკაციების ცენტრი

- ორგანიზაციული სტრუქტურის, რესურსების და სტრატეგიული შეფასების ცენტრი
- შესყიდვებისა და ტექნიკურ-მატერიალური უზრუნველყოფის ცენტრი
- განათლებისა და პერსპექტიული განვითარების ცენტრი

ცენტრალური აპარატის პირადი შემადგენლობა 2500 სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურისგან შედგება. სპეციალური ოპერაციების სარდლობის მეთაური ხელმძღვანელობს აღნიშნულ სარდლობაში შემავალ სპეციალური დანიშნულების რაზმებს. მეთაური გახლავთ ოთხ ვარსკვლავიანი გენერალი ან ადმირალი, რომელსაც ნიშნავს აშშ-ს პრეზიდენტი სენატის თანხმობით.

მეთაურის ფუნქციებში შედის:

- კონცეფციების, სტრატეგიის და ტაქტიკის შემუშავება, რის მიხედვითაც შემდეგ მოქმედებენ ელიტური რაზმები
- სპეცოპერაციების სარდლობის ბიუჯეტის შემუშავება, წარდგენა და განხილვა
- სპეციალური ოპერაციების სარდლობის განვითარებისა და დაფინანსების საკითხებში რეკომენდაციების მომზადება და მათი შეთავაზება პენტაგონისთვის
- საერთო ხარჯებზე კონტროლი
- სპეციალური ოპერაციების მართვა და მათ ხარისხზე კონტროლი
- სარდლობის ნაწილების და დანაყოფების საბრძოლო მომზადების ორგანიზება და პირადი შემადგენლობის ინდივიდუალური მომზადება
- სპეციალური ოპერაციების რატიფიკაცია ანუ მათთვის კანონიერი სახის მიცემა
- სპეციალური ძალებისა და საშუალებების ოპერატიული მოქმედებისა და ურთიერთშეთავსების უზრუნველყოფა
- სპეციალური ოპერაციებისას დაზვერვითი ხასიათის მოქმედებების სხვა უწყებებთან ერთად ჩატარების აუცილებლობის შესახებ განაცხადის ფორმულირება
- ოფიცერთა კადრების პროფესიონალურ და სამსახურეობრივ ზრდაზე კონტროლი
- დაქვემდებარებული სპეცძალების მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში ყოფა
- რეგიონალურ მეთაურებზე დაქვემდებარებული ძალების მზადყოფნის დონის მონიტორინგი
- სპეციალური ტექნიკის, შეიარაღების, აღჭურვილობის და სხვა რესურსების შესყიდვების მართვა, რომელიც აუცილებელია სპეცოპერაციების ჩასატარებლად.

სპეციალურ ოპერაციათა სარდლობას აქვს „ერთობლივი სპეციალური ოპერაციების უნივერსიტეტი“, რომელიც გახლავთ უმაღლესი სასწავლო ცენტრალური დაწესებულება და აშშ-ს სპეცოპერაციების სარდლობის მთავარი კომპონენტი. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა დონის სამხედრო და სამოქალაქო სპეციალისტების მომზადებას, აგრეთვე აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელში სპეციალური პროგრამით სწავლებას გადიან უმაღლესი რანგის ოფიცრები და სარდლები. უნივერსიტეტი დაარსდა 2000 წელს, ამჟამად განლაგებულია საჰაერო

ბაზა „მაკდილ“-ზე, ფლორიდაში, 2011 წლამდე უნივერსიტეტი განლაგებული იყო
საჰაერო ბაზა „ჰარლბერტ ფილდზე“ ფლორიდაში.

სპეციალური დანიშნულების დივერსიული-სადაზვერვო რაზმები

„მწვანე ბერეტები“, „რეინჯერები“, „ზღვის ლომები“, „დელტა“ და აშშ-ს სხვა სპეცდანიშნულების ძალები და მათი პოტენციური მსოფლიოსთვისაა ცნობილი. სამხედრო დაზვერვის ნაწილები მეორე მსოფლიო ომის დროს ხშირად მოქმედებდნენ იაპონელებისა და გერმანელების ზურგში, ისინი ამყარებდნენ კონტაქტებს პარტიზანებთან, რომლებიც მოქმედებდნენ ნაცისტების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, წვრთნიდნენ და ხელმძღვანელობდნენ მრავალი ოპერაციების ჩატარების დროს. ვიეტნამთან ომის დროს ბევრი დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს მებრძოლი დაიღუპა ინდოჩინეთში და მათ ასაღებდნენ როგორც მწვანე ბერეტებად ან კერძო პირებად. მათ მოვალეობაში შედიოდა ანტიკომუნისტური მოძრაობის მხარდაჭერა და მოკავშირეების ძებნა. ანალოგიურ ოპერაციებს ისინი ატარებდნენ ირანში, ანგოლაში, კუბასა და სხვადასხვა ქვეყნებში. დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს მებრძოლები წვრთნიდნენ ავღანელ მუჯაჰიდებს საბჭოთა კავშირთან ომის დროს. ბედის ირონიით იგივე ნაწილები გაგზავნეს ავღანეთში 2001 წელს რათა მათ აღმოეჩინათ და გაენადგურებინათ ბენ ლადენი. ყველა იმ კონფლიქტში, რომლებშიც მონაწილეობდა ამერიკა, გამოყენებული იყო სპეციალური დანიშნულების დანაყოფები (US Special Forces). ერთერთი სცენარით ვრავთან ომი ითვალისწინებდა სპეცდანიშნულების ნაწილების მასიურ გამოყენებას, სადაც ჰუსეინის მოსაძებნად და გასანეიტრალებლად, ვრავის არმიის სამეთაურო პუნქტების გასანადგურებლად და ვრავის ძირითადი ობიექტების თავის კონტროლქვეშ დასაქვემდებარებლად. მსგავსი სპეცოპერაცია მათ ახლახანს ჩაატარეს ავღანეთში. ამას გარდა სპეცნაწილების მხრებზეა კონტრტერორისტული ოპერაციების მთელი სიმძიმე. აშშ-ს სპეციალური ძალების ზუსტი რაოდენობა უცნობია. სამუელ საუსვორტისა და სტივენ ტენერის (ავტორები ცნობარისა „აშშ-ს სპეციალური ძალები“) შეფასებით დღეისათვის აშშ-ს სპეციალური ძალები მსოფლიოში საუკეთესოდ მომზადებულ სამხედრო ძალას წარმოადგენს. აშშ-ს სპეცდანიშნულების მოქმედებას, რომლებიც შედიან სხვადასხვა სახეობის ჯარებში, კოორდინაციას უწევს, სპეციალური ოპერაციების შტაბი (US Special Operations Command), რომელიც შეიქმნა 1987 წელს. თითქმის ყველა დანაყოფს გავლილი აქვთ სამხედრო მომზადების ერთნაირი სისტემა, იყენებენ ერთნაირ შეიარაღებას და შეუძლიათ შეასრულონ სხვადასხვა ტიპის საბრძოლო დავალებები. „რეინჯერების“ ჯგუფის შემქმნელმა, მაიორმა რობერტ როჯერსმა (Robert Rogers) შეიმუშავა 19 მცნება. ამ მცნებებს დღემდე არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა და გამოიყენება აშშ-ს ყველა ქვედანიშნულების მომზადების პროცესში. პირველი მცნებაა „არასოდეს არაფერი არ დაივიწყო“. ამას გარდა, მცნებების ჩამონათვალში შედის შემდეგი პოსტულატები: „შეამჩნიე მოწინააღმდეგე უფრო ადრე, ვიდრე ის შეგამჩნივს შენ“, „თქვი მხოლოდ სიმართლე, რა ნახე და რას აკეთებდი“, „არასოდეს არ დაბრუნდე ბანაკში იმ გზით, რომლითაც იქიდან წამოხვედი“, „არასოდეს არ გადალახო მდინარე იქ სადაც ყველამ იცის რომ იქ გადასასვლელია“, „თუკი მოწინააღმდეგე გაიხლოვდება, არასოდეს არ დაენახო მას, დაიხარე, დაწევი და გაირინდე ბალახში“.

„მწვანე ბერეტების“ წინაპრებად ითვლებიან ამერიკულ-კანადური მოხალისეთა ბრიგადები, რომელიც ჩამოყალიბდა 1942 წელს და გაიწვრთნა ბრძოლის წარმოების ახალი სისტემით „ინდიელთა ტაქტიკა“. აღნიშნული რაზმის მეომრები

მონაწილეობდნენ გერმანიის წინააღმდეგ ომში, შემდეგ პერიოდში მათი რიგები შეივსო და დაერქვათ „ეშმაკის ბრიგადა“ (Devil's Brigade). წვანე ბერეტები უფრო „ცივი ომი“-ს შვილები არიან, თანამედროვე სახით ისინი 1952 წელს ჩამოყალიბდნენ. მათი განვითარება დაკავშირებული იყო პრეზიდენტ ჯონ კენედის კონცეფციასთან. კენედი თვლიდა, რომ ფართოშტაბიანი ბრძოლები საბჭოთა ბლოკის ქვეყნებთან ნაკლებსავარაუდო იყო, აქედან გამომდინარე ამერიკის შეერთებული შტატების არმიის მშენებლობა მიმდინარეობდა პარტიზანული და კონტრ-პარტიზანული ოპერაციების ჩასატარებლად დედამიწის სხვადასხვა წერტილებში. კენედის დროს სპეც-ნაწილების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. „მწვანე ბერეტებმა“ აქტიური მონაწილეობა მიიღეს ვიეტნამის ომში, ასევე ერაყთან და ავღანეთთან გამართულ ბრძოლებში.

„მწვანე ბერეტები“ ამერიკის შეიარაღებული ძალები ერთ-ერთ ყველაზე ელიტარულ სპეცდანაყოფს წარმოადგენს. მათი სპეციალიზაციაა ამბოხებულებისა და ტერორისტული ჯგუფების წინააღმდეგ მოქმედება. მწვანე ბერეტები ოპერაციებს მსოფლიოს მრავალ წერტილში ანხორციელებდნენ, მათ შორის ვიეტნამელი პარტიზანებისა და კოლუმბიელი ნარკობარონების წინააღმდეგ. მათი დევიზია „თავისუფლება ჩაგრულებს“. გარდა სამხედრო კვალიფიკაციისა, „მწვანე ბერეტები“ ფლობენ უცხო ენებს, მაღალ დონეზე იციან იმ ქვეყნის კულტურული და პოლიტიკური თავისებურებები სადაც უნდა ჩატარდეს სპეცოპერაცია. მათ აქვთ განათლება დიპლომატიასა და ფსიქოლოგიაში. ამჟამად მწვანე ბერეტები ავღანეთში ადგილობრივ შეიარაღებულ ძალებს წვრთნიან, რათა ამ უკანასკნელთ შეეძლოთ საკუთარი ქვეყნის გაკონტროლება.

აშშ-ს არმიის უძველესი სპეც-შენაერთი „რეინჯერები“ თავიდან იყო მსუბუქი ქვეითების სპეციალური დანაყოფი, რომლებიც ბრძოლებს აწარმოებდნენ ინდიელებთან და ფრანგებთან, „რეინჯერები“ იყენებდნენ ინდიელთა ტაქტიკას ჩასაფრებას და უეცარ თავდასხმას. დასახელება Ranger-ს გააჩნია რამდენიმე მნიშვნელობა: „მაწანწალა, ეგერი, მეტყვევ“. 1974 წელს ჩატარდა რეინჯერთა კორპუსის რეფორმა, შეიცვალა სტრუქტურა და მიზნები, კერძოდ, რეინჯერებს დაევადათ სტრატეგიული ობიექტების დაცვა. 1991 წელს ერაყთან ომისას რეინჯერები წვრთნიდნენ საუდის არაბეთის ჯარებს, აწარმოებდნენ სადაზვერვო ოპერაციებს და ნადირობდნენ ერაყულ სარაკეტო სისტემა „სკადზე“. რეინჯერებმა ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღეს ავღანეთის ანტიტერორისტულ ოპერაციებში. რეინჯერთა კორპუსი ცნობილია მათი მომზადების მეტად რთული და მძიმე მეთოდებით: რეინჯერს უნდა შეეძლოს ბრძოლა ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, ნებისმიერ გარემოში.

აშშ-ს სამხედრო საჰაერო ძალების სპეცდანიშნულების ნაწილები ჩამოყალიბდა 1943 წელს. მაშინ ამერიკელებმა შეისწავლეს ბრიტანული საბძოლო გამოცდილება, რომლებიც ბრძოლობდნენ იაპონელებთან ბირმის ჯუნგლებში და გადაწყვიტეს შეექმნათ ანალოგიური სპეც-ნაწილები. ახალი სპეც-ნაწილები პირველი ინსტრუქტორები ბრიტანელები იყვნენ. მეზობლები მომზადებულნი არიან რათა მხარდაჭერა გაუწიონ მფრინავებს. მაგალითად, ერაყთან ომის დროს 1991 წელს, სახმელეთო სპეცრაზმელებმა აღმოაჩინეს დანადგომი ველი, ხოლო მფრინავებმა გაანადგურეს ნაღმები. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს ავღანეთის ოპერაციებში.

აშშ-ს სამხედრო საზღვაო ძალების სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფი, საზოგადოებაში ცნობილია როგორც „ზღვის ლომები“ /US Navy Seals, SEAL – სიტყვასიტყვით „ზღვის ლომები“ ან აბრევიატურა SEA – Air – Land / ზღვა – ჰაერი – მიწა. „ზღვის ლომები“ მუდმივ მზადყოფნაში არიან რათა აწარმოონ ბრძოლები ნებისმიერ პირობებში. განსაკუთრებულად მათ ამზადებენ ზღვიდან მოქმედებებისთვის. აღნიშნული რაზმი თავიანთ დაარსებას უკავშირებს 1861 წლის სამოქალაქო ომს, როდესაც ჩრდილოეთელები იყენებდნენ მებრძოლ მოცურავეებს, რათა მათ ეპოვნათ და გაენადგურებინათ ნაღმები. პირველად საზღვაო ძალების სპეციალური ნაწილები ოფიციალურად დაარსდა 1943 წელს ძირითადად იაპონელებთან საბრძოლველად (ამ დროისთვის იაპონელები უკვე ფართოდ იყენებდნენ მებრძოლ მოცურავეებს). „ზღვის ლომები“ მონაწილეობას იღებდნენ მეორე მსოფლიო ომის ყველაზე სისხლისმღვრელ ბრძოლებში, მათ შორის ცნობილ ბრძოლაში კუნძულ ივოშიმაზე (იაპონელებთან) და მოკავშირეების დესანტირებისას ნორმანდიაში (გერმანელებთან). ამჟამინდელი სახით კორპუსი Navy Seals ჩამოყალიბდა 1962 წელს, მათ „ნათლიად“ ასევე შეიძლება ჩაითვალოს პრეზიდენტი ჯონ კენედი/ John F.Kennedy. „ზღვის ლომები“ მონაწილეობდნენ ვიეტნამის, ერაყისა და ავღანეთის ომებში. Navy Seal სწორედ ის ქვედანაყოფია, რომელმაც ბინ ლადენის განადგურების ოპერაცია განახორციელა. „ზღვის ლომების“ აუცილებლობა ჯონ კენედიმ შენიშნა 1961 წელს – ვიეტნამში თანდათან ღვივდებოდა კონფლიქტი, რომლის ესკალაციის შესაჩერებლად ჩვეულებრივი სამხედრო ტაქტიკა საკმარისი აღარ იყო. სილ თიმ 6 აქტიურად მონაწილეობდა ვიეტნამის კონფლიქტში. ნებრასკელი სენატორი ბობ კერი 1966-1969 წლებში „ზღვის ლომების“ რიგებში იბრძოდა ვიეტნამის ომის დროს. „ზღვის ლომებს“ ამერიკის მიერ წარმოებული პრაქტიკულად არც ერთი მნიშვნელოვანი სამხედრო კონფლიქტი არ გამოუტოვებიათ – ერაყის ორივე ომი, ბოსნია, ავღანეთი, ერაყი, აგრეთვე სტრატეგიული ოპერაციები გრენადასა და პანამაში. ბინ ლადენის მოკვლამდე ბოლო ცნობილი ოპერაცია 2009 წელს ჩატარეს, როდესაც სომალელი მეკობრეებისგან გემი გამოიხსნეს. სილ თიმ 6 პროფესიონალიზმის გარდა იმათაც არის ცნობილი, რომ გუნდში ჰყავთ ძაღლი, რომელმაც საკუთარი წვლილი ტერორიზმთან ბრძოლაში პაკისტანში ჩატარებული ოპერაციის დროსაც შეიტანა. გავრცელებული ინფორმაციით გერმანული ნაგაზი არც სილ თიმის წევრების პრეზიდენტ ობამასთან შეხვედრისას გამოუტოვებიათ.

აშშ-ს სპეცდანიშნულების რაზმი „დეელტა“ თავდაცვის დეპარტამენტის შემადგენლობაში ფუნქციონირებს დაარსებიდან 1977 წლის 21 ნოემბრიდან დღემდე. „დეელტა“ ერთ-ერთი ყველაზე დახურული სპეციალური ქვედანაყოფია აშშ-ს არმიაში. ქვედანაყოფის ძირითად მოვალეობაში შედის კონტრტერორისტული ოპერაციების ჩატარება. 1991 წელს ერაყთან ომის დროს „დეელტას“ მებრძოლები კორექტირებას უწევდნენ მოკავშირეთა ცეცხლს, რადიო გადამცემებით. ცნობილია რომ „დეელტა“ პირველი შევიდა ავღანეთში 2001 წელს. „დეელტა“ თავისი არსებობის მანძილზე მონაწილეობდა მრავალ სპეცოპერაციასა და საომარ მოქმედებაში: არწივის კლანჭი ირანში, სპეცოპერაცია გრენადაში, სპეცოპერაცია პანამაში, სპეცოპერაცია „უდაბნოს ფარი“ საუდის არაბეთში, სპეცოპერაცია „დემოკრატიის მხარდაჭერა“ ჰაიტიზე, სპეცოპერაცია „ხანგრძლივი თავისუფლება“ ავღანეთში, ომი სპარსეთის ყურეში, ერაყის ომი.

„დელტას“ ძირითადი ფუნქციაა: ტერორიზმთან ბრძოლა, ეროვნული აჯანყებების ჩახშობა, საიდუმლო სამხედრო დავალებები, სამაშველო ოპერაციები და სამხედრო ინტერვენციები. მას შემდეგ რაც აშშ-სა და ზოგადად მსოფლიოს დაემუქრა ტერორიზმის საფრთხე აშშ-ს თავდაცვის მაღალჩინოსანმა პირებმა მიიღეს დავალება შეექმნათ სპეციალური დანიშნულების რაზმი, რომელიც იბრძოლებდა ახალი საფრთხის წინააღმდეგ. აშშ-ს სპეციალური დანიშნულების რაზმის ყოფილი მებრძოლი და „მწვანე ბერეტების“ პოლკოვნიკი ჩარლზ ელვინ ბეკვიტი ქვეყნებს შორის სამხედრო სფეროში გამოცდილების გაცვლის მიზნით თანამშრომლობდა დიდი ბრიტანეთის საჰაერო ძალების სპეციალური დანიშნულების ქვეით რაზმებთან (SAS). ბეკვიტი აღფრთოვანებული იყო SAS-ის კონტრტერორისტული ტაქტიკით და შესაძლებლობებით. ბეკვიტმა გაიარა გასაუბრება თავდაცვისა და ხელისუფლების მაღალი ჩინის პირებთან, განუმარტა მათ ბრიტანეთის სპეცდანიშნულების რაზმის SAS-ის არსი და განუმარტა, რომ აღნიშნული ტიპის რაზმის შექმნას 24 თვე დასჭირდებოდა. „დელტას“ შექმნის შემდეგ ჩარლზ ელვინ ბეკვიტი ჩაუდგა სათავეში.

1980 წელს „დელტას“ შექმნიდან რამდენიმე წელიწადში 52 ამერიკელი აშშ-ს საელჩოში თეირანში ტყვეობაში აღმოჩნდა. სპეციალურ ჯგუფს დაევალა მონაწილეობა მიეღო სპეცოპერაციაში „არწივის კლანჭი“, რომლის მიზანი იყო ქვეყანაში საიდუმლოდ შეღწევა და ტყვეების განთავისუფლება. აღნიშნული სპეცოპერაცია ჩავარდა გართულებული გეგმის და არასაკმარისად გაწვრთნილი სპეცდანიშნულების რაზმის წევრების არაკომპეტენტურობის გამო.

„დელტას“ სპეციალური დანიშნულების რაზმის პირადი შემადგენლობა 1000 ოპერატიული თანამშრომლისაგან შედგება, მათგან 250-ს სწრაფი რეაგირების სპეციალური მომზადების კურსი აქვთ გავლილი. „დელტას“ რიგებისთვის რეკრუტებს ძირითადად არჩევენ აშშ-ს რეგულარული შეიარაღებული ძალების სპეცრაზმებიდან და აშშ-ს შეიარაღებული ძალების რეინჯერთა 75-ე პოლკიდან, თუმცა დელტაში სამსახუროდ არიან სხვა საჯარისო ნაწილებიდან გადასული ოფიცრებიც.

1990 წელს ფორტ ბრეგის გაზეთში „Paraglide“ დაიბეჭდა შემდეგი შინაარსის განცხადება: „აშშ-ს შეიარაღებულმა ძალებმა შექმნა სწრაფი რეაგირებისა და საგანგებო მისიების შესასრულებლად სპეციალური დანიშნულების რაზმი, მსურველები უნდა იყვნენ მამრობითი სქესის, მინიმუმ 2 წელი უნდა მსახურობდნენ აშშ-ს შეიარაღებული ძალების რიგებში, რანგი E-4-დან E-8-დე, ასაკი 21 წლიდან ზევით, შეიარაღებული ძალების სამხედრო პროფესიული მომზადების ტესტში უნდა პქონდეთ რეიტინგი 110 ბალი და საბოლოო ეტაპზე უნდა გაიარონ გასაუბრება, რათა შემდგომში იქნენ მიღებულნი რაზმის რიგებში“.

კანდიდატთა შერჩევის საწყისი ეტაპი დაფუძნებულია ბრიტანეთის SAS-ის მოდელზე. ერიკ ჰეინის წიგნი „რაზმი დელტა შიგნიდან“ დეტალურად აღწერს შერჩევის პროცესს. ჰეინი წერს, რომ კურსი იწყებოდა სტანდარტული ტესტებით, კერძოდ: ჩაჯდომები, მიწიდან აჭიმვა, 4.8 კმ-ზე სირბილი. შერჩეული კანდიდატები შემდეგ გადიოდნენ მთელ რიგ დავალებებს: 29 კილომეტრიან უცნობ დისტანციაზე ორიენტირება, ორიენტირება ღამის პირობებში 16 კილოგრამიანი ზურგჩანთით. წვრთნები საბოლოოდ მთავრდება მაშინ, როდესაც კანდიდატები გადიან 64 კილომეტრს 20 კილოგრამიანი ზურგჩანთით სხვადასხვა ტიპის ვრცელ

ტერიტორიაზე. ინტელექტუალური ტესტირების ეტაპი იწყება ფსიქოლოგიური გამოცდებით. „დელტას“ ინსტრუქტორთა საბჭოს წარმომადგენელი, ფსიქოლოგთა გაერთიანებული ჯგუფი და „დელტას“ მთავარსარდალი უამრავ კითხვებს უსვამენ კანდიდატს, შემდეგ აანალიზებენ მათ პასუხებს და ქცევებს, ეს კეთდება კანდიდატის მორალურად გამოფიტვის და მისი მდგრადობის შემოწმების მიზნით. შემდეგ მთავარსარდალს გამოაქვს ვერდიქტი, მიღებულია თუ არა კანდიდატი „დელტას“ რიგებში. შერჩევის შემდეგ კანდიდატი გადის 6 თვიან სპეციალურ საწვრთნელ კურსს სადაც შეისწავლის კონტრტერორიზმისა და დაზვერვის საწინააღმდეგო ტექნიკას. აღნიშნული კურსი შეიცავს სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღის შესწავლას და საცეცხლე მომზადებას. სპეციალური აქციების დივიზია (Special Activities Division) დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს მკაცრად გასაიდუმლოებული ქვედანაყოფია, რომლის ელიტური ჯგუფი სპეცოპერაციების ჯგუფი (Special Operations Group) ხშირად იყვანს თავის რიგებში „დელტას“ ოპერატორებს.

„დელტას“ ოპერატიული მუშაკები უდიდეს დროს უთმობენ საცეცხლე მომზადებას, ისინი დღეში 8 საათს ატარებენ სასროლ პოლიგონზე. „დელტას“ წევრებს იშვიათად ნახავთ სამხედრო ფორმაში, ჩვეულებრივ მათ აცვიათ სამოქალაქო ტანსაცმელი, როგორც ყოველდღიურად ისე დავალების შესრულების დროსაც. ეს ერთგვარი კონსპირაციის მეთოდია, მაშინაც კი როდესაც „დელტას“ წევრებს სამხედრო ფორმა აცვიათ არააქვთ არანაირი განმასხვავებელი ნიშანი, განსაკუთრებული სიმბოლო, წოდების ნიშანი ან სახელი და გვარი. მათ თმები და წვერი თავისუფლად სურვილის მიხედვით სამოქალაქო სტანდარტებში ჯდება, რათა სპეციალური ოპერაციის მსვლელობის დროს არ მოხდეს „დელტას“ ოპერატორის როგორც სამხედრო სპეციალური ნაწილების მოსამსახურის ამოცნობა.

აშშ-ს საზღვაო ქვეითთა დაზვერვა, US Marine Force Recon ელიტურ სამხედრო შენაერთს წარმოადგენს. აშშ-ს საზღვაო ქვეითთა კორპუსში ბოლო წლების მონაცემებით მსახურობს 170 000 სამხედრო მოსამსახურე. საზღვაო ქვეითები მომზადებულნი არიან სხვადასხვა დავალებების შესასრულებლად, რომლებსაც ტრადიციულად ასრულებენ სპეცდანიშნულების რაზმები. ამიტომაც საზღვაო ქვეითთა დაზვერვის ნაწილები, ითვლებიან ელიტურ შენაერთის ელიტურ ქვედანაყოფად. პირველი საზღვაო ქვეითთა დაზვერვის ქვედანაყოფი შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას და ეწოდებოდათ “რეიდერები”/Raiders. 2001 წელს ავღანეთის ანტიტერორისტული ოპერაციის დროს ამ დანაყოფის მებრძოლებმა დაიკავეს ქალაქ ყანდაგარის აეროპორტი, რითაც უზრუნველყვეს მოკავშირეების ძირითადი ძალების უსაფრთხო გადმოსხმა ავღანეთში.

აშშ-ს პირველი საჰაერო-სადესანტო პოლკი „US Airborn“ შეიქმნა 1940 წელს. ჩამოყალიბდა საბჭოთა საჰაერო-სადესანტო ნაწილების მაგალითზე. საინტერესოა, რომ ამერიკელები იყენებდნენ მომზადების გერმანულ სისტემას, რადგან თავიდან საკუთარი პროგრამა არ გააჩნდათ. 2001 წელს ერაყთან ომის დროს, მედესანტები მოულოდნელად გადმოსხეს მტრის ჯარების ზურგში და აკავებდნენ უკანდახეულ ერაყის რესპუბლიკურ გვარდიას მოკავშირეთა ძირითადი ძალების მოსვლამდე.

მეათე სამთო დივიზია/10th Mountain Division აშშ-ს არმიის პირველი ბატალიონია, რომელიც მომზადდა სპეციალურად მთებში და ჩრდილოეთის კლიმატურ პირობებში საბრძოლველად დაარსდა 1941 წელს. შედარებისთვის ფრანგული

ქვედანაყოფი „ალპიელი მსროლელები“ შეიქმნა 1830 წელს. სამთო დივიზია აქტიურ მონაწილეობას იღებდა მეორე მსოფლიო ომის დროს, ხოლო 2001 წელს ავღანეთში ძირითადად დამრტყმელ ძალებს წარმოადგენდა . ამ დივიზიის მეომრები თავისუფლად ფლობენ ალპინისტურ და სათხილამურო საქმეს, ასევე გამოქვაბულებში ბრძოლის მეთოდებს.

აშშ-ს სანაპიროს დაცვის სპეციალური ქვედანაყოფი/US Coast Guard Special Operations შეიქმნა 1915 წელს და გამოიყენებოდა სამაშველო ოპერაციების ჩასატარებლად, საზღვაო პორტების დასაცავად და კონტრაბანდისტებთან საბრძოლველად. ამავე დავალების შესასრულებლად ისინი იმყოფებოდნენ ყოფილ იუგოსლავიაში და ომის დროს სპარსეთის ყურეში 1991 წელს. მათი მომზადების დონე საშუალებას იძლევა ჩაატარონ სამაშველო ოპერაციები მღელვარე ზღვაში მხოლოდ აკვალანგების დახმარებით.

სპეცოპერაცია „ნეპტუნის სამკაპი“

ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერის ლიკვიდაციის მიზნით ჩატარებული სპეცოპერაცია „ნეპტუნის სამკაპი“ 2011 წლის 2 მაისს აშშ-ს პრეზიდენტის, ბარაკ ობამას სანქციით პაკისტანში ჩატარდა. სპეცოპერაცია განხორციელდა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა და კონტრტერორისტული სპეციალური მისიების ჯგუფის „ზღვის ლომების“ მე-6 დანაყოფის მიერ, რომელიც სპეციალური ოპერაციების გაერთიანებული სარდლობის სტრუქტურის ნაწილია. ალ-ქაიდას, ბინ-ლადენის სიკვდილის ფაქტი 6 მაისს დაადასტურა და დაიმუქრა კიდევ, რომ შურს იძიებდნენ ლიდერის ლიკვიდაციის გამო. ბინ-ლადენის სიკვდილი დადებითად შეფასდა აშშ-ში, აღნიშნული ქმედება მოიწონა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, ჩრდილო ატლანტიკურმა ალიანსმა, ევროკავშირმა და სხვადასხვა დემოკრატიული ქვეყნების მეთაურებმა, თუმცა ამ ფაქტმა უარყოფითი რეაქცია გამოიწვია მთელ რიგ რადიკალურ ქვეყნებში. ამერიკის ქმედება გააკრიტიკა ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტიამ“, რომელმაც ეჭვი შეიტანა ოპერაციის მსვლელობის და „ალ-ქაიდას“ ლიდერის ლიკვიდაციის სამართლებრივ და ეთიკურ ასპექტებში.

მას შემდეგ რაც 1998 წელს აშშ-ს შეიარაღებულმა ძალებმა სარაკეტო დარტყმები განახორციელეს ბინ-ლადენის ბაზებზე ავღანეთსა და სუდანში, ორგანიზაციის ლიდერმა შეწყვიტა სატელიტური და ფიჭური კავშირის გამოყენება, რამაც გაართულა მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენა. აღნიშნული პერიოდიდან ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს გამომძიებლებს დაევალოთ ბინ-ლადენის კურიერთა იდენტიფიკაცია, რადგან ტექნიკური კავშირის გაწყვეტის შემდეგ ლიდერები სპეცციხეებში განთავსებულ ორგანიზაციის წევრებთან და ტერორისტული ქსელის სხვა აქტიურ წევრებთან კავშირს მხოლოდ კურიერების მეშვეობით ამყარებდნენ. აღნიშნული კავშირების დასადგენად გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები.

ექსპერტების აზრით 2001 წელს ავღანეთში აშშ-სა და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ჯარების შეყვანის მიზეზი თალიბების რეჟიმის დამხობდა და მათთან მჭიდრო თანამშრომლობაში მყოფი ბინ-ლადენის დევნა იყო. 2002 წელს კურიერის ძიების საქმეში ჩართული გამომძიებლებისთვის სხვადასხვა წყაროებიდან დაუდასტურებელი ინფორმაციის მიხედვით ცნობილი გახდა, რომ „ალ-ქაიდას“ კურიერი იყო ვიღაც პიროვნება ფსევდონიმით აბუ ახმედ ალ-ქუვეითი. 2003 წელს ხალიდ შეიხ მუჰამედმა, სავარაუდოდ „ალ-ქაიდას“ ოპერატიულმა მეთაურმა დაკითხვებზე განაცხადა, რომ ის იცნობდა ალ-ქუვეითის, მაგრამ უარყოფდა იმ ფაქტს, რომ თითქოს ის ორგანიზაციის აქტიური წევრი იყო. 2004 წელს დაპატიმრებულმა ჰასან გულმა გამომძიებლებს განუცხადა, რომ ალ-ქუვეითი ახლოს იყო ბინ-ლადენტან, ისევე, როგორც ხალიდ შეიხ მუჰამედი და მისი მემკვიდრე აბუ ფარაჯ ალ-ლიბი. ჰასან გულმა დაკითხვებზე განაცხადა, რომ ალ-ქუვეითი ხანგრძლივი პერიოდით გაქრა და არ ჩანდა ასპარეზზე, აღნიშნულმა ინფორმაციამ ეჭვები აღუძრა ამერიკელებს, რომ ალ-ქუვეითი ბინ-ლადენტან იმყოფებოდა. ჰასან გულის ჩვენებების მიუხედავად ხალიდ შეიხ მუჰამედმა არ შეცვალა პირველადი ჩვენება. 2005 წელს დაპატიმრეს აბუ ფარაჯ ალ-ლიბი, რომელიც 2006 წლის სექტემბერში გადაიყვანეს გუანტანამოს ციხეში. მან ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ბინ-

ლადენის კურიერი იყო ვინმე პიროვნება სახელად მაულავი აბდ ალ-ჰალიკი იან, რომელმაც უარყო ალ-ქუვეითთან რაიმე ტიპის კავშირი. შეიქმნა მუჰამედის და ფარაჟ ალ-ლიბის მიერ ალ-ქუვეითის მნიშვნელობის დაკნინების ფაქტი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს გამომძიებლებს უმძაფრებდა იმ ეჭვებს, რომ ალ-ქუვეითი ბინ-ლადენის ერთგული და დაახლოებული პირი გახლდათ.

ხანგრძლივი ოპერატიული მუშაობის მიუხედავად ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ ვერ მოიძია ინფორმაცია პიროვნებაზე სახელად მაულავი იანზე და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ალ-ლიბიმ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს გამოძიების პროცესის ხელის შეშლის მიზნით გამოიგონა პირობითი სახელი. 2010 წელს ერთ-ერთი ეჭვმიტანილის საიდუმლო სატელეფონო მოსმენის შედეგად დადგინდა, რომ ტერორიზმში ეჭვმიტანილთან მოსაუბრე მეორე პიროვნება ალ-ქუვეითი იყო. თავდაპირველად ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ დაადგინა ალ-ქუვეითის ადგილმდებარეობა, შემდეგ ალ-ქუვეითის აქტიური თვალთვალის განხორციელების შედეგად აღმოაჩინეს ბინ ლადენის კონსპირაციული თავშესაფარი. კოსმოსური დაზვერვის საშუალებებით გადაღებულმა ფოტოებმა და დაზვერვის ანგარიშებმა ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს საშუალება მისცა დაედგინა აბოტაბადში მდებარე სახლის მაცხოვრებლების და ვიზიტით მისული პირების ვინაობა, ესენი იყვნენ „ალ-ქაიდას“ ქსელის წარმომადგენლები. ანალიზის შედეგად სააგენტოში განაცხადეს, რომ ყველა ფაქტი მიუთითებდა იმაზე, რომ ვიწრო ქუჩის ბოლოში განლაგებული სამ სართულიანი სახლი სპეციალურად იყო აშენებული მნიშვნელოვანი პირის გადასამალად. გუგლის დედამიწის ელექტრონულ რუკაზე ჩანს, რომ 2001 წელს აღნიშნულ ადგილზე სახლი არ იდგა, მაგრამ უკვე 2005 წელს გადაღებულ ფოტოებზე ახალი შენობაა აღმართული. სახლი განლაგებული იყო აბოტაბადის ცენტრიდან 4 კილომეტრში. აბოტაბადი მდებარეობს ავღანეთის საზღვრიდან დაახლოებით 160 კილომეტრში, ხოლო პაკისტანის სამხედრო აკადემიიდან 1.5 კილომეტრში. ბინ-ლადენის მიერ თავშესაფრად გამოყენებული სახლი მეზობელი სახლებისგან განსხვავებით ვრცელ მიწის ნაკვეთზე იყო აგებული და ბეტონის მაღალ გალავანზე საგანგებოდ იყო შემორტყმული ეკლიანი მავთულხლართები. სახლში არ იყო ინტერნეტ, სტაციონარული ტელეფონის კავშირი, ხოლო სახლში მცხოვრებნი მეზობლებისგან განსხვავებით ნაგავს ბუნკერში კი არ ყრიდნენ, არამედ ეზოში წვავდნენ, რაც რათქმაუნდა დიდ ეჭვებს ბადებდა.

სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებას და სახლზე თვალთვალს ანხორციელებდა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა სპეცოპერაციის მსვლელობისას, თუმცა ეროვნული უსაფრთხოების სააგენტომ, გეოსივრცითი დაზვერვის ეროვნულმა სააგენტომ, ეროვნული დაზვერვის დირექტორის ოფისმა და თავდაცვის დეპარტამენტმა თავიანთი მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს აღნიშნულ სპეცოპერაციაში. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო აბოტაბადში კონსპირაციული ბინიდან რამდენიმე თვე უთვალთვალებდა სახლს. ბინ-ლადენის სიკვდილის შემდეგ კონსპირაციული ბინა დაუყონებლივ იქნა მიტოვებული. გეოსივრცითი დაზვერვის ეროვნულმა სააგენტომ ეფექტური ტექნიკური მხარდაჭერა აღმოუჩინა სპეციალური ოპერაციების გაერთიანებულ სარდლობას. სააგენტომ შექმნა სამიზნე სახლის (თავშესაფარის) სამგანზომილებიანი ვიზუალიზაცია, შეაფასა მისი მაცხოვრებლების რაოდენობა, მათი მდებარეობა სახლში და ოთახების განლაგება, ეს ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანია კონტრტერორისტული სპეცოპერაციის

გეგმის შემუშავებისას, როდესაც ტაქტიკური მოქმედების თითოეული დეტალი იხვეწება.

2010 წელს თავშესაფარზე შეტევის სპეციალური გეგმის ჩამოყალიბების მიზნით ბარაკ ობამა ოვალურ კაბინეტში არაერთხელ შეხვდა მრჩეველებს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში. აშშ-ს პრეზიდენტი, სპეციალური ოპერაციების სარდლობის მეთაურთან ვიცე-ადმირალ უილიამ მეკრეივენთან ერთად აქტიურად განიხილა სპეცოპერაციის ყველა შემოთავაზებულ გეგმას. ოპერაციის პირველი ვარიანტი გულისხმობდა სამიზნე ნაგებობის აშშ-ს სამხედრო საჰაერო ძალების მიძიმე ბომბდამშენი B-2 სპირიტით განადგურებას, მაგრამ ბარაკ ობამამ უარყო აღნიშნული ვარიანტი და განაცხადა, რომ სპეცოპერაციის დროს მინიმუმამდე უნდა ყოფილიყო დაყვანილი რისკის ფაქტორი რიგითი მოქალაქეებისთვის, გარდა ამისა ის მომენტიც იქნა განსაზღვრული, რომ ჰაერიდან განადგურების შემთხვევაში გართულებოდა ბინ-ლადენის სხეულის იდენტიფიკაცია. სპეცოპერაციების გაერთიანებული სარდლობა მუშაობდა შეტევის ალტერნატიულ გეგმაზეც, რომლის მიხედვითაც აშშ-ს და პაკისტანის სპეცსამსახურები ერთობლივად ჩაატარებდნენ ოპერაციას, თუმცა ამის შესახებ პაკისტანის მხარეს, ინფორმაციის გაუონვის თავიდან აცილების მიზნით აცნობებდნენ ოპერაციის დაწყებამდე ერთი საათით ადრე. ოპერაციის ტექნიკური მხარე გაართულა იმ ფაქტორმა, რომ ვილა განლაგებული იყო ქვეყნის საზღვართან ახლოს, რომლის საჰაერო სივრცეს აკონტროლებდა პაკისტანის სამხედრო საჰაერო ძალები, რაც თავიდანვე ბლოკავდა სპეცოპერაციის დროს უპილოტო მზვერავი საფრენი აპარატების გამოყენებას. სპეცრაზმმა სტრატეგიული ინფორმაციის აღქმის შემდეგ დაიწყო ოპერაციის ტაქტიკური მხარის დამუშავება. სპეცრაზმის ოპერაციისთვის მომზადება მიმდინარეობდა ავღანეთში განლაგებულ სამხედრო ბაზაზე, ე.წ. „ალფას“ დახურულ ბანაკში, სადაც სპეცრაზმელების ტაქტიკური მოქმედებების დასახვეწად აგებული იქნა ბინ-ლადენის ვილის ასლი.

აშშ-ს პრეზიდენტმა თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველებთან შეთანხმებით დაამტკიცა სპეცოპერაციის საბოლოო გეგმა. ანტიტერორისტული სპეცდანიშნულების რაზმი ოპერაციის მსვლელობისას დროებით დაუქვემდებარეს ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს. სპეცრაზმელები პაკისტანში ვერტმფრენებით ფარულად შეფრინდნენ ჯალალაბადიდან (ავღანეთი). „ზღვის ლომები“ აღჭურვილი იყვნენ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით M-4, დამის ხედვის სათვალეებით და პისტოლეტებით. აშშ-ს შეიარაღებული ძალების ვერტმფრენები მაქსიმალურად დაბლა მიფრინავდნენ, რათა ისინი არ დაფიქსირებულიყვნენ პაკისტანის სასაზღვრო დაცვის ძალების რადარებზე. რაზმის პირველი ჯგუფი გეგმის მიხედვით ტროსებით უნდა ჩამომსხდარიყვნენ ვილის სახურავზე, ხოლო მეორე ჯგუფი პირველი სართულიდან უნდა შეჭრილიყვნენ სახლში. ერთ-ერთი ვერტმფრენი დესანტის ჩამოსხმის მომენტში უმნიშვნელოდ დაზიანდა, თუმცა რაზმის წევრები არ დაზიანებულან და განაგრძეს შეტევა, დაზიანებული ვერტმფრენი კი სპეცრაზმელებმა დაუყონებლივ გაანადგურეს, ხოლო ევაკუაციისთვის დამატებითი ვერტმფრენი გამოიძახეს. აშშ-ს პრეზიდენტი და ეროვნული უსაფრთხოების ჯგუფი თეთრი სახლის სიტუაციური ოთახიდან ადევნებდა თვალყურს. გეგმის მიხედვით სპეცოპერაცია 30 წუთში უნდა ჩატარებულიყო, თუმცა 38 წუთი დასჭირდა, ეს დრო შენობის შიგნით გამაგრებული შეიარაღებული ტერორისტების ნეიტრალიზაციას მოხმარდა.

აშშ-ს ოფიციალური პირები და თავდაცვის დეპარტამენტი არ ასახელებენ ოპერაციის მსვლელობისას გამოყენებული საჰაერო ძალების ბაზას, თუმცა მოგვიანებით გაკეთებული განცხადებით გაუღერდა ინფორმაცია, რომ ვერტმფრენები სპეცრაზმის გადასხმის შემდეგ დაბრუნდნენ ავიაბაზაზე. ვაშინგტონ პოსტმა გაავრცელა ცნობა, რომ ბინ ლადენის გვამი ბაგრამიდან ავიაშიდ „კარლ ვინსონზე“ გადაიტანეს ობამას ადმინისტრაციის ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნულია, რომ პაკისტანის მთავრობა არ ფლობდა ინფორმაციას აბოტაბადში დაგეგმილი სპეცოპერაციის შესახებ მისი დასრულების მომენტამდე. სპეცოპერაცია ადგილობრივი დროით 01:00-ზე დაიწყო, ხოლო შტაბის ხელმძღვანელთა გაერთიანებული კომიტეტის მეთაურმა მაიკლ მალენმა აკისტანის არმიის მეთაურს აშკაფ ფერვეზ კაიანის შეატყობინა ადგილობრივი დროით 03:00. პაკისტანის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადებების მიხედვით ოპერაცია განხორციელებული იყო მხოლოდ აშშ-ს სპეციალური ძალების მიერ, თავისმხრივ პაკისტანის უწყებათაშორისო დაზვერვის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ისინიც მონაწილეობდნენ აღნიშნულ სპეცოპერაციაში, რაც კატეგორიულად უარყო პრეზიდენტმა ასიფ ალი ზარდარიმ.

ბინ ლადენის გვამის იდენტიფიკაციის მიზნით აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტისა და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ლაბორატორიებში მთელი რიგი სპეციალური კვლევითი ღონისძიებები ჩატარდა, კვლევებმა დაადასტურეს, რომ სპეცოპერაციისას ლიკვიდირებული პიროვნება მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტი იყო.

პაკისტანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პროტესტი გამოთქვა აშშ-ს მიერ ცალმხრივად არასანქცირებული სპეცოპერაციის ჩატარების გამო. პაკისტანის ყოფილმა პრეზიდენტმა ფერვეზ მუშარაფმა განაცხადა, რომ აშშ-ს მიერ გატარებული ოპერაცია იყო ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევა. დასავლეთ გერმანიის კანცლერ ჰელმუტ შმიდტის სიტყვებით ეს ქმედება შეფასდა, როგორც საერთაშორისო სამართლის დარღვევის ფაქტი.

დიუკის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და საერთაშორისო სამართალი სამხედრო კონფლიქტების შესახებ აძლევს ერთ ქვეყანას მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე განახორციელოს სპეცოპერაცია, თუ ქვეყანას არ შეუძლია საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით თავისივე ტერიტორიაზე პრევენციული ზომების განხორციელება. არათუ პრევენციული ზომები არამედ პაკისტანის სპეცსამსახურები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ თალიბებთან, ხოლო ბინ ლადენის ვილა განთავსებული იყო ისლამაბადის მახლობლად, პაკისტანელი გენერლების პრესტიჟულ სააგარაკო დასახლებაში.

ჯორჯ ბუშ უმცროსის პრეზიდენტობის დროს სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსი იურისტის პოსტზე მყოფი ჯონ ბელინგერი აცხადებდა, რომ აღნიშნული სპეცოპერაცია ლეგიტიმური იყო. აშშ-ს პრეზიდენტის № 12333 ბრძანების მიხედვით სამხედრო მოქმედებების წარმოებისას პირების ლიკვიდაცია კანონიერ ქმედებას წარმოადგენს, აშშ და ალ-ქაიდა ხომ მრავალი წელია საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან, აქედან გამომდინარე ორგანიზაციის ლიდერების ლიკვიდაცია არ არის აკრძალული, ასევე თავდაცვის მიზნით განხორციელებული ლიკვიდაციაც

კანონიერია, რადგან ოპერაციის მსვლელობისას ვილაში მყოფებმა ცეცხლი გაუხსნეს სპეცრაზმელებს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან.

მიჩიგანის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი სტივენ რატნერმა განაცხადა, რომ აღნიშნული ლიკვიდაცია იურიდიული თვალსაზრისით რთული განსასჯელია, თუ თქვენ თვლით, რომ ოსამა ბინ ლადენი კომბატანტი, ანუ საერთაშორისო სამართლის განმარტებით მეომარი მხარის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი პირი იყო მაშინ კანონი ლიკვიდაციის ნებას რთავს, მაგრამ თუ ბინ ლადენი ითვლებოდა მასიურ მკვლელობებში ეჭვმიტანილი პიროვნება, ამ შემთხვევაში მისი ლიკვიდაცია შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენდა საფრთხეს მათთვის ვინც ატარებდა დაკავების სპეცოპერაციას.

აშშ-ს გენერალურმა პროკურორმა ერიკ ჰოლდერმა განაცხადა, რომ აშშ-ს თავდასხმა ნომერ პირველი ტერორისტის თავშესაფარზე კანონიერი ქმედება იყო, ეს იყო ერთგვარი „ეროვნული თავდაცვის აქტი“, მტრის, ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერის ბრძოლის ველზე განადგურება კი კანონიერი ქმედება გახლავთო დასძინა მან. CNN-ის ინფორმაციით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხდომაზე სპეციალური მოხსენებით გამოვიდა ტერორიზმთან ბრძოლის პირობებში ადამიანის უფლებების დაცვის ექსპერტი მარტინ შეინი, მან აღნიშნა, რომ ამერიკამ ბევრჯერ მისცა შანსი ბინ ლადენს თეთრი დროშა აღემატა და დანებებოდა აშშ-ს სპეცსამსახურებს, მაგრამ მან ამის გაკეთება არ ისურვაო.

ნიურნბერგის პროცესის ერთ-ერთმა მთავარმა ბრალმდებელმა ბენჯამინ ფერენცმა ეჭვქვეშ დააყენა ლიკვიდაციის ოპერაცია. მან განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა ბინ ლადენის სასამართლოსთვის გადაცემა.

ადამიანის უფლებათა დამცველმა, იურისტმა ჯეფრი რობერტსონმა განაცხადა, რომ აღნიშნული პირის ლიკვიდაციამ შეიძლება კანონის უზენაესობა შელახოს, მისი აზრით უმჯობესი იქნებოდა ეროვნული უშიშროების საბჭოს პააგაში შეექმნა საერთაშორისო მოსამართლეებით დაკომპლექტებული სპეციალური ტრიბუნალი, რომელიც ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერს შესაბამის განაჩენს გამოუტანდა.

კენტუკის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის იურისტი ნიკ გრიფი აცხადებს, რომ შეტევა ერთგვარი შურისძიების მიზნით განხორციელებული სიკვდილით დასჯის აქტს ჰგავდა.

„პიუმან რაითს ვონმა“, ადამიანის უფლებათა დამცველმა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელიც 1978 წელს დაარსდა და მეტად აქტიური ორგანიზაციის განცხადებით აუცილებელი იყო სამართლებრივი ნორმების დაცვა.

ლიკვიდაციის შემდეგ ბინ ლადენის გვამი ზღვას მიაბარეს, რაც მუსლიმანური ტრადიციებით მიუღებელია, მაგრამ აღნიშნული აქტით ამერიკამ თავიდან აიცილა საფლავის რადიკალური ისლამისტური მოძრაობების მიერ წმინდა ადგილად, „ჰაჯის“ ობიექტად გამოცხადება.

სპეცოპერაციის ოფიციალური კოდური სახელწოდება „ნეპტუნის სამკაპი“ გახლდათ, კოდური სახელწოდებით „ჯეკპოტი“ აღინიშნებოდა ბინ ლადენი, ხოლო

კოდური სახელწოდება „ჯერონიმო“ აღნიშნავდა ბინ ლადენის დაკავებას ან ლიკვიდაციას. „ჯერონიმო“ ინდიელი ლიდერის აპაჩთა მოღვაწის წარმომადგენლის სახელი გახლდათ, ხოლო „ნეპტუნის სამკაპს“ რაც შეეხება აღნიშნული სიმბოლო გამოსახულია „ზღვის ლომების“ განმასხვავებელ ნიშანზე, რომელიც აღნიშნავს სპეცდანიშნულების რაზმის შესაძლებლობებს ზღვაში, ჰაერში და მიწაზე, სწორედ აქედან გამომდინარე მიეცა სპეცოპერაციას ეს სახელწოდება. სპეცოპერაციის მცირედი გართულებებით დასრულების შემდეგ ვილაზე ამოღებულ იქნა უამრავი სტრატეგიული ინფორმაციის მატარებელი დოკუმენტი. ამოღებული მასალებიდან ირკვევა, რომ ტერორისტებს შემუშავებული ჰქონდათ აშშ-ს რამდენიმე მაღალჩინოსნის ლიკვიდაციის გეგმა. ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების ძალების მეთაური დევიდ პეტრეუსი, 2011 წლის 6 სექტემბრიდან ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი და აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა ტერორისტების სამიზნეთა სიაში პირველები იყვნენ, მათი ლიკვიდაცია გეგმის მიხედვით პაკისტანში ან ავღანეთში ვიზიტის დროს უნდა განხორციელებულიყო.

რაც შეეხება პაკისტანელი ექიმის ბედს, შაკილ აფრიდი, აშშ-ს ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოსთან აღნიშნული სპეცოპერაციის ფარგლებში აქტიური თანამშრომლობის გამო სახელმწიფო დაღატის მუხლით გაასამართლეს და 30 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. პაკისტანელი ექიმის დაპატიმრების ფაქტი მკაცრად გააკრიტიკეს ამერიკელმა პოლიტიკოსებმა. პაკისტანის ამ ქმედების საპასუხოდ ამერიკის სენატის სპეციალურმა კომიტეტმა 33 მილიონი დოლარით შეკვეცა პაკისტანის დახმარების პროგრამისთვის განსაზღვრული თანხა.

საზოგადოებაში მუსირებს ეჭვიც, რომ თითქოს ლიკვიდირებული პიროვნება არ იყო ბინ ლადენი და რომ ალ-ქაიდას მიერ 2011 წლის 6 მაისს ლიდერის ლიკვიდაციის აღიარება ახალი შეთქმულების დასაწყისია. მეორეს მხრივ ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერის ლიკვიდაცია არ ნიშნავს „ალ ქაიდას“ სრულ განადგურებას, რადგან იგი არა მარტივი ორგანიზაცია, არამედ ტერორისტული ქსელია, რომელშიც ათასობით ფანატიკოსია გააქტიურებული, რომლებიც მზად არიან ტერაქტები განახორციელონ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში და თავი შესწირონ „სადეთო ომს“. აშშ-ს მხრიდან ჩვენის აზრით ეს ერთგვარი ე.წ. PR აქცია იყო, რომლითაც ზესახელმწიფომ მსოფლიოსაც და თავის მოსახლეობასაც დაუმტკიცა, რომ შესწევთ უნარი დასაჯონ დამნაშავეები და აღადგინონ სამართლიანობა, როგორც ქვეყანაში ისე მის ფარგლებს გარეთაც.

არმიის დაზვერვისა და უშიშროების სარდლობა

აღნიშნული სტრუქტურა ქვეითი ჯარების ძირითადი ოპერატიულ-სტრატეგიული რგოლი გახლავთ, რომლის კომპეტენციაშია დაზვერვის და რადიოელექტრონული ბრძოლის წარმოება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ინფორმაციული დაზვერვის ოპერაციების ორგანიზება და ჩატარება. სარდლობის პირადი შემადგენლობის რაოდენობა რამდენიმე ათეულ ათას აღწევს, რომელთაგან 5 ათასამდე სამოქალაქო პირია.

აღნიშნული სამსახური არ უნდა აგვერიოს თავდაცვის დეპარტამენტის დაზვერვის სააგენტოში, დაზვერვისა და უშიშროების სარდლობა 1977 წელს შეიქმნა. სარდლობის შემადგენლობაში შევიდა, როგორც არმიის დაზვერვის და უშიშროების სამსახური ასევე ქვეითი ჯარების რადიოელექტრონული ბრძოლის ცალკეული ნაწილები. უწყება ემორჩილება ქვეითი ძალების შტაბის უფროსის მოადგილეს დაზვერვის საკითხებში. 1990-იანი წლების შუა პერიოდში სარდლობის სტრუქტურაში შედიოდა: შტაბი, უსაფრთხოების უზრუნველყოფის სპეციალური ჯგუფი, უსაფრთხოების სამსახურის ცენტრი და ევრაზიული კვლევების ინსტიტუტი, გარდა ამისა არმიის დაზვერვისა და უშიშროების სარდლობაში შედიოდა 6 ბრიგადა და სამხედრო ოპერატიულ-სტრატეგიული დაზვერვისა და კონტრდაზვერვის 4 ჯგუფი. 1990-იან წლებში უწყებაში 10 ათასი თანამშრომელი მსახურობდა.

1990-იანი წლების ბოლოს შემუშავდა სამსახურის წესდება, რომლითაც კონკრეტულად განისაზღვრა დაზვერვისა და უშიშროების სარდლობის ფუნქციები. უწყების საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: საომარი მოქმედებებისას არმიის სადაზვერვო აქციებით უზრუნველყოფა, სიტუაციის შეფასება და სარდლობის ინფორმაციით მომარაგება, პრიორიტეტული ამოცანების დადგენა, რადიოელექტრონული შეტევის და დაცვის უზრუნველყოფა, სამხედრო დეზინფორმაცია, შენიღბვა, ოპერატიული უსაფრთხოება, პრევენციული აქციების წარმოება და სარდლობისთვის მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ შეტყობინებების მომზადება და მიწოდება.

საომარი მოქმედებების დროს სპეციალური მისიების შესრულებისას დაზვერვისა და უშიშროების სარდლობის დროებითი სადაზვერვო რაზმები ერწყმებიან რეგულარული არმიის შენაერთებს. დროებითი სადაზვერვო რაზმების შემადგენლობაში შედის: აგენტურული უსაფრთხოების ქვედანაყოფი, საჰაერო და მიწისზედა დაზვერვის ჯგუფები, სამხედრო ტყვეების დაკითხვის ნაწილი, რადიო ტექნიკის, ტექნიკური დაზვერვის, რადიოელექტრონული ომის და ოპერატიული უსაფრთხოების ქვედანაყოფები.

დაზვერვისა და უშიშროების სარდლობის ქვედანაყოფებმა სხვადასხვა ტიპის ლოკალურ კონფლიქტებში მოქმედებებისას, ძირითადი სამოქმედო პრინციპები და სადაზვერვო რესურსების და შესაძლებლობების გამოყენების მეთოდები ჩამოაყალიბეს, ხოლო შემდეგ სამხედრო დოქტრინაც შექმნეს „Intelligence XXI concept“. სტრუქტურის სპეციფიკის დახვეწის პროცესში აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით შემუშავდა რადიოელექტრონული ბრძოლის წარმოების და ამერიკის ქვეითი ძალების დაზვერვის ახალი პრინციპები. იუგოსლავიასა და სპარსეთის ყურეში ბრძოლების დასრულების და უდიდესი გამოცდილების მიღების შემდეგ

მოსდა მთლიანი სტრუქტურის რეორგანიზაცია. 2009 წელს აღნიშნულ სტრუქტურაში 14 ძირითადი ქვედანაყოფი შევიდა: დაზვერვის წარმოების ორი ჯგუფი და 7 ბრიგადა, ინფორმაციული ოპერაციების სარდლობა, ეროვნული დაზვერვის ცენტრი, ქვეითი ჯარების ოპერატიული ჯგუფი, სამხედრო დაზვერვის რაზმი და საიდუმლო ინფორმაციის კონტროლის ცენტრალური პუნქტი.

2009-2010 წლებში აშშ-ს შეიარაღებულმა ძალებმა განიცადეს მაშტაბური ტრანსფორმაცია რის შემდეგაც ქვეითი ჯარების ქვედანაყოფები გადავიდნენ მოდულის ტიპის განლაგების პრინციპზე. აღნიშნულმა ცვლილებებმა ქვეითი ჯარების დაზვერვისა და უშიშროების სარდლობის წინაშე ახალი პრიორიტეტები დაისახა. დაზვერვის და უშიშროების ბრიგადები გაერთიანებული ოპერატიული შტაბის დაქვემდებარებაში გადავიდა. დაზვერვის და უშიშროების სარდლობის მიერ გამოყოფილი ქვედანაყოფები ძირითადად განახორციელებდნენ ტაქტიკური ფორმირებების ოპერატიულ, სადაზვერვო და რადიოელექტრონული ბრძოლის საკითხებში მხარდაჭერას.

ტრანსფორმაციის შემდეგ ქვეითი ძალების დაზვერვისა და უშიშროების სარდლობის შემადგენლობაში შევიდა:

66-ე ბრიგადა, აქტიურად ანხორციელებს სადაზვერვო აქციებს და უზრუნველყოფს ევროპაში განლაგებული ამერიკის ქვეითი ჯარების ოპერაციების ოპერატიული უსაფრთხოების დაცვას. ბრიგადის შტაბი განლაგებულია გერმანიაში, ქალაქ დარმშტადტში.

470-ე ბრიგადა სადაზვერვო ინფორმაციით უზრუნველყოფს ქვეითი ჯარების ყველა იმ ქვედანაყოფს, რომლებიც სამხრეთი და ცენტრალური ამერიკის ზონის სარდლობის შემადგენლობაშია. ბრიგადის შტაბი განლაგებულია ტეხასის შტატში.

მე-300-ე ბრიგადა არის ლინგვისტური მხარდაჭერის ქვედანაყოფი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეითი ჯარების შემადგენლობაში მოქმედი დაზვერვის ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის უცხო ენებში მომზადებას. ბრიგადის შტაბი განთავსებულია იუტას შტატში.

მე-500-ე ბრიგადა სადაზვერვო ინფორმაციით უზრუნველყოფს წყნარი ოკეანის ზონის გაერთიანებულ კოალიციურ ძალებს. ბრიგადის შტაბი განლაგებულია ჰავაიზე.

501-ე ბრიგადა სტრატეგიული სადაზვერვო მონაცემებით უზრუნველყოფს კორეაში მოქმედი კოალიციური ძალების ქვედანაყოფებს. ბრიგადის შტაბი განლაგებულია სამხრეთ კორეაში.

513-ე ბრიგადა ანხორციელებს სადაზვერვო და ოპერატიული უსაფრთხოების უზრუნველყოფ აქციებს, რათა ხელი შეეწყოს აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის საომარი მოქმედებებისას წარმოებულ სპეცოპერაციებს. ბრიგადის შტაბი განლაგებულია ჯორჯიის შტატში.

704-ე ბრიგადა ატარებს კოორდინირებულ რადიოტექნიკურ დაზვერვას. მოპოვებულ სტრატეგიულ მონაცემებს ბრიგადა გადასცემს სარდლობას, რათა მისი შეიარაღებული ძალები აქტიური მოწინააღმდეგის ძალებზე დაწინაურებულ

პოზიციებზე აღმოჩნდეს ბრძოლის მსვლელობის დროს. ბრიგადა განლაგებულია მერილენდის შტატში.

706-ე ბრიგადა აწარმოებს რადიოტექნიკური დაზვერვის ტექნიკურ მხარდაჭერას. მოქმედებს მთელ მსოფლიოში უსაფრთხოების ცენტრალურ სამსახურთან ერთად. ბრიგადის შტაბი მდებარეობს ჯორჯიის შტატში.

902-ე ბრიგადა ატარებს კონტრსადაზვერვო ღონისძიებებს აშშ-ს შეიარაღებული ძალების ინტერესებში, უზრუნველყოფს ავტომატიზირებული სისტემების მართვის ოპერატიულ უსაფრთხოებას და მოწინააღმდეგის აგენტურული მოღვაწეობის აღმოფხვრას.

ქვეითი ჯარების ოპერატიული ჯგუფი განსაზღვრავს დაზვერვისთვის პრიორიტეტულ საკითხებს. ჯგუფის შტაბი განთავსებულია მერილენდის შტატში.

ეროვნული დაზვერვის ცენტრი, ეს არის ძირითადი რგოლი, რომელიც მიღებულ სადაზვერვო ინფორმაციას სპეციფიკის მიხედვით ანაწილებს აშშ-ს არმიის ქვედანაყოფებს შორის. ცენტრის შტაბი ვირჯინიაში მდებარეობს.

ინფორმაციული ოპერაციების პირველი სახმელეთო სარდლობა აანალიზებს და შეიმუშავებს სტრატეგიული ოპერაციების წარმოების თეორიულ და პრაქტიკულ პრინციპებს, სწავლებას უტარებს სარდლობის ქვედანაყოფების პირად შემადგენლობას და შემუშავებული პრინციპების და მეთოდების საომარ მოქმედებებში დანერგვას და შემდგომ გამოყენებას უწყობს ხელს. სარდლობა მდებარეობს ვირჯინიის შტატში.

გაერთიანებული სისტემის სამხედრო სადაზვერვო რაზმი JSTARS, არის ქვეითი ჯარების რადიოელექტრონული დაკვირვების რაზმი რომლის ფუნქციებშია E-8C კეიპაუების ოპერატორების მომზადება. რაზმი განთავსებულია ჯორჯიის შტატში.

საიდუმლო ინფორმაციის ცენტრალური პუნქტი არის არმიის ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცვის რეჟიმს, ინფორმაციული ცენზურა ქვეითი ჯარების მიერ მთელი მსოფლიოს მაშტაბით დაგეგმილი ოპერაციების წარმატებულად ჩატარების გარანტია. ცენტრალური პუნქტის შტაბი მდებარეობს მერილენდში.

კონკრეტული ან სიტუაციური ამოცანების გარდა არმიის დაზვერვისა და უშიშროების სარდლობის ფუნქციებში ამჟამად შედის: სტრატეგიული რადიოტექნიკური დაზვერვის წარმოება, მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარების მდგომარეობის შეფასება, სხვადასხვა ტიპის დაზვერვის შენაერთებისთვის კადრების მომზადება, საომარ მოქმედებებში ჩართული სადაზვერვო დანაყოფების ოპერატიული ხელმძღვანელობა და დახურული კავშირის სისტემების მართვა. სარდლობის ძირითადი პრიორიტეტია წარმატებულად განახორციელოს პრევენციული სადაზვერვო ოპერაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ აშშ-ს შეიარაღებული ძალების სისტემის ოპერატიულ უსაფრთხოებას, როგორც მშვიდობიან ისე ომის პერიოდშიც.

სამხედრო-საჰაერო ძალების დაზვერვა

არსებობს საჰაერო დაზვერვის რამდენიმე ტიპი, ესენია: სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური დაზვერვა. საჰაერო დაზვერვა წარმოებს სამხედრო საჰაერო ძალების სტრატეგიული და ტაქტიკური თვითმფრინავების საშუალებით. სტრატეგიული საჰაერო დაზვერვის წარმოებისთვის 1956 წლიდან ექსპლუატაციაში შევიდა და დღემდე აქტიურად გამოიყენება Lockheed U-2, რომელიც განკუთვნილია კომპლექსური დაზვერვის საწარმოებლად. უკანასკნელ წლებში მეტად აქტუალური თემაა უპილოტო საფრენი აპარატების საშუალებით წარმოებული დაზვერვა. უპილოტო საფრენი აპარატების შექმნაზე მუშაობა პირველი მსოფლიო ომის დროს დაიწყო. 1930 წელს აამოქმედეს დისტანციურად მართვადი აპარატები, ხოლო 1950 წლის ბოლოს უპილოტო მზვერავები. 1970-იან წლებში მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები საბრძოლო უპილოტო თვითმფრინავების შესაქმნელად.

საჰაერო დაზვერვა ძირითადად შემდეგი ტიპის მისიებს ასრულებს:

- შეიარაღებული დაჯგუფებების, სამხედრო ძალების და სამხედრო ფლოტის საომარი მზადყოფნის, ადგილმდებარეობის და გადაადგილებების აღმოჩენა.
- შეიარაღებული ძალების მიერ წარმოებულ წვრთნებზე მეთვალყურეობა.
- რადიოლოკაციური სადგურების და კავშირის სისტემების აღმოჩენა და მათი შემდგომი დანიშნულების და ტექნიკური სპეციფიკის დადგენა.
- ახალი სამხედრო ტექნიკის და შეიარაღების ტესტირებაზე მეთვალყურეობა.
- ჰაერ საწინააღმდეგო და რაკეტ საწინააღმდეგო სისტემების აღმოჩენა.
- სამხედრო-სამრეწველო ობიექტების ფუნქციონირებაზე თვალთვალი მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ტიპის დადგენის მიზნით.

საჰაერო დაზვერვის მიერ სხვადასხვა ტიპის ოპერაციების წარმატებულად განხორციელების მიზნით აშშ-ს მზვერავი თვითმფრინავები აღჭურვილია მრავალმხრივი ტექნიკური საშუალებებით. აშშ-ში საჰაერო დაზვერვას სპეციალური საჰაერო დაზვერვის სააგენტო აწარმოებს.

აშშ-ს საჰაერო ძალების დაზვერვის სააგენტო (Air Force Intelligence Surveillance and Reconnaissance Agency) აშშ-ს სამხედრო საჰაერო ძალების შტაბის სადაზვერვო ორგანოა. სააგენტო ლოკლანდის ავიაბაზაზე, ტეხასშია განთავსებული.

სააგენტოს ძირითადი დანიშნულებაა სახელმწიფო ორგანოებისთვის და შეიარაღებული ძალების სარდლობებისთვის სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდება, რისთვისაც სააგენტო ინფორმაციის მოპოვების გარდა აწარმოებს შესაბამისი სადაზვერვო ძალების ორგანიზებას, სწავლებას, აღჭურვას და გამოყენებას. სააგენტო აქტიურად არის ჩართული აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალების სადაზვერვო პოლიტიკის შემუშავებასა და განვითარებაში. სააგენტოს სტრუქტურაში შედის:

- საჰაერო და კოსმოსური დაზვერვის ეროვნული ცენტრი, რომელიც აანალიზებს უცხო ქვეყნების საჰაერო-კოსმოსური ძალების სისტემებს და შეიარაღებას, მათ პოტენციალს, ძლიერ და სუსტ მხარეებს, რის საფუძველზეც ყალიბდება ამერიკის ეროვნული თავდაცვითი პოლიტიკა.

ცენტრი განთავსებულია რაიტ-პატერსონის საჰაერო ძალების ბაზაზე ოჰაიოს შტატში.

- საჰაერო ძალების დაზვერვის კოსმოსური საფრთხეების კომიტეტი კოორდინირებას უწევს კოსმოსის კომპლექსურ ანალიტიკურ საქმიანობას.
- საჰაერო ძალების ტექნიკური განაცხადების ცენტრი (Air Force Technical Applications Center) განთავსებულია პატრიკის საჰაერო ძალების ბაზაზე ფლორიდაში. ცენტრის მისიაა ბირთვულ სფეროში მოქმედ ხელშეკრულებებზე ხელმომწერი ქვეყნების მონიტორინგ. აღნიშნული კონტროლი ხორციელდება სეისმური, ჰიდროაკუსტიკური და სატელიტური აღმოჩენის სისტემების მეშვეობით, აღნიშნულიდან გამომდინარე ცენტრი ახორციელებს მიწისქვეშა, წყალქვეშა და ატმოსფეროში ბირთვული ღონისძიებების მონიტორინგს საერთაშორისო ბირთვულ ხელშეკრულებებზე დაყრდნობით.
- 70-ე სადაზვერვო და სამეთვალყურეო ფრთა აერთიანებს საჰაერო ძალების შესაძლებლობებს გლობალური კრიპტოგრაფიული სპეცოპერაციების წარმოებისას. 2000 წლის აგვისტოს თვეში გააქტიურებული ფრთა სტრატეგიული ინფორმაციის მოპოვების საკითხებში აქტიურად თანამშრომლობს ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოსთან, რომელიც ხელს უწყობს შეიარაღებული და საჰაერო ძალების სპეცოპერაციების წარმატებით შესრულებას. ფრთაში შედის ექვსი სადაზვერვო ჯგუფი, რომლებიც მოქმედებენ წყნარი ოკეანისა და ევროპის ზონაში, აღნიშნული ფრთის სათაო ოფისი განთავსებულია ფორტ მიდში, მერილენდი.
- 480-ე სადაზვერვო-სამეთვალყურეო ფრთა დროულ და ფასეულ კრიპტო და ფოტო სადაზვერვო ინფორმაციას აწვდის მთელ მსოფლიოში მოქმედ აშშ-ს საჰაერო შეიარაღებულ ძალებს. ფრთა 2003 წლის დეკემბერში გააქტიურდა, ფრთა ვირჯინიაში, ლენგლის საჰაერო ბაზაზეა განთავსებული.

სააგენტოს დამხმარე ნაწილებია:

- საჰაერო ძალების 24-ე ნაწილი 2009 წლის აგვისტოს თვეში გააქტიურდა, სამსახური ფუნქციონირებს საჰაერო ძალების ქსელების დაცვისა და მათი გამართულად მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით. ნაწილის სათაო ოფისი განთავსებულია ლოკლანდის საჰაერო ბაზაზე ტეხასში. საჰაერო ძალების 24-ე ნაწილი აშშ-ს საჰაერო ძალების კიბერ სარდლობის კომპონენტიცაა.
- მე-9 სადაზვერვო ფრთა ახორციელებს საჰაერო ძალების წვრთნისა და აღჭურვის პროგრამების კოორდინაციას, სპეცპროგრამების გავლის შემდეგ საჰაერო ძალების კონტინგენტები ადვილად მოიპოვებენ სადაზვერვო ინფორმაციას, როგორც ომის ან კრიზისულ ისე მშვიდობიან პერიოდში. მეცხრე ფრთის სათაო ოფისი განთავსებულია კალიფორნიაში, ბიელის საჰაერო ძალების ბაზაზე.
- 55-ე ფრთა მთელი მსოფლიოს მაშტაბით ატარებს საჰაერო სადაზვერვო აქციებს, კავშირების მართვას და ახორციელებს აშშ-ს ლიდერების და მეთაურების საინფორმაციო და საბრძოლო მხარდაჭერას. ნაწილის შტაბ-ბინა განლაგებულია აფეტის საჰაერო ძალების ბაზაზე ნებრასკაში.
- 432-ე ფრთა ქრიჩის საჰაერო ძალების ბაზაზეა განთავსებული. აღნიშნული ნაწილის საფრენი აპარატები ე.წ (Predators-მტაცებელი და Reapers-სამკელი

მანქანები) ყოველდღიურად ათეულობით სადაზვერვო ოპერაციას ატარებს
ერაყისა და ავღანეთის საჰაერო სივრცეში.

ედვარდის სამხედრო-საჰაერო ბაზაზე (Edwards Air Force Base) განლაგებულია
„ზონა 51“ რომელიც ოფიციალური მონაცემებით იკვლევს და შეიმუშავებს
ექსპერიმენტალურ მფრინავ აპარატებს და შეიარაღების სისტემებს. „ზონა 51“
მიეკუთვნება სამხედრო ოპერაციების ზონას, რომლის სივრცეც შეზღუდულია
გარეშე მფრინავი ობიექტებისთვის და ზესაიდუმლო სივრცის სტატუსი აქვს
მინიჭებული.

სამხედრო-საზღვაო ძალების დაზვერვა

აშშ-ს სამხედრო-საზღვაო დაზვერვა სპეცსამსახურების სისტემაში შემავალი მნიშვნელოვანი ნაწილია. საზღვაო დაზვერვის შტაბ-ბინა სიუტლენდში (მერილენდი) საზღვაო დაზვერვის ეროვნულ ცენტრშია განთავსებული. საზღვაო დაზვერვის ცენტრი უძღვება ყველა დიდი საზღვაო პროექტის შემუშავებას და მათ განხორციელებას. აღნიშნული ტიპის დაზვერვა აწარმოებს, როგორც უცხოური სენსორული სისტემების აკუსტიკური ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს ასევე დაინტერესებულთა ოკეანეზე მეთვალყურეობის სისტემების, წყალქვეშა გემების და წყალქვეშა შეიარაღებული სისტემების შესწავლით.

სამხედრო-საზღვაო დაზვერვას ძლიერი კრიპტოგრაფიული სამსახური აქვს. აღნიშნული სამსახური იყენებს ტექნიკური დაზვერვის სპეციალურ საშუალებებს, რომლითაც მოიპოვებენ, ამუშავებენ, ანალიზებენ და შემდეგ სამხედრო და სახელმწიფო მაღალჩინოსნებს გადასცემენ სტრატეგიულ ინფორმაციას. დაზვერვითი საქმიანობის გარდა კრიპტოგრაფია პასუხისმგებელია ისეთი საკითხების მონიტორინგზე როგორებიცაა: ნარკოტიკების საზღვაო კონტრაბანდა, რადიოაქტიური ნარჩენების ოკეანეში ჩაღვრა, უკანონო ემიგრაცია, ტერორიზმი, ქიმიური, ბიოლოგიური და ბირთვული ტიპის იარაღის უკანონო ვაჭრობაზე კონტროლი.

1882 წელს აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამინისტროს ბრძანებით ნავიგაციის ბიუროში შეიქმნა ახალი ქვედანაყოფი ე.წ. დაზვერვის განყოფილება. საზღვაო დაზვერვის სფეროში გამოცდილების მიღების მიზნით ევროპაში გაიგზავნა ლეიტენანტი თეოდორ მესონი. დამდენადაც მე-19 საუკუნის ძველამოსილ და საზღვაო სახელმწიფოდ წოდებულ დიდ ბრიტანეთს არ ქონდა ცალკე გამოყოფილი საზღვაო დაზვერვის სამსახური, აშშ-მ ნიშნულად საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო დაზვერვის სამსახური აიღო. 1882-1888 წლების შუალედში ლონდონში, პარიზსა და რომში არსებულ აშშ-ს საელჩოებში შემოიღეს საზღვაო ატაშეს თანამდებობა.

1920 წელს სამხედრო-საზღვაო დაზვერვის სამსახური დამოუკიდებელ უწყებად ჩამოყალიბდა, მაგრამ მიუხედავად ამისა სტრუქტურის თანამშრომელთა რიცხვი იკლებდა, რადგან აღნიშნულ უწყებაში სამსახური საზღვაო ოფიცრების აზრით არაპრესტიჟულად ითვლებოდა. საზღვაო დაზვერვაში არ არსებობდა კადრების შერჩევის და მომზადების ჩამოყალიბებული და კვალიფიციური სისტემა. სამხედრო-საზღვაო დაზვერვის განყოფილების უფროსის კონტრ-ადმირალ ე. ზახარიასის მტკიცებით სამსახური ანალიტიკური ნაწილის გარდა ეყრდნობოდა ენთუზიასტების შრომას, ოფიცრების აზრით არსებული მძიმე მდგომარეობა გამოწვეული იყო აშშ-ს იზოლაციონისტური პოლიტიკით და ამ პოლიტიკის მომხრე მაღალჩინოსნების მხრიდან ზოგადად დაზვერვის სამსახურების მიმართ არსებული სკეპტიკური ხედვით. აზვერვის სამსახურების მიმართ ანტიპატიური დამოკიდებულების მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჰენრი სტიმსონის მოსაზრება, რომელიც აღნიშნავდა, რომ: „ამორალური იქნებოდა აშშ-ს სახელმწიფო დაწესებულებებს გაეგრძელებინათ უცხო პირთა პირადი ფოსტის შემოწმება და წერილების კითხვა“, სახელმწიფო მდივანი გულისხმობდა 1929 წელს ლიკვიდირებულ ამერიკულ კრიპტოგრაფიულ სააგენტოს.

აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების დაზვერვამ გაშიფრა იაპონიის დიპლომატიური შიფრი, რომელიც კომუნიკაციის მიზნით გამოიყენებოდა იაპონიის ფლოტში, ხოლო უკვე 1940 წელს შექმნეს იაპონური დაშიფვრის აპარატის (Purple) ანალოგი, რომლითაც ამერიკელები ვაშინგტონში მოქმედი იაპონიის საელჩოს მიმოწერას აკონტროლებდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს სამხედრო-საზღვაო დაზვერვის სტრუქტურაში შეიქმნა ფოტოების გამშიფრავი სამხედრო-საზღვაო ცენტრი, რომელიც დიდ როლს თამაშობდა ფლოტის საომარი ოპერაციების მომზადებისა და დაგეგმარების პროცესში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განხორციელდა სამხედრო-საზღვაო დაზვერვის რეორგანიზაცია, ამჟამად აღნიშნული თანამედროვე მრავალპროფილიანი სადაზვერვო ორგანიზაცია ინფორმაციით უზრუნველყოფს ფლოტის მინისტრს, ოპერაციების უფროსს და ტექნოლოგიურ ბიუროს. სამხედრო-საზღვაო დაზვერვის სამსახური ამჟამად ორგანიზაციულად ოპერაციების სამმართველოში შედის. სამხედრო-საზღვაო დაზვერვის დირექტორი თავისი სტატუსით არის ოპერაციების უფროსის თანაშემწე, აქვს ფლაგმანის რანგი და უშუალოდ ექვემდებარება აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ფლოტის დეპარტამენტის თავჯდომარეს. დეპარტამენტის შემადგენლობაში შედის სამხედრო-საზღვაო ფლოტის უშიშროების ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ოპერაციების უფროსი კომუნიკაციების სფეროში. აღნიშნული ჯგუფი მჭიდროდ ურთიერთქმედებს სამხედრო-საზღვაო დაზვერვის სამსახურთან და ასრულებს კრიპტოგრაფიული სამსახურის ფუნქციებს.

სამხედრო-საზღვაო დაზვერვის სამსახურს აქვს სუსტი მხარეც, სისტემაში არ ფუნქციონირებს კონტრდაზვერვის ქვედანაყოფი. საჭიროების შემთხვევაში ფლოტზე მომხდარი სისხლის სამართლის ან სხვა ტიპის დანაშაულებრივ ფაქტებს იძიებენ დაზვერვის სამსახურის თანამშრომლები.

1993 წელს რამდენიმე ქვედანაყოფის შერწყმის შედეგად შეიქმნა სამხედრო-საზღვაო და სანაპირო დაზვერვის ეროვნული ცენტრი, რომელიც აწარმოებს დაზვერვის სამსახურის ქვედანაყოფების მიერ მოპოვებული ელექტრო, ფოტო, რადიო, აკუსტიკური ინფორმაციის ანალიზს, ახორციელებს კონტროლს წყალქვეშა ნაგების და სამხედრო და სამოქალაქო გემების გადაადგილებაზე რეალურ მასშტაბებსა და დროში წყნარ ოკეანეში, ატლანტიკის ოკეანეში, ინდოეთის ოკეანეში, ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანესა და სამხრეთის ოკეანეში.

სამხედრო-საზღვაო დაზვერვის სამსახურის პერიფერიული ორგანოები შედგება სამი ძირითადი კომპონენტისგან. სამხედრო-საზღვაო რაიონის დაზვერვა არის სამსახურის ოპერატიული კონტროლის ქვეშ და მოქმედებს ამერიკის ტერიტორიაზე და საზღვარგარეთის ზოგიერთ რაიონში. რაიონის დაზვერვის განყოფილება უშუალოდ სამხედრო-საზღვაო რაიონის სარდალს ემორჩილება. განყოფილების ოფიცრები ძირითადად კონტრდაზვერვის და უშიშროების უზრუნველყოფის კუთხით საქმიანობენ. ცურვაში მყოფი სამხედრო გემების შენაერთის დაზვერვის ქვედანაყოფი ემორჩილება შენაერთის მეთაურს. ფლოტის მთავარსარდალს უცხოეთში დისლოცირებული სამხედრო-საზღვაო ბაზების, გემების ოპერატიული შენაერთების და დახურული სამხედრო რაიონების კონტროლისთვის იყენებს შტაბში არსებულ დაზვერვის სექტორს, რომელიც აწარმოებს ტაქტიკურ და

ოპერატიულ დაზვერვას. აღნიშნული ტიპის სექტორის ხელმძღვანელი ოფიცერი სამხედრო-საზღვაო დაზვერვისთვის აგროვებს ინფორმაციას სისტემაში არსებული სიტუაციის შესახებ.

საზღვაო დეპარტამენტში პრესტიჟულად ითვლება ატაშეების პოსტი. ისინი მოქმედებენ სამხედრო-საზღვაო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელობით, მაგრამ იმყოფებიან სახელმწიფო დეპარტამენტის კონტროლის ქვეშ, რადგან აღნიშნულ უწყებაში არიან მივლინებულნი. მათი საქმიანობა ამავედროულად კონტროლდება თავდაცვის დეპარტამენტის დაზვერვის სააგენტოს მიერაც, რადგანაც სააგენტო კოორდინირებას უწევს ყველა ტიპის შეიარაღებული ძალების ატაშეების საქმიანობას. აღნიშნული კადრები სპეციალურ მომზადებას გადიან სამხედრო-საზღვაო დაზვერვის სამსახურში, საქმიანობის პროცესში აგროვებენ სადაზვერვო ინფორმაციას სამხედრო სფეროში და ამავედროულად ასრულებენ დიპლომატიურ მისიას სახელმწიფო დეპარტამენტის დავალებით.

მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული სამსახური ამუშავებს პროგრამას, რომლის ფარგლებშიც დეტალურად ქმნიან დოსიეს სამიზნეებისა და ობიექტების შესახებ მსოფლიოს მასშტაბით სადაც შესაძლებელია განხორციელდეს სამხედრო-საზღვაო და სადესანტო ოპერაციები.

დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურები "სისტემის ზოგადი მიმოხილვა"

დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურები მეტად სპეციფიკურად კლასიფიცირდება. მათზე ერთობლივ კონტროლს ახორციელებს პარლამენტი და პრემიერ მინისტრი, ხოლო კონკრეტული სპეცსამსახურის საქმიანობას მათი სპეციფიკიდან გამომდინარე კოორდინაციას უწევს შესაბამისი სფეროს მინისტრი:

1. შინაგან საქმეთა მინისტრი პასუხისმგებელია კონტრდაზვერვის, ანუ უშიშროების სამსახურის (Security Service MI-5) საქმიანობაზე. აღნიშნული უშიშროების სამსახური ოფიციალურად კონტრდაზვერვის სახელმწიფო დაწესებულებას წარმოადგენს, რომელიც თავის საქმიანობას 1989 წ. უშიშროების სამსახურის შესახებ კანონის საფუძველზე ახორციელებს. იგი ექვემდებარება გაერთიანებული სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრს, მაგრამ არ შედის შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში.
2. თავდაცვის მინისტრი პასუხისმგებელია თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამსახურის საქმიანობაზე (Defence intelligence staff).
3. საგარეო საქმეთა მინისტრი აკონტროლებს ორ უწყებას: საგარეო დაზვერვის ძირითად ორგანოს (Secret intelligence Service-SIS MI-6) და სამთავრობო უშიშროების ორგანოს, სამთავრობო კომუნიკაციების ცენტრს (Government Communications Headquarters GCHQ).

ბრიტანეთის დაზვერვის სამსახურებზე საპარლამენტო კონტროლს დაზვერვისა და უშიშროების კომიტეტი ახორციელებს. აღნიშნული კომიტეტი 1994 წელს შეიქმნა, დაზვერვის სამსახურების შესახებ არსებული სპეციალური კანონის საფუძველზე. კომიტეტი უფლებამოსილია აკონტროლოს დაზვერვის სამსახურების ბიუჯეტის ხარჯები და თვალყური ადევნოს დიდი ბრიტანეთის სამი სპეცსამსახურის: MI-6-ის, MI-5-ის და სამთავრობო კომუნიკაციების ცენტრის „GCHQ“ საქმიანობას. კომიტეტი შედგება ცხრა პარლამენტარისგან. დაზვერვისა და უშიშროების კომიტეტი პრემიერ-მინისტრის წინაშე ანგარიშვალდებული, თანამშრომლობის პროცესში მისი ხელმძღვანელი რეგულარულად აწვდის პრემიერ-მინისტრს სრულ ინფორმაციას საქმიანობის შედეგების შესახებ. პარლამენტსა და სპეცსამსახურებს შორის იქმნება ხოლმე სადაო სიტუაციები ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით, რომელსაც შემდეგ დაზვერვის სამსახურების შესახებ მოქმედი კანონი არეგულირებს. კანონმდებლობა ითვალისწინებს ეროვნული უსაფრთხოებისთვის აუცილებელი ნორმების დაცვას და შესაძლებლად მიიჩნევს სპეცსამსახურის მხრიდან უარყოფით პასუხს საპარლამენტო კომიტეტის მიერ მოთხოვნილი კონკრეტული ინფორმაციის გადაცემაზე ან გასაჯაროებაზე, სპეცსამსახურების მხრიდან აღნიშნული ქმედება აიხსნება სისტემისთვის ინფორმაციის საციცოცხლო მნიშვნელობით და გასაიდუმლოების აუცილებლობით, რომლის დროზე ადრე გამჟღავნება სახელმწიფოსთვის საფრთხის მომტანიც კი შეიძლება აღმოჩნდეს.

კანონი დაზვერვის სამსახურების საქმიანობის რეგულირების შესახებ განსაკუთრებულ ვითარებაში უფლებას აძლევს ოპერატიულ თანამშრომლებს განახორციელონ საერთაშორისო სამართლისთვის მიუღებელი ქმედებები, თუ აღნიშნული ქმედება აუცილებელი იქნება ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად. ძირითად კანონდარღვევებად მიიჩნევა: საიდუმლო მოსმენები, პირად ცხოვრებასა და

კერძო საკუთრებაში არასანქცირებული შეღწევები და საჭიროების შემთხვევაში სუბიექტების ნეიტრალიზაცია. ამ ტიპის რადიკალური ქმედებები ძირითადად განსაზღვრულია ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებისას, თუმცა საჭიროების შემთხვევაში დაზვერვა არც სხვა შემთხვევებში ამბობს ამ შესაძლებლობების გამოყენებაზე უარს.

ტონი ბლერის პრემიერ-მინისტრობის პერიოდში, 2002 წელს პარლამენტის წევრებმა მოითხოვეს სპეცსამსახურების დაფინანსების გაზრდა. მათი აზრით არასაკმარისი სახსრების გამო გვიანდებოდა სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება, რომელიც არასრული და არაეფექტური იყო შემდგომი გამოყენებისთვის, რაც ასუსტებდა სამეფოს პოზიციებს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში.

მთავრობის მხრიდან დაზვერვის სამსახურებზე უშუალო კონტროლს აწარმოებს მინისტრთა კაბინეტის დაზვერვისა და უსაფრთხოების საკითხების კოორდინაციის სამსახური. აღნიშნული სტრუქტურა კოორდინაციას უწევს დაზვერვის სამსახურების და პრემიერ-მინისტრის ერთობლივ საქმიანობას და კავშირებს. ბრიტანეთში ანტიტერორისტულ საქმიანობაზე რამდენიმე სპეცსამსახურია პასუხისმგებელი, რომლებიც თავიანთი სპეციფიკის მიხედვით ინაწილებენ კომპეტენციებს: შინაგან საქმეთა სამინისტრო, ქვეყანაში მომქმედი მთავარი ორგანოა, რომელიც პასუხისმგებელია ტერორისტული აქტების აღკვეთაზე, საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც ტერორისტული საფრთხეებისგან დაცვის პრევენციულ ზომებს აწარმოებს უცხოეთში, კონტრდაზვერვის სამსახური MI-5, რომლის სტრუქტურის ფარგლებში 2003 წელს შეიქმნა ტერორიზმის ანალიზის გაერთიანებული ცენტრი, ცენტრის საქმიანობაში აქტიურად იქნა ჩაბმული სამთავრობო კომუნიკაციების სამსახური და დაზვერვის სამსახური MI-6, ანტიტერორისტული პოლიციის ქვედანაყოფი SO15, რომელიც პასუხისმგებელია ლონდონის ტერიტორიის ფარგლებში ტერორისტული საფრთხეების აღკვეთაზე, ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსების და მათი ფულადი სახსრების მიმოქცევის აღმკვეთი განყოფილება შეიქმნა 2001 წელს და ბოლოს გვსურს აღვნიშნოთ საერთოეროვნული კონტრტერორისტული სამსახურების კავშირი (ქსელი).

მძევლების შეპყრობის შემთხვევაში ოპერატიული შტაბის ხელმძღვანელად სკოტლანდ იარდის უფროსი ინიშნება. პრემიერ-მინისტრი სპეცოპერაციის ყველა ტიპის გადაწყვეტილებებს კრიზისების მართვის სპეციალურ კომიტეტთან (COBRA-Cabinet Office Briefing Room A) შეთანხმებულად ღებულობს. კობრა შედგება სპეცსამსახურების ხელმძღვანელებისგან, აქედან გამომდინარე ამდაგვარი სპეცოპერაციების შედეგებზე პასუხისმგებლობა ფედერალურ სტრუქტურებს ეკისრებათ.

2004 წელს დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მ და ავსტრალიამ შექმნა გლობალური ანტიტერორისტული ერთობლივი ქსელი, აღნიშნულ კავშირს მალევე შეუერთდა ახალი ზელანდია და კანადა.

ძლიერ სადაზვერვო პოტენციალს ფლობს ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროც. თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში შედის სამხედრო დაზვერვის შტაბი და სპეციალური დივერსიულ-სადაზვერვო საჰაერო-სადესანტო სამსახური.

დაზვერვის შტაბი შეიქმნა 1964 წელს რომელიც სადაზვერვო ინფორმაციით უზრუნველყოფდა ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებს. შტაბის შემადგენლობაში შედის ორი ქვედანაყოფი: თავდაცვის დაზვერვის სააგენტო და სამხედრო დაზვერვისა და უშიშროების ცენტრი.

სპეციალური დივერსიულ-სადაზვერვო საჰაერო-სადესანტო სამსახური ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის დროს. მისი შემქმნელი გახლდათ დევიდ სტირლინგი. ომის ბოლოს ბრიტანეთში გადაწყვიტეს დაეშალათ სპეციალური დანიშნულების რაზმები, თუმცა მათი სრულად გაუქმება ვერ მოხერხდა, რესტრუქტურისაციის შედეგად შეიქმნა რაზმები, რომელთა მთავარი დანიშნულება იყო სამიზნის ნებისმიერ პირობებში ნეიტრალიზაცია და დასახული მისიის შესრულება.

ბრიტანეთის სპეცსამსახურების ეფექტური საქმიანობისთვის მეტად მნიშვნელოვანია, დაზვერვის გაერთიანებული კომიტეტი, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობის შემადგენლობაშია. კომიტეტი კოორდინირებს უწევს დაზვერვის საიდუმლო სამსახურის, MI5-ის, სახელმწიფო კავშირების ცენტრის და სამხედრო დაზვერვის საქმიანობას. აღნიშნული კომიტეტი მინისტრთა კაბინეტის ქვედანაყოფია და პარლამენტის დაზვერვისა და უშიშროების კომიტეტის კონტროლის ქვეშაა, მას ხელმძღვანელობს მუდმივი მდივანი, სახელმწიფო სამსახურის უმაღლესი კორპუსის წარმომადგენელი, რომელიც აკონტროლებს დაზვერვის, უშიშროების და შეფასებების სამმართველოს. შეფასებების სამმართველოში შედიან ანალიტიკოსები, რომლებიც ატარებენ ანალიტიკურ კვლევებს კომიტეტისთვის საინტერესო საკითხებზე.

დაზვერვის გაერთიანებულ კომიტეტში შედის ბრიტანეთის სპეცსამსახურების დირექტორები, თავდაცვის სამინისტროს და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და პრემიერის მრჩეველი საგარეო საკითხებში.

დაზვერვის გაერთიანებული კომიტეტის ფუნქციებია:

- პრემიერის და მინისტრთა კაბინეტის კონსულტირება დაზვერვის, ინფორმაციის მოპოვების, ანალიზის და ეროვნული პრიორიტეტების ჩამოყალიბების სფეროში
- სადაზვერვო სამსახურებს შორის სტრატეგიული ინფორმაციის დროულად გაცვლის და პროდუქტიული თანამშრომლობის კოორდინირება
- სახელმწიფოს და სამეფო კართან დაკავშირებული პირების კომპლექსური შემოწმება

დაზვერვის გაერთიანებული კომიტეტი შეიქმნა 1936 წელს როგორც თავდაცვის ქვედანაყოფი, სააგენტო, რომელიც ხელისუფლებას კონსულტაციებს უწევდა სამხედრო დაგეგმარების საკითხებში, როგორც მშვიდობიან ისე კრიზისულ პერიოდშიც. 1957 წელს აღნიშნული კომიტეტი მინისტრთა კაბინეტს შეუერთეს,

რომლის ინტერესებიდან გამომდინარე მას მისცეს დაზვერვისა და ანალიზის წარმოების უფლება.

დაზვერვის გაერთიანებული კომიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- დიდი ბრიტანეთის ტერიტორიის, მოქალაქეების, ეროვნული საკუთრების და ფასეულობების დაცვა ტერორიზმისა და შპიონაჟისაგან
- ბრიტანეთის ეროვნული თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკური კურსის დაცვა და მხარდაჭერა
- ბრიტანეთის ეკონომიკური აღმავლობის მხარდაჭერა და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებების აღკვეთის მიზნით პრევენციული ეფექტური ღონისძიებების გატარება

სახელმწიფო უშიშროების სამსახური (MI-5)

ტერმინ სახელმწიფო უშიშროებას მეცნიერები შემდგენაირად განსაზღვრავენ: „სახელმწიფო უშიშროება, არის მდგომარეობა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, ეკოლოგიურ, ჰუმანიტარულ და სხვა პრიორიტეტულ სფეროში.“

სახელმწიფო უშიშროების ასეთი განმარტებით, სახელმწიფო და ეროვნული უშიშროება განიხილება, როგორც სინონიმები და ვფიქრობთ წარმოადგენს მატრიცას ყოველი განვითარებული საზოგადოებისათვის. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ დიდი ბრიტანეთის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სპეცსამსახურების როლს და მისიას სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის განვითარებასა და ფორმირებაში.

ბრიტანეთის უშიშროების სამსახური შეიქმნა 1909 წელს, როგორც საიდუმლო სამსახურის ბიურო, 1916 წელს გარდაიქმნა MI5-ად (Directorate of Military Intelligence), ხოლო შემდგომი ტრანსფორმაციის შედეგად MI5-მა სახელმწიფოს შიდა უსაფრთხოების დაცვის სფეროში წამყვანი ადგილი დაიკავა.

აღნიშნული ძალოვანი სტრუქტურის უმთავრესი ფუნქციაა ტერორიზმთან ბრძოლა და სახელმწიფოებრიობის დაცვა. XXI საუკუნეში აღნიშნული ორგანიზაციის რესურსების 90% გამოყოფილია გლობალური ტერორიზმის წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლისათვის და შიდა სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების გასამყარებლად. დიდი ბრიტანეთი არაერთხელ იქცა ტერორისტთა სამიზნედ, რასაც მსხვერპლიც მოჰყვა. ლონდონსა და გაერთიანებული სამეფოს სხვა ქალაქებში გააქტიურებულია აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ჩამოსულ მოქალაქეებზე კონტროლი. საეჭვო, ტერორისტული რეპუტაციის მქონე სახელმწიფოდან ჩამოსული ობიექტის დამუშავება ხდება მანამდე სანამ სპეცსამსახურები არ გაარკვევენ მისი ვიზიტის ჭეშმარიტ მიზანს.

რაც შეეხება კონტრშპიონაჟის საკითხს ამ სფეროში დაძაბულობა „ცივი ომის“ დროს აქტიურ ფაზაში იყო. აღნიშნულ ეპოქაში დიდი ბრიტანეთის მთელი დაზვერვის აპარატის ძალისხმევა მიმართული იყო საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების მზვერავებისა და ჯაშუშების კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესაკავებლად. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღნიშნული საფრთხე შედარებით შენედა, თუმცა ამის მიუხედავად დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურები არ აღუნებენ ყურადღებას უცხოეთის მოქალაქეების მიმართ და განსაკუთრებით დეტალურად აკონტროლებენ უცხო ქვეყნის დიპლომატიური კორპუსის თანამშრომელთა მოღვაწეობას.

კონტრდაზვერვის სამსახური (MI-5) 1992 წლიდან აქტიურად ჩაება მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ წარმოებულ გლობალურ ბრძოლაში. მასობრივი განადგურების ბირთვული იარაღის ძირითადი ტიპებია: ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ბიოლოგიური, სხვადასხვა აქტიური კომპონენტებისაგან შექმნილი პროდუქტი პოტენციურ საფრთხეს ატარებს მთელი ცივილიზებული სამყაროსათვის.

MI-5 ცენტრალური აპარატი შედგება შვიდი დირექტორატისგან, რომელიც შეიცავს სხვადასხვა სპეციფიკური დანიშნულების სამმართველოსა და ქვედანაყოფს.

დირექტორატი <A> სადაზვერვო ოპერაციებისა და რესურსების სამმართველო. პასუხისმგებელია ოპერატიულ-ტექნიკური აქციების ჩატარებაზე, ახორციელებს აგენტების გადმოხიზვას, ინფორმაციის მოპოვებას და აწესრიგებს კონტაქტებს სახელმწიფო ორგანიზაციებთან.

დირექტორატი ზედამხედველობისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო. აღნიშნული სამმართველოს ფუნქციაში შედის ადმინისტრაციული, ფინანსური, ტექნიკური და ზურგის საკითხების კოორდინაცია. აღნიშნული დირექტორატი ასევე არჩევს კადრებს არამარტო კონტრდაზვერვისათვის არამედ სხვა სახელმწიფო სტრუქტურებისთვისაც. იგი შეიმუშავებს მისაღები კადრებისათვის საჭირო მოთხოვნების სისტემებს და განსაზღვრავს მათ შესაძლებლობებს. აღნიშნული სამმართველოს ბაზაზე არსებობს სპეციალური სასწავლო ცენტრი, სადაც მიმდინარეობს სპეცსამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება შემდგომი კარიერული ზრდისთვის.

დირექტორატი <C> სარეჟიმო ობიექტების დაცვის სამმართველო. დირექტორატის ძირითადი ფუნქციებია:

- ოფიცერთა შემადგენლობისა და სახელმწიფო სამსახურში მისაღები კანდიდატების სპეცშემოწმება.
- სამინისტროებისა და სამხედრო სტრატეგიული ობიექტების დაცვა.
- სამხედრო ზონებში რეჟიმზე მონიტორინგი.
- უშიშროების ოფიცერთა ხელმძღვანელობა, რომლებიც მივლინებული არიან საზღვაო პორტებსა და აეროპორტებში.
- სამობილიზაციო გეგმების შემუშავება ტერორისტული საფრთხის მოულოდნელად წარმოქმნის შემთხვევაში.
- ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

დირექტორატი <D> კონტრდაზვერვის სამმართველო ებრძვის უცხო ქვეყნის ჯაშუშებს. უზრუნველყოფს სახელმწიფოს პრიორიტეტულ სფეროებში არსებული საიდუმლო ინფორმაციის დაცვას.

დირექტორატი <E> საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის სამმართველო.

დირექტორატი <F> შიდა ტერორისტული ქსელის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველო, რომელიც ირლანდიელ რადიკალებს ებრძვის.

დირექტორატი <G> შიდა უშიშროების სამმართველო, პასუხისმგებელია MI-5 თანამშრომელთა უსაფრთხოებაზე.

როგორც ბრიტანული პრესა იუწყება MI-5 წლიური ბიუჯეტი 200 მილიონ ფუნტ სტერლინგს შეადგენს. აქედან ბიუჯეტის 25% გამოიყოფა ირლანდიის ტერორისტული ქსელის წინააღმდეგ მიმართული აქციების ჩასატარებლად, 15% გამოიყოფა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და 17% გამოიყოფა კონტრდაზვერვითი აქციებისთვის, უცხო ქვეყნის ჯაშუშთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების აღსაკვეთად.

დიდი ბრიტანეთის უშიშროების სამსახურში ამჟამად დაახლოებით 3000 ადამიანი მუშაობს, სტრუქტურის თანამშრომელთა 54%-ის ასაკი ჯერ 40 წელსაც კი არ არის მიღწეული.

MI-5 თავისი სპეციფიკური მიზნების მისაღწევად ძირითადად 4 მეთოდს იყენებს:

1. ელექტრონული თვალთვალი და მოსმენები.
2. უშუალო თვალთვალი.
3. ინფორმაციის დროულად დაუფლება და მისი გამოყენება.
4. მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი საიდუმლო აგენტების გადაბირება და მათგან ინფორმაციის მოპოვება.

MI-5 კონტრდაზვერვითი საქმიანობა და მისი წარმოების მეთოდები კონტროლდება და რეგულირდება დიდი ბრიტანეთის შესაბამისი კანონმდებლობით, რითაც დაცულია და შეუვალია პიროვნების უფლებები.

დაზვერვის საიდუმლო სამსახური - „SIS“ (MI-6)

დიდი ბრიტანეთის დაზვერვის საიდუმლო სამსახური შეიქმნა 1909 წ. თავდაცვის საიმპერიო კომიტეტის ინიციატივით. თავიდან მას დაზვერვის საიდუმლო ბიურო ეწოდა. იგი ძირითადად სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე მოღვაწეობს საზღვარგარეთ, უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც საჭიროების შემთხვევაში ანხორციელებს საიდუმლო დაზვერვით და საგარეო კონტრდაზვერვით აქციებს. 1994 წელს ამოქმედებული საკანონმდებლო აქტი (ISA) რომელიც არეგულირებს დიდი ბრიტანეთის დაზვერვის სპეცსამსახურების საქმიანობას აძლევს მათ სრულ უფლებას მოიპოვონ ინფორმაცია და აკონტროლონ სახელმწიფოს მიერ მივლინებული ოფიციალური პირები და მათი ქმედებები, რომლებიც იმყოფებიან საზღვარგარეთ კონკრეტული დავალებით და მოღვაწეობენ შემდეგ სფეროებში: ნაციონალური უსაფრთხოება, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს თავდაცვის და საგარეო პოლიტიკის ფორმირებასთან; დიდი ბრიტანეთისათვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ეკონომიკური წარმომადგენლობები; გლობალური დანაშაულებრივი სინდიკატების წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო ძალოვანი ორგანოები.

დაზვერვის საიდუმლო სამსახური (MI-6) მჭიდროდ თანამშრომლობს დიდი ბრიტანეთის სხვა სპეცსამსახურებთან: სახელმწიფო უშიშროების სამსახურთან (MI-5), სამთავრობო კომუნიკაციების ცენტრთან (GCHQ), თავდაცვის სამინისტროსთან, საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროსთან (FCO), შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, სამეფო შემოსავლებისა და საბაჟო სამსახურებთან (HM Revenue and Customs) და სამეფოს სახელმწიფო ინტერესების დამცავ სხვა შესაბამის სტრუქტურებთან.

დიდი ბრიტანეთის დაზვერვის საიდუმლო სამსახური ხუთი დირექტორატისაგან შედგება:

1. ადმინისტრაციულ-საკადრო დირექტორატი. ორიენტირებულია სისტემის მართვაზე და კადრების შერჩევა, რეალიზაციაზე.
2. ოპერატიულ დავალებათა შემუშავების და სადაზვერვო პროდუქციის მომზადების დირექტორატი. დავალებებს ღებულობს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროსაგან. აანალიზებს მოპოვებულ სადაზვერვო ინფორმაციას და აგრეთვე ამზადებს და რეალიზებაში უშვებს დაზვერვის ოფიციალურ დოკუმენტაციას.
3. რეგიონალური კონტროლის დირექტორატი. შედგება რეგიონალური და გეოგრაფიული ოპერატიული განყოფილებებისაგან. აღნიშნული დირექტორატი ძირითადად საზღვარგარეთ აგროვებს ინფორმაციას სხვადასხვა სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარების, მათი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის შესახებ. აგრეთვე იგი დანაშაულებრივ ქსელში ნერგავს ოდეერებს, რომლებიც მოიპოვებენ საჭირო ინფორმაციას ტერორისტული და საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულებრივი სინდიკატების საქმიანობის შესახებ.

- დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის ტერიტორიაზე მოქმედი განყოფილება. ძირითადად ორიენტირებულია სტრატეგიული ინფორმაციის

მატარებელ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა გადმოხირობაზე, რომლებიც MI-6-ის სხვა ოპერატიული განყოფილებებისთვისაც წარმოდგენენ ინტერესის ობიექტს. ძირითადად ინტერესის სფეროში ხვდებიან უცხო ქვეყნის დიპლომატიური კორპუსის და მუდმივი წარმომადგენლობის თანამშრომლები, მეცნიერ მუშაკები, სხვადასხვა სფეროში მომუშავე სპეციალისტები, ასპირანტები, სტუდენტები, მეზღვაურები და ავიაკომპანიის თანამშრომლები.

ლონდონის რეზიდენტურას შემუშავებული აქვს თვალთვალის კონსპირირებული მეთოდი, ეწევა კრიპტოანალიზს, რაც მათ საშუალებას აძლევს უცხო ქვეყნის დიპლომატიური კორპუსის თანამშრომლები და დაზვერვისთვის მნიშვნელობის მქონე პირები მუდმივი კონტროლის ქვეშ ჰყავდეთ.

მეტად საინტერესოა MI-6-ის გადმოხირობის სპეციფიკა. დაზვერვის საიდუმლო სამსახური გადმოხირობას უკეთებს არა მარტო უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, არამედ „ავერბოვებს“ თვით ბრიტანელებსაც კი, რომლებიც მიემგზავრებიან პოტენციური მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ან საზღვარგარეთ აქვთ გარკვეული საქმიანი კავშირები.

დაზვერვის საიდუმლო სამსახური განსაკუთრებით დაინტერესებულია პოლიტიკური დაზვერვით. გადმოხირობითი ოპერაციების ჩატარებისას დაზვერვის თანამშრომლები ლეგენდის შესაბამისად მოქმედებენ. ისინი ძირითადად დიპლომატიურ წარმომადგენლობაში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კერძო სექტორის ქოლგის ქვეშ მოღვაწეობენ, სინამდვილეში კი საიდუმლო ინფორმაციაზე ნადირობენ და ხშირად გავლენის აგენტების ვერბოვკასაც ეწევიან. სხვა სახელმწიფოში მათი ნამდვილი საქმიანობის გამოაშკარავების შემთხვევაში მათ ექსტრადიცია მოეწივთ.

- ევროკავშირის ტერიტორიაზე დაზვერვით აქციებზე პასუხისმგებელი განყოფილება. ევროპის ქვეყნებში დიდი ბრიტანეთის დაზვერვა ძირითადად დიპლომატიურ კორპუსში განლაგებული რეზიდენტურების საფარქვეშ მყოფები ანხორციელებენ შპიონაჟს. MI-6 თანამშრომლობს NATO-ს ქვეყნების დაზვერვის სამსახურებთან. იგი აქტიურ თანამშრომლობაშია აშშ-ის დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს შტაბთან, რომელიც ფრანკფურტ-ნა-მაინეში მდებარეობს. პარტნიორობის მიუხედავად MI-6-ის მეორე განყოფილება მაინც არ ერიდება ევროკავშირის ტერიტორიაზე ინფორმაციის მოპოვებას და პოტენციური აგენტების გადმოხირობას.

- განყოფილება სახელწოდებით „ჯგუფი რუსული ორბიტა“ შეიქმნა გასული საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც ჯერ ისევ საბჭოთა კავშირი არსებობდა. მესამე განყოფილება აგრეთვე პასუხისმგებელი იყო ვარშავის ბლოკში შემავალ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სადაზვერვო აქციების ჩატარებაზე. განყოფილებას დავალებული ჰქონდა დიდი ბრიტანეთის ყველა სახელმწიფო უწყებისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია თუ რა მდგომარეობა იყო მოწინააღმდეგე ბლოკის სახელმწიფოებში. „ცივი ომი“-ს დასრულების შემდეგ აღნიშნულმა განყოფილებამ გააგრძელა მოღვაწეობა, ოღონდ ამიერიდან მას მხოლოდ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე უხდება მოქმედება.

- მეტად სტრატეგიულ ხასიათს ატარებს ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე მომუშავე განყოფილება. აღნიშნულ განყოფილებას რეზიდენტურები განლაგებული აქვს: ისრაელში, სირიაში, თურქეთში, ირანში, ლიბანში და ა.შ. ხანგრძლივი დროის მანძილზე ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის ცენტრი ლიბანი გახლდათ, სწორედ ამიტომაც MI-6-ის რეგიონალური რეზიდენტურაც ბეირუთში მდებარეობდა, რომელიც აკონტროლებდა მთელ არაბულ სახელმწიფოებში მოქმედ აგენტურულ ქსელს.

- შორეული აღმოსავლეთის განყოფილება ზვერავს აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფოებში არსებულ ვითარებას. ძირითადი რეზიდენტურები განლაგებულია: იაპონიაში, სინგაპურში, მალაიზიაში, ინდონეზიაში და ფილიპინებზე. აღნიშნულ რეგიონში არსებული სირთულეების გადასაჭრელად დიდი ბრიტანეთის დაზვერვის საიდუმლო სამსახურის რეზიდენტურები კონტაქტებს ამყარებენ ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის შესაბამის სტრუქტურებთან, რაც უადვილებს მათ აღნიშნულ რეგიონში მოქმედებას.

- ლათინური ქვეყნების განყოფილება ანალიზებს ამ რეგიონში არსებულ მდგომარეობას. სხვა რეზიდენტურებს შორის მეტად აქტიურად მოქმედებს არგენტინის რეზიდენტურა. აღნიშნული რეზიდენტურა განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო აღმოსავლეთ ფოლკლენდის (სოლედადი) და დასავლეთ ფოლკლენდის (გრანდ-მალვინი) კუნძულების და კიდევ 200 მცირე კუნძულის გამო დაწვეული კრიზისის პერიოდში. საიდუმლო ფაქტორი, რომელმაც დიდ ბრიტანეთს წარმატება მოუტანა 1982 წელს არგენტინასთან, ფოლკლენდის კუნძულების გამო არსებულ კონფლიქტში იყო საიდუმლო კავშირი აშშ-ის დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოსთან, ჩილეს სამხედრო დაზვერვასა და ისრაელის დაზვერვის სამსახურ „მოსად“-ს შორის. ამ კავშირმა საშუალება მისცა მარგარეტ ტეჩერს გამოეყენებინა მოკავშირეთა ტერიტორია და აეროდრომები მზვერავი თვითმფრინავების ასაფრენად.

4. საგარეო კონტრდაზვერვის და უშიშროების დირექტორატი. შეისწავლის და ამუშავებს უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებს. უზრუნველყოფს ინგლისის დაზვერვის საქმიანობის უსაფრთხოებას და კონფიდენციალურობას.

5. სპეცდაზვერვის დირექტორატი, MI-6-ის ქვედანაყოფებს ამარაგებს თანამედროვე ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებებით, რომლებიც აადვილებს ოპერატიულ-აგენტურულ საქმიანობას.

დაზვერვის საიდუმლო სამსახურში ფუნქციონირებს: მრჩევლის ჯგუფი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში და კავშირის ჯგუფი აშშ-სა და სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებთან.

1994 წელს MI-6-ის წლიური ბიუჯეტი 150 მილიონ ფუნტ სტერლინგს შეადგენდა, ხოლო უკვე 1995 წელს ბიუჯეტი 10 მილიონით შემცირდა. 2010-2011 წლების მონაცემებით ცნობილია მხოლოდ დაზვერვის სამსახურების გაერთიანებული წლიური ბიუჯეტი, რომელიც 2.3 მილიარდ ფუნტ სტერლინგს შეადგენდა და არა ცალ-ცალკე აღებული სამსახურის ბიუჯეტი. MI-6-ის დაფინანსება ხორციელდება საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

დიდი წვლილი შეაქვთ MI-6-ის თანამშრომლებს გლობალური ტერორიზმის წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლაში. ვფიქრობთ აღნიშნული სპეცსამსახურების ბრძოლა გლობალური წესრიგისათვის გამოიღებს სასურველ შედეგს, მთავარია ბრძოლა იყოს სამართლიანი და მიზანდასახული.

ერთ-ერთი გახმაურებული სპეცოპერაცია, რომელშიც დიდი ბრიტანეთის დაზვერვის საიდუმლო სამსახური იყო ჩართული ცნობილია ბერლინის გვირაბი ოპერაცია „ოქროს“ სახელით. გერმანია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1945 წელს გაყოფილ იქნა 4 საოკუპაციო ზონად. 1949 წელს ამერიკული, ფრანგული და ბრიტანული ზონისგან შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ხოლო საბჭოთა ზონისგან შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. გვრ-ის დედაქალაქად გამოცხადდა ბონი, ხოლო გდრ-ის დედაქალაქად გამოცხადდა აღმოსავლეთ ბერლინი. ბრიტანეთის დაზვერვის საიდუმლო სამსახურის ყველაზე დიდი რეზიდენტურა განლაგებული იყო დასავლეთ ბერლინში. რეზიდენტურაში მუშაობდა 100 დაზვერვის ოფიცერი და ტექნიკური სფეროს თანამშრომლები. რეზიდენტურის საფარად გამოყენებული იყო ბრიტანეთის არმია და საკონტროლო კომისია. რეზიდენტურაში მოქმედებდა რამდენიმე განყოფილება, რომლებსაც სხვადასხვა სპეციფიკური მიმართულება ქონდათ ჩაბარებული: პოლიტიკური ინფორმაციის მოპოვება, საბჭოთა კავშირის და გდრ-ის შეიარაღებულ ძალებში შეღწევა და ოპერატიულ-ტექნიკური აქციების ჩატარება.

დასავლეთ ბერლინის ტერიტორიაზე აქტიურად მოქმედი ბრიტანეთის დაზვერვის საიდუმლო სამსახურის რეზიდენტურა დაკომპლექტებული იყო გამოცდილი მზვერავებით, რომლებიც იყვნენ აგენტურული საქმის და ტექნიკური ოპერაციების სპეციალისტები. 1950-იან წლებში ვენიდან დასავლეთ ბერლინში გაიგზავნა ბრიტანეთის დაზვერვის საიდუმლო სამსახურის გამოცდილი თანამშრომელი პიტერ ლანი, რომელიც ვენაში აქტიურ რეზიდენტურას ხელმძღვანელობდა. ბრიტანეთის დაზვერვის სამსახურის შეფასებით ვენის რეზიდენტურამ დიდ წარმატებებს მიაღწია ავსტრიაში დისლოცირებული საბჭოთა არმიის სატელეფონო კომუნიკაციებში შეღწევის და სტრატეგიული მნიშვნელობის ინფორმაციის გადაჭერის შემდეგ. მოპოვებული ინფორმაციის გასაანალიზებლად ლონდონში დაუყონებლივ შეიქმნა სპეციალური ქვედანაყოფი – ტექნიკური ოპერაციების განყოფილება, რომელიც დაკომპლექტდა ისეთი მზვერავებით, რომლებიც თავისუფლად ფლობდნენ რუსულ ენას. ესენი ძირითადად იყვნენ რუსი არისტოკრატი ემიგრანტების შთამომავლები, რომლებიც მსახურობდნენ ბრიტანეთის დაზვერვის საიდუმლო სამსახურში.

1952-1953 წ.წ. დაზვერვის საიდუმლო სამსახური და დაზვერვის ცენტრალური სააგენტო შეთანხმდნენ ერთობლივად შეემუშავებინათ სპეცოპერაცია. ლონდონში გაიმართა აშშ-ის და ბრიტანეთის დაზვერვის სამსახურების წარმომადგენელთა რამდენიმე შეხვედრა. ბრიტანეთის მხრიდან ოპერაციაში მონაწილეობდნენ: ჯორჯ იანგი, შემდგომში ბრიტანეთის დაზვერვის საიდუმლო სამსახურის გენერალური დირექტორის მოადგილე; თომ ჯიმსონი, ტექნიკური ოპერაციების განყოფილებიდან; პიტერ ლანი და მხარდაჭერის ჯგუფები. აშშ-ის მხრიდან: ფრენკ როულეტი, ოპერატიული დირექტორატის საბჭოთა განყოფილების უფროსი; ბილ ხარვი, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დასავლეთ ბერლინის რეზიდენტურის ხელმძღვანელი.

დასავლეთის სპეცსამსახურების სამიზნე იყო საბჭოთა კავშირის სატელეფონო და სატელეგრაფო კაბელები, რომელიც აღმოსავლეთ ბერლინის ტერიტორიაზე გადიოდა მიწისქვეშ, აღნიშნული კომუნიკაციებით ხორციელდებოდა სამხედრო ქვედანაყოფების, კონტრაზვერვისა და დიპლომატიური სამსახურების კავშირი. საჭირო იყო მიწისქვეშა გვირაბის გაჭრა, საბჭოთა კონტროლირებად ტერიტორიაზე შეღწევა და ინფორმაციის მოპოვება. ოპერაციის დასაგეგმად მოიპოვეს კაბელების მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა და სქემები, რომელიც აშშ-სა და ბრიტანეთის დაზვერვის სამსახურებს გადასცა გდრ-ის ფოსტისა და ტელეგრაფის სამინისტროს გადაბირებულმა თანამშრომლებმა.

ანგლო-ამერიკულ ჯგუფში მოვალეობები შემდეგნაირად გადანაწილდა: ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო აფინანსებდა სამუშაოებს, უზრუნველყოფდა გვირაბის გასაჭრელად საჭირო მუშა ძალებს; ბრიტანეთის დაზვერვის საიდუმლო სამსახური ოპერაციას უზრუნველყოფდა სპეციალური აპარატურით და ტექნიკური მოწყობილობით, მოსასმენი სადგურის სპეციალისტებით და ოპერატორებით. ინფორმაციის დამუშავება და შეფასება ხორციელდებოდა ერთობლივი სპეციალისტების ჯგუფით.

სპეცოპერაციის შესახებ დასაწყისშივე გახდა ცნობილი საბჭოთა კონტრაზვერვისთვის. სპეცოპერაციის გეგმა გასცა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა და ბრიტანეთის დაზვერვის საიდუმლო სამსახურის მიერ ლონდონში გამართული თათბირების მონაწილემ და ოპერაციის დამგეგმავი ჯგუფის აქტიურმა წევრმა, საბჭოთა კავშირის ჯაშუშმა ჯორჯ ბლეიკმა. დასავლეთ ბერლინში გვირაბის გათხრის სამუშაოები შენიღბული იყო, როგორც სარადრო სისტემების მონტაჟის და აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალებისთვის საწყობის მშენებლობა. სამუშაოები დაიწყო 1954 წელს და დასრულდა 1955 წელს. 1956 წელს სადაზვერვო გვირაბი ამხილეს საბჭოთა სპეცსამსახურებმა. სპეცოპერაცია „გოლდის“ ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება გაგრძელდა 1958 წლამდე. აღმოჩენილი სადაზვერვო გვირაბი საბჭოთა მხარემ დაუყონებლივ გააცნო პრესას და შეფასდა, როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა და დანაშაულებრივი აქტი. სპეცოპერაციის ხარჯებმა 7 მილიონ დოლლარს მიაღწია, რაც იმ დროისთვის დიდ თანხას წარმოადგენდა და მიანიშნებს სპეცოპერაციის მნიშვნელობაზე.

დიდ ბრიტანეთში დიდი ხმაური გამოიწვია ე.წ. „კემბრიჯის ხუთეულის“ ჯაშუშურმა საქმიანობამ, რომლის წევრებიც სსრკს სასარგებლოდ მოქმედებდნენ დიდი ბრიტანეთის ინტერესების საზიანოდ. ინგლისში არსებული სიტუაციის ანალიზის შემდეგ საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, რომ მომავალი „გავლენის აგენტები“ კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში მოექცებნათ. აღნიშნული სადაზვერვო დავალებით ლონდონში ჩავიდა სსრკს შინაგან საქმეთა ეროვნული კომისარიატის ახალგაზრდა თანამშრომელი არნოლდ დეიჩი, შინაგან საქმეთა კომისარიატის კადრების სამმართველოში აღრიცხული იყო, როგორც სტეფან ლანგი, ავსტრიელი ებრაელი. სამეცნიერო და სტუდენტური სფეროს უკეთ შესწავლის მიზნით, საბჭოთა აგენტი ლონდონის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე მსმენელად ჩაირიცხა, ხოლო შემდეგ დოქტორის ხარისხიც დაიცვა და ლექციების კითხვასაც შეუდგა. ინგლისის არისტოკრატიულ და სამეცნიერო წრეებში მათ შორის სტუდენტობაშიც იყვნენ მემარცხენე შეხედულებების მქონე ადამიანები. დეიჩმა საბჭოთა დაზვერვასთან

სათანამშრომლოდ გადმოიბირა რამდენიმე ათეული აგენტი, მათ შორის აგენტთა ოქროს ჯაჭვი ე.წ. „კემბრიჯის ხუთეული“. 1934 წელს ბისტროლექტოვთან ერთად გადმოიბირა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კავშირის მართვის სამმართველოს კრიპტოლოგი კაპიტანი კინგი, რომლის ხელშეწყობითაც სსრკს ხელი მიუწვდებოდა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დიპლომატიური კორპუსის საიდუმლო ინფორმაციაზე. 1938 წელს დეიჩმა და მისმა მეუღლემ მიიღო საბჭოთა მოქალაქეობა და პასპორტები სტეფან ლანგი გრიგორევიჩის და ჟოზეფინა პავლოვნას სახელებზე. ლანგი მრავალმხრივ განათლებული პიროვნება იყო, ბრიტანეთში 4 პატენტი დაარეგისტრირა, მათ შორის მფრინავების სასწავლო ტრენაჟორი, რომელიც გადააგზავნა მოსკოვში. ის იყო ასევე მრავალი ოპერატიული მოწყობილობების და კონსტრუქციების ავტორი და უხილავი მელნის რეცეპტის ავტორი. დაუბრუნდეთ „კემბრიჯის ხუთეულში“, შემაგალ პირებს, რომლებმაც გადაბირებიდან რამდენიმე წელიწადში მნიშვნელოვანი საკვანძო პოსტები დაიკავე ბრიტანეთის ხელისუფლებაში, საგარეო საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებში, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურებში. მათ წინსვლას გეგმავდა და ხელს უწყობდა საბჭოთა დაზვერვა. ამ აგენტებმა შეძლეს აქტიურად ემუშავათ და „კრემლისთვის“ რამდენიმე ათეული ათასი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი მიეწოდებინათ. გაი ბერჯესი-სამხედრო დაზვერვა, საგარეო საქმეთა სამინისტრო; დონალდ მაკლეინი-საგარეო საქმეთა სამინისტრო; ენტონი ბლანტი, აგენტურული ჯგუფის ხელმძღვანელი-სამხედრო კონტრდაზვერვა, მეფე გეორგ VI-ის მრჩეველი; კიმ ფილბი-მაღალ თანამდებობებს იკავებდა MI6-სა და MI5-ში და ჯონ კერნქროსი-საგარეო საქმეთა სამინისტრო, სამხედრო დაზვერვა.

სამთავრობო კომუნიკაციების ცენტრი (GCHQ)

ბრიტანეთის სამთავრობო კომუნიკაციების ცენტრი გლობალური ტექნიკური დაზვერვის წარმოებასა და უცხოეთის რეზიდენტურებთან საიდუმლო კავშირების საწარმოებლად სპეცტექნიკის გამართულ მუშაობაზეა პასუხისმგებელი. კონსპირაციის მიზნით აღნიშნული სამსახური საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში შედის, მაგრამ სამინისტროსაგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს. სამთავრობო კომუნიკაციების ცენტრის ხელმძღვანელი ამავდროულად საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გახლავთ, მაგრამ არ ექვემდებარება მას, ის მხოლოდ პრემიერ-მინისტრს ემორჩილება და მის წინაშეა პასუხისმგებელი. სამთავრობო კომუნიკაციების ცენტრის პერიფერიული ქვედანაყოფები, რომლებიც ბრიტანეთის სამხედრო ბაზების ტერიტორიაზეა განთავსებული თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში შედის.

სამთავრობო კომუნიკაციების ცენტრი 1946 წელს შეიქმნა, იგი კოდების და შიფრების სახელგანთქმული სახელმწიფო სკოლის მემკვიდრე გახლავთ, რომელიც რადიოშპიონაჟის მიზნით 1919 წელს იყო შექმნილი. ბრიტანეთის სახელმწიფო კომუნიკაციის ცენტრის სპეციალისტების დიდი ნაწილი 1952 წელს შექმნილი აშშ-ს ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლების მასწავლებლები იყვნენ. აღნიშნული პერიოდიდან ეს ორი უწყება მჭიდრო კონტაქტებს ინარჩუნებენ. დიდი ბრიტანეთი აშშ-ს მთავარი პარტნიორია ევროპის კონტინენტზე ტექნიკური შპიონაჟის „ECHELON“ წარმოების საკითხებში. ინგლისის ტერიტორიასა და უცხოეთში სამთავრობო კომუნიკაციის ცენტრს არაერთი რადიოელექტრონული სიგნალების მოძოვებელი სადგური აქვს განთავსებული. სამთავრობო კომუნიკაციების ცენტრი ბრიტანეთის სხვა სამსახურებს შორის ყველაზე მსხვილი ორგანოა. ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურებთან. ერთობლივი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით 1960-იან წლებში შეიქმნა აღნიშნული სამი სპეცსამსახურის გაერთიანებული კომიტეტი.

საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ცენტრი ამყარებს და ანვითარებს ორმხრივ და მრავალმხრივ ურთიერთობებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურებთან, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებულად თანამშრომლობს აშშ-ს ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოსთან, კანადის კომუნიკაციების უსაფრთხოების დაწესებულებასთან, ავსტრალიის თავდაცვის სიგნალების დირექტორატი და ახალი ზელანდიის მთავრობის კომუნიკაციების უსაფრთხოების ბიურო.

სამთავრობო კომუნიკაციების ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი და კორპორაციული საბჭო, რომელიც აღმასრულებელი ფუნქციებით აღჭურვილი და აღმასრულებელი ფუნქციების არმქონე დირექტორებისგან შედგება. კორპორაციული საბჭოს წინაშე ანგარიშგაღებულად:

- რადიო-ელექტრონული დაზვერვის მისია, მოიცავს მათემატიკურ გათვლებს და კრიპტოანალიზს, აიტი კომპიუტერული სისტემების მართვას, ლინგვისტთა და თარჯიმანთა მიერ სადაზვერვო ინფორმაციის თარგმნას და დამუშავებას
- ცენტრის საწარმო მოიცავს კვლევით ტექნოლოგიებს, ინფორმაციულ და ბიომეტრიულ სისტემებს, აღნიშნულ სფეროში აწარმოებს ცოდნის გაღრმავებას საკუთარ სასწავლო დაწესებულებებში და ბრიტანული

კომერციული ორგანიზაციების ტექნიკური კომუნიკაციების სისტემური ბაზების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით უზიარებს მათ დაგროვილ გამოცდილებას

- კორპორაციული მენეჯმენტი, მოიცავს საწარმოს რესურსების დაგეგმვას, ადამიანური რესურსების, შიდა აუდიტისა და არქიტექტურის ჯგუფს
- კომუნიკაციების და ელექტრო სისტემების უსაფრთხოების ჯგუფი ეხმარება მთავრობის დეპარტამენტებს კომუნიკაციების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში საერთო ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე
- ტექნიკური ენების გაერთიანებული სამსახური, შეიქმნა 1955 წელს. თავდაპირველად სამსახური საქმიანობის წარმოებისას ეყრდნობოდა თავდაცვის სამინისტროს ტექნიკური ენების ჯგუფის გამოცდილებას. შემდგომ წლებში საქმის თავისებურებების გათვალისწინებით გაფართოვდა გაერთიანებული ტექნიკური ენების სამსახურის ფუნქციები. სამსახური ეწევა ნებისმიერი უცხო ენიდან ინფორმაციის თარგმნას და დამუშავებას მისი შემდგომ ანალიტიკური ჯგუფებისთვის გადაცემის მიზნით, აწვითარებს კომპიუტერული სათარგმნი პროგრამების მომზადებას და ელექტრო ლექსიკონების დამუშავებას.

სამთავრობო კომუნიკაციების ცენტრის ახალ შტაბ-ბინას ფორმის გამო „ფუნთუშა“ ეწოდა. ცენტრის შენობის მშენებლობა 330 მილიონი ფუნტ სტერლინგ დაჯდა. ოფიციალურად სამსახურის შტაბ-ბინის გახსნის თარიღად 2004 წლის 25 მარტი ითვლება, როდესაც კომპლექს დედოფალი ელისაბედ II და ედინბურგის ჰერცოგი ეწვივნენ. აღნიშნული ვიზიტისას ელისაბედმა ხელი მოაწერა შესაბამის ნებართვას, რომლითაც დაადასტურა ცენტრის ახალი შტაბ-ბინის გახსნა.

ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის სააგენტო

ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვა სხვა დაზვერვის ორგანიზაციებისაგან განსხვავებით არ არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია, იგი თავდაცვის სამინისტროს მნიშვნელოვანი ქვედანაყოფია და თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან ფინანსდება. აღნიშნულ სამხედრო სტრუქტურაში მუშაობს, როგორც სამხედრო ისე სამოქალაქო პერსონალი, სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობა სააგენტოში 60% შეადგენს.

სამხედრო დაზვერვის მიერ მოპოვებულ სადაზვერვო ინფორმაციას თავისი საქმიანობის წარმოებისას აქტიურად იყენებს დაზვერვის გაერთიანებული კომიტეტი და ბრიტანეთის მთელი რიგი სამთავრობო უწყებები.

1964 წელს შეიქმნა დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო, რომლის ფარგლებში შეიქმნა სამხედრო დაზვერვის ცენტრალიზირებული სისტემა, სადაც გაერთიანდა საზღვაო დაზვერვის სამმართველო და სხვა ცალკე მოქმედი დაზვერვის ქვედანაყოფები. 2010 წლამდე აღნიშნულ სამსახურს თავდაცვის დაზვერვის შტაბს უწოდებდნენ, 2010 წლიდან მან უკვე ამჟამინდელი სახელწოდება მიიღო.

სამხედრო დაზვერვის სააგენტოს სამ ვარსკვლავიანი გენერალი ან ადმირალი ხელმძღვანელობს, რომელიც სამეფო სამხედრო ძალების ყველა ტიპის შენაერთების დაზვერვითი საქმიანობის კოორდინაციას აწარმოებს, მას 2 ტიპის მოადგილე ყავს, სამოქალაქო, და სამხედრო: 1. პასუხისმგებელია სადაზვერვო მონაცემების ანალიზის, მიმოხილვის და პროგნოზირების სფეროში; 2. სამხედრო მოადგილე პასუხისმგებელია ინფორმაციის მოპოვებაზე, კარტოგრაფიაზე და დაზვერვის პერსონალის მომზადების საკითხებზე.

სამხედრო დაზვერვის უფროსის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს ანალიტიკურ, მიმოხილვის და პროგნოზირების სფეროში მოქმედ ქვედანაყოფებს:

- სტრატეგიული შეფასებების სამმართველო
- შეიარაღებული სისტემების და ტექნოლოგიების შეფასების სამმართველო
- ოპერატიული სამმართველო
- მხარდაჭერისა და უზრუნველყოფის სამმართველო

სამხედრო დაზვერვის უფროსის მეორე მოადგილე პასუხისმგებელია სპეციალიზირებული ტიპის დაზვერვის, კარტოგრაფიული უზრუნველყოფის და შეიარაღებული ძალებისთვის დაზვერვის და უსაფრთხოების კადრების მომზადებაზე. მის კომპეტენციაში შედის სამხედრო დაზვერვის ორი ძირითადი ტერიტორიული ქვედანაყოფის მართვა: მონაცემების შემგროვებელი ჯგუფი და სამხედრო დაზვერვის და უსაფრთხოების ცენტრი.

მონაცემების შემგროვებელ ჯგუფში შედის:

- სამხედრო-გეოგრაფიული ცენტრი
- საჰაერო დაზვერვის გაერთიანებული ცენტრი
- კოსმოსური და გეოსივრცითი დაზვერვის გაერთიანებული ცენტრი
- რადიო-ელექტრონული დაზვერვის გაერთიანებული ცენტრი
- აგენტურული დაზვერვის სამმართველო

სამხედრო დაზვერვის და უსაფრთხოების ცენტრი შეიქმნა 1996 წელს. ცენტრი შედგება შტაბ-ბინისა და სამხედრო დაზვერვის კოლეჯისაგან.

ინგლისის სამხედრო დაზვერვის სააგენტო ჩართულია მთელ რიგ გლობალურ შეიარაღებულ სპეცოპერაციებში:

- ერაყის კოალიციურ ოპერაციებში
- ნატოს სამხედრო ძალების სოცოპერაციები ავღანეთსა და ბოსნიაში
- გაეროს ჰუმანიტარულ და მშვიდობის ხელშემწყობ ოპერაციებში:

სიერა-ლეონეში, ლიბერია, კვიპროსი, ერიტრია და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა

სამხედრო დაზვერვა და ზოგადად დაზვერვის სამსახურები ინფორმაციას რამდენიმე წყაროდან მოიპოვებენ:

- ადამიანური რესურსები – ინფორმატორები
- გამოსახულებითი დაზვერვა – სატელიტებისგან და მფრინავი აპარატებისგან მიღებული ფოტო და გამოსახულებითი ინფორმაცია
- სადაზვერვო სიგნალები – მონაცემთა და ხმოვანი ინფორმაციის სხვადასხვა კომუნიკაციებიდან ფარულად მოხსნა და ექსპლუატაცია
- ღია წყაროები – ინტერნეტი, მედია და პრესა

სპეციალური საჰაერო სამსახური - SAS

ინგლისის შეიარაღებული ძალების სპეცდანიშნულების რაზმებს ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილება გააჩნიათ. ისტორიულად ცნობილია, რომ ინგლისელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს I და II მსოფლიო ომებში და მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის არაერთ სამხედრო კონფლიქტში, რამაც დიდი საბრძოლო გამოცდილება შესძინა სპეციალური დანიშნულების ელიტურ რაზმებს. უდიდესი ყურადღება ექცევა სარდლობის მხრიდან ბრიტანეთის სპეციალური საჰაერო სადაზვერვო-დივერსიული ძალების (Special Air Service) მომზადებას. სპეციალური საჰაერო სამსახური გახლავთ დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების კორპუსი, რომელიც წარმოდგენილია სამ პოლკად, ესენია: 21-ე, 22-ე და 23-ე პოლკები. აღნიშნული სპეცსამსახურის შემადგენლობაში დაახლოებით 2000 ადამიანი მსახურობს. სპეცრაზმის ძირითადი დანიშნულებაა აქტიური ან პოტენციური მტრის წინააღმდეგ კონტრტერორისტული და სადაზვერვო-დივერსიული აქციების წარმოება პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და მორალური პოტენციალის განადგურების მიზნით.

საჰაერო დივერსიული სპეცრაზმის პირველი პოლკი (ლეგიონ) 1941 წელს ვიცე-პოლკოვნიკმა დევიდ სტირლინგმა ჩამოაყალიბა. პოლკს საბოტაჟის და დივერსიის აქტები უნდა ეწარმოებინა მტრის ზურგში. ომის დროინდელ ბრიტანულ სპეცრაზმებში შედიოდნენ როდესიის, ავსტრალიის, საფრანგეთის, ბელგიის და სხვა მოკავშირე ქვეყნების ესკადრონები. 1945 წელს როდესაც ომის შემდეგ ინგლისის საჰაერო სპეცრაზმი დროებით დაიშალა, სხვადასხვა ეროვნების ჯარისკაცებმა შეინარჩუნეს ბრიტანეთის საჰაერო სპეცრაზმის ფორმა, აქსესუარები და კვლავ დაუბრუნდნენ მშობლიური ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სამსახურს.

მოგვიანებით დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების სარდლობამ ახალი კონფლიქტების ფონზე აღადგინა საჰაერო სპეცრაზმი, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში შეუცვლელ ძალას წარმოადგენს. 1947 წელს დიდი ბრიტანეთის ტერიტორიული არმია გარდაიქმნა სპეციალურ საჰაერო-სადესანტო სამსახურად, SAS-ის ტერიტორიულ 21-ე მოხალისეთა პოლკად, ამ თარიღიდან იღებს სათავეს ბრიტანეთის ომის შემდგომი საჰაერო სპეცრაზმის ისტორია. 1952 წელს ჩამოყალიბდა მსოფლიოში თავისი განსაკუთრებული სტრუქტურით და საქმიანობის სპეციფიკით ცნობილი სპეციალური საჰაერო სამსახურის 22-ე პოლკი, დაარსებისთანავე პოლკი აქტიურად ჩაება ბრიტანეთის მიერ მაღალიზიაში წარმოებულ საომარ მოქმედებებში. 1960 წლიდან 22-ე პოლკი ჰიაფორდის სპეციალურ ბაზაზეა დისლოცირებული, რომელსაც აღნიშნული სამსახურის შემქმნელის საპატივცემლოდ ეწოდა „Stirling Lines“. 1959 წელს შეიქმნა სპეციალური საჰაერო სამსახურის მეორე ტერიტორიული 23-ე პოლკი, რომელიც მოხალისე რეზერვისტებისგან დაკომპლექტდა.

21-ე და 23-ე პოლკები ტერიტორიული არმიის სისტემაში შედიან, სამხედრო სისტემის იდენტური სტრუქტურები გააჩნიათ და მათ არმიის ოფიცრები ხელმძღვანელობენ. 21-ე პოლკის შტაბი განთავსებულია ლონდონის რაიონ ჩელსიში მდებარე კაზარმებში, ხოლო მისი ესკადრონები განთავსებულია ტერიტორიული არმიის მოხალისეთა რეზერვის ცენტრებში: დალვირში, პინინში და ასევე კოშემში, პორტსმუთთან ახლოს. 23-ე პოლკის ესკადრონები განთავსებულია ლიდსში

დანდისთან ახლოს და ასევე პორტ-გლაზგოსა და პრუდხოუში ნიუკასლთან ახლოს. რაც შეეხება 22-ე პოლკს, განსაკუთრებული დანიშნულების და სპეციალური აქციების წარმოების მიზნით განსხვავებული ტიპის სტრუქტურულ შენაერთს წარმოადგენს და ავტონომიურ ერთეულად არის ჩამოყალიბებული. 22-ე პოლკი შედგება შტაბისგან, ოთხი ასეულისგან და 264-ე კავშირის უზრუნველყოფის ასეულის ქვედანაყოფისგან, გარდა ამისა პოლკში შედის სასწავლო ცენტრი, ოპერატიული-სადაზვერვო, ანტიტერორისტული და ოპერატიული-კვლევითი ქვედანაყოფები. სპეციალური დანიშნულების რაზმის განსაკუთრებული ასეული (Sabre Squadron) წარმოადგენს პოლკის ძირითად სადაზვერვო-დივერსიულ ქვედანაყოფს, რომელიც შედგება მმართველი ჯგუფისა და ოთხი განყოფილებისგან: საპარაშუტო, ამფიბიური, მობილური და სამთო, ყოველი განყოფილება შედგება 16 სპეცრაზმელისგან, საომარი მოქმედების პროცესში თითოეული განყოფილება იყოფა ოთხ საპატრულო ჯგუფად, რომელშიც ოთხ-ოთხი სპეცრაზმელი შედის. ჯგუფებს გააჩნიათ თავიანთი სპეციალიზაცია და მოქმედების წინასწარ განსაზღვრული კონკრეტული სამოქმედო გარემო და ზონა. საპარაშუტო ოცეული (Air Troop) გამოიყენება ჯუნგლებსა და ტყიან მასივში სამოქმედოდ, მათი დესანტირება ძირითადად ჰაერიდან ხორციელდება, ამფიბიური ოცეული (Boat Troop) გამოიყენება წყლით დაფარულ სანაპირო ზოლში სპეცაქციების წარმოებისთვის, რომლის განხორციელება შესაძლებელია, როგორც წყალქვეშ ისე წყლის ზედაპირზე, მობილური ოცეული (Mobility Troop) განკუთვნილია გაშლილ ადგილებში, ძირითადად უდაბნოსა და სტეპებში სამოქმედოდ, სამთო ოცეული (Mountain Troop) მოქმედებს მთიან, აგრეთვე ჩრდილოეთისა და არქტიკულ რეგიონებში, მათი დესანტირება ხორციელდება ძირითადად საჰაერო ან საზღვაო საშუალებებით. სპეციალური საჰაერო სამსახურის სპეცრაზმის ყველა მოსამსახურე საერთო საბაზო მოსამზადებელ კურსს გადის, რაც მათ საშუალებას აძლევს საჭიროების შემთხვევაში განსხვავებულ სიტუაციებში თავისუფლად იმოქმედონ.

22-ე პოლკის სასწავლო ცენტრში (Training wing) ხორციელდება სპეცრაზმში ჩარიცხვის მსურველ კანდიდატთა შერჩევა და შემდეგ მათი სპეცმომზადება. ცენტრში სწავლებას უძღვებიან გამოცდილი ინსტრუქტორები (სერჟანტები და ოფიცრები), რომლებიც 5 წელზე მეტი ხნის მანძილზე მსახურობენ SAS-ში. სასწავლო ცენტრი აწვდის სპეციალურ მოსამზადებელ კურსებს და აგრეთვე პოლკების მზადყოფნის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დეტალურ მონიტორინგს ატარებს.

22-ე პოლკის ოპერატიული-სადაზვერვო ქვედანაყოფი (Operational Intelligence Unit) სტრატეგიული ინფორმაციით უზრუნველყოფს სპეცდანიშნულების რაზმებს. სხვადასხვა სპეცოპერაციის სრულყოფილად ჩატარების მიზნით დაზვერვის ქვედანაყოფი ისეთი სტრატეგიული ინფორმაციის მოპოვებას უზრუნველყოფს, როგორცაა: გეოგრაფიული პირობები, ისტორია, კულტურა, რელიგია, მოწინააღმდეგის სამხედრო პოტენციალი და კონტრდივერსიული ქვედანაყოფების მდგომარეობა. დაზვერვის ქვედანაყოფს შექმნილი აქვს სპეციალური საინფორმაციო ბაზა, რომელიც შეიცავს რადიკალური ქვეყნების, ყველა ტიპის ტერორისტული ორგანიზაციის, მისი წევრების და მათ მიერ განხორციელებული ქმედებების დეტალურ ინფორმაციას. აღნიშნული ქვედანაყოფი აქტიურად თანამშრომლობს დიდი ბრიტანეთის დაზვერვის, კონტრდაზვერვის, სამხედრო დაზვერვისა და NATO-

ს სპეციალურ ქვედანაყოფებთან, რადგან მისი სადაზვერვო მოღვაწეობის ხარისხი მაღალია, ხოლო ინფორმაცია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი.

22-ე პოლკის ანტიტერორისტული ქვედანაყოფი (Counter Revolutionary Warfare Unit) 1973 წელს ჩამოყალიბდა. ქვედანაყოფი შეიქმნა კონტრტერორისტული და მძევლების განმათავისუფლებელი სპეცოპერაციების კვალიფიციურად ჩატარების მიზნით.

22-ე პოლკის ოპერატიული-კვლევების ქვედანაყოფი (Operational Research Unit) შეიქმნა სპეცრაზმის შეიარაღების ტესტირებისა და სპეციალური აღჭურვილობის კვლევების წარმოების მიზნით.

22-ე პოლკის პირადი შემადგენლობა 700 მოსამსახურეს აღწევს, მათი უნიფორმა და აღჭურვილობა საომარი მოქმედებების ტიპისა და რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე შეირჩევა.

სპეციალური საჰაერო სამსახურის რიგების დაკომპლექტება ზოგადად ახალგაზრდა სამხედრო მოსამსახურეებისა და მოხალისე მოქალაქეებისგან ხდება, რომელთა ასაკი 18 დან 32 წლამდე განისაზღვრება. SAS-ის 21-ე და 23-ე ტერიტორიული არმიის პოლკებში სამსახუროდ მიიღებიან, როგორც სამხედრო ისე სამოქალაქო პირები და ამიტომაც ისინი მხარდამჭერ რაზმებს წარმოადგენენ, რომლებიც უფრო მეტად კონფლიქტების დარეგულირებისთვის გამოიყენებიან, განსხვავებული მოთხოვნებით კომპლექტდება SAS-ის 22-ე პოლკი, რომლის რიგებში მხოლოდ გამოცდილი სამხედრო მოსამსახურეები მიიღებიან და მათი კვალიფიკაციიდან გამომდინარე ისეთი რთული მისიების შესრულება ევალებათ, როგორებიცაა: შემტვეითი, უსაფრთხოების უზრუნველმყოფი, ანტირევოლუციური და კონტრტერორისტული კამპანიების წარმოება.

ინგლისის შეიარაღებული ძალების სარდლობა აღნიშნავს, რომ სპეციალურ საჰაერო ძალებში სამსახური საპატიო, რომანტიული, მრავალმხრივი მომზადების მომცემი და ასევე კარგად ანაზღაურებადი საქმეა. სპეცრაზმის რიგებში მოხვედრის მსურველი კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ, როგორც დადგენილ ჯანმრთელობის და ფსიქოლოგიურ ნორმებს ასევე ასაკობრივ კატეგორიებს: ოფიცრებისთვის 22-34 წელი და სხვა კატეგორიის სამხედრო მოსამსახურეებისთვის 19-32 წელი. კანდიდატების შესარჩევი კურსი 5 ფაზისგან შედგება:

1. ფიზიკური შესაძლებლობების და ორიენტირების უნარის შემოწმება.
2. გამძლეობის და ნებისყოფის ხარისხის შემოწმება.
3. ტაქტიკა, სამხედრო ტოპოგრაფია.
4. პარაშუტით ხტომა სხვადასხვა ტიპის სიმაღლეებიდან.
5. ნებისმიერ უცხო გარემოში და ექსტრემალურ პირობებში თვითგადარჩენის შესაძლებლობების ტესტირება.

კანდიდატები, რომლებიც წარმატებულად გადიან შესარჩევ კურსს, ძირითადი მომზადების შემდგომ პროგრამას 22-ე პოლკის ბაზაზე არსებულ სასწავლო ცენტრში ეუფლებიან. მკაცრი ეტაპების გავლის შემდეგ ხუთიდან მხოლოდ ერთი კანდიდატი აფორმებს კონტრაქტს. SAS-ის რიგებში მიღებულ ახალბედებს 5 ეტაპად დაყოფილი სპეციალური სასწავლო პროგრამის გავლა უწევთ:

1. საცეცხლე მომზადება, სხვადასხვა ტიპის იარაღიდან სროლის ტექნიკა ნებისმიერი მდგომარეობიდან, სიბნელეში, ხმაურსა თუ ჭარბი სინათლის პირობებში.
2. თვითგადარჩენის კურსი რთულ ბუნებრივ პირობებში.
3. სავალდებულო კურსები: ხელჩართული ბრძოლა, სამედიცინო პირველადი დახმარების გაწევა სავალდებულო პირობებში საბრძოლო მოქმედებებისას, ტოპოგრაფია, მთასვლელობა, აკვალანგიო ცურვა, ნიჩბოსნობა და ნავის მართვა, სადაზვერვო-დივერსიული მოქმედებების ტაქტიკურად დამუშავება.
4. რადიო ელექტრონული კავშირის საქმე.
5. საპარაშუტო მომზადება ღამისა და დღის განმავლობაში ნებისმიერ პირობებში.

ძირითადი მოსამზადებელი კურსის პირველი ფაზის დასრულების შემდეგ სპეცრაზმელები აბარებენ ჩათვლებს განვლილ დისციპლინებში, დადებითი პასუხის შემთხვევაში სპეცრაზმელები მეორე ძირითადი მოსამზადებელი ფაზის შესასწავლად იგზავნიან ბრუნვის ჯუნგლებში საბრძოლო მოქმედებების სპეციალური 6 კვირიანი მოსამზადებელი კურსის გასავლელად, ხოლო ჩათვლაში ჩაჭრილი კანდიდატები კი მათი სურვილის შემთხვევაში ნაწილდებიან ტერიტორიული არმიის ნაწილებში სამსახუროდ. ჯუნგლებში საომარი მოქმედების კურსის დასრულების და სპეცრაზმელების მიერ სავალდებულო პირობებში განხორციელებული მოქმედებების შეფასებით მომზადების მეორე ეტაპი მთავრდება, დადებითი შეფასების მისაღებად რაზმმა უნდა მოახდინოს შექმნილი უნარ-ჩვევების კვალიფიციური დემონსტრირება.

ჰიაფორდის ბაზაზე დაბრუნებისთანავე სპეცრაზმელები, რომლებსაც არ გააჩნიათ პარაშუტისტის კვალიფიკაცია იგზავნიან ძირითადი მომზადების მესამე დასკვნითი ეტაპის გასავლელად. კურსის დასასრულს სპეცრაზმელები 12 თვიანი გამოსაცდელი ვადით მსახურობენ საპატრულო ჯგუფებში სადაც იმდღეებენ კვალიფიკაციას კონკრეტული სპეციალობის მიხედვით. ოთხ კაციან საპატრულო ჯგუფში შემავალი სამხედრო მოსამსახურეები ფლობენ ისეთ სპეციალობებს, როგორცაა: მედიკოსი, დივერსანტი, რადისტა და თარჯიმანი. კატარსა და არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში სპეცრაზმელები ვარჯიშობენ უდაბნოს პირობებში ავტო-მოტო ტექნიკის მართვისა და გამოყენების მეთოდებს. ხვეწენ უდაბნოში ომის წარმოების ტაქტიკას, საბრძოლო მოქმედებებისას აქტიურად იყენებენ GPS მოწყობილობებს და ღამის ხედვის სათვალეებს.

ანტიტერორისტული მომზადების პროგრამა სპეცდანიშნულების რაზმის ყველა ტიპის ნაწილებისთვის სავალდებულო კურსია.

II მსოფლიო ომის წლებში ბრიტანეთის კოლონია მალაიზია, იაპონიის მიერ იყო ოკუპირებული. ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად ბრიტანეთმა აღჭურვა და შეაიარაღა მალაიზიის ეროვნული განმათავისუფლებელი არმია. ომის დასრულების შემდეგ ყოფილმა მოკავშირეებმა აღარ ისურვეს განიარაღება და ამჯერად ბრიტანეთს დაუპირისპირდნენ. 1948 წლის ივნისში მალაიზიის განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა დაიწყეს საბრძოლო კომპანია ბრიტანეთის ქვეყნიდან განდევნის მიზნით. სიტუაცია მალაიზიაში ყოველ წელს უარესდებოდა, ბრიტანეთის ხელმძღვანელობამ აღნიშნული კრიზისის დარეგულირება მაიკ კალვერტს დაავალა, რომელიც ომის წლებში SAS-ის

ბრიგადას მეთაურობდა. სპეცსამსახურში შეშლილ მაიკად წოდებულმა კალვერტმა დეტალურად შეისწავლა საკითხი და 2 თვეში ჩააბარა შორეულ აღმოსავლეთში ბრიტანეთის ჯარების ხელმძღვანელ გენერალ ჰარდინგს პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა. კალვერტს დაევალა სპეციალური ძალების ფორმირება და საომარი მოქმედებების დაწყება. საომარი ოპერაციის წარმოებისას უმთავრესი მნიშვნელობა მიენიჭა სპეციალურად გაწვრთნილ ქვედანაყოფებს, რომლებიც 1950 წელს შეიქმნა და „მალაიზიის მზვერავები“ ეწოდა. აღნიშნულ ქვედანაყოფში შევიდნენ SAS-ის ყოფილი წევრები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს იბრძოდნენ ამ რეგიონში. თავიდან SAS-ის მზვერავები სრულიად ავტონომიურად მოქმედებდნენ ჯუნგლების სიღრმეში, ერთ-ერთი მზვერავთა ჯგუფი 103 დღის განმავლობაში ეძებდა ჯუნგლებში პარტიზანების ბაზას. აღნიშნული პერიოდის საომარი გამოცდილება და ტაქტიკა დღემდე შეისწავლება და გამოიყენება SAS-ის მებრძოლების მიერ. 1951 წელს მზვერავთა რაზმის მისია შეიცვალა, ისინი ეხმარებოდნენ პოლიციას პატრულირებაში და უზრუნველყოფდნენ ფორტებისა და სოფლების უსაფრთხოებას. ოპერაციების მსვლელობისას კალვერტი მალერიით დაავადდა, ის ვიცე-პოლკოვნიკმა ჯონ სლოანმა შეცვალა. 1951 წლის ბოლოს სლოანმა დაიწყო თავისი ქვედანაყოფის რეორგანიზაცია, რომელმაც 22-ე პოლკის სახელწოდება და დღევანდელი სტრუქტურის სახე მიიღო, ამჟამად მისი ეფექტური საქმიანობის შესახებ მთელი მსოფლიოსთვის არის ცნობილი.

1952 წლის თებერვალში 100 სპეცრაზმელისაგან შემდგარი ქვედანაყოფი ჯუნგლებში ტაქტიკური საბრძოლო მოქმედებების წარმოებას დაუბრუნდა, მათ პარტიზანებისგან უნდა გაეწმინდათ ტაილანდთან მოსაზღვრე რაიონი. აღნიშნულ პერიოდში დაინერგა 16 კაციანი რაზმების ამოქმედების პრაქტიკა, რომელიც თავისმხრივ კიდევ იყოფა ოთხ-ოთხ კაციან რამდენიმე მცირე ჯგუფად. 1958 წლის ნოემბრიდან 1959 წლის იანვრამდე „A“ და „D“ ესკადრონები აქტიურად იბრძოდნენ ამბოხებულების წინააღმდეგ ჩრდილოეთ ომანში. 1963-1966 წლებში პოლკის ქვედანაყოფები აქტიურად ებრძოდნენ ინდონეზიის შეიარაღებულ ძალებსა და პარტიზანებს ბრონეოში. 1964 წლის ივნისში SAS-მა სრულიად საიდუმლო რეიდი განახორციელა ინდონეზიაში, კლიმანტანზე. 1964 წლის აპრილის თვიდან ნოემბრამდე SAS-ის ესკადრონები მონაწილეობას ღებულობდნენ იემენზე, პორტ ადენში შეჭრილი პარტიზანების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. 1969 წლიდან 1994 წლამდე 22-ე პოლკის ქვედანაყოფები მუდმივად მოქმედებდნენ IRA-ს წინააღმდეგ. 22-ე პოლკის სპეციალური სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფები რეგულარულად ატარებდნენ IRA-ს ბოვეიკების და ლიდერების ლიკვიდაციის მიზნით წარმოებულ სპეცაქციებს. 1970 წლიდან 1976 წლამდე SAS-ი ომანში ამბოხებულების წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლებში იყო ჩაბმული.

მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებების შედეგად SAS-ს ახალი მისია დაეკისრა, მის ფუნქციებში შევიდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და მძევლების განმათავისუფლებელი ოპერაციების ჩატარება. 1980 წლის 5 მაისს SAS-მა მძევლების განმათავისუფლებელი სპეცოპერაცია „Nimrod“ განახორციელა. 1980 წლის 30 აპრილს 11 საათსა 30 წუთზე ლონდონში მოქმედი ირანის საელჩო ექვსმა არაბული წარმოშობის ტერორისტმა დაიკავა, რომლებმაც 26 მძევლის განთავისუფლების სანაცვლოდ ირანის სამხრეთით არსებული რაიონების ავტონომია და პოლიტპატიმრების განთავისუფლება მოითხოვეს. ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა მარგარეტ ტჩერმა აღნიშნული სპეცოპერაციის ჩატარება SAS-

ის კონტრტერორისტულ დანაყოფებს დაავალა. 5 მაისს 19:00-ზე სპეცრაზმმა შტურმი რამდენიმე მიმართულებით განახორციელა, ოპერაცია გაგრძელდა 17 წუთი, 5 ტერორისტი ადგილზე იყო ლიკვიდირებული, ხოლო მეექვსე მძიმედ დაიჭრა.

1981 წლის ივლისში 22-ე პოლკის ქვედანაყოფები ეხმარებოდნენ გამბიის პრეზიდენტ ჯავარას ძალაუფლების აღდგენაში.

1982 წლის აპრილის თვიდან ივნისის თვემდე პოლკი აქტიურ მონაწილეობასღებულობდა ფოლკლენდის კუნძულებზე წარმოებულ ბრძოლებში. აღნიშნულ ბრძოლებში ბრიტანეთის წარმატებებს 22-ე პოლკის მიერ მოპოვებული სადაზვერვო ინფორმაცია და მტრის ზურგში წარმოებულ დივერსიული ოპერაციები უზრუნველყოფდნენ.

1989 წელს 22-ე პოლკის რამდენიმე ქვედანაყოფი აქტიურად მონაწილეობდა კოლუმბიელი ნარკობარონების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში. ბრიტანელი სპეცრაზმელები ამზადებდნენ კოლუმბიის სამთავრობო ჯარებს და კვალიფიკაციას უმაღლებდნენ სპეცრაზმ „ლანსეროს“.

1991 წელს 22-ე პოლკის ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ კოალიციური ძალების საბრძოლო ოპერაციაში „უდაბნოს ქარიშხალი“.

SAS-ის სპეცრაზმელები მოქმედებდნენ იუგოსლავიასა და ავღანეთში. აშშ-ს მოკავშირე ბრიტანეთი მუდმივად მხარს უჭერს აშშ-ს ძალისმიერ აქციებს. ბოლო ათეული წლების არცერთ შეიარაღებულ კონფლიქტს არ ჩაუვლია 22-ე პოლკის მონაწილეობის გარეშე.

SAS-ის ცნობილი ოპერაცია გახლავთ ბაღდადიდან 40.კმ-ზე დაშორებული კავშირგაბმულობის ხაზის დაზიანება. სამეფო საჰაერო ძალების ორმა ვერტმფრენმა ღრმა უდაბნოში გადმოსხა 36 მეტრძოლი, მეტრძოლები დაიყვნენ მაძიებელ და დამცავ ჯგუფებად და უკვე რამდენიმე საათში აღმოაჩინეს კაბელი, ნაწილი ამოიღეს, რათა იგი სპეციალისტებს შეესწავლათ, ხოლო დანარჩენი ნაწილი რამდენიმე ადგილზე გაანადგურეს.

1990-იან წლებში საჰაერო და სანაოსნო სპეციალური სამსახურები მოქმედებდნენ ბოსნიაში. მათი მიზანი იყო მასობრივ მკვლელობებში ეჭვმიტანილი სამხედრო პირთა შეპყრობა, პატრულირების წარმოება და საბრძოლო ცეცხლის კორექტირება.

SAS-ის მეტრძოლები ტორა-ბორას რაიონში, ავღანეთ-პაკისტანის საზღვრის ზონაში აწარმოებდნენ ანტიტერორისტულ ოპერაციას ალ-ქაიდას და მისი ლიდერის წინააღმდეგ.

კოალიციური ჯარების ერაყში შეჭრის შემდეგ ბრიტანეთის სპეცრაზმი ძირითადად დაზვერვით აქციებს ატარებდა. მოსულში SAS-მა და აშშ-ს სპეცრაზმელებმა განახორციელეს ტერორისტების მიერ გამაგრებული შენობის შტურმი, რომელშიც ორი მწვანე ბერეტი დაიღუპა, შტურმის დროს გაქცევა მოახერხა ერაყში მოქმედი ალ-ქაიდას ჯგუფის ლიდერმა ზარქაუმ, თუმცა განადგურდა მისი რამდენიმე თანაშემწე.

SAS-ის მებრძოლები ჩართულნი იყვნენ სადაზვერვო ოპერაციებში, რომელთა მიზანი იყო ერაყელი ბოევიკების იარაღით მომმარაგებელი კანალების გამოვლინება და განადგურება. 2005 წელს SAS-ის მებრძოლებმა ჩაატარეს სპეცოპერაცია „მაღბორო“ რის შედეგადაც სნაიპერების მეშვეობით განადგურდა სამი ტერორისტი კამიკადე.

სპეცდანიშნულების რაზმები განსხვავდებიან ერთმანეთისგან სპეციფიკით და დანიშნულებით, თუ მაგალითად SAS-ის და Delta-ს მებრძოლებს სოლიდური გამოცდილება გააჩნიათ ქალაქის პირობებში საომარი მოქმედებების წარმოების კუთხით და აქტიურ წვრთნებს გადიან ამ სპეციფიკით, Green Berets, Navy Seals და Rangers უფრო მეტად საველე პირობებში წარმოებული საბრძოლო მოქმედებებისას გამოიყენებიან.

სპეცსამსახურების ანბანი

- აგენტი – პიროვნება, რომელიც ჩაბმულია უცხოეთის სპეცსამსახურებთან საიდუმლო თანამშრომლობაში. აშშ-ში აღნიშნული ტერმინი გამოიყენება საიდუმლო სამსახურების და პოლიციის თანამშრომლების აღსანიშნავად.
- გავლენის აგენტი – პიროვნება, რომელიც გაუხმაურებლად გამოიყენება დაზვერვის სამსახურის მიერ უცხო სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე ზემოქმედების მიზნით.
- აგენტი ადგილზე – დაზვერვის მიერ გადმოხილებული აგენტი, ძირითადად ე.წ. ინიციატორების რიცხვიდან, რომელიც თანხმდება შეასრულოს სადაზვერვო დავალებები სამუშაო ადგილის დაუტოვებლად.
- აგენტი არალეგალი – დაზვერვის აგენტი, რომელიც არალეგალურად ფიქტიური დოკუმენტებით მოქმედებს მოწინააღმდეგე ქვეყნის ტერიტორიაზე შეთხზული ლეგენდის საფარქვეშ.
- აგენტი მკავშირე – დაზვერვის აგენტი, რომლის ძირითადი ამოცანა არის სხვა აგენტებთან კავშირების წარმოება.
- აგენტურული ქსელი – აგენტების ჯგუფი, რომელიც მოქმედებს უცხო ქვეყანაში და იმართება რეზიდენტურის მიერ. ზოგიერთ შემთხვევაში აგენტები შესაძლებელია გაიშიფრონ ერთმანეთთან ღია კავშირის შემთხვევაში, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში ისინი მოქმედებენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და არ იცნობენ ერთმანეთს.
- აგენტურული შეტყობინება – ინფორმაცია, რომელიც აგენტის მიერ გადაიცემა დაზვერვაში. შესრულებულია უშუალოდ აგენტის მიერ. კონსპირაციის მიზნით აგენტი ჩვეულებრივ თავის შეტყობინებაზე აწერს დაზვერვის მიერ მინიჭებულ ფსევდონიმს ან საერთოდ ცარიელს

ტოვებს.

აგენტურულ-ოპერატიული საქმე – დაზვერვისა და კონტრდაზვერვის საქმიანობა აგენტებისა და ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დასახული მიზნის მისაღწევად.

„ალტრე“ – ბრიტანეთის გამშიფრავი სამსახურის მიერ წარმოებული ოპერაციის პირობითი სახელწოდებაა, რომლის ფარგლებშიც ელექტრო-გამომთვლელი მანქანების საშუალებით გაშიფრეს გერმანელების კოდი „ენიგმა“ რის შემდეგაც თავისუფლად კითხულობდნენ ნაცისტური გერმანიის შეტყობინებებს.

„აიაქსი“ – ბრიტანეთის დაზვერვის საიდუმლო სამსახურის და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ ირანში ანტიდასავლური პოზიციის მქონე მოსადიკის მთავრობის წინააღმდეგ წარმოებული ოპერაციის კოდური სახელწოდება.

„ვენონა“ – აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოში ბრიტანეთის დაზვერვის სპეციალისტების მონაწილეობით წარმოებული ოპერაციის კოდური სახელწოდება, რომელიც საბჭოთა კავშირის მიერ 40-იან წლებში გამოყენებული აქტიური შიფრების გახსნის ისახავდა მიზნად.

მთავარი აგენტი – აგენტურული ჯგუფის ხელმძღვანელი, მუდმივ კავშირშია თავის ხელმძღვანელთან, დაზვერვის თანამშრომელთან.

ჯონ ედგარ გუვერი – აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი 1924-1972 წ.წ. ამერიკის გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც წარმატებულად უმკლავდებოდა აშშ-ის პრეზიდენტების მცდელობას მოეხსნათ იგი აღნიშნული თანამდებობიდან.

ალენ დალესი – ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი 1953-1961 წ.წ. დირექტორის პოსტიდან გადადგა აშშ-ს დაზვერვის მიერ მომზადებული და კუბაზე ღორების ყურეში ჩატარებული

წარუმატებელი კონტრეკოლონური ოპერაციის შემდეგ.

„დროპშოტი“ – საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმის კოდური სახელწოდება.

შემუშავდა აშშ-სა და ბრიტანეთის მიერ. თავდაპირველად გეგმის მიხედვით ბირთვული საფრთხის შემთხვევაში სსრკ-ზე თავდასხმის თარიღად განისაზღვრა 1960 წლის იანვრის თვე, თუმცა შემდეგ იგი არაერთხელ შეიცვალა. საბჭოთა კავშირის გასანადგურებლად უნდა ამოქმედებულიყო NATO-ს ბირთვული და ჩვეულებრივი ბომბებით აღჭურვილი სტრატეგიული ავიაცია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი და სახმელეთო ძალების 250 დივიზია. საერთო ჯამში საბჭოთა კავშირზე თავდასხმაში უნდა ჩართულიყო 20 მილიონი სამხედრო მოსამსახურე. საბჭოთა კავშირის დამარცხების შემდეგ იგეგმებოდა მისი ტერიტორიის სრული ოკუპაცია.

„ბერლინის გვირაბი“ – ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა და დაზვერვის

საიდუმლო სამსახურის სპეციალური სადაზვერვო ოპერაციის სახელწოდება, რომლის მიზანი იყო ბერლინში მიწისქვეშ გამავალი საბჭოთა კავშირის სატელეფონო კავშირის კაბელებზე სპეციალური აპარატურის შეერთება და ინფორმაციის ამ საშუალებით მოპარვა. ამისათვის დასავლეთ ბერლინის აშშ-ის მიერ კონტროლირებადი სექტორიდან გაიჭრა გვირაბი, რომელიც ქალაქის აღმოსავლეთ სექტორში გადაიოდა.

ინიციატორი – პიროვნება, რომელიც საკუთარი სურვილით სთავაზობს ჯაშუშობას უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს.

წყარო – სპეცსამსახურების მიერ აღინიშნება პიროვნება ან საშუალება, რომლის საშუალებითაც მიიღება ინფორმაცია.

„კემბრიჯის ხუთეული“ – ბრიტანული წარმოშობის საბჭოთა აგენტების

კოლექტიური ფსევდონიმი. აღნიშნული ჯგუფი

მოქმედებდა დიდ ბრიტანეთში 30-50 წ.წ. საქმიანობდნენ

სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში. ხუთეულში
შედოდნენ: კიმ ფილბი, დონალდ მაკლინ, გაი ბერჯესი,
ენტონი ბლანტი, ჯონ კერნკროსი. ხუთივე უძველესი
კემბრიჯის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები იყვნენ.
აქედან გამომდინარეობს სახელწოდებაც.

კოდირება – კრიპტოგრაფიაში შეტყობინებების დაშიფვრის მეთოდი. ამ მეთოდით
შეტყობინებები დაცული კავშირის სისტემით გადაიცემა დაზვერვის,
კონტრდაზვერვის და სხვა სახელმწიფო უწყებებს შორის. კოდი
ითვალისწინებს სიტყვების და მთელი ფრაზების შეცვლას ასოებით ან
ციფრებით.

კონსპირაცია – სპეცსამსახურების აუცილებელი მოთხოვნა, რომლის დროსაც
საიდუმლოდ არის დაცული ოპერატიული საქმიანობა,
თანამშრომლების სახელები და განსაკუთრებით აგენტების ვინაობა.

თხუნელა – სპეცსამსახურების ჟარგონზე ეს არის დაზვერვის აგენტი, რომელიც
ჩანერგილია უცხოეთის სახელმწიფო უწყებებში. ყველაზე ხშირად
ტერმინი გამოიყენება ძალოვან სტრუქტურებში შედგენილი უცხო
ქვეყნის აგენტის აღსანიშნავად.

სახურავი – სპეცსამსახურების ჟარგონზე მზვერავის ან რეზიდენტურის საფარი.
მაგალითად დიპლომატის, მეცნიერის ან ჟურნალისტის საფარქვეშ
მოქმედი მზვერავი; საელჩოში განთავსებული რეზიდენტურა, რომელიც
დიპლომატიურ საფარქვეშ მოქმედებს ან ფინანსური კომპანიის
საფარქვეშ მოქმედი აგენტურული ქსელი ან კავშირის ცენტრები.

ლეგალური მოგზაურები – ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს და
ბრიტანეთის დაზვერვის საიდუმლო სამსახურის
პროგრამის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც
ტურისტების სახით საბჭოთა კავშირში 50-60 წ.წ.
იგზავნებოდნენ აგენტები.

ლეგენდა – შეთხზული ბიოგრაფია ან ცალკეული ელემენტი, რომელიც

სპეცსამსახურების მიერ გამოიყენება აგენტების ან თანამშრომლების დასაშიფრად, რომლებიც ოპერატიულ დავალებას ასრულებენ საზღვარგარეთ ან ქვეყნის შიგნით. ლეგენდის გასამყარებლად გამოიყენება ფიქტიური დოკუმენტები ან ოპერაციაში საგანგებოდ ჩაბმული პირები.

„ლიოტეი“ – ბრიტანეთის დაზვერვის საიდუმლო სამსახურის მიერ წარმოებული დეზინფორმაციული პროგრამის კოდური სახელწოდება, რომლის მიზანი იყო საბჭოთა კავშირის და კორეის სახალხო რესპუბლიკას შორის არსებული უთანხმოების გადრმავება.

„ოვერფლაიტ“ (გადაფრენა) – ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა და ბრიტანეთის დაზვერვის საიდუმლო სამსახურის საიდუმლო ოპერაციის კოდური სახელი. 1956-1960 წ.წ. ოპერაციის ფარგლებში საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში იგზავნებოდა სპეციალური თვითმფრინავები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ფოტოდაზვერვას აწარმოებდნენ. პროექტი აიკრძალა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მიერ ფრენის გერი პაუერსის ფრენის ჩავარდნის შემდეგ.

სპეცოპერაცია – დაზვერვის ან კონტრდაზვერვის სპეციალური ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული ამოცანის შესრულებას.

ფსევდონიმი – სპეცსამსახურებში აგენტის ან თანამშრომლის პირობითი სახელი, რომლითაც ის მოხსენიებულია ოპერატიულ დოკუმენტებში და რომელსაც იყენებს ყოველდღიურ ცხოვრებაში კონსპირაციის მიზნით.

„სალამანდრა“ – ბრიტანეთის დაზვერვის საიდუმლო სამსახურის სპეციალური აქციის კოდური სახელწოდება, რომელიც მიზნად ისახავდა ეგვიპტის ლიდერის ნასერის გაუვნებელყოფას.

„ტომლინსონის სია“ – ბრიტანეთის დაზვერვის საიდუმლო სამსახურის

თანამშრომელთა სია, რომელიც 1999 წელს ინტერნეტით გამოაქვეყნა ბრიტანეთის დაზვერვის ყოფილმა თანამშრომელმა რიჩარდ ტომლინსონმა.

All-source intelligence – ყველა წყაროს გამოყენებით წარმოებული დაზვერვა.

Counterintelligence (CI) – კონტრდაზვერვა – სამსახური, რომელიც ნეიტრალიზებას ახდენს და აღკვეთავს უცხოეთის დაზვერვის, უშიშროების სამსახურების და საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების ძირგამომთხრელ საქმიანობას.

Human Intelligence (HUMINT) – უცხოური ინფორმაციის მოპოვება სპეცმომზადება გავლილი შემგროვებლების მიერ. ადამიანური რესურსით წარმოებული დაზვერვა.

Geospatial Intelligence (GEOINT) – გეოსივრცითი დაზვერვა. სივრციდან დედამიწის ზედაპირზე ვიზუალურად აღქმული გამოსახულებების ანალიზის და შეფასებების შემდეგ ხსნის დედამიწაზე მიმდინარე მოვლენების არსს და არსებულ მდგომარეობას.

Imagery intelligence (IMINT) – გამოსახულებითი დაზვერვა. გამოსახულებითი მასალა მიიღება: ფოტოგრაფიით, ინფრაწითელი სენსორებით, ლაზერებით, მრავალგანზომილებიანი სენსორებით და რადარებით.

OPEN-SOURCE INTELLIGENCE (OSINT) – ღია სადაზვერვო წყარო. დაზვერვა წარმოებს საზოგადოდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის შეგროვების შედეგად.

Signals intelligence (SIGINT) – სადაზვერვო სიგნალები. მიიღება უცხო ქვეყნების კომუნიკაციების ექსპლუატაციის შედეგად. სადაზვერვო სიგნალები მოიცავს: კომუნიკაციების დაზვერვას (COMINT), ელექტრონულ დაზვერვას (ELINT), უცხოური

აპარატურის სიგნალების დაზვერვას (FISINT).

Technical Intelligence (TECHINT) - ტექნიკური დაზვერვა. სადაზვერვო ინფორმაცია გროვდება უცხოური სამხედრო აღჭურვილობებიდან. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის და შეფასების შემდეგ განისაზღვრება მოწინააღმდეგის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხეების დონე.

Office of the Director of National Intelligence (ODNI) – აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორის ოფისი.

Director of National Intelligence (DNI) – ეროვნული დაზვერვის დირექტორი.

Central Intelligence Agency (CIA) – აშშ-ის დაზვერვის ცენტრალური სააგენტო.

Federal Bureau of Investigation (FBI) – აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიურო.

National Security Agency (NSA) – ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო.

National Reconnaissance office (NRO) – ეროვნული სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ოფისი.

National Geospatial Intelligence Agency (NGA) – ეროვნული გეოსივრცითი დაზვერვის სააგენტო.

The Security Service – MI5 – ბრიტანეთის უსაფრთხოების სამსახური.

Secret Intelligence Service – MI6 – ბრიტანეთის დაზვერვის საიდუმლო სამსახური.

Special Air Service – SAS – სპეციალური საჰაერო სამსახური.

Government Communications Headquarters – GCHQ – ბრიტანეთის სამთავრობო კომუნიკაციების ცენტრი

წყაროები და ლიტერატურა

1. დავით კუხალაშვილი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ამერიკის შეერთებული შტატების სამსახურში, თბილისი, 2010.
2. თენგიზ ენდელაძე, საგარეო დაზვერვის სამსახურები, თბილისი, 2007.
3. ბესო ალადაშვილი, სპეცსამსახურები და შპიონაჟი, თბილისი, 2005.
4. ბესო ალადაშვილი, შპიონაჟის საიდუმლო, თბილისი, 2007.
5. თორნიკე შურდულაია, ამერიკის როლი საქართველოს საგარეო პოლიტიკურ სივრცეში, თბილისი, 2010.
6. თორნიკე შურდულაია, „დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს როლი აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში“ - ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, 2008, №14.
7. თორნიკე შურდულაია, „აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიურო და სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია ინტერპოლი (დაარსება, თანამშრომლობა, ძირითადი პრიორიტეტები)“, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი ინტელექტი, 3 (23) 2005.
8. თორნიკე შურდულაია „აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო“ (შავი ოთახი), ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კრებული - ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (7) 2010.
9. თორნიკე შურდულაია „ძალის დიპლომატია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის არსენალში“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კრებული - ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (9) 2011.
10. თორნიკე შურდულაია „დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურები (MI5-MI6)“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კრებული - ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2 (8) 2010.
11. ODNI Announces Senior Leadership Positions, ODNI News Release No. 5-05". 2005-10-31.
12. Negroponte, John (2005-11-09). "Office of the Director of National Intelligence, Intelligence Community Policy Memorandum, 2005-2001.
13. Negroponte, John (2006-05-08). "Office of the Director of National Intelligence, Intelligence Community Policy Memorandum, 2006-200-2".
14. "DNI Releases Budget Figure for 2010 National Intelligence Program". Office of the Director of National Intelligence. 2010-10-28.
15. "DNI Releases Budget Figure for 2009 National Intelligence Program" (PDF). 2012-01-04.
16. "DNI Releases Budget Figure for 2008 National Intelligence Program" (PDF). 2012-01-04.
17. "DNI Releases Budget Figure for 2007 National Intelligence Program" (PDF). 2012-01-04.
18. Hackett, John F. (2010-10-28). "FY2006 National Intelligence Program Budget, 10-28-10". Office of the Director of National Intelligence.
19. Rosenbach, Eric, and Aki J. Peritz (12 June 2009). "Confrontation or Collaboration? Congress and the Intelligence Community". Harvard Kennedy School. Retrieved 21 July 2009.
20. The USA PATRIOT Act: A Legal Analysis; CRS Report for Congress, April 15, 2002.
21. Priest Dana (2011). Top Secret America: The Rise of the New American Security State.

Little, Brown and Company. p. 320

22. "A hidden world, growing beyond control", by Dana Priest and William Arkin, July 19, 2010, The Washington Post.
23. Higgins A. „Our man in Tbilisi“, wall street Journal #-93, October 18, 2008.
24. Daniel W. Drezner. „The future of US foreign policy,“ 2008.
25. David A. Deese. „The New politics of American foreign policy.“ Boston College, ST. Martin’s press, NY, 1994.
26. Dilanian Ken, "Overall U.S. intelligence budget tops \$80 billion". Los Angeles Times, (2010-10-28)
27. United States foreign policy: Worldwide mission and Terror, speech by Mark Dillen to the Konrad Adenauer Foundation, Schloss Eichholz, Bonn July 6,2006.
28. Mel Goodman. „Militaryization of U.S. foreign policy,“ 2004.
29. Dobson A. Marsh S. U.S. foreign policy since 1945; USA, NY, 2001.
30. Ryan D. US foreign policy in world history; USA, NY, 2000.
31. Sylvan D. Majeski S. U.S. foreign policy in perspective: clients, enemies and empire; USA, NY, 2009.
32. Scott J. After the End (Making U.S. foreign policy in the post-cold war world); USA, Duke University press, 1998.
33. Ganske C. U.S. foreign policy and the End of the Cold war; Germany, 2005.
34. Handel M. F. Weak States in the International System. London, 1990.
35. Buzan B. "People, States and Fear", The National Security Problem in International Relations. The University of North California Press, Chapel Hill, 1983.
36. Rostein R.L. Alliances and Small Powers. Columbia University Press, New York and London, 1968.
37. Washington Platt. Strategic Intelligence Production (Basic Principles), NY, 1957.
38. „The CIA and the Culture of failure – U.S. Intelligence from the End of the Cold War to the Invasion of Iraq“, John Diamond; Stanford University Press, September 2008.
39. „Defending the Nation - The CIA“ John Hamilton, Minnesota, USA, 2007.
40. „CIA Spy Master“, Clarence Ashley; Louisiana, USA, 2004.
41. „The CIA: The Missions“, Sean McCollum, 2012.
42. „The CIA and the perils of polarization“, International Policy Report, Melvin A. Goodman, March 2008.
43. Office of the Director of National Intelligence, Data Mining Report, 15 February 2008.
44. Psychology of Intelligence Analysis, Richard J. Heuer, Jr. center for the study of Intelligence, Central Intelligence Agency 1999.
45. Report for Congress, Intelligence to Counter Terrorism: Issues for Congress, May 27, 2003.
46. Report of the select committee on Intelligence, United States Senate, covering the period: January 4, 2007 to January 2, 2009.
47. Intelligence Issues for Congress, Richard A. Best, Jr. Foreign Affairs, Defense, and Trade Division, May 9, 2006.
48. Body of Secrets, Anatomy of the Ultra-Secret National Security Agency, James Bamford, USA, 2002.
49. OSS: The Secret History of America's First Central Intelligence Agency, Richard Harris Smith, USA 2005.
50. Oss: Stories That Can Now Be Told, Dorothy Ringlesbach, USA 2005.
51. Dilanian, Ken. CIA led U.S. special forces mission against Osama bin Laden, Los Angeles Times (2 May 2011).
52. Obama Calls World 'Safer' After Pakistan Raid, The New York Times (May 2, 2011).

53. Rosen, James Bin Laden Killing: How the White House, Pentagon and CIA Botched the Storyline. Fox News (April 7, 2010).
54. Dilanian, Ken. CIA led U.S. special forces mission against Osama bin Laden, Los Angeles Times (2 May 2011).
55. Obama Calls World 'Safer' After Pakistan Raid, The New York Times (May 2, 2011).
56. Secretive map agency opens its doors", CNN.com, 13 December 2002.
57. "The National Security Agency Insignia". National Security Agency, July 4, 2008.
58. Echelon: Big brother without a cause". BBC News. July 6, 2000. Retrieved July 4, 2008.
59. Bamford, James, "The Agency That Could Be Big Brother", (December 25, 2005); The New York Times, September 11, 2005.
60. David Kahn, The Codebreakers, Scribner Press, 1967, chapter 19, pp. 672–733.
61. Burns Thomas L. "The Origins of the National Security Agency 1940–1952 (U)". National Security Agency, August 11, 2010.
62. Dr. Bruce Berkowitz (2011-09). "The National Reconnaissance Office At 50 Years: A Brief History". Center for the Study of National Reconnaissance, 2011-10-24.
63. Bamford, James (1985). "America's Supersecret Eyes In Space". The New York Times (New York: The New York Times). January 13, 1985.
64. Stares, Paul B.. "The Militarization of Space". p. p23,46. 2008-11-24.
65. Jeffrey Richelson, America's Secret Eyes in Space. Harper & Row, (1990).
66. (Chief, Special Security Center)-(1974-01-07). "History of NRO security breaches". National Reconnaissance Office, 2010-12-22.
67. "U.S. Reconnaissance Satellites: Domestic Targets - Documents Describe Use of Satellites in Support of Civil Agencies and Longstanding Controversy". National Security Archive, The George Washington University. 2008-04-11.
68. Denniston, Alastair G. "The Government Code and Cypher School Between the Wars". Intelligence and National Security, (1986).
69. Sustaining U.S. Global leadership: Priorities for 21 century Defense; Department of Defense, January, 2012.
70. Morton H. Halperin, "A legal analysis of the NSA warrantless surveillance program", January 5, 2006.
71. National Security Agency/Central Security Service, „Transition 2001“, December 2000.
72. THE DEPARTMENT OF HOMELAND SECURITY, President George W. Bush June 2002.
73. Ibrahim A. Al-Kadi, "The Origins of Cryptology: the Arab Contributions," Cryptologia, Vol. 16, no. 2 (April 1992), pp. 97-126.
74. James Gannon, Stealing Secrets, Telling Lies: How Spies and Codebreakers Helped Shape the Twentieth Century, Washington, D.C., Brassey's, 2001, ISBN 1-57488-367-4.
75. Christof Paar, Jan Pelzl, Understanding Cryptography, A Textbook for Students and Practitioners. Springer, 2009.
76. Delta: America's Elite Counterterrorist Force. By Terry Griswold, D. M. Giangreco. Zenith Imprint, 2005.
77. Smith Michael (2007). Killer Elite: The Inside Story of America's Most Secret Special Operations Team. New York, New York: St. Martin's Press.
78. Gellman Barton (23 January 2005). "Secret Unit Expands Rumsfeld's Domain". Washington Post.
79. Schmitt Eric, "In Secret Unit's 'Black Room,' a Grim Portrait of U.S. Abuse". New York Times, (19 March 2006).

80. Shanker Thom, "A Nation Challenged: Battlefield; Conduct of War Is Redefined By Success of Special Forces". New York Times, (21 January 2002)
81. Eric L. Haney, Inside Delta Force: The Story of America's Elite Counterterrorist Unit, Delacorte Press, 2002.
82. Smith, Michael, Killer Elite. St. Martin's Press, (6 March 2007).
83. U.S. Department of Justice, Legal authorities supporting the activities of the National Security Agency Described by the President; Washington, D.C. 20530, January 19, 2006.
84. U.S. Department of Justice Federal Bureau of Investigation; Violent Criminal Apprehension Program National Center for the Analysis of Violent Crime; FBI Academy Quantico, 2009.04.
85. „The Criminal Profiling Illusion: What's Behind the Smoke and Mirrors?“ Brent Snook, Richard M. Cullen, Craig Bennell, Paul J. Taylor and Paul Gendreau; *Criminal Justice and Behavior* 2008; 35; 1257. Published by: <http://www.sagepublications.com> On behalf of: International Association for Correctional and Forensic Psychology.
86. Criminal Profiling: An Introduction to Behavioral Evidence Analysis; Brent E. Turvey; Third Edition, 2008.
87. The FBI: A Comprehensive Reference Guide, Athan G. Theoharis, USA 1999.
88. Delta: America's Elite Counterterrorist Force, Terry Griswold and D.M. Giangreco, USA 2005.
89. Cooper, Helene. Obama Announces Killing of Osama bin Laden , The New York Times (May 1, 2011).
90. Philip Sherwell. Osama bin Laden killed: Behind the scenes of the deadly raid, (May 7, 2011).
91. C. Christine Fair The bin Laden aftermath: The U.S. shouldn't hold Pakistan's military against Pakistan's civilians . Foreign Policy (May 4, 2011).
92. Osama Bin Laden, al-Qaeda leader, dead – Barack Obama, BBC News (May 2, 2011).
93. Maggie Michael. Al-Qaida Vows Revenge for Osama Bin Laden's Death, ABC News (May 6, 2011).
94. Tracking use of bin Laden's satellite phone, The Wall Street Journal (May 28, 2008).
95. Tip to bin Laden may have come from Guantánamo, The Miami Herald (May 2, 2011).
96. Brian Ross Osama Bin Laden: Navy SEALs Operation Details of Raid That Killed 9/11 Al Qaeda Leader . ABC News (May 2, 2011).
97. How U.S. forces killed Osama bin Laden, CNN (May 3, 2011).
98. Bin Laden's body buried at sea The Guardian Monday 2 May 2011
99. Naylor Sean, "SEALs in bin Laden raid drawn from Red Squadron", Military Times, May.5.2011.
100. Owen Bowcott. Osama bin Laden: US responds to questions about killing's legality, The Guardian (May 3, 2011).
101. Ariane de Vogue. Was Killing of Osama bin Laden Legal Under International Law? ABC News (May 6, 2011).
102. AP sources: DNA testing confirms bin Laden death , Forbes (May 2, 2011).
103. Searcey, Dionne. Killing Was Legal Under U.S. and International Law, Many Experts

- Say, *The Wall Street Journal* (May 6, 2011).
104. Woodward, Calvin, «Inside bin Laden's lair with SEAL Team 6», *Military Times*, May 4, 2011.
105. Pfarrer Chuck Seal Target Geronimo. — *Thirty-Eight Minutes*: St. Martin's Press, 2011. P. 189–198. — ISBN 978-1-250-00635-6.
106. Marc Ambinder. The secret team that killed bin Laden, *National Journal* (May 3, 2011).
107. Naylor, Sean D., «SEALs in bin Laden raid drawn from Red Squadron», *Military Times*, May 5, 2011.
108. Brian Ross Osama Bin Laden: Navy SEALs Operation Details of Raid That Killed 9/11 Al Qaeda Leader. *ABC News* (May 2, 2011).
109. Lolita C. Baldor. Osama Bin Laden Death: Obama Ran Serious Risks With Mission To Kill Terrorist Leader, 13.05.2011.
110. Shaun McCormack; *Inside Britain's MI-6 Military intelligence*, 2003.
111. Philip H.J. Davies; *MI-6 and the Machinery of spying*, 2004.
112. "UK Defence Statistics 2009". *Defence Analytical Services Agency*. Retrieved 26 March 2010.
113. *Great Britain: Intelligence and Security Committee, Intelligence and Security Committee annual report 2008-2009*.
114. Matthew M. Aid, Cees Wiebes, *Secrets of Signals Intelligence During the Cold War: From Cold war and Beyond*, UK, London 2001.
115. Loch K. Johnson, *Strategic Intelligence: Covert Action, Behind the Veils of Secret Foreign Policy*, USA, 2007.
116. Paul Wilkinson, *Terrorism Versus Democracy*, USA and Canada, 2011.
117. Ronald Kessler, *The Terrorist Watch: Inside the Desperate Race to Stop the Next Attack*; NY, 2007.
118. Jeffery T. Richelson, *A Century of Spies: Intelligence in the Twentieth Century*; Oxford

University Press, Oxford – NY, 1995.

119. Ronald Kessler, *Inside the CIA: Revealing the Secrets of the World's Most Powerful Spy Agency*; NY. 1992.
120. Eliza Manningham-Buller, *Securing Freedom, Great Britain*, 2012.
121. Rosamund M. Thomas, *Espionage and Secrecy: The Official Secret Acts 1911-1989 of the United Kingdom*, UK, London, 1991.
122. Keith Jeffery, *MI6: The History of the Secret Intelligence Service 1909-1949*, Great Britain, 2010.
123. Brief history of the regiment". *Special Air Service Association*. Retrieved 21 January 2011.
124. Griffin, P.D. *Encyclopedia of Modern British Army Regiments*. Sutton Publishing, (2006).
125. Fremont-Barnes, Gregory (2009). *Who Dares Wins — The SAS and the Iranian Embassy Siege 1980*.
126. Morgan Mike (2000). *Daggers Drawn: Second World War heroes of the SAS and SBS* Sutton.
127. Scholey Pete; Forsyth Frederick, *Who Dares Wins: Special Forces Heroes of the SAS*. Osprey Publishing, 2008.
128. Stevens Gordon, *The Originals — The Secret History of the Birth of the SAS in Their Own Words*. Ebury Press, 2005.
129. "Special Air Service Regiment", *Digger History*. 14 April 2010.
130. *Special Air Service Regimental Association*", 15 April 2010.
131. Ф. Сергеев, *Если сорват маску*, М., 1983
132. Александр Асеевский *ЦРУ: Шпионаж, Тероризм, Зловещие планы*, М. 1988.
133. Юлиус Мадер, *Империализм: Шпионаж в Европе вчера и сегодня*, М. 1984.
134. Генерал Уэсли Кларк, *Сценарии дальнейших Вторжений США*, М. 2009.

135. Дегтярев К. Энциклопедия спецслужб, М. 2008.
136. Джонатан Блоч; Патрик Фитцджеральд „Таинные Операции Английской разведки“. М. 1987.
137. А.И. Колпакиди; Д.П. Прохоров; „Все о внешней разведке“ 2002.
138. Аллен Даллес; Асы Шпионажа; 2004.
139. www.Federalnewsradio.com; Radio interview that highlights Intelligence Community social software training programs, Federal News Radio, 5 November 2007.
140. www.geurasia.org „ამერიკული უსაფრთხოება: რეალობა თუ ილუზია“, 27.04.2010.
141. www.radiotavisupleba.ge, „FBI-ის დირექტორი თბილისს სტუმრობდა“, რეზონანსი №. 07.05.2010.
142. Encyclopedia of Cold war Espionage, Spies and Secret operations, Richard C.S. Trahair and Robert L. Miller, 2012 edition.
143. www.gpoaccess.gov
144. www.cia.gov
145. <http://www.dni.gov/>
146. <http://www.gis.gov.ge/>
147. www.defense.gov
148. www.fbi.gov
149. www.nga.mil
150. www.dhs.gov
151. www.socom.mil
152. www.gchq.gov.uk
153. www.sis.gov.uk
154. www.mi5.gov.uk
155. www.eliteukforces.info/special-air-service/